

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სოფიო რუბენის ასული ასანიძე

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების)
კრიმინოლოგიური დახასიათება

დისერტაცია

სამართალმცოდნეობის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: მალხაზ ბაძაღვა

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სრული
პროფესორი

თბილისი

2012

შინაარსი

შესავალი;

თავი I უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) კვლევის თეორიული ასპექტები;

§1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წარმოშობის და გავრცელების მოკლე ისტორიული მიმოხილვა;

§2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) არსი;

თავი II უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ძირითადი ტენდენციები;

§1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) კანონზომიერების თავისებურება საქართველოში;

§2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ფაზები;

§3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) განხორციელების მეთოდები და ხერხები;

თავი III უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაცია;

§1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაციის ზოგადი დახასიათება;

§2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაცია საქართველოში;

თავი IV უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა;

§1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები;

§2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურება საქართველოში;

დასკვნა-რეკომენდაციები;

ბიბლიოგრაფია;

დანართები.

შესავალი

კვლევის აქტუალობა. მსოფლიო მასშტაბით ფულის გათეთრების აღკვეთის პრობლემა აქტუალური გახდა გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან. მეცნიერებაში არალეგალური შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემის პროცესმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (იგივე „ფულის გათეთრების“) სახელწოდება მიიღო.

1988 წლის 19 დეკემბერს ვენაში მიღებულ იქნა გაეროს კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ,“ რომელმაც მსოფლიო თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნები დაარწმუნა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის გადახედვის და ფულის გათეთრების სულ უფრო პროგრესირებადი პრობლემის დამოუკიდებელ მიმართულებად გამოყოფის აუცილებლობაში. სწორედ აღნიშნულმა კონვენციამ მისცა ბიძგი შემდგომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის მიზნით მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და საერთაშორისო დოკუმენტების შექმნას.

ფულის გათეთრების აღკვეთის ინსტიტუტების შექმნის პროცესის შესწავლა გვიჩვენებს, რომ გლობალურ მასშტაბში მათი წარმოქმნა და განვითარება ხდებოდა ნარკოტიკების საერთაშორისო უკანონო ბრუნვის, ორგანიზებული დანაშაულობის, კორუფციისა და ტერორიზმის აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლების ფორმირების პარალელურად. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედების კრიმინალიზაცია, ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული ზემოჩამოთვლილ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებთან.

ფულის გათეთრება ახალი მოვლენა არ არის. დამნაშავეები ყოველთვის ცდილობდნენ შემოსავლების ჭკმმარიტი წყაროს დაფარვას, თუმცა, თუ ადრე ეს

პრობლემა განიხილებოდა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სივრცეში, ახლა მან უკვე საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა.

ფულის გათეთრება ნებისმიერი იმ დანაშაულის განუყოფელი ნაწილია, რომლის მიზანიც უკანონო შემოსავლის მიღებაა. ეს არის დანაშაულობის ეფექტურ და მაღალშემოსავლიან წარმოებად გადაქცევის დამამთავრებელი ეტაპი, რის შედეგადაც პირთა არაკონტროლირებადი ჯგუფის ხელში ხდება ეკონომიკური და შემდეგ პოლიტიკური ძალაუფლების მართლსაწინააღმდეგო და საზოგადოებისთვის საშიში თავმოყრა.

რთულია წარმოვიდგინოთ რეალური მასშტაბები ფინანსური ნაკადებისა, რომლებსაც ქმნის და რომლითაც ოპერირებს სხვადასხვა ქვეყანაში ორგანიზებული დანაშაულობა, რადგან ფულის გათეთრების მთელი რიგი მეთოდები თითქმის მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული. ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის საფუძველზე შეიძლება მხოლოდ აღვნიშნოთ, რომელ სფეროებზე აისახება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გავლენა და რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ამ ნეგატიურმა მოვლენამ კონკრეტულ სახელმწიფოს, რეგიონსა თუ მსოფლიო საზოგადოებას.

ლეგალიზებული სახსრების მოცულობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნის, არამედ მსოფლიო ეკონომიკასაც, რაც ფინანსური ბაზრის მთლიანობის რღვევაში გამოიხატება. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა ერთი ქვეყნიდან მეორეში კაპიტალის გადაადგილების ტემპის გაზრდით. მასობრივმა კომუნიკაციამ გააიოლა კონტაქტი საზღვარგარეთელ პარტნიორებთან. საბანკო საქმემ დააჩქარა და გაამარტივა საერთაშორისო გარიგებების განხორციელების პროცედურა. თანამედროვე ტექნოლოგიებმა ახალი სტიმული მისცა როგორც კანონიერ სამეწარმეო, ისე დანაშაულებრივ საქმიანობას. სახელმწიფოს ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა გაატაროს ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა - წარმოიქმნება და ვითარდება ჩრდილოვანი სფერო, რომელსაც შეუძლია ეროვნული ეკონომიკის დეფორმირება, იზრდება ინფლაცია, ზარალდება ლეგალური კერძო სექტორი, ეჭვქვეშ დგება წარმატებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა. ზოგჯერ არალეგალური ფულადი სახსრების მოცულობა აჭარბებს განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს ბიუჯეტს, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს ქვეყნის კრიმინალიზაციას, ილახება ქვეყნის რეპუტაცია,

რის შედეგადაც მცირდება პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა და ხდება კაპიტალის გადინება.

ფულის გათეთრებას აქვს სოციალური და პოლიტიკური შედეგებიც. დამნაშავეები უკანონო შემოსავლების წყალობით გაველენას ახდენენ ქვეყნის პოლიტიკაზე, ფაქტობრივად, იტაცებენ ლეგიტიმური მმართველობის ფუნქციების ნაწილს.

ფულის გათეთრების უმნიშვნელოვანეს ნეგატიურ შედეგად მიიჩნევა მისი კავშირი ისეთ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებთან, როგორცაა: ტერორიზმი, ნარკოტიკული საშუალებებისა და იარაღის უკანონო გაგრძელება, კორუფცია, ორგანიზებული დანაშაულობა და ა.შ. როგორც წესი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ქმნის ლატენტურობის პირობებს დანაშაულობის ზემოთ ჩამოთვლილი სახეობებისათვის და შეიძლება, ერთდროულად გახდეს ამ მოვლენების მასშტაბების გაზრდის როგორც მიზეზი, ისე შედეგი. ნებისმიერ შემთხვევაში, ფულის გათეთრება დანაშაულებრივი დაჯგუფებებისათვის დამატებითი სტიმულია კრიმინალური საქმიანობის გასაფართოებლად.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში მსოფლიო მასშტაბით არაერთი პრობლემა არსებობს. პირველ რიგში, არასაკმარისად მჭიდროა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა. ქვეყნებს შორის ეფექტური თანამშრომლობა დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე, საფინანსო სფეროს თავისებურებებზე, კორუფციის დონეზე, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. განსხვავებულია აღნიშნული პრობლემისადმი მიდგომაც - ცალკეული სახელმწიფოები არალეგალური კაპიტალის მიზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით ცდილობენ ეკონომიკური განვითარების დაფინანსების კანონიერი წყაროების არარსებობის ერთგვარ კომპენსირებას.

ჩვენი ქვეყანა, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ერთ-ერთ „მიმზიდველ“ ქვეყნად შეიძლება იქცეს ფულის „გათეთრებლებისთვის.“ ერთი მხრივ, საქართველო ევროპისა და აზიის გადაკვეთაზე მდებარეობს და სწორედ ამ მიმართულებით მოძრაობს ნარკოტიკების ნაკადი, მეორე მხრივ, საქართველოს იურისდიქციაში მყოფი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება და, სავარუდოდ, კონტრაბანდის კერას წარმოადგენს.

ვინაიდან ფულის გათეთრების სქემები ძირითადად ტრანსნაციონალური ხასიათისაა და, შესაბამისად, არსებობს ამ სქემებში ქართული ეკონომიკის ჩართვის საფრთხე, სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია სწრაფი და გააზრებული რეაგირება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებისა და მისი ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ახალი მიდგომების შემუშავება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფულის გათეთრება, როგორც კვლევის ობიექტი, ახალი მიმართულებაა. საქართველოს, ისევე, როგორც მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობებში, ფულის გათეთრებამ ადგილი მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს დაიკვიდრა, რაც გვაძლევს საფუძველს, ეჭვი შევიტანოთ კანონმდებლობის სრულყოფილებაში და წარმოვაჩინოთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის დახვეწის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. ამისათვის აუცილებელია ამ ფენომენის მიზეზების, პირობების, მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების დადგენა, რაც, თავის მხრივ, კრიმინოლოგიის შესწავლის საგანია.

ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა ჩატარებული კვლევის პრაქტიკული და მეცნიერული აქტუალობა.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ერთ-ერთი პირველი, მოკრძალებული მცდელობაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მეცნიერული შესწავლის, ამ მოვლენის კრიმინოლოგიური ასპექტების კომპლექსური დამუშავებისა და, ფულის გათეთრების პრევენციის მიზნით, ცალკეული რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზნებია:

- განხორციელდეს მოცემული დანაშაულობის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების ერთიანი სისტემატიზაცია;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციული ზომების სრულყოფის მიზნით შემუშავდეს მეცნიერული დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები.

დასახული მიზნის მიღწევა უზრუნველყოფილ იქნა შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრით:

- ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულობის წარმოშობისა და გავრცელების ისტორიული გაანალიზებით;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის - ნეგატიური სოციალური მოვლენის არსის გაანალიზებით;
- სხვადასხვა რელევანტური სტატისტიკური მონაცემების შეჯერებითა და გაანალიზებით;
- სოციოლოგიური კვლევის ჩატარებითა და მიღებული შედეგების მრავალმხრივი ანალიზით;
- მსოფლიო პრაქტიკაში გავრცელებული ლეგალიზაციის სქემებისა და მეთოდების შესწავლითა და გაანალიზებით;
- იმ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების ანალიზითა და ძირითადი ტენდენციების განსაზღვრით, რომლებიც ფულის გათეთრების აღკვეთის საერთაშორისო სტანდარტებია;
- საქართველოში ფულის გათეთრების აღმკვეთი საკანონმდებლო ბაზისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლით, ანალიზითა და ეფექტურობის შეფასებით;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზების კომპლექსურობის, როგორც პრობლემის გადაჭრის უმთავრესი თეორიულ-გამოყენებითი მეთოდის გაშუქებით;

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა კრიმინოლოგიური კვლევის შემდეგი მეთოდები:

- ისტორიული - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების საერთაშორისო ასპექტების შესწავლისას;
- შედარებით-სამართლებრივი – საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესწავლისას;
- სტატისტიკური - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს მონაცემების გაანალიზებისას;
- ანკეტირების - მოქალაქეთა ხუთი მიზნობრივი ჯგუფის – საბანკო, საჯარო, ბიზნესსექტორში დასაქმებული პირების, სტუდენტებისა და უმუშევრების გამოკითხვისას;
- დოკუმენტური - სპეციალური ლიტერატურის, კანონმდებლობის, ანალიტიკური მასალის შესწავლისას.

ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას ქმნის კრიმინოლოგიაში, სისხლის სამართალში, ჰუმანიტარული პროფილის სხვა მეცნიერებებში ქართველ და უცხოელ მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები; ნორმატიულ ბაზად გამოყენებულ იქნა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ასევე სატაქსტიკური მასალა, ინტერნეტ რესურსი და ა.შ. ავტორის მიერ ფართოდ იქნა გამოყენებული მისივე სამუშაო გამოცდილება საბანკო სექტორში.

კვლევის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

- ნაშრომში შემოთავაზებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, როგორც რთული სოციალურ-იურიდიული მოვლენის ახლებური დეფინიცია;
- განსაზღვრულია იმ ზოგადი და კონკრეტული ხასიათის ფაქტორების სისტემა, რომელიც გავლენას ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე;
- შემუშავებულია კონკრეტული წინადადებები „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით;
- დადგენილია ფულის გათეთრების სქემების ტიპოლოგია და ის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ დამნაშავეები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ოპერაციების დაგეგმვისას;
- კრიმინოლოგიური კვლევის საფუძველზე გამოვლენილია ეკონომიკური საქმიანობის ის სფეროები, რომლებიც ყველაზე აქტიურად გამოიყენება საქართველოში ფულის გასათეთრებლად;
- შემოთავაზებულია კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა საქართველოში ნაღდი ფულის ბრუნვის, როგორც ფინანსური კონტროლისაგან თავის არიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, მასშტაბების შესამცირებლად.

ნაშრომში შესწავლილია ფულის გათეთრების სოციალური ბუნება, განხილულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალური საკითხები; თეორიული და ემპირიული მასალების საფუძველზე შემუშავებული და დასაბუთებულია წინადადებები ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კრიმინოლოგიური ღონისძიებების სრულყოფისათვის.

მასალის გადმოცემის თანმიმდევრობა განპირობებულია მცდელობით, შეიქმნას მთლიანი წარმოდგენა ფულის გათეთრებაზე, როგორც კრიმინალური საქმიანობის განსაკუთრებულ ფორმაზე, მისი სოციალური დეტერმინანტების სისტემასა და აღკვეთის ღონისძიებებზე.

დისერტაციის მასალები პრაქტიკული თვალსაზრისით შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონშემოქმედებით საქმიანობაში; უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების აღკვეთის, გამოვლენის, გახსნისა და გამოძიების განმახორციელებელი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას; უმაღლეს სასწავლებლებში სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კურსის სწავლებისას; სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემების სრულყოფაზე შემდგომი მუშაობისას.

ნაშრომის აპრობაცია. დისერტაციის ძირითად დებულებებზე მოხსენებები გაკეთებულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ ორგანიზებულ მრგვალი მაგიდის სხდომებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე. დისერტაციის შინაარსის ამსახველი დებულებები გაშუქებული და გაანალიზებულია შემდეგ ნაშრომსა და სამეცნიერო სტატიებში:

1. ასანიძე ს. 2012. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია – ფულის გათეთრება.“ თბილისი.
2. „ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა“- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი,” №2(40), 2011წ. გვ.153
3. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ზოგიერთი აქტუალური საკითხი საერთაშორისო და შიდაეროვნულ დონეზე“ – სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი,” №1(5), 2010წ. გვ.47
4. «Банковское правонарушение, как основание юридической ответственности» - Вестник Московского университета МВД России, №9, 2008 г. ст.147
5. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები საქართველოში“ - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „ინტელექტი,” №3(41), 2011წ. გვ.129

6. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაციის ზოგიერთი საკითხი” - მიღებულია გამოსაქვეყნებლად გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში „აკადემიური მაცნე.”

თავი I უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) კვლევის თეორიული ასპექტები

§1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წარმოშობისა და გავრცელების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ფულის გათეთრების მსგავსი ქმედება, როგორც სოციალური მოვლენა, ჯერ კიდევ ძველ დროში იყო ცნობილი. შუა საუკუნეების ევროპაში მევახშეობა კათოლიკური ეკლესიის მიერ ისჯებოდა როგორც „მომაკვდინებელი ცოდვა,” ამიტომ მევახშეები და ვაჭრები მიმართავდნენ სხვადასხვა მეთოდს, რომელიც ფულის გათეთრების თანამედროვე ხერხებსაც კი უსწრებდა წინ. მაგალითად, ვაჭრები მევახშეებთან წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე პროცენტებს იხდიდნენ ვადაგადაცილების ჯარიმის ან რისკის კომპენსაციის დაზღვევის სახით. ამასთან, საბუთებში ისინი შეგნებულად ზრდიდნენ გაცვლით კურსს პროცენტების გადახდის დასაფარად.

ფულის გათეთრების პრაქტიკის მდიდარი ისტორიის მანიშნებელია მე-17 საუკუნის დასაწყისში არსებული თანამედროვე „ფინანსური სამოთხეების” პროტოტიპი – მეკობრეების საზღვაო თავშესაფრები. ხმელთაშუა და კარიბის ზღვების აუზის ცალკეულ ქვეყნებს შორის (რომლებიც თანამედროვე ოფშორების მსგავსი იყო) მეკობრეებისა და მათი კაპიტალის მისაზიდად კონკურენცია მიმდინარეობდა. მეორე მხრივ, მეკობრეები რიგ შემთხვევებში დანაშულის „გამოსასყიდად” და სამშობლოში დაბრუნების უფლების მისაღებად მოგროვებულ ძვირფასეულობას იყენებდნენ. 1612 წელს მოხდა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების პირველი ამნისტია: ინგლისმა მეკობრეებს თავიანთ საქმიანობაზე ხელის აღების სანაცვლოდ სრული შეწყალება და საკუთრების უფლების შენარჩუნება შესთავაზა. ეს ფაქტი ოთხი ასწლეულით უსწრებს ანალოგიურ შეთანხმებებს, რომლის მიღწევასაც ცალკეულ სახელმწიფოებთან დღესაც ცდილობენ მსხვილი ნარკომოვაჭრეები.

ლიტერატურული და რელიგიური წყაროების რეტროსპექტული ანალიზი მოწმობს სხვადასხვა ქვეყანაში ფულის გათეთრების ანალოგიური მეთოდების გამოყენებას, თუმცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ისტორია (ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით) აშშ-ში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო.

„მშრალი კანონის“ მომხრეებმა 1919 წლის 16 იანვარს შეძლეს მე-18 შესწორების შეტანა ამერიკის კონსტიტუციაში. ამ შესწორების მიხედვით, „მშრალი კანონი“ ძალაში შედიოდა 1920 წლის 17 იანვრიდან. 1919 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა ვოლსტიდის კანონი (Volstead Act), რომელიც აწესებდა ზემოაღნიშნული შესწორების რეალიზაციის წესს. იმ დროისათვის ორგანიზებულმა დანაშაულობამ კონტროლი დაამყარა არალეგალური ბიზნესის ბევრ სახეობასა და ზოგიერთ პროფკავშირზე. „მომუშავე რეკეტის“ სქემა მარტივი იყო. „მუშა პროფკავშირი“ ემუქრებოდა მეწარმეს, რომელიც მაფიისაგან დებულობდა დაცვის უზრუნველყოფის შეთავაზებას. ასეთი „დაცვის“ მისაღებად კი მეწარმე უნდა გაწევრიანებულიყო „პროფესიულ ასოციაციაში,” რომელსაც თავისი მოგებიდან გადაუხდიდა გარკვეულ პროცენტს.

„მშრალი კანონის“ ამოქმედებით აშშ-ში ორგანიზებული დანაშაულობა მკვეთრად გაიზარდა. ჩიკაგო, კანადის საზღვართან არსებული ქალაქი, სწრაფად იქცა არალეგალური ალკოჰოლური ბიზნესის (“bootlegging”) ამერიკულ დედაქალაქად. ქალაქში მოქმედებდა ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია „სინდიკატი,” რომელსაც იტალიელი ემიგრანტები მეთაურობდნენ. ალკოჰოლის არალეგალური გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები უზარმაზარი იყო. ბიზნესის მომგებიანობა დაახლოებით 400% შეადგენდა, თუმცა მაფიოზები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მუდმივი ზეწოლის ქვეშ იყვნენ.

ნაღდი ფულის გამოყენება აშშ-ში ყოველთვის შეზღუდული იყო. მასობრივად გავრცელებული იყო საბანკო ჩეკებით ანგარიშსწორება, ამიტომ სახელმწიფოს, რომელიც აკონტროლებდა საბანკო სისტემას, ეფექტურად შეეძლო ედევნებინა თვალი უკანონო შემოსავლებსა და საგადასახადო დაბეგვრისაგან თავის არიდებაზე. აღსანიშნავია, რომ ჩიკაგოს მაფიის მეთაური ალ კაპონე დააკავეს და პასუხისგებაში მისცეს 215 ათასი აშშ დოლარის გადასახადის გადაუხდელობისათვის. ის 1931 წელს გაასამართლეს და მიუსაჯეს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ალკოჰოლის ვაჭრობით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციის გზების ძიებისას მაფია ცდილობდა ჩართულიყო ისეთ ლეგალურ ბიზნესში, რომელიც დიდი ოდენობით ნაღდი ფულით ოპერირებას მოითხოვდა. ჩიკაგო მომსახურების ინდუსტრიის ამერიკული დედაქალაქი იყო. სასტუმრო ბიზნესი აქ ყოველდღიურად საჭიროებდა თეთრეულის რეცხვას. ამ მომსახურებაზე მოთხოვნა იყო ასევე მილიონობით მაცხოვრებლისა და ტურისტისაგან. სამრეცხაოდან შემოსული შემოსავლები კონკურენციას უწევდა ალკოჰოლის ვაჭრობით მიღებულ შემოსავლებსაც კი. ამდენად, მაფიოზებმა პრიორიტეტულად სწორედ ბიზნესის ეს სახეობა მიიჩნიეს და შეიძინეს სამრეცხაო ფირმები („ბულვარ ქლინერზ“ და „დრექსი ქლინერზ“). ამ საწარმოების ფლობა დანაშაულებრივი საქმიანობის ლეგალური ბიზნესით დაფარვის შესაძლებლობას ქმნიდა და შემოსავლის ლეგალურ წყაროს იძლეოდა. გარდა ამისა, მაფიას ბუღალტრული ტექნოლოგიების გამოყენებით ფულადი სახსრებით მანიპულირების საშუალება ჰქონდა. ასეთი გზით თეთრდებოდა დანაშაულებრივი ფული (ტერმინიც „ფულის გარეცხვა“ (money laundering) სწორედ აქედან იღებს სათავეს).

„ბულვარ ქლინერზმა“ და „დრექსლი ქლინერზმა“ მაფიის მიერ ჩიკაგოს მთელი სამრეცხაო ბიზნესის ხელში ჩასაგდებად პლაცდარში შექმნეს. ამის შემდეგ მაფიამ რძის წარმოებაში შეაღწია. ტრადიციის მიხედვით, თავდაპირველი ნაბიჯი შესაბამისი დარგის პროფკავშირის „დაპყრობა“ იყო. პირველი ასეთი პროფკავშირი რძის გადამზიდავი მძღოლების საკმაოდ მძლავრი გაერთიანება გახლდათ, რომლის ფინანსური ფონდიც 1 მილიონ დოლარს შეადგენდა. მაფიოზებმა დაარსეს რძის ახალი კომპანია „მიდლუმიერ დეირეზ“, რომელშიც აიკრძალა პროფკავშირების საქმიანობა. ქალაქის საბჭოში მაფიის წარმომადგენლების მიერ მიღებულ იქნა რძით ვაჭრობის ახალი წესები. შემოიღეს სორტირება და აკრძალეს A ხარისხზე ნაკლები რძის გაყიდვა ჩიკაგოში. პროფკავშირული რეკეტი გადაიქცა მრავალმილიონიან ბიზნესად. მაფია აკონტროლებდა ჩიკაგოში პროფკავშირების 70%-ს. 1928 წელს ამ რეკეტმა მას 10 მილიონი, ხოლო 1931 წელს - 50 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი მოგება მოუტანა.

1933 წელს კონგრესმა მიიღო 23-ე შესწორება აშშ-ს კონსტიტუციაში, რომლითაც „მშრალი კანონი“ გაუქმდა. აღნიშნულმა ორგანიზებულ დანაშაულობას უზარმაზარი მოგება დააკარგვინა, თუმცა ამ დროისათვის მაფიის ხელში

კონცენტრირებული იყო პროფკავშირული რეკეტი, სათამაშო ბიზნესი, ასევე ლეგალური ბიზნესის ის სახეობები, რომელიც იძლეოდა ფულის გათეთრების საშუალებას.

1934 წელს მაფიოზური დაჯგუფებების ლიდერებმა ჩამოაყალიბეს ფულის გათეთრების პრიორიტეტული მიმართულებები. გადაწყდა, რომ ინვესტირება უნდა განხორციელებულიყო აშშ-ს ალკოჰოლის და სასმელის ბიზნესში, გაფართოებულიყვნენ სასტუმრო საქმისა და კვების წარმოების მიმართულებით, დამკვიდრებულიყვნენ გართობის ინდუსტრიაში - პირველ რიგში ღამის კლუბებსა და მუსიკოსების პროფკავშირებში და ბოლოს, მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელში ჩაეგდოთ სათამაშო ბიზნესი.

ფულის გათეთრების „ნათლიმამად“ მეიერ ლანსკი ითვლება. აღ კაპონეს „თანამებრძოლმა“ დაასკვნა, რომ შემოსავალი, რომელიც არ იყო ცნობილი შიდა საგადასახადო სამსახურებისათვის არ ექვემდებარებოდა საგადასახადო დაბეგვრას. აიღო რა საფუძვლად ეს პოსტულატი, მან დაიწყო არალეგალური ფულის დაფარვის გზების ძიება. სწორედ ის გახდა დღეისათვის ცნობილი ლეგალიზაციის უმეტესი მეთოდების პირველადმოჩენი. მან პირველმა შეიცნო და შეაფასა შვეიცარიის ბანკების დანომრილი ანგარიშების, ბაჰამის ოფშორებისა და სათამაშო ბიზნესის უპირატესობანი.

პირველად ტერმინი „ფულის გათეთრება“ ბეჭდვით საშუალებებში 1973 წელს აშშ-ს პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონსა და „უოტერგეიტის“ სკანდალთან დაკავშირებით გამოჩნდა. 1972 წელს პრეზიდენტის პოსტზე ხელმეორედ არჩევისათვის ნიქსონმა შექმნა საარჩევნო კომიტეტი ჯორჯ მიტჩელის მეთაურობით. ჯორჯ მიტჩელმა ფინანსთა მინისტრ მორის სტენსთან ერთად მომავალი საარჩევნო კამპანიისათვის ფინანსური ბაზის ჩუმად შექმნა დაიწყო. კომიტეტში კანონით აკრძალული ანონიმური შემოწირულობები შეედინებოდა. ფიქტიური კომიტეტებიდან შესული შემოწირულობების შესახებ ცნობილი გახდა მოგვიანებით, უოტერგეიტში დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის შტაბის გატეხვის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ კომიტეტში გათეთრებული ფული შედიოდა.[12, გვ.6-11]

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკაში რევოლუციური ცვლილებები მოხდა. წამყვანი განვითარებული სახელმწიფოები გადავიდნენ პოსტინდუსტრიულ ეკონომიკასა და წარმოების ინფორმაციულ მეთოდზე.

ევრობაზრის განვითარებით წარმოიქმნა ახალი საერთაშორისო ფინანსური ცენტრები - ლუქსემბურგი, სინგაპური, ჰონ-კონგი, პანამა, ბაჰამის კუნძულები და სხვ.[41,გვ.47] ტრანსნაციონალური კაპიტალი გათავისუფლდა „მეურვეობისაგან“ და გამოვიდა ნაციონალური სახელმწიფოების იურისდიქციიდან. მან დაიწყო თავისუფალი გადაადგილება მსოფლიო მასშტაბით უფრო შემოსავლიანი ბაზრების ასათვისებლად. თუ მკაცრი ფინანსური კონტროლის პირობებში სახელმწიფოს შეეძლო ეკონტროლებინა ნაციონალური სავალუტო ბაზარი, ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციისა და სავალუტო კონტროლის შემსუბუქების შედეგად ტრანსნაციონალურ კაპიტალს ნებისმიერი სახელმწიფოს ბაზრის განადგურების შესაძლებლობა გაუჩნდა.

პრაქტიკულად ყველა ტრანსნაციონალური ფინანსური სქემა გადის იმავე პერიოდში შექმნილ ოფშორებზე. დღესდღეობით მსოფლიოში დაახლოებით 100 ოფშორული ზონაა, რომელთა შორის უმსხვილესად ითვლება პანამა (რეგისტრირებულია დაახლოებით 400 ათასი კომპანია) და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები (200 ათასზე მეტი რეგისტრირებული კომპანიით).[23,გვ.13] ოფშორები საშუალებას აძლევს ტრანსნაციონალურ კაპიტალს გაარიდოს სახსრები საგადასახადო დაბეგვრას. ამგვარად, ახალ ეკონომიკურ გარემოში შეიქმნა მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში უნიკალური შესაძლებლობა „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის განვითარებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. ამით მაშინვე ისარგებლეს ტერორისტულმა, ნარკობიზნესისა თუ სხვა ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა. ცალკეულ სახელმწიფოებსა და მსოფლიო თანამეგობრობას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა - უნდა მოეხდინათ ფინანსურ ნაკადებსა და ფულის გათეთრებაზე კონტროლის რადიკალური გაძლიერება. სწორედ ამიტომ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღსაკვეთად მიღებულ იქნა სწრაფი და გადამჭრელი ზომები, თუმცა, ზოგადად, დანაშაულობის აღმკვეთი გლობალური სისტემის ორგანიზების საკითხი მაინც დიად რჩება.

საქართველოში, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში, თითქმის 80-იანი წლების ბოლომდე არ იყო ცნობილი ისეთი მოვლენა, როგორც ფულის გათეთრებაა. თუმცა „პერესტროიკის“ დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირში წარმოიქმნა მნიშვნელოვანი მოცულობის კრიმინალური და ჩრდილოვანი კაპიტალი, ხოლო ეკონომიკური დანაშაულობა ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. ამავე პერიოდში ნებადართულ იქნა კერძო საკუთრების ქონა

ღირებულების და რაოდენობის შეუზღუდავად, თუმცა არ არსებობდა რაიმე სახის სამართლებრივი აქტი საკუთრების წარმომავლობის შესახებ. აღნიშნულმა თავის მხრივ განაპირობა საზოგადოებაზე იმ ნეგატიური შედეგების ზემოქმედება, რომლებიც უსამართლო პრივატიზაციის დროს ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროში დაგროვებული უზარმაზარი კაპიტალის ლეგალიზებამ გამოიწვია.

ჩრდილოვანი შემოსავლების მასშტაბური გათეთრება ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ წლებში დაიწყო, როდესაც 1988 წელს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კანონი „კოოპერაციის შესახებ.“ ამ კანონით ნებადართული იყო კოოპერატივების შექმნა შემოსავლების დეკლარირების მოთხოვნის გარეშე, რაც ჩრდილოვანი კაპიტალის გასათეთრებლად გზების ოფიციალურად გახსნას ნიშნავდა. ცალკეული ნორმატიული აქტები, რომელთაც ეკონომიკა კრიმინალური კაპიტალის შედწევისაგან უნდა დაეცვათ, პრაქტიკულად არ სრულდებოდა. ეფექტურად არ გამოყენებოდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის დადგენილება „არაშრომითი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ზომების შესახებ.“

ეკონომიკის კრიმინალიზაციის პროცესების განვითარებას ხელი შეუწყო ასევე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროგრამის ავტორების თეზისმა, რომლებიც 80-იანი წლების ბოლოს ამტკიცებდნენ, თითქოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ლოგიკა ჩრდილოვანი კაპიტალის მთელი ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებისათვის გამოყენებას ითვალისწინებდა. პრაქტიკულად, არალეგალური კაპიტალი რეფორმის რესურსულ უზრუნველყოფად განიხილებოდა.

საქართველოში დროისა და სიტუაციის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის ფორმირება ქვეყანაში მიმდინარე ურთიერთობების განვითარების ტემპს აშკარად ჩამორჩებოდა. 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, ბირჟების, კაზინოებისა თუ სხვა კერძო წარმოებების შექმნა, მაგრამ კანონმდებლობა, რომლითაც მათი საქმიანობა უნდა დარეგულირებულიყო, მოგვიანებით ჩამოყალიბდა. საკანონმდებლო ხარვეზებმა, ფინანსური ინსტიტუტების საბაზრო რეალიებისადმი მოუპზადებლობამ დამნაშავეების მიერ უკანონო კაპიტალის დასაგროვებლად და გასათეთრებლად საბანკო დაწესებულებების გამოიყენება განაპირობა. დანაშაულებრივი დაჯგუფებები აქტიურად ქმნიდნენ საკუთარ კომერციულ და საკრედიტო სტრუქტურებს. ამ ყველაფერს ხელს უწყობდა ასევე კაპიტალის

წარმომავლობაზე კონტროლის ფაქტიური არარსებობა და საკრედიტო დაწესებულებების შექმნის წესის სიმარტივე. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ 90-იანი წლების განმავლობაში საინვესტიციო რესურსების მძაფრმა უკმარისობამ არსებითად დააქვეითა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრობლემისადმი მგრძობელობის ზღვარი. 90-იანი წლების ბოლოსთვის პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები ფრანგი ექსპერტების მიერ შეფასებულ იქნა ორგანიზებული დანაშაულობისათვის მეტად მიმზიდველ და ფულის გათეთრების სწრაფად განვითარებად ცენტრებად, რომლებიც იმ პერიოდისთვის კონკურენციასაც კი უწევდნენ წყნარი ოკეანისა და კარიბის აუზის ქვეყნებს (ანუ ოფშორებს) ფულის გათეთრებისათვის შესაფერისი საბანკო ქსელით, სამართალდამცავი ორგანოების დანგრეული სისტემით, ნაკლებეფექტური კანონმდებლობითა და განვითარებული საზღვაო კომუნიკაციებით.[22, გვ.26] ამ მხრივ გამონაკლისი, ბუნებრივია, არც საქართველო იყო – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტადიაში მყოფი ქვეყნისათვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის პრობლემა საკმაოდ მწვავე აღმოჩნდა.

1996 წელს ფულის გათეთრებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებამ მდგომარეობა კარდინალურად ვერ შეცვალა, ვინაიდან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საქმეში რეალიზებული არ იყო იდეა კომპლექსური მიდგომის შესახებ.

§2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) არსი

ნებისმიერი მოვლენის შესწავლა პირველი რიგში მისი ბაზისის - არსის განსაზღვრებას საჭიროებს. მეცნიერებაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მრავალი (თუმცა მსგავსი) დეფინიცია არსებობს. 1984 წელს აშშ-ს პრეზიდენტთან არსებული ორგანიზებული დანაშაულის აღმკვეთი კომისიის მიერ ფულის გათეთრება განისაზღვრა, როგორც „პროცესი, რომლის შედეგადაც იმალება შემოსავლების უკანონო წარმომავლობა, ასევე ამ შემოსავლების გარდაქმნა და გამოყენება იმგვარად, რომ არ დაექვემდებაროს იდენტიფიკაციას, როგორც დანაშაულებრივი გზით მიღებული.“ ცოტა განსხვავებული ფორმულირებაა მოცემული ინტერპოლის 1993 წლის საინფორმაციო

ბიულეტენებში - „თავისი არსით ფულის გათეთრება არის მეთოდი, რომლის მიზანია უკანონო ქმედებების შედეგად მიღებული ფულით მაქინაციების წარმოება იმგვარად, რომ შედეგად მათი მიღების წყარო აღმოჩნდეს კანონიერი.“

საერთაშორისო სამართალში ტერმინი „დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია“ პირველად მოცემულ იქნა „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1988 წლის გაეროს ვენის კონვენციაში. კონვენციის მიხედვით, შემოსავლის ლეგალიზაციაში იგულისხმება ქმედებათა მთელი კომპლექსი, რომელსაც თან ახლავს ქონების (ფულადი სახსრების და სხვა ქონების) ჭეშმარიტი სახის (წარმომავლობის) დაფარვა, კერძოდ:

- „კონვერსია ან გადაცემა ქონებისა, თუ ცნობილია, რომ ეს ქონება მიღებულია სამართალდარღვევის ან სამართალდარღვევების შედეგად ან სამართალდარღვევაში მონაწილეობის შედეგად, იმ მიზნით, რომ დაიფაროს ან შეინიღბოს შემოსავლის უკანონო წყარო, ან იმ მიზნით, რომ დახმარება გაუწიოს ნებისმიერ პირს, რომელიც მონაწილეობს ასეთ სამართალდარღვევაში, რათა მან თავი აარიდოს პასუხისმგებლობას თავისი ქმედებებისათვის;

- შეძენა, ფლობა ან გამოყენება ქონებისა, თუ მისი მიღების მომენტში ცნობილი იყო, რომ ეს ქონება მიღებულია სამართალდარღვევის შედეგად, ან ასეთ სამართალდარღვევაში მონაწილეობის შედეგად.“[87, მუხლი 3]

„ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ 1990 წლის ევროპის საბჭოს სტრასბურგის კონვენციით ფულადი სახსრების ან სხვა ქონების ლეგალიზაცია განსაზღვრულია როგორც:

- „ქონების კონვერსია ან გადაცემა, როდესაც პირმა იცის, რომ ასეთი ქონება არის შემოსავალი, იმ მიზნით, რომ დაიფაროს ან შეინიღბოს ქონების არაკანონიერი წარმომავლობა ან დახმარება გაუწიოს ძირითადი დანაშაულის ჩადენაში ჩარეულ ნებისმიერ პირს, მისი ქმედების იურიდიული შედეგების თავიდან აცილებაში;

- ქონების ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების, მასზე ან მის ფლობაზე უფლებების დამალვა, როდესაც შესაბამისმა პირმა იცის, რომ ასეთი ქონება არის შემოსავალი;
- ქონების შექმნა, ფლობა და გამოყენება, როდესაც პირმა ქონების მიღების დროს იცის, რომ ასეთი ქონება წარმოადგენს შემოსავალს;
- ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ნებისმიერ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის მიღება, ჩადენისათვის ჯგუფში გაერთიანება ან კონსპირაცია, ჩადენის მცდელობა ან ჩადენაში დახმარება, წაქეზება, ხელშეწყობა და რჩევების მიცემა.”[91, მუხლი 6]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განმარტება, რომელიც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ძირითად საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში იყო მოცემული, ფაქტობრივად სრულად აისახა FATF-ის რეკომენდაციებში. ამ რეკომენდაციების თანახმად, ფულის გათეთრება - ეს არის „რეალიზაცია ან გადაცემა ქონების, განზრახ მიღებული დანაშაულებრივი გზით, იმ მიზნით, რომ დაიფაროს ან დაიმალოს მათი უკანონო წარმომავლობა; ან ხელშეწყობა პირისათვის, რომელიც მონაწილეობს ერთ ან რამდენიმე ასეთ დანაშაულში, თავი აარიდოს პასუხისმგებლობას შესაბამისი ქმედებების ჩადენისათვის.”

ამ განსაზღვრებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო სტანდარტებით ფულის გათეთრება განისაზღვრება, როგორც შემოსავლების უკანონო წყაროს დაფარვის მეთოდი, ხოლო მიზანი, შემდგომში ამ შემოსავლების ლეგალურად გამოყენებაა.

საინტერესოა ასევე ცალკეულ მკვლევართა შეხედულებები ფულის გათეთრების არსთან დაკავშირებით. ხ.ხ. კერნერის და ე. დახის კვლევებში შემოსავლების ლეგალიზაციაში იგულისხმება: „ყველა ოპერაცია, განხორციელებული იმ მიზნით, რომ შეინიღბოს ან დაიფაროს დანაშაულებრივი ქონებიდან რეგულარული შემოსავლების მიღება.” გერმანელი ავტორი კლაუს კოტკე ფულის გათეთრებაში გულისხმობს ზოგადკრიმინალური და სხვაგვარი სამართალდარღვევებით მიღებული შემოსავლების გამოყენების პროცესს. დ.ა. ბრანდოლინისა და მ. ბეკნერის აზრით, „...ტერმინი „ფულის გარეცხვა“ თავის თავში მოიცავს სხვადასხვა მეთოდს, რომელთა დახმარებითაც დამნაშავეები ნიღბავენ უკანონოდ მიღებული ფულის წყაროს, წარმოშობას და საკუთრების

უფლებას, ისეთ გარიგებებში მონაწილეობით, რომლებიც ამ ფულს წარმოაჩენს კანონიერი წყაროებიდან მიღებულად. სწორედ აქედან წარმოიშვა ტერმინი „გარეცხვა,” ე.ი. ფულის გადაქცევა სუფთად (კანონიერად) და ისეთად, რომ შეუძლებელი იყოს მისი წარმომავლობის დადგენა.”[34, გვ.9]

საინტერესოა ასევე ცალკეულ რუს მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული ფულის გათეთრების დეფინიციები. მაგალითად, ვ.დ. ლარიჩევის ფორმულირებით, ეს არის „პროცესი, რომლის დროსაც დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიღებული „შავი” ფული, როგორც წესი, ნაღდი ფორმის, გაედინება საბანკო სისტემის მეშვეობით იმგვარად, რომ ხდება „სუფთა,” ანუ მას მიეცემა ვითომდა კანონიერი სახე და შეუძლებელია იმ პირის დადგენა, რომელიც არის გარიგების ინიციატორი, ასევე ამ სახსრების უკანონო წარმომავლობის დადგენა.”[25, გვ.10] მართალია, ავტორის მიერ ლეგალიზაციის არსი ასახულია, მაგრამ იმავდროულად ხელოვნურად არის შევიწროებული მისი საგანი და მეთოდი. ამ კატეგორიის დანაშაულის დიდი ნაწილი, დაკავშირებული კორუფციასთან, თაღლითობასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან არ არის ჩადენილი ნაღდი ფულის მიმოქცევის სფეროში, ხოლო დამნაშავეების მიერ გამოყენებული ფულის გათეთრების ფორმები და მეთოდები არ ამოიწურება მხოლოდ საბანკო სფეროში განხორციელებული ოპერაციებით.

მ.ნ. ზაცეპინი შემოსავლების ლეგალიზაციას განსაზღვრავს, როგორც „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებრივი ფასეულობების ჩართვას ნორმალურ ეკონომიკურ ბრუნვაში, რათა დაიფაროს მათი წარმომავლობა.”[25, გვ.10] დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის ცალკეული კონკრეტული ნიშნები მოყავს ნ.ა. ლოპაშენკოს, რომლის აზრითაც „ფულის გათეთრება არის პროცესი, რომელიც შედგება რამდენიმე სტადიის ან ეტაპისაგან, კონკრეტული ფინანსური ოპერაციებისა და გარიგებების ფორმით გამოხატული თანამიმდევრული ქმედებებისაგან, რომელთა მიზანიცაა დანაშაულებრივი სახსრების ნორმალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა და ამ სახსრების წარმომავლობისთვის კანონიერი სახის მიცემა. აღნიშნული აუცილებელია დამნაშავისათვის სახსრების ლეგალურ ბრუნვაში ჩასართველად და მათგან შემოსავლების მისაღებად.”[38, გვ.21]

ი.ვ. კოროტკოვის განსაზღვრებით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის „სახსრების წარმომავლობის, ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის,

შემოსავლებზე საკუთრების უფლების ან სხვა უფლების განზრახ დაფარვის პროცესი – მათ შესახებ ინფორმაციის დამახინჯების გზით; მოცემულ სამართალდარღვევაში თანამონაწილეობა იმ მიზნით, რომ უკანონო შემოსავლები შემდგომ იურიდიულად კანონიერი სახით, სხვადასხვა ფორმით (მოძრავი ან უძრავი ქონების შექმნა, ლეგალურ ეკონომიკურ საქმიანობაში ინვესტირება და ა.შ.) ჩართულ იქნას ოფიციალურ ეკონომიკურ ბრუნვაში.”[35, გვ.27]

ა.ა. შებუნოვის აზრით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის „ერთი ან მეტი პირის მიერ განზრახ განხორციელებული ქმედება, რომლის შედეგადაც ან რომლის ჩადენის პროცესშიც დანაშაულებრივი ან უკანონო წარმოშობის ქონებრივი ფასეულობები (ფული, ნივთები და ა.შ.) გარდაიქმნება კანონიერად, ანუ იქმნება ამ ფასეულობების შექმნისა და ფლობის (განკარგვის) კანონიერების ილუზია.”[34, გვ.11]

ვ.მ. ალიევის აზრით, ფულის გათეთრება, ეს არის „...ნეგატიური სოციალური მოვლენა, რომლის საფუძველიც შემოსავლების უკანონო წყაროს დაფარვის პროცესია, ამ შემოსავლების წარმომავლობის ბუნების, ადგილმდებარეობის, მოძრაობის, მატერიალური კეთილდღეობის (საკუთრების უფლების) ან მათთან დაკავშირებული უფლებების ნამდვილი კუთვნილების შესახებ ინფორმაციის დამახინჯების გზით. ამასვე უთანაბრდება ამ შემოსავლებისათვის ნებისმიერი ფორმით სამართლებრივი სახის მიცემა, თუ პირისთვის ცნობილია, რომ ეს მატერიალური ფასეულობა უკანონო გზითაა მიღებული, ასევე სხვა ქმედებები, პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული შემოსავლების ფლობის, სარგებლობის, განკარგვის ფაქტობრივი ურთიერთობების მართლზომიერების გაფორმებასთან, ან მათი უკანონო წარმომავლობის დაფარვასთან.”[32, გვ.16]

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ადკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განმარტებულია, როგორც „უკანონო შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემა (შექმნა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ანდა ასეთი ქმედებების ჩადენის მცდელობა.”[78, მუხლი2] ამ განმარტების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი უმეტესწილად ასახავს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს. ლეგალიზაციის საგანი

არ მოიცავს მხოლოდ დანაშაულებრივ შემოსავლებს, ამ ფორმულირების მიხედვით, სამართლებრივი რეგულირების სფეროში მოქცეულია ასევე ფულის გათეთრებისათვის ბაზისური სოციალური მოვლენა - სხვა სამართალდარღვევებიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია. ამასთან, განსაზღვრებაში მითითებულია არა მხოლოდ უკანონო შემოსავლის შექმნა, გამოყენება, გადაცემა თუ სხვა მოქმედება, არამედ ასევე ხაზგასმულია მისი ნამდვილი წარმოშობის წყაროს დამალვა ან შენიღბვა, რაც თავისთავად „ბოროტების საფუძველია.“

აქვე გთავაზობთ, ჩვენი აზრით, ამ განმარტების უფრო სრულყოფილ შემდეგ ვარიანტს: უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია („ფულის გათეთრება“) არის უკანონო გზით მიღებული (მოპოვებული/შექმნილი) ქონების წარმოშობის (ნამდვილი) წყაროს შესახებ ცნობების განზრახ დამახინჯება, რომელიც ხორციელდება მათი ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის (შეტანის) გზით, იმ მიზნით, რომ დაიფაროს მათი მართლსაწინააღმდეგო მიღების (მოპოვება/შექმნის) ფაქტი და უზრუნველყოფილ იქნას ამ ქონების თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა. შემოთავაზებული დეფინიციის მიხედვით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია პირის მიერ განხორციელებული განზრახი ქმედებაა, გამოკვეთილია გათეთრების საგანი, მისი მეთოდი და მიზანი, ასახულია მართლსაწინააღმდეგო აქტი, ხაზგასმულია მისი ანტისაზოგადოებრივი მიმართულება.

ფულის გათეთრების განმასხვავებელი ნიშანი მართლსაწინააღმდეგოდ მიღებული სახსრებისათვის კანონიერი წარმომავლობის სახის მიცემაა. ჩვენი აზრით, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვისაუბროთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, როცა შენიღბულია მიღების (წყაროს) უკანონო ხასიათი (ბუნება), მაგრამ არ იმალება მათი არსებობის ფაქტი. ამაში გამოიხატება ლეგალიზაციის მიზნის ორსახოვნება – უზრუნველყოფილ იქნეს უკანონო შემოსავლის თავისუფალი გამოყენება და, ამავდროულად, მათი მართლსაწინააღმდეგო შექმნის ფაქტის დამალვა. ამით ფულის გათეთრება განსხვავდება სხვა დანაშაულებისაგან, როცა დანაშაულის ჩადენის მსგავსი მეთოდები გამოიყენება (მაგალითად, როდესაც კრიმინალური შემოსავალი გადის კანონის მხედველობის არედან მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაიფაროს დანაშაული).

თავი II უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ძირითადი ტენდენციები

§1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) კანონზომიერების თავისებურება საქართველოში

ცნობილია, რომ სტატისტიკა არა მხოლოდ ფაქტების კონსტანტაციაა, არამედ მოვლენების ანალიზის საშუალებასაც გვაძლევს, ამიტომ ფულის გათეთრების კუთხით ბოლო წლების დინამიკის საილუსტრაციოდ და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობის შესაფასებლად გვინდა მოვიშველიოთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები.

მართალია, სისხლის სამართლის კოდექსში პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის 1996 წელს დაწესდა, მაგრამ ფულის გათეთრების დანაშაულის სასამართლო სტატისტიკა მხოლოდ 2005 წლიდან იღებს სათავეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი მუხლით შემოსული და დამთავრებული საქმეები ფიქსირდება მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებში, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა მონაცემთა ბაზაში საჩივრები არ იძებნება (იხ. დანართი 1, 2).

2005 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილულ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 4 ერთეული, განსასჯელთა რაოდენობამაც ასევე - 4, ოთხივე საქმე დამთავრდა განაჩენის გამოტანით. სასჯელის ზომად გამოყენებულ იქნა 1 პირის მიმართ პირობითი მსჯავრი (3 წლის ვადით), ხოლო 3-ის მიმართ მხოლოდ ჯარიმა (თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით).

2006 წელს იმავე მუხლით პირველი ინსტანციის სასამართლოში შევიდა 2 საქმე 2 განსასჯელზე, განაჩენი გამოტანილ იქნა სისხლისსამართლის 1 საქმეზე, რომლითაც მსჯავრდებულს სანქციის სახით დაეკისრა ჯარიმა.

2007 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოში შევიდა 5 საქმე 6 განსასჯელზე, განაჩენის გამოტანით დამთავრდა მხოლოდ 2 საქმე 3 მსჯავრდებულზე. აქედან მხოლოდ ერთ მსჯავრდებულს შეეფარდა

თავისუფლების აღკვეთა (2 წლის და 6 თვის ვადით), ხოლო 2-ს - პირობითი მსჯავრი (3 წლის ვადით) და ჯარიმა (1000 ლარის ოდენობით).

2008 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოში შევიდა 3 საქმე 4 განსასჯელზე, განაჩენის გამოტანით დამთავრდა 4 საქმე 5 პირზე, რომლითაც 2 მსჯავრდებულს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა (1 წლის, 8 თვის და 19 დღის ვადით, ამასთან, მოხდა 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ქონების ჩამორთმევა), ხოლო 3-ს პირობითი მსჯავრი (აქედან 2-ს 5 წლის ვადით და ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით, ერთს - ერთი წლის ვადით და ჯარიმა 1 000 000 ლარის ოდენობით).

2009 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოში შევიდა 1 საქმე 1 პირზე, განაჩენის გამოტანით დამთავრდა 1 საქმე 2 პირზე. ერთ მსჯავრდებულს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით, ხოლო მეორეს - პირობითი მსჯავრი 5 წლის ვადით და ჯარიმა 900 000 ლარის ოდენობით.

2010 წლის 6 თვის მონაცემებით პირველი ინსტანციის სასამართლოში შევიდა 5 საქმე 9 განსასჯელზე. განაჩენის გამოტანით დამთავრდა მხოლოდ 2 საქმე 2 მსჯავრდებულზე. ორივე მათგანს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა (ერთს - 1 წლამდე ვადით, ხოლო მეორეს - 9 წლით).

სასამართლო სტატისტიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2008, 2009, 2010 წლებში სასამართლო განაჩენით დაკისრებული სასჯელები უფრო მკაცრი იყო – როგორც თავისუფლების აღკვეთის ვადის ხანგრძლივობით, ასევე ჯარიმის ოდენობის თვალსაზრისითაც, რაც მოწმობს სახელმწიფოს პოლიტიკას, რომ სასჯელი შეესაბამებოდეს დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმეს და ამ გზით სხვა ზომებთან ერთად ეფექტურად მოხდეს დანაშაულის, მათ შორის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენცია.

აღსანიშნავია, რომ ფულის გათეთრების საქმეებში, უმეტეს შემთხვევაში, ფიქსირდება დანაშაულთა ერთობლიობა, ანუ პირი პასუხისგებაში მიცემულ და სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა რამდენიმე (მათ შორის 194-ე) მუხლის ერთობლიობით. ძირითადად, ეს არის უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდება, ცრუ მეწარმეობა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, დიდი ოდენობით ყალბი ფასიანი ქაღალდების დამზადება და შენახვა გასაღების მიზნით და სხვ. სტატისტიკურ მასალაში გვხვდება სსკ

194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის შემთხვევები, ასევე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ორგანიზება და დახმარება ფულის გათეთრებაში. რაც შეეხება კონკრეტულ გარემოებებს, თუ რაში გამოიხატება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტები, მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი: დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონებისათვის კანონიერი სახის მისაცემად, სს „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ გაიხსნა პირადი ანგარიში, რომლიდანაც მსჯავრდებული გადაცემულ თანხებს სხვადასხვა ქვეყანაში წინასწარ მითითებულ ანგარიშებზე რიცხავდა. ასევე, სისხლის სამართლის ერთ-ერთი საქმის მასალების მიხედვით, რუსეთის ფედერაციაში შეიქმნა ფიქტიური კომპანიები, მათ სახელზე კი ერთ-ერთ ქართულ ბანკში, ბანკის გენერალური დირექტორის დახმარებით, კანონმდებლობის დარღვევით გაიხსნა ანგარიშები. ანგარიშებზე ხდებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების ობიექტური საფუძვლის გარეშე განთავსება, დანაწევრება და სხვადასხვა ოფშორული კომპანიისათვის გადარიცხვა. სტატისტიკურ მასალაში დაფიქსირებულია, ასევე, უკანონოდ მიღებული შემოსავლების რეალიზაციის ფაქტები.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მასალას (იხ. დანართი 3), სსკ 194 მუხლით 2006 წელს დარეგისტრირდა 5 დანაშაული, საიდანაც გახსნილია 1, 2007 წელს დარეგისტრირდა 13 დანაშაული, გახსნილია 1, 2008 წელს დარეგისტრირდა 7 დანაშაული გახსნილია 1, 2009 წელს დარეგისტრირდა 5 დანაშაული, საიდანაც არც ერთი არ არის გახსნილი, 2010 წლის 6 თვის მონაცემებით, სულ დარეგისტრირდა 14 დანაშაული, გახსნილია 5 დანაშაული, ხოლო 194¹ მუხლით დანაშაული რეგისტრირებული არ არის.

როგორც სტატისტიკური მასალიდან ჩანს, 2010 წელს რაოდენობრივად სსკ 194 მუხლით ყველაზე მეტი სისხლის სამართლის საქმე დაფიქსირდა, რაც მოწმობს სახელმწიფოს მცდელობას აღკვეთოს დანაშაულებრივი საქმიანობის წინა წლებში „ხელმიშვებული“ მიმართულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტატისტიკური მონაცემები რეალურად მომხდარი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების მხოლოდ მცირე ნაწილს ასახავს, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ხასიათდება ლატენტურობის მაღალი დონით, რასაც მისი ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლებიც ადასტურებს.
2. სამართალდამცავ ორგანოებს არ აქვთ საკმარისი გამოცდილება და ის სპეციალური ცოდნა, რომელიც აუცილებელია ეკონომიკური დანაშაულობის და, მათ შორის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის. სწორედ ამას მოწმობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალა, რომლის მიხედვითაც 2006-2010 წლებში სსკ 194 მუხლით დარეგისტრირდა 44 დანაშაული, საიდანაც მხოლოდ 8, ანუ 18% გაიხსნა.
3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია რთული კონსტრუქციის დანაშაულია. როგორც წესი, ფულის გათეთრების პროცესი არ მოიცავს მხოლოდ ერთ კონკრეტულ ოპერაციას, ამასთან ტრანსნაციონალური ხასიათიდან გამომდინარე ის ფართოდ არის გავრცელებული სივრცეში და ასევე დროში, რაც, ბუნებრივია, ართულებს მის გამოვლენას, გამოძიებას და დასჯას.

საზოგადოებრივი აზრი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) შესახებ – კრიმინოლოგიური კვლევა ანკეტირების მეთოდით. სამართლებრივი განმარტების სიახლის გამო ფულის გათეთრება საზოგადოების მიერ ჯერ კიდევ არაერთგვაროვნად აღიქმება. არ არის სრულყოფილი წარმოდგენა იმ საფრთხეებზე, რომელსაც ეს მოვლენა იწვევს, საზოგადოება ვერ აცნობიერებს თავის როლს და მნიშვნელობას ფულის გათეთრების აღკვეთის საკითხებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ ჩატარდა მცირე სოციოლოგიური კვლევა, განსახილველ სფეროში მოსახლეობის სამართლებრივი განათლების დონის მიახლოებითი სურათის შესაქმნელად და ასევე, იმ დონისძიებების წარმოსაჩენად, რომლებიც სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაატაროს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფისათვის.

კვლევა ჩატარდა ანკეტირების მეთოდით. მასში ანონიმურად მონაწილეობდა 400 ადამიანი. გამოკითხვისთვის შეირჩა 5 მიზნობრივი ჯგუფი – საჯარო (123) და საბანკო (85) სფეროში დასაქმებული პირები, ბიზნესსექტორი (40), სტუდენტები (112) და უმუშევრები (40). კვლევაში ჩავრთეთ თბილისის მცხოვრებნი.

ანკეტა შედგებოდა 19 კითხვისგან. კითხვები შემდგენაირად იყო ფორმულირებული:

1. გსმენიათ თუ არა რამე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) შესახებ?
2. საიდან იღებთ ინფორმაციას ამ დანაშაულის შესახებ?
3. უფრო ხშირად რა კატეგორიის პირთა ჯგუფები სჩადიან ამ დანაშაულს?
4. რა მოტივით სჩადის პირი ამ დანაშაულს?
5. ვინ შეიძლება მფარველობდეს პირთა ჯგუფებს, რომლებიც ამ დანაშაულს ჩადიან?
6. აქვს თუ არა საქართველოში მყარი საფუძვლები ასეთი დანაშაულის არსებობას და არის თუ არა მისი მასშტაბების ზრდისა და გავრცელების პერსპექტივა?
7. რომელი ფაქტორების ზემოქმედება უწყობს ხელს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას?
8. რა სახის ზიანი შეიძლება მიაყენოს დანაშაულის ამ სახეობის განვრცობამ საქართველოს?
9. რა მეთოდები შეიძლება გამოიყენოს სახელმწიფომ ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად?
10. აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამართალდამცავი სამსახურების თანამშრომელთა მომზადების დონე შეესაბამება თუ არა იმ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს, რომლებიც აუცილებელია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის?
11. ასეთი სახის დანაშაულობასთან ბრძოლაში რომელი ორგანოების საქმიანობას შეაფასებდით ყველაზე ეფექტურად?
12. ასეთი სახის დანაშაული რომელ პერიოდში იყო უფრო გავრცელებული?
13. რა როლი შეიძლება შეასრულოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში?
14. რა როლი შეიძლება შეასრულოს სამოქალაქო სექტორმა ასეთი დანაშაულის აღკვეთის საქმეში?
15. ეკონომიკური საქმიანობის რომელ სფეროში ხდება ყველაზე ხშირად ფულის გათეთრება?
16. მოქმედი კანონმდებლობით საკმარისი უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი თუ არა (სამართალდამცავი) მაკონტროლებელი

ორგანოები რათა ეფექტურად ებრძოლონ ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ ქმედებებს?

17. საჭიროა თუ არა მიღებულ იქნეს ზომები ნაღდი ფულის ბრუნვის და ნაღდი ანგარიშსწორების შესამცირებლად?
18. რა სახის ზომების მიღებაა საჭირო ნაღდი ფულის ბრუნვის შესამცირებლად?
19. თქვენი წინადადებები უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფისათვის.

კვლევის შედეგები დაჯამდა სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, მათ შორის: MS office – Exel, Access; Statistica 8. ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას, რომ კვლევა საქართველოს მთელი მოსახლეობის შეხედულებათა უტყუარი ანარეკლია.

კვლევით მიღებული შედეგების ანალიზი (გრაფიკული მასალა იხილეთ დანართ 4-ში). ფულის გათეთრების სამართლებრივი განმარტების სიახლიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის საინტერესო იყო რესპოდენტთა რა რაოდენობა ფლობდა ინფორმაციას ამ დანაშაულის შესახებ, ამიტომ სოციოლოგიური კვლევის პირველი კითხვა შემდეგი სახით იყო ფორმულირებული: გსმენიათ თუ არა რამე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) შესახებ? სავარაუდო პასუხებად მოცემული იყო შემდეგი ვარიანტები:

1. ვიცი, რომ არსებობს ასეთი სახის დანაშაული
2. არ ვფლობ ინფორმაციას ასეთი დანაშაულის შესახებ
3. მიჭირს პასუხის გაცემა

ანკეტის დაჯამებამ გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა ფლობს ინფორმაციას დანაშაულის ამ სახეობის შესახებ, მხოლოდ 16%-მა საჯარო სექტორიდან, 12%-მა სტუდენტებიდან, 13%-მა უმუშევრებიდან, ერთმა რესპოდენტმა ბიზნეს სექტორიდან მიუთითა პასუხის მეორე ვარიანტი, ხოლო 8-8%-მა საჯაროდან და უმუშევრებიდან, 4-4%-მა სტუდენტებიდან და საბანკო სექტორიდან ვარიანტი - „მიჭირს პასუხის გაცემა” - დააფიქსირა. მთლიანობაში აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 85%-ს აქვს ინფორმაცია ამ დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუმცა მიგვაჩნია, რომ გამოკითხულთა 15%, რომელიც არ ფლობს არანაირ

ინფორმაციას, პოტენციურად სწორედ იმ რისკის ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც კრიმინალების მიერ ფიქტიური პირების სახით შეიძლება ჩართულ იქნას ფულის გათეთრების სქემებში.

ანკეტის მეორე კითხვა ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სახით - საიდან იღებთ ინფორმაციას ამ დანაშაულის შესახებ? სავარაუდო პასუხებად კი მოცემული იყო შემდეგი ვარიანტები:

1. შესაბამისი იურიდიული ლიტერატურიდან
2. სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან (პრესა, ტელევიზია და ა.შ.)

გამოკითხულთა უმრავლესობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, პასუხის მე-3 ვარიანტი – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან მიუთითა. ამასთან, საბანკო სექტორში დასაქმებულთაგან 20-მა პიროვნებამ დააფიქსირა, რომ ინფორმაციას ფულის გათეთრების შესახებ ფლობს სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, ხოლო 32 სტუდენტმა ინფორმაციის წყაროდ შესაბამისი იურიდიული ლიტერატურა მიუთითა. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებიდან ანკეტირებაში ძირითადად იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლები (მაგისტრანტები) ჭარბობდნენ და ამიტომ უფრო მაღალ მაჩვენებელს მათგან სწორედ პასუხის პირველ ვარიანტზე (შესაბამისი იურიდიული ლიტერატურიდან) მოველოდით. მთლიანობაში გამოკითხულთა დაახლოებით 72%-მა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაასახელა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსახლეობის სამართლებრივი განათლებისათვის მათი გამოყენების ეფექტურობას.

რაც შეეხება კვლევის მესამე კითხვას - თქვენი აზრით, უფრო ხშირად რა კატეგორიის პირთა ჯგუფები სჩადიან ამ დანაშაულს? - სავარაუდო პასუხების შემდეგი ვარიანტები იყო მოცემული:

1. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები
2. ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები
3. ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები
4. საფინანსო სექტორის წარმომადგენლები

საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა ხმები თითქმის თანაბრად გადანაწილდა ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებზე (33%), ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებსა (24%) და ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებზე (30%). პასუხის სახით მხოლოდ 12%-მა დააფიქსირა საფინანსო სექტორის წარმომადგენლები. ფაქტობრივად, იგივე მონაცემები მოგვცა სტუდენტთა გამოკითხვამაც. რაც შეეხება საბანკო სფეროში დასაქმებულებს, ნახევარზე მეტმა, დაახლოებით 52%-მა, პასუხის მეორე ვარიანტი – ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები მიუთითა. ბანკის შესაბამისი თანამშრომლები ყოველდღიურად აკვირდებიან კლიენტების მიერ განხორციელებულ ტრანსაქციებს, იცნობენ მათი და აანალიზებენ, შეესაბამება თუ არა განხორციელებული ოპერაციები ჩვეულ ბიზნესსაქმიანობას, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ საბანკო სექტორის ამ პოზიციას ნამდვილად აქვს გარკვეული ლოგიკური საფუძველი.

დაახლოებით თანაბრად გადანაწილდა ყველა შესაძლო ვარიანტზე უმუშევართა და ბიზნესსექტორში დასაქმებულთა პასუხები. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ პოტენციურად ფულის გათეთრება შესაძლებელია ჩადენილ იქნას როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლების, ასევე ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებისა და საფინანსო სექტორის მიერ, რესპოდენტთა ხმების დაახლოებით თანაბარი გადანაწილება შესაძლებელია მივიჩნიოთ იმის მაჩვენებელ გარემოებად, რომ მათ ძირითადად სწორი წარმოდგენა აქვთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსზე, თუმცა, პასუხებიდან ერთდროულად ყველა ვარიანტი მხოლოდ რამდენიმე პიროვნებამ დააფიქსირა.

მეოთხე კითხვაზე – რა მოტივით სჩადის პირი ამ დანაშაულს? - სავარაუდო პასუხები შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი:

1. გამდიდრების მიზნით
2. ჩადენილი კანონდარღვევის დაფარვის მიზნით
3. არ ვიცი

გამოკითხულთა ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: საჯარო სექტორში დასაქმებულთა 59%-მა ამ დანაშაულის ჩადენის მოტივად გამდიდრების სურვილი დაასახელა, 26%-მა პასუხის მეორე, ხოლო 14%-მა მესამე ვარიანტი მიუთითა. სტუდენტების 89%-მა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ჩადენის მოტივად

ასევე გამდიდრების სურვილი დაასახელა, 23%-მა - ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, ხოლო მხოლოდ 8%-მა - პასუხის მესამე ვარიანტი. პროპორციულად დაახლოებით იგივე მაჩვენებლები მოგვცა უმუშევართა (პირველი ვარიანტი - 68%, მეორე ვარიანტი - 20%, მესამე ვარიანტი - 12%), საბანკო (პირველი ვარიანტი - 56%, მეორე ვარიანტი - 41%, მესამე ვარიანტი - 2%) და ბიზნესსექტორში (პირველი ვარიანტი - 73%, მეორე ვარიანტი - 20%, მესამე ვარიანტი - 7%) დასაქმებულთა პასუხებმაც. როგორც შედეგებიდან ჩანს, გამოკითხულთა უმეტესობამ (ჯამში 64%-მა) ამ დანაშაულის ჩადენის მოტივად გამდიდრების სურვილი მიუთითა, რასაც ვეთანხმებით, ვინაიდან, მართალია, ფულის გამოთვრებლები ფარავენ სახსრების წარმოშობის წყაროს ანუ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, მაგრამ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის არსი სწორედ შემოსავლების ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვაა შემდგომ მოგების მისაღებად.

ანკეტის მეხუთე კითხვა შემდეგი სახით იყო ფორმულირებული: ვინ შეიძლება მფარველობდეს პირთა ჯგუფებს, რომლებიც ამ დანაშაულს სჩადიან?

1. ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები
2. ის სტრუქტურები, რომელთაც ევალებათ აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა
3. საფინანსო სექტორი
4. არ ვიცი

საჯარო სამსახურში დასაქმებულთა პასუხები დაახლოებით თანაბრად გადანაწილდა პირველ (25%) და მეორე ვარიანტებზე (33%), მხოლოდ 9%-მა დააფიქსირა საფინანსო სექტორი, ხოლო 33%-მა პასუხის ბოლო ვარიანტი. კითხვის ოთხივე სავარაუდო პასუხზე თანაბრად გადანაწილდა სტუდენტთა ხმები. უმუშევართა 35%-მა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, 22%-მა კი ის სტრუქტურები მიუთითა, რომელთაც აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ევალებათ. საბანკო სექტორში დასაქმებულთა 46%-მა ასევე ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები დაასახელა, 27%-მა მეორე ვარიანტი, მხოლოდ 13%-მა საფინანსო სექტორი. ბიზნესსექტორის გამოკითხვის შედეგები კი შემდეგნაირად გამოიყურება: პირველი ვარიანტი - 53%, მეორე ვარიანტი - 23% და მესამე ვარიანტი - 17%. ამ შედეგებიდან 2 დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ: როგორც მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, მართალია, ფულის გათვრების კუთხით საფინანსო სისტემა ყველაზე მეტად

მგრძობიარეა, მაგრამ დღესდღეობით ფინანსურ ინსტიტუტებზე ხორციელდება საკმაოდ მკაცრი ზედამხედველობა, რაც თავისთავად ამცირებს რისკს, რომ საფინანსო სექტორი მფარველობდეს იმ პირთა ჯგუფებს, რომლებიც ახდენენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზებას. გარკვეულწილად, სწორედ ამის დასტურია ის გარემოება, რომ გამოკითხულთა ყველაზე ნაკლები ხმები საფინანსო სექტორმა მიიღო და მეორე: გამოკითხულთა 34%-მა პასუხად - ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები დაასახელა და, ალბათ, სავსებით მართებულადაც - ფულის გათეთრება პირდაპირ კავშირშია კორუფციასთან, რომელიც მისი უმსხვილესი „მომხმარებელი და მწარმოებელიცაა.“ ლეგალიზაციის უმეტეს სქემებში სწორედ კორუფციულ კავშირებს იყენებენ.

ანკეტის მეექვსე კითხვა შემდეგი სახით იყო ფორმულირებული – აქვს თუ არა საქართველოში მყარი საფუძვლები ასეთი დანაშაულის არსებობას და არის თუ არა მისი მასშტაბების ზრდისა და გავრცელების პერსპექტივა?

1. დიახ (გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი მოსაზრება)
2. არა (გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი მოსაზრება)
3. არ ვიცი

შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საჯარო სექტორი – 26%-დიახ, 19%-არა, 55%-არ ვიცი; სტუდენტები – 35%-დიახ, 38%-არა, 29%-არ ვიცი; უმუშევრები – 30%-დიახ, 15%-არა, 55%-არ ვიცი; საბანკო სექტორი – 38%-დიახ, 26%-არა, 36%-არ ვიცი; ბიზნესსექტორი – 63%-დიახ, 10%-არა, 27%-არ ვიცი. მონაცემებიდან იკვეთება, რომ სტუდენტებს და საჯარო სექტორს შედარებით ოპტიმისტური დამოკიდებულება აქვთ საკითხისადმი. რაც შეეხება საბანკო სექტორის წარმომადგენლებს, უმუშევრებსა და, განსაკუთრებით ბიზნესსექტორს, მათი უმეტესობა მიიჩნევს, რომ ფულის გათეთრების არსებობას, მისი მასშტაბების ზრდასა და გავრცელების პერსპექტივას მყარი საფუძვლები აქვს საქართველოში. მთლიანობაში გამოკითხულთა 35%-მა მიუთითა პასუხის პირველი ვარიანტი (დიახ), 25%-მა - მეორე ვარიანტი (არა), ხოლო დანარჩენს არ აქვს კონკრეტული პოზიცია ამ საკითხთან მიმართებით. საინტერესოა რესპოდენტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებსაც გთავაზობთ შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით, კერძოდ: საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებს საქართველოში ფულის გათეთრების მასშტაბების შესაძლო ზრდის მიზეზებად არაადეკვატური კანონმდებლობა, ტენდერების გაუმჭვირვალედ ჩატარება, ხელისუფლებაში მყოფთა ინტერესები, მაღალი

თანამდებობის პირებში დაუსჯელობის სინდრომის არსებობა, შესაბამისი ორგანოების მიერ ამ მოვლენის წინააღმდეგ არასათანადო ბრძოლა მიაჩნიათ (თითოეული აზრი თითო რესპოდენტს ეკუთვნის). რაც შეეხება იმ რესპოდენტებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ფულის გათეთრებას ჩვენს ქვეყანაში არ აქვს გავრცელების პერსპექტივა, მათ მიერ შემდეგი კონკრეტული მოსაზრებები გამოითქვა: ხელისუფლება ეფექტურად ებრძვის კორუფციას, გატარებული რეფორმების შედეგად იკლო ფულის გათეთრების შემთხვევებმა, ფინანსური ინსტიტუტების გამჭვირვალობა, შესაბამისი ზედამხედველი და სამართალდამცავი ორგანოების ეფექტური საქმიანობა გამორიცხავს საქართველოში ფულის გათეთრების მასშტაბების ზრდას (4 რესპოდენტი). უმუშევარი რესპოდენტებიდან მხოლოდ 2-მა დააფიქსირა საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გავრცელების კონკრეტული მიზეზი – მაღალი საგადასახადო განაკვეთები და შესაბამის სტრუქტურებში კადრების არასწორი შერჩევა, ხოლო 3 რესპოდენტის მოსაზრებით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე, საქართველოში არ არსებობს ფულის გათეთრების მასშტაბების ზრდის საფუძველი. საინტერესო სურათი მოგვცა ბიზნესსექტორის წარმომადგენელთა გამოკითხვამ - რესპოდენტებიდან დაახლოებით 33%-მა მიუთითა კონკრეტული მიზეზების ჩამონათვალი, რაც შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან ციფრად, ასეთი კითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე (როგორც წესი, რესპოდენტები ე.წ. ღია კითხვებზე თავის მოსაზრებას ნაკლებად გამოთქვამენ). ფულის გათეთრების გავრცელების მიზეზებად ბიზნესსექტორის მიერ დასახელდა: კორუფცია ზედა ეშელონებში (2 რესპოდენტი), დიდი მოცულობის საზღვარგარეთული ინვესტიციები, ხარვეზები კანონმდებლობაში (2 რესპოდენტი), სოციალური გაჭირვება და ცხოვრების დაბალი დონე (2 რესპოდენტი), შესაბამის სტრუქტურებში კადრების არასწორი შერჩევა, ფიქტიური ფირმების გავრცელება. განსხვავებული პოზიცია აქვთ სტუდენტებს - 14% მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტური საქმიანობისა და ადეკვატური კანონმდებლობის არსებობის პირობებში საქართველოში ფულის გათეთრებას არ აქვს გავრცელების პერსპექტივა. 2-მა რესპოდენტმა ქვეყანაში გატარებული ეფექტური რეფორმები და კორუფციის დაბალი მაჩვენებელი დაასახელა. საქართველოში ფულის გათეთრების გავრცელების მიზეზად კი სტუდენტთა ნაწილს არასათანადო კონტროლი (2 რესპოდენტი) და კორუფციის არსებობა (2 რესპოდენტი) მიაჩნია. რაც შეეხება საბანკო სექტორს, შეხედულებები შემდეგი

სახით იყო ფორმულირებული (სულ გამოკითხულთა 14 პროცენტი): საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, სწორედ ასეთ ქვეყნებში თეთრდება ფული და შესაბამისად რისკი მაღალია (4 რესპოდენტი); მაღალია გადასახადები, ხელისუფლება აქტიურად ერევა ბიზნესის მართვაში; ქვეყანაში ჯერ კიდევ არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებაა; მაღალია ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი (2 რესპოდენტი), იდება კორუფციული გარიგებები; ტენდერები უსამართლოდ ტარდება, ბაზარზე აქტიურად გამოიყენება ოფშორული კომპანიები, ამ პროცესში თავად ხელისუფლებაც ჩართული (2 რესპოდენტი). გამოკითხულთა 12%-ს მიაჩნია, რომ საქართველოში ფულის გათეთრების მასშტაბების ზრდის პერსპექტივა არ არსებობს და ამის დასამტკიცებლად შემდეგ ფაქტორებს უთითებს: წინა წლებთან შედარებით კორუფციის დონემ დაიწია (2 რესპოდენტი); შესაბამისი მაკონტროლებელი სამსახურები მკაცრად და აქტიურად მუშაობენ (3 რესპოდენტი); საჯარიმო სანქციები ძალიან დიდია (გადასახადების დაფარვისთვის) (3 რესპოდენტი); დანაშაულის გამოვლენის მაღალი ალბათობაა და მოქმედებს შიშის ფაქტორი. მთლიანობაში დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ რესპოდენტებს, რომელთაც თავიანთი კონკრეტული აზრი დააფიქსირეს, სწორი წარმოდგენა აქვთ ფულის გათეთრების მაპროვოცირებელ ფაქტორებზე. შესამჩნევია ასევე ის ტენდენცია, რომ სექტორების მიხედვით პოზიციები გარკვეულწილად განსხვავებულია.

ანკეტის მეშვიდე კითხვა შემდეგი სახით იყო ფორმულირებული: თქვენი აზრით, რომელი ფაქტორების ზემოქმედება უწყობს ხელს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას?

1. არაადეკვატური კანონმდებლობა
2. არაეფექტური სახელმწიფო სტრუქტურები
3. სხვა ფაქტორები (გთხოვთ, მიუთითოთ)
4. არ ვიცი

საჯარო სამსახურში დასაქმებულთა 25%-მა ასეთ ფაქტორად არაადეკვატური კანონმდებლობა, ხოლო 45%-მა არაეფექტური სახელმწიფო სტრუქტურები დაასახელა. მხოლოდ სამმა რესპოდენტმა მიუთითა პასუხის მესამე ვარიანტი – სხვა ფაქტორები, თუმცა მხოლოდ ერთმა აღნიშნა კონკრეტულად – შესაბამისი სახელმწიფო ნების არარსებობა. 27%-ს კონკრეტული პოზიცია არ გამოუხატავს (პასუხის მე-4 ვარიანტი). სტუდენტთა 60%-მა ფულის გათეთრების

მასტიმულირებელ ფაქტორად არაეფექტური სახელმწიფო სტრუქტურები დაასახელა, მხოლოდ 7%-მა - არაადეკვატური კანონმდებლობა და 12%-მა - პასუხის მესამე ვარიანტი (სხვა ფაქტორები) მიუთითა (აქედან მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა დააფიქსირა კონკრეტული მიზეზი – ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა). რაც შეეხება დანარჩენ მიზნობრივ ჯგუფებს, რესპოდენტთა ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: უმუშევრები – არაადეკვატური კანონმდებლობა - 25%, არაეფექტური სახელმწიფო სტრუქტურები – 50%, პასუხის ბოლო ვარიანტი – 25%; ბიზნესექტორი – არაადეკვატური კანონმდებლობა - 30%, არაეფექტური სახელმწიფო სტრუქტურები – 45%, სხვა ფაქტორები – 7%, არ ვიცი - 18%. დაახლოებით იგივე მონაცემები მოგვცა საბანკო სექტორმაც – არაადეკვატური კანონმდებლობა – 33%, არაეფექტური სახელმწიფო სტრუქტურები – 56%, სხვა ფაქტორები – 11%. სხვა ფაქტორებს შორის საბანკო სექტორის წარმომადგენლებმა ხელისუფლებაში კორუფციის გავრცელება (4 რესპოდენტი) და საფინანსო სექტორში მაღალი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება მიუთითეს. მთლიანობაში, როგორც გამოკითხვის შედეგების დაჯამება გვიჩვენებს, რესპოდენტთა უმეტესობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითად მასტიმულირებელ ფაქტორად არაეფექტურ სახელმწიფო სტრუქტურებს მიიჩნევს.

ანკეტის მერვე კითხვა შემდეგი სახით იყო ფორმულირებული: რა სახის ზიანი შეიძლება მიაყენოს დანაშაულის ამ სახეობის განვრცობამ საქართველოს?

1. ეკონომიკური ხასიათის ზიანი (კეთილსინდისიერი კონკურენციისთვის ხელის შეშლა, ბიუჯეტში გადასახადების შეუსვლელობა და ა.შ.)
2. დანაშაულებრივი ორგანიზაციების ფინანსური საფუძვლების გაძლიერება და, შესაბამისად, კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესება
3. კორუფციის დონის მომატება
4. მიჭირს პასუხის გაცემა

მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: საჯარო სექტორი – ეკონომიკური ხასიათის ზიანი 42%, დანაშაულებრივი ორგანიზაციების ფინანსური საფუძვლების გაძლიერება და კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესება 23%, კორუფციის დონის მომატება 27%, პასუხის მე-4 ვარიანტი, მხოლოდ 8%. დაახლოებით იგივე აზრი აქვთ რესპოდენტებს დანარჩენი მიზნობრივი ჯგუფებიდანაც (სტუდენტები – პირველი ვარიანტი 44%, მეორე ვარიანტი 33%,

მესამე ვარიანტი 29% და 5% მეოთხე ვარიანტი; უმუშევრები 1-40%, 2-12%, 3-35%, 4-12%; საბანკო სექტორი – 1-47%, 2-20%, 3-31%, 4-2%; ბიზნესსექტორი – 1-52%, 2-22%, 3-22%). მთლიანობაში გამოკითხულთა დაახლოებით 45%-მა ფულის გათეთრების გავრცელების უარყოფით შედეგად ეკონომიკური ხასიათის ზიანი დააფიქსირა, 29%-მა კორუფციის დონის მომატება და 21%-მა - დანაშაულებრივი ორგანიზაციების ფინანსური საფუძვლების გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ რამდენიმე რესპოდენტმა მიუთითა ერთდროულად პასუხის სამივე ვარიანტი. ბუნებრივია, ქვეყანაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მასშტაბების ზრდას ერთი კონკრეტული ხასიათის ზიანი არ მოაქვს. გამოკითხვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვინაიდან პასუხის მეორე ვარიანტი - დანაშაულებრივი ორგანიზაციების ფინანსური საფუძვლების გაძლიერება და კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესება – რესპოდენტთა ყველაზე ნაკლებმა რაოდენობამ დაასახელა, მოქალაქეები ფულის გათეთრებას ძირითადად გადასახადების დამალვასთან, ზოგადად, ეკონომიკურ დანაშაულობასთან აკავშირებენ და საკმარისად ვერ აცნობიერებენ, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ორგანიზებული დანაშაულობის ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი და კრიმინალური ეკონომიკური ციკლის შემადგენელი რგოლია.

ანკეტის მე-9 კითხვა შემდეგი სახით იყო ფორმულირებული: რა მეთოდები შეიძლება გამოიყენოს სახელმწიფომ ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად?

1. მკაცრი კანონმდებლობის შემუშავება
2. შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების გააქტიურება ფულის გათეთრების პრევენციის მიზნით
3. სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ)
4. არ ვიცი

ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფს შორის ერთსულოვანი პოზიცია გამოიკვეთა – დაახლოებით მსგავსი პროპორციულობით გადანაწილდა ხმები. მთლიანობაში რესპოდენტთა 55% ფიქრობს, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების გააქტიურება დანაშაულის პრევენციის კუთხით. რესპოდენტთა 35%-მა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი მკაცრი კანონმდებლობის შემუშავება მიუთითა, მხოლოდ 3%-მა დააფიქსირა – სხვა,

რაზეც შემდეგი სახის კომენტარები იქნა გაკეთებული: საგადასახადო განაკვეთების შემცირება (2 რესპოდენტი), სახელმწიფო პოლიტიკური ნება (3 რესპოდენტი), ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, შესაბამის თანამშრომელთა გადამზადება, ხელისუფლებაში კორუფციის აღმოფხვრა.

ანკეტის მე-10 კითხვა შემდეგი სახით იყო მოცემული: აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამართალდამცავი სამსახურების თანამშრომელთა მომზადების დონე შეესაბამება თუ არა იმ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს, რომლებიც აუცილებელია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისთვის?

1. დიახ
2. არა
3. ამ თვალსაზრისით არის ცალკეული ნაკლოვანებები (გთხოვთ, მიუთითოთ)
4. არ ვიცი

ცოტათი განსხვავებული პოზიციები გამოიკვეთა საჯარო სექტორს, სტუდენტებსა და დანარჩენ მიზნობრივ ჯგუფებს შორის. ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: საჯარო სექტორი – 1-20%, 2-37%, 3-9%, 4-33%; სტუდენტები – 1-36%, 2-32%, 3-13%, 4-21%; უმუშევრები – 1-15%, 2-50%, 3-მხოლოდ 1 რესპოდენტი, 4-32%; საბანკო სექტორი – 1-8%, 2-35%, 3-6%, 4-51%; ბიზნესსექტორი – 1-10%, 2-46%, 3-13%, 4-35%. ცალკეულ ნაკლოვანებებად შესაბამისი სამსახურის თანამშრომელთა გამოუცდელობა (2 რესპოდენტი), არაპროფესიონალიზმი, სტრუქტურის არასრულყოფილება, არაადეკვატური ანაზღაურება და ისევე და ისევე პოლიტიკური ნების არქონა დასახელდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობას, ბუნებრივია, არ აქვს კონკრეტული ინფორმაცია შესაბამისი სამსახურების თანამშრომელთა მომზადების დონის შესახებ და მათი პოზიცია არ შეიძლება ამ მიმართულებით არსებული ვითარების სწორ შეფასებად მივიჩნიოთ (მაგ. პროკურატურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები, რომელთა პირდაპირი მოვალეობაც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაა, სისტემატურად იმადლებენ კვალიფიკაციას არა მხოლოდ სისხლის სამართლის და პროცესის, არამედ საგადასახადო კანონმდებლობის განხრითაც).

მე-11 კითხვა შემდეგი სახით იყო მოცემული: ასეთი სახის დანაშაულობასთან ბრძოლაში რომელი ორგანოების საქმიანობას შეაფასებდით ყველაზე ეფექტურად?

1. შს სამინისტროს
2. პროკურატურის
3. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის
4. არ ვიცი

მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით დაახლოებით მსგავსი მონაცემები მივიღეთ (საჯარო სექტორი – 1-33%, 2-12%, 3-31%, 4-23%; სტუდენტები – 1-50%, 2-17%, 3-19%, 4-15%; უმუშევრები – 1-37%; 2-17%, 3-15%, 4-30%; საბანკო სექტორი – 1-35%, 2-7%, 3-32%, 4-26%; ბიზნესსექტორი – 1-33%, 2-13%, 3-28%, 4-28%). მთლიანობაში გამოკითხულთა დაახლოებით 39%-მა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ყველაზე ეფექტურად შს სამინისტროს საქმიანობა დაასახელა, მხოლოდ 13%-მა პროკურატურა, 26%-მა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, ხოლო 22%-ს კონკრეტული პოზიცია არ დაუფიქსირებია.

ანკეტის მე-12 კითხვა შემდეგი სახით იყო ფორმულირებული: თქვენი აზრით, ასეთი სახის დანაშაული რომელ პერიოდში იყო უფრო გავრცელებული?

1. კომუნისტური მმართველობის დროს (1990 წლამდე პერიოდი)
2. ეროვნული ხელისუფლების მმართველობისას (1990-93წწ.)
3. შევარდნაძის მმართველობისას (1993-2003წწ.)
4. ვარდების რევოლუციის შემდეგ (2003 წლის შემდეგ)

როგორც მოსალოდნელი იყო, აქცენტები ძირითადად შევარდნაძის მმართველობისა და ვარდების რევოლუციის შემდეგდროინდელ პერიოდზე გაკეთდა. გარკვეულწილად, ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში სპეციალური ნორმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესახებ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ჩაიდო. თუმცა თავად მოვლენა, გარკვეული სახითა და მოცულობით მანამდეც არსებობდა საზოგადოებაში. შედეგები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: ბიზნესსექტორი – 1-15%, 2-მხოლოდ 1 რესპოდენტი, 3-45%, 4-38%; საჯარო სამსახური – 1-19%, 2-3%, 3-53%, 4-25%; სტუდენტები – 1-11%, 2-3%, 3-81%, 4-5%; უმუშევრები – 1-10%, 2-1 პიროვნება, 3-50%, 4-38%; საბანკო სექტორი – 1-6%, 2-8%, 3-61%, 4-25%. უნდა აღინიშნოს, რომ

დაახლოებით მსგავსი მონაცემები მივიღეთ მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით, თუმცა, ასევე გამოიკვეთა სტუდენტთა განსაკუთრებული ერთსულოვნება – 81%-მა ფულის გათეთრების გავრცელების ყველაზე აქტიურ პერიოდად შევარდნადის მმართველობის წლები დაასახელა, ხოლო მხოლოდ 5%-მა - ვარდების რევოლუციის შემდეგი პერიოდი. მთლიანობაში გამოკითხულთა 61% ასევე ფიქრობს, რომ სახსრების ლეგალიზება ყველაზე მეტად 1993-2003 წლებში ხდებოდა და მხოლოდ 22%-ის აზრით, - ვარდების რევოლუციის შემდეგ. ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, სტატისტიკაზე დაყრდნობით შევაფასოთ საზოგადოებრივი აზრის სიზუსტე, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ 2005 წლიდან ხდება უზენაესი სასამართლოს მიერ ფულის გათეთრების საქმეებზე შესაბამისი სტატისტიკის წარმოება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ საკანონმდებლო ცვლილებებს, სახელმწიფოს პოლიტიკას კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, საფინანსო სექტორზე ზედამხედველობის გამკაცრებას და სხვა გარემოებებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ რესპოდენტთა პოზიცია, ფულის გათეთრების მდგომარეობის თვალსაზრისით, რეალურ სურათს ასახავს.

ანკეტის მე-13 კითხვა შემდეგი სახით იყო მოცემული: რა როლი შეიძლება შეასრულოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში?

1. დადებითი
2. უარყოფითი
3. არ ვიცი

სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით აქაც მსგავსი შედეგები მივიღეთ (ბიზნესსექტორი – 1-68%, 2-8%, 3-25%; საჯარო სამსახური – 1-72%, 2-6%, 3-23%; სტუდენტები – 1-75%, 2-5%, 3-20%; უმუშევრები – 1-65%, 2-10%, 3-25%; საბანკო სექტორი – 1-81%, 2-4%, 3-15%). გამოკითხულთა 74% ფიქრობს, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დადებითი როლის შესრულება შეუძლიათ. ბუნებრივია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი, ზოგადად, დანაშაულობასთან და, მათ შორის, ფულის გათეთრებასთან ბრძოლის საკითხებში, ძირითადად, სპეციალურ საგანმანათლებლო გადაცემებსა თუ პუბლიკაციების სერიას გულისხმობს. სწორედ ეს პოზიცია დააფიქსირა კონკრეტულად რამდენიმე რესპოდენტმა – სამოქალაქო სექტორისათვის ფულის გათეთრების ცალკეული საკითხების

დრმად გაცნობა. რესპოდენტთა მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 6%-ს ჰქონდა უარყოფითი დამოკიდებულება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი ფულის გათეთრების აღკვეთის საქმეში, თუმცა კონკრეტიკისგან თავი შეიკავეს. მოქალაქეთა 21%-მა პასუხის მესამე ვარიანტი დააფიქსირა. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ფულის გათეთრების საქმეებში ძალიან ხშირია იმ პირთა ჩართვა, რომელთაც უბრალოდ საკანონმდებლო ბაზის არცოდნის გამო არ იცინან, რომ ამა თუ იმ სახით დახმარებას უწევენ კანონდამრღვევებს, ამიტომაც, ბუნებრივია, მოსახლეობის სამართლებრივი განათლების საქმეში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ.

ანკეტის მე-14 კითხვა შემდეგი სახით იყო ჩამოყალიბებული: რა როლი შეიძლება შეასრულოს სამოქალაქო სექტორმა ამ დანაშაულის აღკვეთის საქმეში?

1. მნიშვნელოვანი (გთხოვთ, ახსნათ თქვენი მოსაზრება)
2. უმნიშვნელო (გთხოვთ, ახსნათ თქვენი მოსაზრება)
3. არ ვიცი

მთლიანობაში პასუხის თითოეულ ვარიანტზე ხმები არსებითი სხვაობით არ გადანაწილებულა – გამოკითხულთა დაახლოებით 35% ფიქრობს, რომ ფულის გათეთრების აღკვეთის საქმეში სამოქალაქო სექტორს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია და ამას ხსნიან შემდეგი მოსაზრებებით: სამოქალაქო სექტორს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, თუ ყველა ნათლად შეასრულებს თავის მოქალაქეობრივ ვალს დანაშაულის გამოაშკარავების კუთხით და აქტიურად ითანამშრომლებს სამართალდამცავ ორგანოებთან (17 რესპოდენტი); რამდენიმე რესპოდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საზოგადოებრივ აზრს ყოველთვის აქვს მნიშვნელობა, შესაბამისად, საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რა ზიანი მოაქვს ამ დანაშაულს და უნდა გამოხატოს მიზანმიმართული და ორგანიზებული პროტესტი. გამოითქვა ასევე ერთი საინტერესო მოსაზრება საზოგადოების როლთან მიმართებით – სადაც სამოქალაქო სექტორი ძლიერია, იქ დემოკრატიული პრინციპებია, დემოკრატიულ სახელმწიფოში ფულის გათეთრების მასშტაბები მცირეა. ეს ძალიან ზოგადი, თუმცა, ალბათ, გარკვეულწილად, მართებული პოზიციაა. გამოკითხულთა 25% ფიქრობს, რომ სამოქალაქო სექტორს მხოლოდ უმნიშვნელო როლის შესრულება შეუძლია და რამდენიმე რესპოდენტმა ეს პოზიცია შემდეგი გარემოებით დაასაბუთა: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთა

მხოლოდ სისხლის სამართლებრივი ზომებითაა შესაძლებელი, ამიტომ მთავარია, სახელმწიფო სტრუქტურები იყოს ეფექტური; სამოქალაქო სექტორს მხოლოდ ზნეობრივი ნორმების საფუძველზე შეუძლია, წინ აღუდგეს აღნიშნულ ანტისაზოგადოებრივ მოვლენას, რადგან მოქალაქეები არ ფლობენ დანაშაულის პრევენციის სხვაგვარ ბერკეტებს (4 რესპოდენტი); მოსახლეობა არ არის სათანადოდ ინფორმირებული; პროცესი ფარულია. გამოკითხულთა 40%-ს არ აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული პოზიცია. რესპოდენტთა შორის ბიზნესსექტორის წარმომადგენლები და უმუშევრები ყველაზე პესიმისტურად უყურებენ საზოგადოების როლს ფულის გათეთრების აღკვეთის საქმეში (საბოლოო შედეგები: ბიზნესსექტორი – 1-18%, 3–35%, 3-48%; უმუშევრები – 1-20%, 2-60%, 3-20%; საბანკო სექტორი – 1-29%, 2-24%, 3-47%; საჯარო სამსახური – 1-38%, 2-22%, 3–40%; სტუდენტები – 1-48%, 2-12%, 3-40).

ანკეტის მე-15 კითხვა შემდეგი სახით იყო მოცემული: ეკონომიკური საქმიანობის რომელ სფეროში ხდება ყველაზე ხშირად ფულის გათეთრება?

1. საფინანსო-საკრედიტო სისტემა
2. საქველმოქმედო ორგანიზაციები, ფონდები
3. საქმიანობის სხვა სახეობები (გთხოვთ, მიუთითოთ)
4. მიჭირს პასუხის გაცემა

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობის 41%-ს მიაჩნია, რომ ფულის გათეთრება ყველაზე მეტად დამახასიათებელია საფინანსო-საკრედიტო სისტემისათვის; 31%-ის აზრით, ფული თეთრდება საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და ფონდებში, მხოლოდ 8%-მა მიუთითა საქმიანობის სხვა სახეობები, ხოლო 21%-ს კონკრეტული პოზიცია არ დაუფიქსირებია. შედეგები დაახლოებით მსგავსი იყო სხვა მიზნობრივ ჯგუფებშიც, გამონაკლისს მხოლოდ საბანკო სექტორის მონაცემები წარმოადგენდა – მათი აზრით, ყველაზე ხშირად ფული თეთრდება საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და ფონდებში, საფინანსო-საკრედიტო სისტემამ კი მეორე პოზიცია დაიკავა. (შედეგები: ბიზნესსექტორი – 1-53%, 2-40%, 3-1 რესპოდენტი, 4-2 რესპოდენტი; საჯარო სამსახური – 1-33%, 2-25%, 3-8%, 4-33; სტუდენტები – 1-50%, 2-22%, 3-5%, 4-22%; უმუშევრები – 1-43%, 2-23%, 3-13%, 4-23%; საბანკო სექტორი – 1-35%, 2-49%, 3-9%, 4-6%). საქმიანობის სხვა სახეობებს შორის დასახელდა – სათამაშო და სასტუმრო ბიზნესი, კინოინდუსტრია, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, გზებისა და სხვა მშენებლობები (მათ შორის ბინათმშენებლობა).

ანკეტის მე-16 კითხვა შემდეგი სახით იყო მოცემული: მოქმედი კანონმდებლობით საკმარისი უფლებამოსილებებით არიან აღჭურვილნი თუ არა (სამართალდამცავი) მაკონტროლებელი ორგანოები, რათა ეფექტურად ებრძოლონ ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ ქმედებებს?

1. დიახ
2. არა
3. არ ვიცი

ყველა მიზნობრივ ჯგუფში თითქმის მსგავსი შედეგები იქნა მიღებული (ბიზნესსექტორი – 1-73%, 2-27%; საჯარო სამსახური – 1-72%, 2-28%; სტუდენტები – 1-75%, 2-25%; უმუშევრები - 1-52%, 2-48%; საბანკო სექტორი – 1-74%, 2-26%). მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტებს ნაკლებსავარაუდოა, კონკრეტული ინფორმაცია ჰქონდეთ ამ საკითხთან დაკავშირებით, 71%-ს მიაჩნია, რომ შესაბამისი სტრუქტურები საკმარისი უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი. უნდა დავეთანხმეთ რესპოდენტებს, ვინაიდან, როგორც სამართალდამცავ, ასევე საფინანსო სექტორზე ზედამხედველობის განმახორციელებელ სტრუქტურებსა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, ფულის გათეთრების აღკვეთის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ყველა უფლებამოსილება აქვთ კანონით მინიჭებული.

ანკეტის მე-17 კითხვა შემდეგი სახით იყო მოცემული: საჭიროა თუ არა მიღებულ იქნას ზომები ნაღდი ფულის ბრუნვის და ნაღდი ანგარიშსწორების შესამცირებლად?

1. დიახ (გთხოვთ, ახსნათ)
2. არა (გთხოვთ, ახსნათ)

(შემდეგები: ბიზნესსექტორი - 1-78%, 2-22%; საჯარო სამსახური – 1-70%, 2-30%; სტუდენტები - 1-79%, 2-21%; უმუშევრები – 1-70%, 2-30%; საბანკო სექტორი – 1-71%, 2-29%). როგორც გამოკითხვიდან ჩანს, რესპოდენტთა 73% მიიჩნევს, რომ საჭიროა მიღებულ იქნას ზომები ნაღდი ფულის ბრუნვის შესამცირებლად, მათი კონკრეტული პოზიციები კი შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: ნაღდი ფულის ბრუნვა ერთ-ერთი ხელშემწყობი გარემოებაა სახსრების ლეგალიზებისთვის; ამ დონისძიების საშუალებით გამკაცრდება და უფრო ეფექტური გახდება კონტროლი, ასევე გამჭვირვალე იქნება ოპერაციები და, შესაბამისად, შემცირდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტები (15 რესპოდენტი);

ეს ზომა აიძულებთ ორგანიზაციებსა თუ ფიზიკურ პირებს კანონმდებლობას შეუსაბამონ საქმიანობა; შემცირდება კორუფციული გარიგებები. რაც შეეხება იმ მიზეზებს, თუ რატომ არ უნდა მოხდეს ნაღდი ფულის ბრუნვისა და ნაღდი ანგარიშსწორების შესამცირებლად სპეციალური ზომების მიღება, რესპოდენტებმა შემდეგი მოსაზრებები დააფიქსირეს: ნაღდი ფულის ბრუნვა არ არის დიდი მასშტაბის და ის ძირითადად მხოლოდ მცირე ბიზნესშია, შესაბამისად პრევენციის კუთხით ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს (6 რესპოდენტი); გაართულებს ეკონომიკურ ურთიერთობებს და შექმნის გარკვეულ დისკომფორტს (2 რესპოდენტი); ბანკები ტექნიკურად არ არიან მზად, ამასთან, უნაღლო ანგარიშსწორების საშუალებებით სარგებლობა ძვირია (საკმაოდ მაღალი პროცენტებია საკომისიოს სახით ამ მომსახურებით სარგებლობისათვის); ირღვევა კონფიდენციალურობა (საბანკო სექტორში დასაქმებული 2 რესპოდენტი). სხვათა შორის, კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მაგალითად, ბანკის თანამშრომელს კანონით ეკრძალება გასცეს ინფორმაცია კლიენტის მიერ განხორციელებული ტრანსაქციების, ანგარიშზე ბრუნვის და სხვა გარემოებების შესახებ (ბუნებრივია აქ არ ვგულისხმობთ კანონით პირდაპირ მითითებულ შემთხვევებს ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით), ქართული რეალობიდან გამომდინარე, პრობლემა არ არის მოვიპოვოთ ეს ინფორმაცია ჩვენს ახლობლებზე, ოჯახის წევრებზე (იგივე შეიძლება ითქვას მობილური კავშირის სისტემით განხორციელებულ სატელეფონო ზარებზე, ტექსტურ შეტყობინებებზე და სხვ.). ასე რომ, რესპოდენტთა მიერ დაფიქსირებული პოზიცია საკვებით მართებულად მიგვაჩნია, თუმცა არა იმ თვალსაზრისით, რომ არ უნდა მოხდეს ნაღდი ფულის ბრუნვის შემცირება, არამედ იმ კუთხით, რომ აუცილებელია ყველამ, ვისაც ეს მოეთხოვება, დაიცვას საბანკო, პროფესიული თუ სხვა საიდუმლოება, არ დაუშვას ინფორმაციის გადაცემა იმ პირთათვის, რომლებსაც კანონით არ აქვთ ამის უფლება.

ანკეტის მე-18 კითხვა შემდეგი სახით იყო ჩამოყალიბებული: რა სახის ზომების მიღებაა საჭირო ნაღდი ფულის ბრუნვის შესამცირებლად?

1. უნაღლო ანგარიშსწორების საშუალებებზე (პლასტიკური ბარათები და სხვ.) მოსახლეობის მასობრივი გადაყვანა
2. ნაღდი ფულით ანგარიშსწორების მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრა
3. მიჭირს პასუხის გაცემა

მიღებული იქნა შემდეგი შედეგები: ბიზნესსექტორი – 1-40%, 2-33%, 3-27%; საჯარო სამსახური – 1-46%, 2-14%, 3-40%; სტუდენტები – 1-50%, 2-13%, 3-38%; უმუშევრები – 1-55%, 2-15%, 3-30%; საბანკო სექტორი – 1-72%, 2-16%, 3-12%. შეიძლება ითქვას, რომ პროცენტულად ყველა მიზნობრივ ჯგუფში მსგავსი მონაცემები მივიღეთ. გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობის 53% ნაღდი ფულის ბრუნვის შესამცირებლად მიზანშეწონილად მიიჩნევს უნაღლო ანგარიშსწორების საშუალებებზე მოსახლეობის მასობრივ გადაყვანას, მხოლოდ 16% ნაღდი ფულით ანგარიშსწორების მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრას, ხოლო დაახლოებით 32%-ს არ აქვს კონკრეტული პასუხი. კომენტარის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ უნაღლო ანგარიშსწორების საშუალებებზე მოსახლეობის გადაყვანა, უმეტესწილად მაინც, მოქალაქეთა ნებაზეა დამოკიდებული. ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იქნება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრა, ან კონკრეტული სახის გარიგებების განხორციელებისას უნაღლო ანგარიშსწორების გამოყენების ვალდებულების დაწესება (მაგალითად, უძრავი ქონების შეძენისას), თუმცა, როგორც ცალკეულ რესპოდენტთა პასუხებიდან ჩანს, მათ ნაწილს ეს ზომა საკუთარი ეკონომიკური უფლებების შეზღუდვად მიაჩნია.

მიღებული შედეგების საფუძველზე გამოტანილია შემდეგი დასკვნები:

1. რესპოდენტთა 85%-ს აქვს ინფორმაცია ფულის გათეთრებაზე, როგორც სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებაზე. მიგვაჩნია, რომ გამოკითხულთა 15%, რომელიც არ ფლობს არანაირ ინფორმაციას აღნიშნული დანაშაულის შესახებ, პოტენციურად სწორედ იმ რისკის ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც ფიქტიური პირების სახით კრიმინალების მიერ შეიძლება ჩართულ იქნას ფულის გათეთრების სქემებში;
2. გამოკითხულთა საერთო რაოდენობის თითქმის 72%-მა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაასახელა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსახლეობის სამართლებრივი განათლების მიზნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენების ეფექტურობას;
3. რესპოდენტთა უმეტესობა ჯეროვნად ერკვევა ფულის გათეთრების არსში. მათ სწორი წარმოდგენა აქვთ დანაშაულის ჩადენის მოტივზე, დამნაშავეთა კატეგორიებზე, მაპროვოცირებელ ფაქტორებსა და იმ უარყოფით შედეგებზე, რასაც ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენის

გავრცელება იწვევს, თუმცა, მოქალაქეები ფულის გათეთრებას ძირითადად მხოლოდ გადასახადების დამალვასთან, ზოგადად, ეკონომიკურ დანაშაულობასთან აკავშირებენ და საკმარისად ვერ აცნობიერებენ, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ორგანიზებული დანაშაულობის ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია;

4. გამოკითხულთა 35% მიიჩნევს, რომ ფულის გათეთრების არსებობას, მისი მასშტაბების ზრდასა და გავრცელების პერსპექტივას მყარი საფუძვლები აქვს საქართველოში, რის მიზეზადაც ძირითადად დასახელდა არაადეკვატური კანონმდებლობა, ტენდერების გაუმჭვირვალედ ჩატარება, შესაბამისი ორგანოების მიერ ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის არასათანადოდ განხორციელება, კორუფცია ზედა ეშელონებში, დიდი ოდენობით საზღვარგარეთული ინვესტიციები, სოციალური გაჭირვება და ცხოვრების დაბალი დონე, მაღალი საგადასახადო განაკვეთები, არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა, ოფშორული კომპანიების აქტიურად გამოყენება და სხვ. საპირისპირო პოზიცია დააფიქსირა 25%-მა. მათი აზრით, კორუფციის დაბალი მაჩვენებლები, დიდი ოდენობით საჯარო სანქციები, დანაშაულის გამოვლენის მაღალი ალბათობა და შიშის ფაქტორი, ფინანსური ინსტიტუტების გამჭვირვალობა, სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტური საქმიანობა და ადეკვატური კანონმდებლობა გამორიცხავს ჩვენს ქვეყანაში ფულის გათეთრების მასშტაბების ზრდას;
5. გამოკითხულთა 61% მიიჩნევს, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ყველაზე აქტიურად 1993-2003 წლებში მიმდინარეობდა, ხოლო მხოლოდ 22%-ის აზრით, - ვარდების რევოლუციის შემდეგ. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, სტატისტიკაზე დაყრდნობით შევაფასოთ საზოგადოებრივი აზრის სიზუსტე, ვინაიდან მხოლოდ 2005 წლიდან ხდება უზენაესი სასამართლოს მიერ ფულის გათეთრების საქმეებზე შესაბამისი სტატისტიკის წარმოება. თუ გავითვალისწინებთ საკანონმდებლო ცვლილებებს, სახელმწიფოს პოლიტიკას კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, საფინანსო სექტორზე ზედამხედველობის გამკაცრებასა და სხვა გარემოებებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ რესპოდენტთა პოზიცია რეალურ სურათს ასახავს;

6. გამოკითხულთა დაახლოებით 73% თვლის, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციის მიზნით, საჭიროა, მიღებულ იქნას ზომები ნაღდი ფულის ბრუნვის შესამცირებლად. რესპოდენტთა 53% ამ მიზნით მართებულად მიიჩნევს უნაღლო ანგარიშსწორების საშუალებებზე მოსახლეობის მასობრივ გადაყვანას, 16% - ნაღდი ფულით ანგარიშსწორების მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრას. აღნიშნული პოზიციები ჩვენს მიერ დადებითადაა შეფასებული, ვინაიდან ნაღდი ფულის ბრუნვა ფინანსური კონტროლისაგან თავის არიდების ერთ-ერთი საშუალებაა;
7. კვლევის დროს გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია - სექტორების მიხედვით პოზიციები ცალკეულ საკითხებზე, გარკვეულწილად, განსხვავებული იყო. საჯარო სექტორი და განსაკუთრებით სტუდენტები სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ აშკარა ლოიალურობით გამოირჩეოდნენ. საბანკო, ბიზნესსექტორი და უმუშევრები შედარებით უფრო კრიტიკულნი იყვნენ იმავე საკითხებთან მიმართებით.

ანკეტის ბოლოს რესპოდენტებს ვთხოვეთ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფისათვის, რასაც ქვემოთ სრულად გთავაზობთ (გამოკითხულთა დაახლოებით 21%-ის მიერ დაფიქსირდა კონკრეტული პოზიცია):

- სრულყოფილი, ეფექტური საკანონმდებლო ბაზა და კონტროლის მექანიზმები (29 რესპოდენტი);
- ხელისუფლების კეთილი ნება - მაღალი ეშელონების სურვილი ამ პრობლემის მოსაგვარებლად (3 რესპოდენტი);
- კორუფციასთან საფუძვლიანი და ეფექტური ბრძოლა, ელიტარული კორუფციის აღმოფხვრა (3 რესპოდენტი);
- სამოქალაქო თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის გაზრდა (3 რესპოდენტი);
- ანგარიშსწორების ელექტრონულ სისტემაზე მასობრივი გადასვლა (6 რესპოდენტი);
- გადასახადების ლიბერალიზაცია (7 რესპოდენტი);
- მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა ოპერატიული, მიუკერძოებელი და მაღალკვალიფიციური საქმიანობა (18 რესპოდენტი);

- შემოსავლების სამართლიანი გაკონტროლება, ტენდერების გამჭვირვალედ ჩატარება (2 რესპოდენტი);

- შესაბამისი სამართალდამცავი, ზედამხედველი და მაკონტროლებელი ორგანოების ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით გამოცდილი ქვეყნების სამსახურებთან და ორგანოებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება (5 რესპოდენტი);

- 30 000 ლარს ზემოთ თანხის ოდენობით ნებისმიერი სახის გარიგების განხორციელებისას, უნაღდო ანგარიშსწორებისა და შესაბამისი სტრუქტურების მიერ ფულის წარმომავლობასთან დაკავშირებით მოკვლევის ჩატარების სავალდებულობა (ამ მიზნით სპეციალური დაწესებულებებისა და მონიტორინგის ჯგუფების შექმნა) (2 რესპოდენტი).

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციის თვალსაზრისით პოტენციურად თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილი რეკომენდაციის შესრულება გააუმჯობესებს მდგომარეობას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მართებულად ერკვევა ამ დანაშაულებრივი მოვლენის არსში, მისი არსებობის მაპროვოცირებელ ფაქტორებსა და პრევენციულ ზომებში.

§2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ფაზები

ფულის გათეთრების, როგორც დამოუკიდებელი, მეტად მასშტაბური და შემოსავლიანი ბიზნესის სწრაფი ტემპით განვითარება, გარკვეულწილად, განაპირობა განვითარებული ქვეყნების სამართლებრივმა სისტემებმა და საქმიანმა ტრადიციებმა, რომლებიც შეიცავდნენ უკანონო შემოსავლის გამოყენების რისკს და შესაძლებლობას. ლეგალიზაციის მოთხოვნის უზარმაზარმა მასშტაბმა მოახდინა ფულის გათეთრების სქემების შექმნის სტიმულირება.

ფულის გათეთრების ტექნოლოგიები მეტად მრავალფეროვანია. ათიათასობით ეკონომისტი და იურისტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაძაბულად

მუშაობს, რათა შექმნას ლეგალიზაციის ახალი ხერხები და მეთოდები, რაც შემდეგ უხვად ანაზღაურდება ჩრდილოვანი ბიზნესისა და დანაშაულებრივი სამყაროს მიერ. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ყოველ ახალ ზომაზე, რომელსაც იღებს მსოფლიო თანამეგობრობა, გლობალური ჩრდილოვანი ეკონომიკა ეძებს პასუხს გათეთრების ახალი მექანიზმის სახით.

მიუხედავად ლეგალიზაციის მექანიზმებისა და სქემების მრავალფეროვნებისა, მათ საფუძველში პრაქტიკულად ერთი ტექნოლოგია დევს. ამ ტექნოლოგიის არსი კი შემდეგია: გადააქციოს ნაღდ თუ უნაღდო ფორმით არსებული არალეგალური შემოსავალი ლეგალურად და არ გამოიწვიოს ეჭვი აქტივების წარმოშობის წყარომ. დასახული მიზნის მისაღწევად პირველ რიგში აუცილებელია უკანონოდ მიღებული შემოსავლის სხვა სახის აქტივში განთავსება.

ყველაზე დიდი პრობლემა ნაღდი ფულის გათეთრებაა. განვითარებულ ქვეყნებში დიდი რაოდენობით ნაღდი ფული თავისთავად იწვევს ეჭვს, ასე რომ, „გამთეთრებლის“ პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, პრაქტიკულად ნებისმიერი აქტივი ნაღდ ფულზე უკეთესია.

ტექნოლოგიურ ოპერაციას, როდესაც პირველად ხდება უკანონო აქტივის „ჩადება“ - უკვე საყოველთაოდ მიღებული ტერმინი „განთავსება“ (Placement) ეწოდება. „განთავსების“ დროს უმნიშვნელოვანესი მომენტი ანონიმურობაა, ამიტომ, ბუნებრივია, უპირატესობა ენიჭება იმ მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც საამისო პირობებს უკეთ უზრუნველყოფს. „განთავსების“ ფაზა განსაკუთრებით სახიფათოა. სწორედ ამ ეტაპისთვის გაითვალისწინეს ეროვნულმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა დიდი ოდენობით მახეები, რომლებშიც რეგულარულად ებმებიან დამნაშავეები. უკანონო შემოსავალი ყველაზე მარტივად სწორედ ამ ეტაპზე შეიძლება გამოვლინდეს, ამიტომ არ შეიძლება სახსრები დიდხანს დარჩეს პირველად შეძენილ აქტივებში. როგორც წესი, ამ დროს ბევრი დოკუმენტური კვალია, რომელსაც დანაშაულებრივ ჯგუფამდე მიყვავართ. სასურველია, რაც შეიძლება მალე გადასვლა მეორე ფაზაზე, რომელსაც „დიფერენცირება (დაყოფა)“ (Layering) ეწოდება. ეს სიტყვა აღნიშნავს არალეგალური აქტივების დანაწევრებასა და იმავე ფორმის ლეგალურ აქტივებთან შერევას (შერწყმას). ამ ფაზაში ხდება უკანონო შემოსავლების მოწყვეტა მათი წარმოშობის წყაროსგან ფინანსური ოპერაციების

რთული ჯაჭვის გზით, რომელიც მიმართულია შემოსავლების კვალის შენიღბვისკენ (ზოგჯერ სიტყვა დიფერენცირებას ცვლიან ამ ეტაპის მიზნის უფრო შესაბამისი სიტყვით - „შენიღბვა“). ამ დროს მთავარია კვალის არევა, სხვადასხვა ფინანსურ ოპერაციაში ლეგალური და არალეგალური აქტივების შერწყმით უკანონო სახსრების შენიღბვა. „დიფერენცირების“ ფაზის წარმატებით დამთავრების შემდეგ ფულის გამთეთრებლების შემდგომი ქმედებების გამომჟღავნება ბევრად უფრო რთული ხდება. დგება უკანასკნელი ეტაპი, როდესაც დამკვეთმა უნდა მიიღოს თავისი სრულიად უკანონო შემოსავალი სახეებით „ლეგალური“ აქტივების ფორმით. აღსანიშნავია, რომ დიფერენცირების ეტაპზე გასათეთრებელი აქტივები თითქმის ყოველთვის პატარა პარტიებად იყოფა და თითოეული ნაწილი თავის „ფინანსურ გზაზე“ მიდის. ეს აუცილებელია, რომ სამართალდამცავ ორგანოებს მაქსიმალურად გაურთულდეთ კვალის ძიება, ამიტომ უკვე შემგომ ფაზაში საჭიროა წინა ეტაპზე დანაწევრებული აქტივების კონსოლიდირება დამკვეთისათვის (დანაშაულებრივი ჯგუფისათვის) მოსახერხებელი ფორმით. ამ ეტაპმა „ინტეგრაციის“ (Integration) სახელწოდება მიიღო. „ინტეგრაციის“ სტადიაზე არალეგალური შემოსავლები ყველაზე ხშირად იდება მსოფლიო საბანკო სისტემაში კეთილსინდისიერად ნაშოვნი სახსრების სახით. თუ გასათეთრებელი შემოსავლის კვალი არ გამოვლინდა პირველ ორ სტადიაზე, კანონიერი აქტივის უკანონოსგან გარჩევა შემდგომ განსაკუთრებით რთულია.

ჩვენ მიერ განხილული გათეთრების ბაზისური ტექნოლოგიის სამფაზიანი მოდელი ამჟამად ყველაზე გავრცელებულია, თუმცა გაეროს ექსპერტები ლეგალიზაციის პროცესის აღწერისას იყენებენ ოთხფაზიან მოდელს. სამფაზიანისაგან ის იმით განსხვავდება, რომ განთავსების სტადია ორად იყოფა. პირველი - ნაღდი ფულისაგან გათავისუფლება და მათი გადარიცხვა ფიქტიური პირების ანგარიშზე (სამფაზიან მოდელში ეს პროცესი გამოყოფილი არ არის). ასეთი პირები შეიძლება იყვნენ, მაგალითად, დამნაშავის ნათესავები. ამასთან, დაცული უნდა იყოს ერთი პირობა: ფიქტიურ პირებს ბანკში გახსნილი უნდა ჰქონდეთ საკუთარი ანგარიშები. მეორე სტადიაა - ფულადი სახსრების განთავსება (ეს ფაზა ფაქტიურად ემთხვევა სამფაზიან მოდელში განხილულ პირველად განთავსებას). პაოლო ბერნასკონიმ, ფულის გათეთრების შვეიცარიელმა მკვლევარმა, შემოგვთავაზა ორფაზიანი მოდელი, რომელშიც განასხვავებენ უშუალოდ ფულის გათეთრების ფაზას (money laundering) და

ბრუნვაში დაბრუნებას (recycling).[51, გვ.123] აღნიშნული მოდელის მიხედვით, ფულის გათეთრების ფაზაში შედის სამფაზიანი მოდელის პირველი ორი ფაზა, ხოლო „ბრუნვაში დაბრუნების“ ფაზა პრაქტიკულად „ინტეგრაციას“ ემთხვევა.

აშკარაა, რომ ლეგალიზაციის ფაზების აღწერებში პრინციპული განსხვავებები არ არის. თუმცა, ფულის გათეთრების სქემები მეტად მრავალფეროვანია. ამ სქემების ტექნოლოგიების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ამოცანაა, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სტრატეგიის შერჩევა.

ძირითად მაკლასიფიცირებელ ნიშნად ჩვენ მიერ აღიარებულია აქტივი, რომლის დახმარებითაც „განთავსების“ სტადიაზე ხდება ფულის გათეთრება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სქემები ერთიანდება საერთო აქტივის ნიშნით, რომელშიც უკანონო შემოსავლი ინვესტირდება. „განთავსების“ ფაზა მიჩნეულია განმსაზღვრელ ფაზად. შემდგომ „დიფერენცირებისა“ და „ინტეგრაციისათვის“ აქტივები შეიძლება სხვა ფორმაში გადავიდეს, თუმცა უმეტესად სწორედ აქტივის პირველადი ფორმა ახასიათებს მთელ გარიგებას. შეიძლება კლასიფიკაცია სხვა მეთოდითაც - ოპერაციისათვის გამოყენებული პირთა ნიშნით გაერთიანებული სქემებით (ბანკი, არაკომერციული ორგანიზაცია, სავაჭრო კომპანია, ფიზიკური პირი, რომელსაც უკავია განსაზღვრული თანამდებობა და ა.შ.). ამ მაკლასიფიცირებელი ნიშნების დახმარებით მიღებული სქემების ჯგუფები თითქმის ერთნაირია. ჩვენ გამოვიყენებთ მეორე ნიშანს, პირველთან ერთად, როგორც დამხმარეს. რა თქმა უნდა, ფულის გათეთრების სქემებს ახასიათებს გარკვეული ნაციონალური თავისებურებები, თუმცა მათი ტიპების დადგენისას ამის გათვალისწინება არ ხდება, ვინაიდან ექსპერტების აზრით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული ყველა გარიგების 80% ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს და ამიტომ შემდეგ პარაგრაფში ჩვენ ძირითადად სწორედ ტრანსნაციონალურ სქემებს გავაანალიზებთ.

§3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) განხორციელების მეთოდები და ხერხები

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია რთული პროცესია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მეთოდით განხორციელებულ არაერთ ოპერაციას. ეს მეთოდები მუდმივად განიცდის სრულყოფას. დღეისათვის ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ოპერაციები, როგორც წესი, საერთაშორისო ხასიათს ატარებს. დამნაშავეები საერთაშორისო დონეზე მოქმედებენ არა მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაიპყრონ მასშტაბური ბაზრები, არამედ იმის გამოც, რომ ასეთ შემთხვევაში მათი ქმედებების გამოვლენის რისკი ნაკლებია.

ფულის გათეთრების ხერხები მეტად მრავალფეროვანია. ლეგალიზაციის კლასიკური სქემები ხორციელდება ნაღდი ფულადი ოპერაციებით, საბანკო და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მომსახურების ბოროტად გამოყენებით, ძვირადღირებულ უძრავ და მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებებით, აზარტული თამაშებით. ბოლო წლებში ლეგალიზაციის სქემებში ფართო გავრცელება ჰპოვა ოფშორული კომპანიების, ინტერნეტის, საკრედიტო ბარათების, არასაბანკო (ალტერნატიული) ფულადი გადარიცხვის სისტემების ჩართვამ და საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობამ. წარმატებით გამოიყენება კვალის არევის მეთოდი. ეს არის ოპერაციათა კომპლექსი, რომელთა განხორციელების შედეგადაც პრაქტიკულად შეუძლებელია შემოსავლების წარმოშობის ჭეშმარიტი გარემოებების დადგენა. ასევე, აქტიურად გამოიყენება ბუღალტრული, საბანკო, საბროკერო ან სხვა სახის ანგარიშგების დამახინჯების ხერხი. ამ დროს ანგარიშგების დოკუმენტებში განზრახ ასახავენ არასწორ ინფორმაციას. განსაკუთრებით გავრცელებულია ფიქტიური გარიგებების დადება.

ფულის გასათეთრებლად შეიძლება გამოყენებულ იქნენ როგორც ადგილობრივი (რეზიდენტი), ასევე საზღვარგარეთული (არარეზიდენტი) იურიდიული და ფიზიკური პირები. ქვეყნის შიგნით შესაძლებელია თეთრდებოდეს უცხოური კაპიტალიც. ფულის გათეთრების ოპერაციებისთვის მიზანმიმართულად იქმნება და გამოიყენება საფინანსო/არასაფინანსო ინსტიტუტები. ფინანსური მომსახურების ბაზრის გაფართოება სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტს შორის კავშირის გაძლიერებით, შესაძლებელს ხდის პრაქტიკულად ნებისმიერი მათგანი გამოიყენებულ იქნას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის.

ფულის გათეთრების საერთაშორისო ხასიათის, თანამედროვე მასშტაბებისა და იმის გათვალისწინებით, თუ რა საფრთხეს ქმნის ეს მოვლენა საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის FATF და ფულის გათეთრების აღკვეთის სფეროში მოქმედი მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ტიპოლოგიური ხერხების კვლევას. ტიპოლოგიის კვლევის მიზანია ფულის გათეთრების როგორც უკვე ცნობილი, ასევე ახალი სქემების გამოვლენის ეფექტურობის ამოწმება, რაც დაეხმარება როგორც სამართალდამცავ, ასევე ზედამხედველი ორგანოებისა და კერძო სექტორის თანამშრომლებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის საქმეში.[72] წინამდებარე პარაგრაფში განხილულია სწორედ ის მექანიზმები და ბაზისური სქემები, რომელთა მეშვეობითაც თეთრდება ფული მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაში. კლასიფიკაციის დროს ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა FATF-ის ანგარიშები, რომლებიც ეძღვნება დანაშაულებრივი ფულადი სახსრების ტიპოლოგიას. ამ ანგარიშებმა დიდი როლი შეასრულა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი ნაციონალური სისტემების ჩამოყალიბებაში.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) საერთაშორისო საბანკო სისტემის გამოყენებით. მსოფლიო ფინანსურ სისტემაში ბანკებს ცენტრალური ადგილი უკავიათ. ფულის გათეთრების პრაქტიკულად ყველა სქემა გარკვეულ ფაზაში ამა თუ იმ ხარისხით დაკავშირებულია ბანკებთან. თუ დანაშაულებრივი დაჯგუფებები შეძლებენ ბანკზე კონტროლის დამყარებას, მათ ფაქტობრივად ეძლევათ ფულის გასათეთრებლად შეუზღუდავი შესაძლებლობები. ამდენად, საბანკო სისტემაზე მკაცრი კონტროლი აუცილებელი პირობაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტური საქმიანობისათვის.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ მსოფლიო საბანკო სისტემასთან დაკავშირებულ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მექანიზმებში, აუცილებელია, რამდენიმე წინადადება ვთქვათ მის მოწყობაზე. ბანკების გლობალური ქსელის კვანძის მოვალეობას ასრულებენ მსხვილი ტრანსნაციონალური ბანკები, რომელთაც აქვთ მეტად ფართო ქსელი ფილიალების და შვილობილი ბანკების სახით მთელ მსოფლიოში. ყოველი მათგანი მოქმედებს პრაქტიკულად ყველა მსოფლიო ფინანსურ ცენტრში და კლიენტებს სთავაზობს ფინანსური მომსახურების მთელ კომპლექსს. ამ ჯგუფს

მიაკუთვნებენ დაახლოებით 600 ბანკს. გლობალური და მსხვილი ტრანსნაციონალური ბანკები აკონტროლებენ მთელი საბანკო აქტივების დაახლოებით 85%-ს. მსოფლიოს 13 უმსხვილეს ფინანსურ ცენტრში ამჟამად მუშაობს მსხვილი ტრანსნაციონალური ბანკების დაახლოებით 1000 ფილიალი და წარმომადგენლობა - უმეტესად განვითარებული ქვეყნებიდან.[65,გვ.78-79]

შემდეგი დონეა ეროვნული (ადგილობრივი) ბანკები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ქვეყნების ტერიტორიაზე საქმიანობენ. ეროვნულ ბანკებს, როგორც წესი, უცხოურ ბანკებთან აქვთ ფართო საკორესპონდენტო ურთიერთობების ქსელი. განვითარებულ ქვეყნებში დაახლოებით 28 ათასი ბანკია, რომელთა უმრავლესობა ამ ჯგუფს მიეკუთვნება.

მსოფლიო საბანკო სისტემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფია ოფშორული ბანკები. მათ გარეშე პრაქტიკულად არც ერთი ტრანსნაციონალური ბანკის ოპერაციები არ ტარდება.

თუ ნაციონალურ დონეზე გადარიცხვები ხორციელდება ძირითადად ცენტრალური (ეროვნული) ბანკის გავლით, საერთაშორისო გადარიცხვებისთვის, სადაც არ არის ცენტრალური ბანკის ანალოგი, ძირითადად, გამოიყენება საერთაშორისო საკორესპონდენტო ურთიერთობები. ბანკები სხვა ქვეყნის კორესპონდენტ ბანკებში მიმდინარე ოპერაციებისათვის ხსნიან ანგარიშს (მოთხოვნამდე დეპოზიტს), რომელიც ემსახურება, როგორც ანგარიშის გამხსნელ ბანკს, ასევე მის კლიენტებს.

საბანკო გადარიცხვა ორი ოპერაციისგან შედგება: 1. კორესპონდენტი ბანკისათვის შეტყობინების (ავიზოს) გაგზავნა, რომ ფული გადაერიცხოს კონკრეტულ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს; 2. საბოლოო ანგარიშსწორება - გადამხდელი (მაგალითად იმპორტიორი ფირმის) ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადატანა, კორესპონდენტი ბანკის ანგარიშის გავლით მიმღების ანგარიშზე (მაგალითად, ექსპორტიორ ფირმაზე). ფულადი სახსრების გადატანა იშვიათად ხდება ნაღდი ვალუტის რეალური გადატანით. ეს გადარიცხვები ფაქტობრივად გამოისახება უბრალო ბუღალტრული ჩანაწერების ფორმით. ფული ჩამოიწერება (დებეტირდება) მყიდველი-გადამხდელის ანგარიშიდან და იწერება (კრედიტდება) გამყიდველი-მიმღების ანგარიშზე.

დღესდღეისობით ბანკთაშორისი ურთიერთობის ძირითადი ინფრასტრუქტურული ელემენტი არის SWIFT სისტემა (Society for World in the Interbank Financial

Telecommunications) - საერთაშორისო ბანკთაშორისი ფინანსური კომუნიკაციების საზოგადოება. SWIFT არსებობს 1973 წლიდან და ახორციელებს ტექსტურ კავშირს 120-ზე მეტი ქვეყნის 6 ათასზე მეტ ფინანსურ ორგანიზაციას შორის თანამგზავრული სისტემების მეშვეობით. ის გათვალისწინებულია მხოლოდ შეტყობინებების გასაგზავნად და არა საბოლოო ანგარიშსწორებისათვის. SWIFT ოპერირებს დაახლოებით 130 სტანდარტული შეტყობინებით, რომლებიც ახდენენ ყველა ძირითადი საბანკო ოპერაციის კოდირებას: კრედიტები, ვალუტის გაცვლა, აკრედიტივები და ა.შ. ინფორმაციის გადაცემისა და დამუშავებისათვის SWIFT-ის სტანდარტები უმეტეს ქვეყნებში საყოველთაოდაა მიღებული. ისინი სრულად ერწყმის გადარიცხვების ეროვნულ სისტემებს.[56, გვ.27-28]

თანამედროვე მსოფლიო საბანკო სისტემის მოწყობა უზრუნველყოფს სახსრების პრაქტიკულად მომენტალურ გადატანას პლანეტის ერთი წერტილიდან მეორეში. გლობალური ტრანსნაციონალური ბანკები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საკორესპონდენტო ურთიერთობებით, ფინანსური და ტექნიკური თვალსაზრისით ქმნიან მეტად სრულყოფილ სისტემას. თუმცა ამ სისტემის სირთულე და სრულყოფილება მაინც ტოვებს სუსტ წერტილებს ფულის გასათეთრებლად. დამნაშავეებისათვის საკმარისია, გაარღვიონ ცალკეული წინააღმდეგობები - მსოფლიო სისტემაში ჩართულ თუნდაც ერთ ბანკთან „დაალაგონ ურთიერთობები“ და ეს უკვე საკმარისია „შავი“ ფულის შეუქცევადი ნაკადის გასათეთრებლად. ასეთ შემთხვევაში საკორესპონდენტო ურთიერთობები იქცევა კარებად არალეგალური სახსრების ნაკადის შედინებისათვის მსოფლიო საბანკო სისტემაში, ხოლო კავშირის ელექტრონული სახეები - იდეალურ გამტარებელ გარემოდ, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულებრივი ჯგუფებისათვის საჭირო ადგილზე სახსრების მომენტალურ გადატანას.

პაოლო ბერნასკონის აზრით, კაპიტალი თავიდან პატარა ქვეყნების ფინანსურ და საბანკო დაწესებულებებში ხვდება, შემდგომ მათ ანთავსებენ ისეთ ქვეყნებში, სადაც ძლიერი საგასახადო სისტემაა, თუმცა იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ნამდვილი მფლობელის დადგენა. ნებისმიერი „გამთეთრებლის“ ოცნება და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესის საბოლოო მიზანია საბანკო ანგარიში შეუღალავი რეპუტაციის მქონე ბანკში. ამ მიზნისაკენ ყველაზე მოკლე გზა გადის საკორესპონდენტო ანგარიშებზე.[51, გვ.125] ზემოღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა არალეგალური ფული განთავსდეს დამნაშავის მიერ კონტროლირებად, მოსყიდულ, ან, ყველაზე

ხშირ შემთხვევაში, პატარა მოცულობის, არასაკმარისი მაკონტროლებელი მექანიზმების მქონე ბანკის საბანკო ანგარიშზე და საკორესპონდენტო კავშირების მეშვეობით გადატანილ იქნას მსხვილ, უნაკლო რეპუტაციის მქონე ბანკში, რომლის ანგარიშებზეც უკანონო შემოსავლები კანონიერ სახეს მიიღებენ. შეიძლება ითქვას, რომ ფულის გათეთრების სპეციალისტებისა და დანაშაულებრივი ჯგუფების ძირითადი მიზანია, უზრუნველყონ საბანკო ანგარიშებზე უკანონო ფულის ანონიმურად განთავსება. სულ ცოტა ხნის წინ კი ამ საკითხის გადაწყვეტა რთული არ იყო. არსებობდა არაერთი ბანკი, რომელიც მზად იყო დაეცვა კლიენტების სრული ანონიმურობა.

მსხვილი ანონიმური საბანკო სისტემის ნათელ მაგალითად, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებდა 2002 წლამდე, შეიძლება დავასახელოთ ავსტრიული სისტემა Sparbuch („შემნახველი წიგნაკი“). ეს სისტემა იძლეოდა საშუალებას, ნაღდი სახსრები განთავსებულიყო შემნახველ წიგნაკებზე, რომლებიც იხსნებოდა გარკვეული კოდით ან ფსევდონიმით. კოდური სიტყვის დასახელება საკმარისი იყო ფულის გასანადგებლად. Sparbuch-ის სისტემა ძალიან პოპულარული იყო. 26 მილიონი ასეთი შემნახველი წიგნაკი არსებობდა, რომელზეც 50 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ინახებოდა.[29,გვ.117] თუ გავითვალისწინებთ, რომ ავსტრიის მოსახლეობა დაახლოებით 7 მილიონია, ნათელი გახდება Sparbuch-ის სისტემის აშკარა გამოყენება ფულის გათეთრების მიზნებისათვის. FATF-ის მუქარის გათვალისწინებით, თავის წევრთა რიგებიდან ავსტრიის გარიცხვის შესახებ, ავსტრიის ხელისუფლებამ გააუქმა ანონიმური შემნახველი წიგნაკების სისტემა. ანალოგიური სისტემები არსებობდა სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, ჩეხეთში. საერთაშორისო ზეწოლის შედეგად მოხდა ამ სისტემების მოდერნიზირება და გაქრობა.

ყალბი დოკუმენტების გამოყენება საბანკო ანგარიშების გასახსნელად. ბანკების მეშვეობით სახსრების ლეგალიზებისას ფულის გამოთეთრებლებისათვის ძირითადი პრობლემა ანონიმურობის დაცვაა. ის შეიძლება გადაიჭრას და ხშირად იჭრება კიდევ ყალბი დოკუმენტების გამოყენების გზით. საამისოდ არსებობს რამდენიმე ვარიანტი: ა) ინტერნეტში არის მრავალი შემოთავაზება არარსებული სახელმწიფოების (მაგალითად საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ბირმის, როდოსის და ა.შ.) ყალბი დოკუმენტების შექმნის შესაძლებლობის შესახებ. ამ პასპორტით, გარკვეული რისკით, შეიძლება შეეცადოს პირი გახსნას საბანკო ანგარიში ქვეყნის ძირითადი ფინანსური

ცენტრებიდან მოშორებით; ბ) ცალკეულ ქვეყნებში ხშირად გვხვდება მოპარული ან დაკარგული პასპორტებით, ან გაყალბებული მინდობილობებით საბანკო ანგარიშების გახსნისა და ანგარიშსწორების წარმოების შემთხვევები; გ) ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს მოქალაქეობის გაყიდვის პრაქტიკა - გამოგონილ სახელზე გაიცემა სავსებით ლეგალური პასპორტი. Daily Telegraph-ის მტკიცებით, აფრიკის გარკვეულ ქვეყნებში დიპლომატიური პასპორტის ყიდვაც კი არის შესაძლებელი 20 ათას აშშ დოლარად. შესაძლებელია პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების შექმნა და საბანკო ანგარიშების გახსნა მათ საფუძველზე, მაგალითად, პანამაში 5 ათასი აშშ დოლარი ჯდება სასამართლო ოფიცრის სერთიფიკატის შექმნა. ზღვაოსნობის საერთაშორისო საგამოძიებო ინსტიტუტმა გამოავლინა 13 ათასი გაყალბებული სერთიფიკატი, რომელთა დიდი ნაწილიც, სავარაუდოდ, დამნაშავეების ხელში მოხვდა.[50, გვ.22-23]

ლეგალიზაცია ბანკის შექმნით. საბანკო სისტემაში შეღწევის ყველაზე მარტივი გზა არის მცირე ბანკის შექმნა და ფულის გათეთრების ორგანიზება უზაღო რეპუტაციის მქონე მსხვილი ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით. ბერტოლდ ბრესტი ამბობდა: „თუ გსურს ძარცვა - იყიდე ბანკი!“ თანამედროვე პირობებში ეს ფრაზა შეიძლება შემდეგნაირად იყოს მოდერნიზებული: „თუ გსურთ გაათეთროთ ნაძარცვი - იყიდეთ ბანკი!“[60, გვ.227]

ბანკის შექმნა ყველაზე იაფად პატარა ოფშორულ სახელმწიფოებშია შესაძლებელი. მაგალითად, ნაურუში 1990-იანი წლებში ბანკის გახსნა დაახლოებით 6 500 აშშ დოლარი ღირდა. ამასთან, ასეთ ბანკს შეეძლო მიეღო შენატანები, გაეცა აკრედიტივები, გაეხსნა საკორესპონდენტო ანგარიშები. სხვათა შორის, ნაურუ იყო რუსული კაპიტალის თავშესაფარი. 1990-იანი წლების ბოლოს რუსეთის ბანკის მონაცემებით, იქ ინახებოდა დაახლოებით 73 მილიარდი აშშ დოლარი, რომლის დიდი ნაწილიც, ბუნებრივია, დანაშაულებრივი დაჯგუფებების კუთვნილება იყო.[21, გვ.86] ნაურუსავით „სამოთხის“ მსგავს ბევრ კუთხეში დაკანონებული იყო ლეგალიზაციის ინსტრუმენტი - აქციები წარმოდგენზე, რომელიც მისი მფლობელის ანონიმურობის გარანტიას იძლევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამნაშავის ვინაობა, რომელმაც ბანკის აქციების საკონტროლო პაკეტი შეიძინა, სრულად არის დაცული გამოაშკარავებისაგან. (2005 წელს ნაურუ ამოღებულ იქნა FATF-

ის „შავი სიიდან,“ ვინაიდან მან დახურა თავის ტერიტორიაზე მოქმედი 400-ზე მეტი საეჭვო ბანკი).

2000-იანი წლების დასაწყისში ფულის გასათეთრებლად ყველაზე ხელსაყრელი რეჟიმის არსებობის თვალსაზრისით, ნაურუსათვის მეტოქეობის გაწევა ადვილი არ იყო, მაგრამ ქვეყნები მსგავსი რეჟიმებით მაინც არსებობდნენ. 10 ათას დოლარად ანტიუაში (კარიბის ზღვის კუნძული) შესაძლებელი იყო ბანკის ყიდვა, 65 ათას აშშ დოლარად კუკის კუნძულზე (წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილი), უფრო ძვირად 100 ათას აშშ დოლარად, 150 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ყოველწლიური გადასახადით, ბანკის გახსნა აშშ-ს მეზობელ გრენადაშიც იყო შესაძლებელი.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამ მეთოდის კომფორტი მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია აწარმოო სრულყოფილი საბანკო საქმიანობა საერთაშორისო წესების დაცვით, პრაქტიკულად ყველა დიდ ქვეყანასთან. დანაშაულებრივი ჯგუფები ამყარებენ კონტროლს განვითარებული ქვეყნების ბანკებზეც. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ბრიტანული **Bank of Credit and Commerce International (BCCI)**. ეს ლეგალური საკრედიტო-საფინანსო დაწესებულება დაიქვემდებარა დანაშაულებრივმა ჯგუფმა და მისი მეშვეობით ახდენდა ფულის გათეთრებასა და სხვა სახის დანაშაულებრივ საქმიანობას.

შენატანების დანაწევრების ტექნოლოგია. საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, არაერთი ქვეყნის საკანონმდებლო თუ ნორმატიულ აქტით განისაზღვრა ფინანსური ოპერაციების ზღვრული ლიმიტები (15 000 ევრო, 10 000 აშშ დოლარი). ამ ლიმიტების ფარგლებში განხორციელებული ოპერაციების შესახებ სავალდებულო არ არის ბანკების მიერ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისათვის ანგარიშგების ფორმის მიწოდება და ინფორმირება. იმისათვის, რომ დამნაშავეებმა თავი აარიდონ განხორციელებული ოპერაციების შესახებ სპეციალური სტრუქტურისათვის შეტყობინებების გაგზავნას, არალეგალური ფული იყოფა მცირე ტრანშებად. შემდგომ თითოეული ტრანში გადააქვთ სხვა ანგარიშზე, ძირითადად სხვა ქვეყანაში. FATF-ის 2003-2004 წლების მოხსენებაში მოყვანილია ამ ტექნოლოგიის გამოყენების არაერთი მაგალითი.

ამერიკულ დოლარებში ნომინირებული დიდი ოდენობით თანხების გადასატანად დამნაშავეები შემდეგ მეთოდს მიმართავენ: აშშ-ს სხვადასხვა ტერიტორიაზე

ყიდულობენ ფულად დავალებებსა და ჩეკებს ისე, რომ არც ერთი მათგანის თანხა არ ექვემდებარებოდეს შესაბამისი ორგანოებისათვის ანგარიშგების ფორმის გაგზავნას. ეს საგადახდო დოკუმენტები იგზავნება ფოსტით, ან გააქვთ მოკავშირეებს და ანთავსებენ საზღვარგარეთის ბანკებში. ჩეკები და სხვა ფულადი დავალებები „იფუთება“ საზღვარგარეთის ბანკებში და მიემართება უკან დეპოზიტური ტალონების (საბანკო სექტორში მათ „ფულად წერილებს“ უწოდებენ) სახით. ამერიკული კორესპონდენტი ბანკი აკრედიტებს საზღვარგარეთის ბანკის ამერიკულ ანგარიშს და მიმართავს სხვადასხვა საგადახდო ინსტრუმენტს შესაბამის ბანკებსა და ორგანიზაციებში. ზოგიერთი ბანკი 5-დან 7 მილიონამდე ჩეკს ემსახურება დღის განმავლობაში, რომელიც მათ მიეწოდებათ ექსპედიტორული კომპანიების მიერ. ამ ჩეკების დამუშავება ხდება მაქსიმალური ოპერატიულობით, რაც მეტად ართულებს ურთიერთდაკავშირებული ან ისეთი საგადახდო დოკუმენტების გამოვლენას, რომლებსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს ფულის გათეთრებასთან.

საკანონმდებლო ხარვეზების გამოყენება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის მიზნით. არაერთმა ქვეყანამ მიიღო სპეციალური კანონი ფულის გათეთრებაზე. ზოგიერთ მათგანში ბანკებს უფლება აქვთ, არ შეავსონ ანგარიშგების სპეციალური ფორმები ნაღდი ფულით განხორციელებულ ოპერაციებზე, მაგალითად, იმ კლიენტებთან დაკავშირებით, რომელთა ბიზნესსაქმიანობისთვისაც ნაღდი ფულით ოპერირება (10 ათას აშშ დოლარზე მეტი თანხის ოდენობით) ნორმალური პრაქტიკაა. ამასთან, გამონაკლისები დაშვებულია ეთნიკურ და სხვა ისეთ ჯგუფებზე, რომელთა წევრებიც ჯერ კიდევ ვერ მიეჩვივნენ იმ საგადახდო მექანიზმებს, რომლებიც დაფუძნებულია საკრედიტო ბარათების და სხვა სახის ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებაზე. მათ შეუძლიათ, იმუშაონ დიდი ოდენობით ნაღდი ფულით. ასეთი სახის საკანონმდებლო გამონაკლისებს, ბუნებრივია, იყენებენ დანაშაულებრივი დაჯგუფებებიც. ტიპური მაგალითი მოჰყავს კ. კოტტკეს. ის აღწერს ღამის ბარს, რომლის ანგარიშზეც ყოველდღიურად ირიცხებოდა ათიათასობით ევრო. ბარის მეპატრონეს თავის გასამართლებლად შეეძლო ეთქვა, რომ ეს არის მისი ბარის ყოველდღიური შემოსავალი. მას შემდეგ, რაც ბარის მეპატრონემ მიაჩვია ბანკი ანგარიშებზე ყოველდღიურად დიდი ოდენობით ნაღდი ფულის ჩარიცხვას, ფაქტობრივად მან შემოსავლების ლეგალიზაციისთვის სრულიად უსაფრთხო გზა გამოიხატა.

ვინაიდან ბანკები ანგარიშებს ხშირად ხსნიან „ონლაინ“ მეთოდით და ამავე მეთოდით მათზე წვდომაცაა შესაძლებელი, სულ უფრო და უფრო რთული ხდება კლიენტის იდენტიფიცირება. ელექტრონული ფულადი გადარიცხვების ახალი მეთოდები გულისხმობს გადარიცხვებს, განხორციელებულს ინტერნეტითა და ტელეფონით. ეს ოპერაციები ტარდება ელექტრონული საგადახდებლო ქსელით, რომელიც მოწყობილია იმგვარად, რომ მაქსიმალურად ოპერატიულად მოემსახუროს ბანკების მიერ განხორციელებულ ტრანსაქციებს.

2005 წლის ოქტომბერში აშშ-ს ფედერალური ფინანსური ორგანიზაციის (ორგანო, რომელიც შედგება ფედერალური მარეგულირებელი ინსტიტუტებისაგან და აკონტროლებს სადეპოზიტო ფინანსური ორგანიზაციების საქმიანობას) ექსპერტთა საბჭომ შეიმუშავა სახელმძღვანელო სახელწოდებით „იდენტიფიკაცია ინტერნეტის საბანკო გარემოში.“ დოკუმენტი ფინანსურ ორგანიზაციებს, რომლებიც სთავაზობენ კლიენტებს საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებას ინტერნეტის მეშვეობით, რეკომენდაციას აძლევს გამოიყენონ კლიენტის იდენტიფიკაციის ტექნიკა ისეთი ფორმით, რომ მისაღები იყოს ამ პროდუქტებისა და მათი მომსახურებისათვის. HSBC საბანკო ჯგუფის პოზიციის თანახმად, ბანკებმა უნდა შემოფარგლონ ანგარიშებზე „ონლაინ“ რეჟიმში წვდომა და ის განავრცონ მხოლოდ იმ კლიენტებზე, რომელთაც აქვთ შესაბამისი კომპიუტერული აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა.[39, გვ.140]

ბანკები უმთავრესი, თუმცა არა ერთადერთი ელემენტია ფინანსური სისტემის, რომელიც ფულის გათეთრების სქემებში გამოიყენება. ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობს ამ მხრივ არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები და ფულადი გზავნილის სისტემები.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით. არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები - სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო და სხვადასხვა ფონდები, ფულადი გზავნილის სისტემები მკაცრ კონკურენციას უწევენ ბანკებს ლეგალურ ბიზნეს ბაზარზე და აქტიურად გამოიყენებიან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. ამას ხელს უწყობს მათი ფინანსური სიმძლავრე. ამ ორგანიზაციების აქტივები შეფასებულია 28 ტრილიონ დოლარად. განვიხილოთ ფულის გათეთრების ძირითადი სქემები არასაბანკო ფინანსური ორგანიზაციების მონაწილეობით.

ფულის გათეთრების სქემები ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, ანგარიშსწორების ცენტრებისა და არაოფიციალური ფულადი გადარიცხვის სისტემების გამოყენებით. არსებობს გადარიცხვის ალტერნატიული სისტემები. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამ სისტემებმა სხვადასხვა სახელწოდება მიიღო: **havala** (მუსულმანურ სამყაროში), **hundi** (პაკისტანში), **fei-chein** (ჩინეთში), **black market peso exchange**. ტრადიციულად, ეს არის რწმუნებულ პირთა ჯაჭვი, რომლებიც ამ ბიზნესს თაობიდან თაობას გადასცემენ. ეს სისტემა დანაშაულებრივი დაჯგუფებების კავშირს ეფუძნება. ასეთი სისტემებით ფინანსური ოპერაციების განხორციელების სისწორე და კონფიდენციალურობა დამრღვევთა უმკაცრესად დასჯის წესებით მიიღწევა. ეს ალტერნატიული სისტემები ყოველგვარი დოკუმენტური კვალის გარეშე მუშაობენ. დღეისათვის ამ სისტემებმა გარკვეული სახეცვლილება განიცადა, თუმცა მათი საქმიანობის არსი იგივეა - არალეგალური ანგარიშსწორების ცენტრები მჭიდროდ არის კრიმინალურ სტრუქტურებთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის გამოძიებისას აღმოჩნდა, რომ ტერორისტების ფინანსური სახსრების უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი როლი ითამაშა სწორედ უნაღლო გადარიცხვებმა, რაც აუცილებელი იყო აფეთქებების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. FATF-ის 2003-2004 წლების მოხსენებაში აღნიშნულია: „შეინიშნება ტერორისტების მიერ უნაღლო გადარიცხვების განხორციელების ტენდენცია ე.წ. ალტერნატიული ფულადი გადარიცხვების სისტემების მეშვეობით.“ ფინანსური ინსტიტუტების გვერდის ავლით იმ სახსრების გადაადგილება, რომლებიც განკუთვნილია ტერორიზმის დასაფინანსებლად უზრუნველყოფს, რომ ეს სახსრები არ მოხვდეს ფინანსური დაზვერვისა თუ საგამოძიებო ორგანოების მხედველობის არეში.

ფულის გათეთრებისათვის საკმაოდ მოქნილი ინსტრუმენტია ანგარიშსწორების ცენტრები, რომლებიც ფულად დავალებებს ასრულებენ. ისინი მეტად მოსახერხებელია მთელი რიგი ფინანსური დანაშაულების ჩასადენად. ფულად დავალებებს იყენებს დაახლოებით 30 მილიონი ადამიანი ყოველწლიურად ბიზნესის საწარმოებლად, ასევე ოჯახებისათვის ფულის გასაგზავნად. ფულადი გზავნილების სექტორი სხვა ფულადი მომსახურებების სექტორთან შედარებით დიდი არ არის, თუმცა მასზე წვდომა გაცილებით ადვილია. ყველა ფულადი დავალების 80% ემიტირდება აშშ-ს საფოსტო მომსახურებით (WesterUnion,

Travelers Express/Money Gram), დანარჩენი 20% კი პატარა რეგიონული კომპანიების მიერ.[39, გვ.151]

ფულის გამთეთრებლებისათვის ეს „ინსტრუმენტი“ მეტად მიმზიდველია რამდენიმე მახასიათებლის გამო: ფართო ქსელი, რაც კლიენტებს შესაძლებლობას აძლევს ფულადი სახსრები გადააადგილონ ნებისმიერი ადგილიდან ნებისმიერი მიმართულებით; მაქსიმალურად ოპერატიული მომსახურება; ეს არის გასათეთრებელი ფულადი სახსრებისათვის „განთავსების“ სტადიის განხორციელების კარგი ვარიანტი; ამ მომსახურებით სარგებლობა დამნაშავეებს უჯდებათ იაფი; ფულადი გზავნილების განმხორციელებელი ოპერატორები სთავაზობენ კლიენტებს ონლაინ საგადასახადო მომსახურებას, ასევე ღებულობენ საკრედიტო და სადებეტო ბარათებს, რაც კიდევ უფრო ართულებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ცალკეულ პირთა ან პირთა ჯგუფის უკანონო საქმიანობის ელემენტების გამოვლენას, თვალყურის დევნებას საექვო ოპერაციებზე მათი წყაროსა თუ სახსრების საბოლოო მიმღების დასადგენად. ნარკოტიკებთან დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური კომისიის მონაცემებით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული საქმეების 20% შეიცავს ფულადი დავალებების კომპონენტს.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით ასევე ფართოდ გამოიყენება ვალუტის გადამცვლელი პუნქტები. ამის ნათელი მაგალითია ე.წ. **casas de cambio**, რომელიც სპეციალიზებულია ლათინური ამერიკის ვალუტაზე. აშშ-ში ეს ბიზნესი კონცენტრირებულია სამხრეთ-დასავლეთ საზღვართან. **casas de cambio**-ს 1000-ზე მეტი პუნქტი განთავსებულია კალიფორნიასა და ტეხასის საზღვრებს შორის. ვალუტის გადამცვლელი ეს ოპერატორები, როგორც წესი, კლიენტებს სთავაზობენ სხვა სახის ფინანსურ მომსახურებასაც. ბიზნესის ეს სახეობა, უმეტეს ქვეყანაში არ რეგისტრირდება, შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება მოთხოვნები, რომლებიც ფულადი მომსახურების სფეროში არსებულ სხვა ორგანიზაციებს ეხებათ (მაგ. საექვო ოპერაციების შესახებ ანგარიშგების მიწოდება კომპეტენტური ორგანოებისათვის, კლიენტის იდენტიფიკაცია და სხვ.). ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საქმიანობის სწორედ ეს სახეობა არის ფულის გათეთრების ძირითადი არასაბანკო მექანიზმი ამერიკის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში. **casac de cambio**-ს შესაძლებლობა აქვს,

ნარკოტიკებით მოვაჭრეებისგან გაათეთროს თვეში 5 მილიონი აშშ დოლარი.[29, გვ. 61-63]

ფულის გათეთრება სადაზღვევო მექანიზმების მეშვეობით. სადაზღვევო მომსახურების მსოფლიო ბაზარი (სადაზღვევო პრემიების მოცულობით) შეფასებულია 2.5 ტრილიონ აშშ დოლარად. სადაზღვევო ბიზნესი მეტად მრავალფეროვანია. მისი ძირითადი 3 სფერო (სადაზღვევო პროდუქტების ტიპების შესაბამისად) მოიცავს ზოგად დაზღვევას, სიცოცხლის დაზღვევასა და გადაზღვევას.[39, გვ.147]

სადაზღვევო აგენტები და ბროკერები დღესდღეისობით რეალიზაციას უწევენ სხვადასხვა სახის ფინანსურ პროდუქტებს. ექსპანსიამ, რომელიც გამოიხატება სადაზღვევო სფეროდან საინვესტიციო პროდუქტებზე გადასვლაში, არსებითად ასწია სადაზღვევო ეკონომიკის სფეროში ფულის გათეთრების რისკი. ამდენად, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ფინანსური მომსახურება, სადაზღვევო პროდუქტებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისათვის.

სადაზღვევო პროდუქტის მეშვეობით განხორციელებული ფულის გათეთრების ძირითადი სქემა მარტივია. უკანონო შემოსავლების მფლობელი სადაზღვევო სააგენტოსთან დებს გარიგებას, რომელიც ითვალისწინებს გადახდის გარკვეული შემთხვევის (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომას. დამნაშავე საბანკო ანგარიშზე ანთავსებს თანხებს ნაღდი ფორმით, მაგრამ ბანკი, რომელიც იცნობს სადაზღვევო კომპანიას, არ ამოწმებს სახსრების წარმოშობის წყაროს. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ უკვე გათეთრებული ფული ბრუნდება კლიენტის ანგარიშზე. საჭიროა მხოლოდ შესაბამისი სადაზღვევო შემთხვევის დადგომა, რისი „ინსცენირებაც“ გამოცდილი ფულის გათეთრებლისათვის პრობლემა არ არის. ამ სქემას სხვა არაერთი ვარიანტიც აქვს, მაგალითად: ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს და სადაზღვევო შენატანები ბრუნდება კლიენტის მიერ მითითებულ ანგარიშზე სხვა უკვე პრესტიჟულ ბანკში. FATF-ი ახდენს კონსტანტირებას: „შემოსავლების ლეგალიზაციის ციკლში, კაპიტალის განთავსების სტადიაზე სადაზღვევო სექტორი გამოიყენება უკანონო გზით ნაშონი ფულით სადაზღვევო პროდუქტების დაუფარავად შესაძენად.“[71] ამ სქემებში მნიშვნელოვანი ის გარემოებებია, რომ ბანკებს სადაზღვევო კომპანიების საგადახდო საბუთები არ

მიანხით საეჭვოდ. ისინი იცნობენ მზღვეველებს და თვლიან, რომ ეს კანონიერი ფულია. ასე რომ, ასეთი გადარიცხვები არ იქცევა ყურადღებას. თუ პირი, რომელიც ათეთრებს ფულს, შეძლებს პოლისის მეშვეობით ნაღდი ფულის განთავსებას, ნიშნავს, რომ მან მოახერხა საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში შეღწევა.

სადაზღვევო სფეროში ფულის გათეთრება ძირითადად სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტით ხდება. 2004 წელს აშშ-ს სამართალდამცავმა ორგანოებმა აღმოაჩინეს კოლუმბიელი ნარკოდოღერები, რომლებიც ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლით სიცოცხლის დაზღვევის პოლისებს ყიდულობდნენ. პოლისები შემდეგ ფულად სახსრებში გადადიოდა და იგზავნებოდა ოფშორებში. პირს, რომელიც უარს ამბობდა სიცოცხლის დაზღვევის პოლისზე, ხშირად ინვესტირებულთან შედარებით გაცილებით ნაკლები თანხა უბრუნდებოდა (სალიკვიდაციო-საჯარიმო სანქციების გამო). თუმცა, ნარკოტიკებით მოვაჭრის პოზიციით, სალიკვიდაციო-საჯარიმო სანქციები ეს უბრალო გადასახადია იმისათვის, რომ ჰქონდეს ბიზნესის წარმოების საშუალება.[39, გვ.163]

ფულის გათეთრების სქემები დაკავშირებული ბირჟებთან და საფონდო ბაზართან. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით საფონდო ბაზრის გამოყენება სულ უფრო ხშირად ხდება. ფასიანი ქაღალდების ბაზარი მეტად მიმზიდველი ინსტრუმენტია ფულის გასათეთრებლად, ვინაიდან მას ახასიათებს მრავალფეროვნება, ვაჭრობის პირობების სიმარტივე (მაგ. ელექტრონული ვაჭრობები) და შესაძლებლობა ადვილად განახორციელო ტრანსნაციონალური ოპერაცია. საფონდო ბაზარს უზარმაზარი მოცულობა და ბრუნვები აქვს, ფულის გათეთრების თვალსაზრისით კი ბაზრის ეს თვისებები საუკეთესო საშუალებაა არალეგალური ოპერაციების შესანიღბად.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ოპერაციების განხორციელება შეუძლიათ გარკვეულ ფორმებს ან სპეციალურად უფლებამოსილ პირებს, მაგალითად: ბროკერებს, ბანკებს, დამოუკიდებელ ფინანსურ კონსულტანტებს და ა.შ. როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებში მათ ეკრძალებათ მსგავსი ოპერაციების განსახორციელებლად მიიღონ ნაღდი ფული. მიუხედავად ამისა, FATF-ის მონაცემებით, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კრიმინალური სახსრები სწორედ ნაღდი ფორმით „აღწევს.“ აღნიშნულის გამამართლებელ გარემოდ ბროკერები

კლიენტისაგან გარიგების დადებაზე თანხმობის „უკანასკნელ მომენტში“ მიღებას მიუთითებენ.

ყველაზე მარტივი და გავრცელებულია ე.წ. დაბრუნების მექანიზმი, რომელიც ფულის გათეთრების არაერთ სქემაში გამოიყენება. მისი არსი შემდეგია: დაგუშვით, დანაშაულებრივ დაჯგუფებას არალეგალური ფული აქვს ქვეყანაში, სადაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სუსტი მექანიზმებია. ბროკერთან დადებულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ბაზარზე განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი უნდა გადაირიცხოს კარგი რეპუტაციის მქონე ბანკსა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კონტროლის მკაცრი მექანიზმების მქონე ქვეყანაში. გახსნილ ანგარიშზე ირიცხება არალეგალური ფული.[28, გვ.46-47]

უფრო რთულ სქემას შეგვიძლია მივაკუთვნოთ არალეგალური ფულით ლეგალური კომპანიის შექმნის მექანიზმი. დანაშაულებრივი ჯგუფი აფუძნებს კომპანიას და უკანონო ფულს ანთავსებს საწესდებო კაპიტალში, მაგალითად, აქციების პირველადი განთავსების გზით. ეს კომპანია ახორციელებს რამდენიმე წარმატებულ (რა თქმა უნდა, ფიქტიურ) ოპერაციას, რაც უზრუნველყოფს აქციების საერთო ღირებულების ზრდას. შემდგომ ეს აქციები იყიდება იმავე კომპანიიდან შემდგარ სპეციალურ ჯგუფზე. შედეგად დანაშაულებრივ ჯგუფს უზრუნველდება „გათეთრებული“ რეგისტრირებული კომპანიის აქციების გაყიდვის გზით მიღებული ფული.

1994 წელს კრიმინალურმა ჯგუფმა აღმოსავლეთ ევროპიდან ლეგალური კომპანია შექმნა. კომპანია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ნავთობპროდუქტების ექსპორტს ეწეოდა. 1996 წელს კომპანიის შემოსავლები 10-ჯერ გაიზარდა და ბაზარზე თავისი აქციები დაარეგისტრირა და განათავსა 74 მილიონ აშშ დოლარად. რეგისტრაციის ორგანომ ბაზარზე მთელი ემისია გამოუშვა. ემისიის რეალიზაციის შემდეგ კომპანიამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აქტივების რეალურ საბაზრო ღირებულებაზე 10-ჯერ უფრო ძვირად შექენა დაიწყო. მიზანი - აქციის საკურსო ფასის აწევა. თუმცა სრულიად შემთხვევით კომპანიით დაინტერესდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული სააგენტო, რომელმაც დაადგინა, რომ ორგანიზაციამ 74 მილიონიდან თითქმის ნახევარი (32 მილიონი) განათავსა ოფშორულ ბანკში, რომელიც კრიმინალურ სტრუქტურებს ეკუთვნოდა.[39, გვ.169]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სქემების კიდევ ერთი ჯგუფი ეფუძნება აქციებით სპეკულაციას, რაც დიდი ხნის მოქმედი კომპანიების გამოსყიდვასა და ბაზარზე ფალსიფიცირებული ინფორმაციის წარდგენას გულისხმობს. მაგალითად, მენეჯერი იტყობინება, რომ კომპანია რევოლუციური ტექნოლოგიის გამოყენებით იწყებს რაღაც ახალი პროდუქტის წარმოებას. ბაზარი „ცხელდება,“ აქციის ფასი 5-6-ჯერ იზრდება და თაღლითები ყიდიან აქციებს. ამ ოპერაციის შემდეგ დანაშაულებრივი ჯგუფი ახერხებს კაპიტალის პირველადი წარმოშობის წყაროს დაფარვას და ბაზარზე სპეკულაციის შედეგად დამატებით შემოსავლის მიღებას (რომელიც იქვე ლეგალიზდება). როგორც FATF-ის კვლევები აჩვენებს, ასეთ სქემებს ხშირად იყენებენ ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებული პირები, ვინაიდან ინვესტორების მოტყუებით ისინი გამოიმუშავენ ფულს და „ათეთრებენ ნარკოტიკებს.“ საინტერესოა, რომ ცნობილი კომპანიებიც შეიძლება აღმოჩნდნენ ფულის გათეთრების მიზნებისათვის „ფილტრის“ როლში. კომპანიის მსხვილ აქციონერებსაც კი შეიძლება გამორჩეთ სხვადასხვა საექვო გარემოებები, ვინაიდან ბოროტმოქმედები, როგორც წესი, მაღალი თანამდებობის მქონე „მანევრ-ინსაიდერებს“ ეკვრებიან.

ფულის გათეთრება არაკომერციული და საქველმოქმედო ორგანიზაციების მეშვეობით. საქველმოქმედო და სხვა არაკომერციული ორგანიზაციები მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი მძლავრი სექტორია. მსოფლიოში მოქმედებს დაახლოებით 150 ათასი არაკომერციული ორგანიზაცია, რომლებშიც დაახლოებით 1.5 ტრილიონი აშშ დოლარია განთავსებული. 20 წლის განმავლობაში საქველმოქმედო ფონდების რაოდენობა გაორმაგდა. ამ მიმართულებით ლიდერობს აშშ, პირველი ქვეყანა, რომელმაც ქველმოქმედება შემოსავლიან და მომგებიან საქმედ აქცია.

1921 წლის საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელიც საქველმოქმედო მიზნებისათვის შეწირულ თანხებზე გადასახადების შემცირებას ითვალისწინებდა. ყოველწლიურად ამერიკელები ქველმოქმედების მიზნით გასცემენ დაახლოებით 200 მილიარდ აშშ დოლარს. ბოლო წლებში შეწირულობების რაოდენობა 88%-ით გაიზარდა. Independent Sector-ის მონაცემებით 2001 წელს თითოეულმა ამერიკულმა ოჯახმა საშუალოდ 1620 აშშ დოლარი, ანუ დაახლოებით შემოსავლის 3.2% გაიღო. ჟურნალ Forbes-ის მონაცემებით 2001 წელს სავაჭრო ორგანიზაციამ Target ქველმოქმედების მიზნით, შემოსავლების 2.51% (85.8 ათასი აშშ დოლარი) გასცა. ამერიკული

კომპანია ქველმოქმედებაზე საშუალოდ შემოსავლების 0.25%-ს ხარჯავს. მსხვილ შემომწირველებს მიეკუთვნებიან: Ford, Philip Moris, Exxon Mobil, Wal-Mart Stores, Intel. თუმცა, ამ ყველაფერს მეორე მხარეც აქვს. აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში მოგროვებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ მიემართება. FBI-ის მონაცემებით აშშ-ში ბოლო წლების განმავლობაში შეგროვდა 4 მილიარდი აშშ დოლარი, რომელთა ნაწილიც ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებას მოხმარდა. თანხები სხვადასხვა გზით მოხვდა ექსტრემისტების ხელში ჩეჩნეთში, ავღანეთსა და პალესტინაში.[39, გვ.174-175]

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომისია თავის ანგარიშებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის იმ მექანიზმებს, რომლებიც დაკავშირებულია არაკომერციულ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან. ქველმოქმედება ფულის გათეთრებისთვის არაჩვეულებრივ „შირმად“ შეიძლება იქნას გამოყენებული. სახელმწიფო ორგანოები საქველმოქმედო მიზნების გამო კარგა ხნის განმავლობაში სუსტად აკონტროლებდნენ არაკომერციულ ორგანიზაციებს, რამაც ისინი სახრების ლეგალიზაციის მექანიზმად აქცია. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კომისია აღნიშნავს, რომ მათი აქტიური გამოყენება სწორედ „განთავსების“ სტადიაზე ხდება. არაკომერციულ ორგანიზაციებს თანხების (შემოწირულობების) მიღება შეუძლიათ საზოგადოების სხვადასხვა წრის, ან გარკვეული მიზნობრივი ჯგუფისაგან (მათ შორის ეთნიკური თუ რელიგიური ერთობებისგან). ამდენად, ფონდში შესული სახსრების ნაკადში არალეგალური ფულის არევა მარტივადაა შესაძლებელი.

შემოწირულობების შეგროვებისას ადვილად წყდება ფულის გათეთრების პროცესის ერთი-ერთი ძირითადი პრობლემა - შენატანის ანონიმურობის დაცვა. FATF-ის ექსპერტები საუბრობენ სხვადასხვა ეთნიკურ თუ რელიგიურ ერთობაში ნაღდი ფულის არაოფიციალურ შეგროვებასა და შემდგომ ამ სახსრებით ტერორიზმის დაფინანსებაზე. დანაშაულებრივი ჯგუფებისათვის იდეალური ვარიანტია უკვე სახელმოსხვეჭილ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე კონტროლის დამყარება. არც თუ იშვიათად, დამნაშავეები უკავშირდებიან ასეთი ორგანიზაციის მენეჯერებს და ეს ორგანიზაცია უკვე დამნაშავეების დაკვეთით მუშაობს, რის შესახებაც დამფუძნებლებსა თუ სპონსორებს შესაძლოა არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდეთ.

არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ლეგალიზაციის პროცესში მათი მონაწილეობის გამოსავლენად ძირითადი პრობლემა ბუღალტრული აღრიცხვისა და შესაბამისი ბუღალტრული რეესტრის წარმოების მრავალფეროვნება და მრავალსახეობაა, რაც საექვო სახსრების აღმოჩენას ძალიან ართულებს. ამასთან, არაკომერციული ორგანიზაციები არაკონტროლირებადნი არიან დიდი ოდენობით პატარა შენატანების გამოც.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სახსრების ინვესტირებით უძრავ ქონებასა და სხვა აქტივებში. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის გამოიყენება არა მხოლოდ ფინანსური ინსტრუმენტები, არამედ სხვა აქტივებიც. პრინციპული სქემები იგივეა - განთავსების სტადიაზე ხდება მატერიალური ან არამატერიალური აქტივის შექმნა, შემდეგ კი ამ აქტივით ტარდება გარკვეული მანიპულაციები (შეიძლება გადაიცვალოს სხვა აქტივზე, ხშირად იდება ფიქტიური გარიგებები, რომლებიც ზრდის ქონების ღირებულებას და სხვ.). ბოლო სტადიაზე ეს აქტივი საგნებით კანონიერად იყიდება და თანხა ირიცხება კარგი რეპუტაციის მქონე ბანკში. ბუნებრივია, აქტივების გარკვეულ ჯგუფთან დაკავშირებულ ფულის გათეთრების სქემებს ცალკეული თავისებურებაც ახასიათებს.

ფულის გათეთრება უძრავი ქონების გამოყენებით. ნაღდი ფულით უძრავი ქონების შესყიდვა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კარგი საშუალებაა. უძრავი ქონების სააგენტოები ხშირად თანხას ღებულობენ ნაღდი ფორმით, მათი წარმოშობის წყაროს შემოწმების გარეშე. ფულის გათეთრების უმარტივესი მეთოდი, როგორც წესი, გარიგებაზე უარის თქმაა იმ მოტივით, რომ გარიგების საგანი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს. თანხის დაბრუნება ხდება მყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე საიმედო ბანკში, რაც ნიშნავს, რომ ეჭვს არ გამოიწვევს მისი წარმოშობის კანონიერება.

სქემების მეორე ჯგუფი დაკავშირებულია „გაუმჯობესების იმიტაციასა“ და, შესაბამისად, ფასების გაზრდასთან: სახლის ყიდულობენ დაბალ ფასად, იხდიან უკანონო ფულით. ამის შემდეგ ხდება რემონტის იმიტირება და ქონება უფრო მაღალ ფასად იყიდება. შედეგი გარეგნულად ლეგალური შემოსავლების მიღებაა.

ფულის გათეთრების მექანიზმები ბრუნვადი სახსრების (საშუალებების) გამოყენებით. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის გამოსადეგია

ნებისმიერი აქტივი. პირობა ერთია – განთავსების ფაზაზე ფულის გამთეთრებელმა უნდა შეძლოს ნაღდი ფულის გამოყენება და დაიცვას ანონიმურობა. როგორც განვიხილეთ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჩიკაგოში, რეალურ სამრეცხაოებში დაიწყო. სამრეცხაოს ბიზნესის არჩევა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ის დაკავშირებული იყო დიდი ოდენობით ნაღდი ფულის ბრუნვასთან. მაფიოზური სტრუქტურების ყურადღება იმავე თვისების გამო მიიპყრო მოსახლეობისათვის რძის მიწოდების ბიზნესმა. ფულის გამთეთრებელმა განვლილი 70 წლის განმავლობაში ბიზნესის არაერთი მიმართულება გაითავისეს.

ე. რეპშერისა და ვ. ვალენკამპას კვლევებით, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ფულადი სახსრების ლეგალიზაციისათვის ყველაზე აქტიურად შემდეგი სახის ორგანიზაციები გამოიყენება:

- გართობის ინდუსტრიასთან დაკავშირებული დაწესებულებები: ბარები, დისკოთეკები, სასტუმროები, რესტორნები, კონცერტებისა და სხვადასხვა კულტურული საღამოების მომწყოები სააგენტოები, ვიდეოთეკები;
- საავტომობილო ბიზნესთან დაკავშირებული დაწესებულებები: მანქანების საბურავებით ვაჭრობა, ავტომობილების გაქირავება, ავტომობილებით ვაჭრობა, ავტომობილების ნაწილებით ვაჭრობა, ბენზინით ვაჭრობა;
- საცალო ვაჭრობა: ანტიკვარული მაღაზიები, ელექტროტექნიკის მაღაზიები, საიუველიერო მაღაზიები, იარაღის მაღაზიები;
- მომსახურების სფეროს წარმოებები (გართობის სფეროს გამოკლებით): ავტომატების დამყენებელი ფირმები, გადამზიდავი ფირმები და ა.შ.;
- სამშენებლო ფირმები;
- დაწესებულებები, რომლებიც ვაჭრობენ ლითონით.

რა თქმა უნდა, ლეგალიზაციის სქემებში ლიდერობენ ის მიმართულებები, რომლებიც ანონიმურობის დაცვისა და დიდი ოდენობით ნაღდი ფულით ოპერირების შესაძლებლობას ქმნიან. პირველ რიგში, ეს არის სათამაშო ბიზნესი, რომლის დიდი ნაწილიც ხშირად დანაშაულებრივი დაჯგუფებების კონტროლს ექვემდებარება. 2003 წელს აშშ-ს 845 კაზინოსა და კარტის სათამაშო კლუბში ფსონების მოცულობამ 800 მილიარდი აშშ დოლარი

შეადგინა, რაც მთელი ქვეყნის ლეგალურ სათამაშო ბიზნესში ინვესტირებული სახსრების თითქმის 85%-ია.[61, გვ.7-8]

ლეგალიზაცია კაზინოს მეშვეობით ძირითადად გულისხმობს ფულის დეკლარირებას მოგების სახით[1,გვ.264], თუმცა აზარტულ თამაშებთან ერთად კაზინო თავის მუდმივ კლიენტებს ფინანსური მომსახურების ფართო სპექტრს (მაგ. დეპოზიტური და საკრედიტო ანგარიშები, ფულადი გადარიცხვები, ჩეკების განაღდება, ვალუტის გადაცვლა), ფაქტობრივად იმავე პროდუქტებს სთავაზობს, რასაც სადეპოზიტო და სხვა ფინანსური ორგანიზაციები. კაზინო განსაკუთრებით მიმზიდველია დამნაშავეებისათვის როგორც ფულის გასათეთრებლად, ასევე ბევრი სხვა სახის ფინანსური დანაშაულის ჩასაღწეად. სწორედ ამიტომ, კაზინო პირველი არასაბანკო ფინანსური ორგანიზაცია იყო, რომლისგანაც ფულის გათეთრების აღკვეთის პრინციპების შესაბამისად სპეციალური პროგრამების შემუშავება მოითხოვეს.

სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშები ცხადყოფს, რომ დამნაშავეები კაზინოში სახსრებს ძირითადად არალეგალური ფულის ე.წ. „ფიშკებზე“ გადაცვლით ათეთრებენ, რის მერეც გარკვეული პერიოდი ინახავენ მათ. მოგვიანებით დამნაშავეები „ფიშკებს“ ცვლიან კაზინოს ჩეკზე ან ფულადი სახსრების რომელიმეც მისამართზე მიწოდებას ითხოვენ. გარდა ამისა, „ფიშკები“ გამოიყენება ნარკოდოზებისაგან ნარკოტიკების შესაძენად, ეს უკანასკნელი კი მათ შემდეგ ფულზე ცვლიან. „ფიშკებს“ ასევე იყენებენ სათამაშოდ იმ იმედით, რომ ლეგალურად მოიგებენ თანხას.

დამნაშავეები კაზინოს იყენებენ ასევე მსხვილი კუპიურების გადასაცვლელად (დასახურდავებლად), ვინაიდან ასეთმა კუპიურამ თავისთავად შეიძლება ეჭვი გამოიწვიოს. დანაშაულებრივი საქმიანობა კაზინოში ხშირად არის დაკავშირებული კლიენტის მიერ ტრანსაქციების დანაწევრებასთან იმ მიზნით, რომ თავი აარიდოს ზღვრული თანხით ოპერაციის განხორციელებას (რაც, ბუნებრივია, ექვემდებარება სავალდებულო ანგარიშგებასა და ჩაწერას). ანონიმური კლიენტების თანხების არაერთჯერადად გასანაღდებლად გამოიყენება აგენტი, ხდება ყალბი დოკუმენტის ან ცრუ საიდენტიფიკაციო ინფორმაციის მიწოდება, ასევე ტარდება მრავალსაფეხურიანი ოპერაციები, რაც ართულებს წარმოშობის წყაროს დადგენას. დამნაშავეები მეტად მარტივად ახდენენ აზარტულ თამაშებში მოგების იმიტირებას, თუმცა ლეგალიზაციის ეს

სქემები მათთვის უკვე აღარ არის ხელსაყრელი. ასეთი მოგება მაკონტროლებელ ორგანოში სავსებით სამართლიან ეჭვს იწვევს.

აშშ-ს შიდა შემოსავლების სამსახურს მოყავს აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული ფულის გათეთრების, ასევე საკმაოდ გავრცელებული მექანიზმი: ნარკოდღიერი ყიდულობდა ლატარიის მოგებულ ბილეთებს პენსილვანიაში ილბლიანებისაგან, უხდიდა მათ მოგებულზე მეტს იმისათვის, რომ მიეღო შტატის ჩეკი და შემოსავლების სამსახურის W-2 ფორმა.[57,გვ.13] მომგებიანი ლატარიის შესყიდვის ფაქტები ხშირია არაერთ ქვეყანაში. ასეთი ბილეთის შექმნის შემდეგ დამნაშავე იღებს უკვე „გათეთრებულ ფულს,“ რომელიც შეუძლია საბანკო ანგარიშზე დატოვოს, რითაც ლეგალიზაციის საბოლოო მიზანს აღწევს. აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში გამოიყენებოდა აქტიურად.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნებისათვის მეტად პოპულარულია საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების დადება. ამ მიზნით უმეტესად გამოიყენება სპორტული ინვენტარი, კომპიუტერები, ტელევიზორები, ელექტრონული აპარატურა, ავტომობილები და სხვ. ასეთ დროს სავსებით გამოსადეგია ნებისმიერი ფართო მოხმარების საქონელი. ორი ყველაზე გავრცელებული მეთოდი დაკავშირებულია საქონლის გადაფასებასა და არშეფასებასთან (ე.წ. Transferpricing). სქემა გადაფასების გამოყენებით გულისხმობს ისეთი ინვოისის შედგენას, რომელიც აღემატება შესაბამისი საქონლის რეალურ ღირებულებას. ეს იმპორტიორს საშუალებას აძლევს, გადაიტანოს ფულადი სახსრები ოფშორულ ზონაში, როგორც იმპორტირებული საქონლისათვის გადასახდელი თანხა.

სქემა, დაკავშირებული არშეფასებასთან - ფაქტობრივად იგივეა, ოღონდ - პირიქით. იმპორტიორი ღებულობს საქონელს, რომელიც ღირს მეტი, ვიდრე ინვოისშია დაფიქსირებული. როდესაც იმპორტიორი ამ დაბალ ფასად შეფასებულ საქონელს რეალურ ფასად ყიდის, იღებს ოფიციალურ დოკუმენტში ასახულ შემოსავალზე მეტს. გარდა იმისა, რომ ეს ორი მეთოდი გამოიყენება ფულის გასათეთრებლად, ორგანიზაციები სპეციალურად მაღალ ან დაბალ ფასად აფასებენ საქონელს, რათა თავი აარიდონ გადასახადებს, სხვა საკომისიოებს, რაც მიღებული ან გაგზავნილი საქონლის ღირებულებასთანაა

დაკავშირებული. მოვიყვანოთ ასეთი სქემით მუშაობის კიდევ ერთი დეტალური მაგალითი.

დანაშაულებრივ დაჯგუფებას დაქვემდებარებული სავაჭრო კომპანია ქვეყანა „ა“-ში იაფად ყიდულობს საქონელს. ქვეყანა „ა“-ში ფულის გათეთრების კუთხით მოქმედებს კონტროლის მკაცრი მექანიზმები. არის ერთი პირობა: დაჯგუფების მიერ შეძენილი საქონლის ღირებულებას უნდა ჰქონდეს ცვლილებების დიდი დიაპაზონი, რომელიც დამოკიდებული იქნება მწარმოებელსა და ხარისხზე. მაგალითად, გარეგნულად თითქმის ერთნაირი კომპიუტერები შეიძლება შეიძენილ იქნეს 200-დან 2000 აშშ დოლარად, ასეთივე დიაპაზონით შეიძლება შეიცვალოს მობილური ტელეფონების ფასი. საათების ფასს აქვს ყველაზე ფართო დიაპაზონი - რამდენიმე დოლარიდან რამდენიმე ათას დოლარამდე. ქვეყანა „ა“-ში ოფიციალურად შეძენილი პროდუქცია გადაიტანება ქვეყანა „ბ“-ში, სადაც იყიდება უკანონო ფულზე 10-ჯერ მაღალ ფასად იმ კომპანიის მიერ, რომელიც იმყოფება იმავე დანაშაულებრივი ჯგუფის კონტროლის ქვეშ. ასეთი სახით გათეთრებული ფული ხვდება სავსებით ლეგალურ საქონლის გამყიდველი კომპანიის ანგარიშზე, ქვეყანა „ა“-ს ბანკში.

ძვირფასი ლითონებისა და ქვების გამოყენება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის. ოქრო და სხვა ძვირფასი მეტალები დიდი ხნის განმავლობაში ასრულებდნენ ნაღდი ფულის ფუნქციას და, გარკვეულწილად, ეს დღესაც ასეა, ამიტომ მათი გამოყენება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის სავსებით კანონზომიერია (თუმცა უკანონოა). ოქროსა და სხვა ძვირფას მეტალებს აქვთ უმნიშვნელოვანესი უპირატესობა – ისინი მაღალი ფასეულობის კომპაქტური საგნებია. ოქრო ფაქტობრივად მთელ მსოფლიოში იყიდება ნაღდ ფულზე. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომისია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ოქროთი, სხვა ძვირფასი მეტალებითა და ქვებით ვაჭრობის ბაზარს მათი ფულის გათეთრების მექანიზმად გამოყენების გამო.

ფულის გათეთრება ყველაზე მარტივად მაშინ ხდება, როდესაც კლიენტი უკანონო გზით ნაშონი სახსრებით ყიდულობს გამყიდველისგან ოქროს. ოქრო თავისთავად შეიძლება იყოს დანაშაულის ობიექტი. კრიმინალური დაჯგუფებები ცდილობენ, დამალონ ოქროს წარმოშობის ნამდვილი წყარო ყალბი გადაზიდვის დოკუმენტების შექმნის გზით. ეს სქემა მათ ხელს უწყობთ, განახორციელონ გადარიცხვები და გადაიტანონ არალეგალური სახსრები. ფულის გათეთრების

წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომისიას მოყავს შემდეგი მაგალითი: დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ, რომელიც ათეთრებდა ფულს, გამოიყენა ოქროს მოპოვებისა და დამუშავების კომპანია ნაღდი ფულის (რომელიც მიღებული ჰქონდა ნარკოტიკების გაყიდვით ქვეყანა „ბ“-ში) შესატანად ქვეყანა „ა“-ს საბანკო სისტემაში. ორგანიზაცია იყენებდა ადამიანებს, რომლებიც მუშაობდნენ სუსტი მაკონტროლებელი მექანიზმების მქონე ქვეყანა „ბ“-ს სასტუმრო ბიზნესში. დანაშაულებრივი ორგანიზაცია მანიპულირებდა კონტროლის სისუსტით, ახდენდა ევროპული ვალუტების ინკასირებას აეროპორტთან ახლომდებარე სასტუმროებსა და რესტორნებში. თანხები რეალურად ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ნარკოტიკების რეალიზაციიდან მოდიოდა. საბოლოოდ შეგროვებული ფული საპაერო გზით ხვდებოდა ქვეყანა „ა“-ში და საბაჟოზე ცხადდებოდა, თითქოს ეს იყო „ა“-ში მოქმედი კომპანიისთვის ოქროს საფასური. ოქროს გაყიდვა იყო ფიქტიური, ამიტომაც ეს ხორციელდებოდა ცრუ ინვოისების საფუძველზე და მას ასევე თან ახლდა ყალბი ინფორმაცია და დოკუმენტები დატვირთული საქონლის მიღების შესახებ. ოქროს ფიქტიური გაყიდვა საშუალებას იძლეოდა, მომხდარიყო ნაღდი ფულის ტრანსპორტირება ქვეყანა „ბ“-დან ქვეყანა „ა“-ში, სადაც ის თავსდებოდა კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში დეპოზიტებზე.

ფულის გამთეთრებისათვის აღმასები და სხვა ძვირფასი ქვები იმავე ღირებულებისაა, რაც ოქრო. დაუმუშავებელი აღმასის მსხვილმასშტაბიანი წარმოება მსოფლიოში შემოსაზღვრულია რამდენიმე ტერიტორიით: სამხრეთ და დასავლეთ აფრიკა, ავსტრალია, კანადა და აღმოსავლეთ რუსეთი. ასევე კონცენტრირებულია აღმასით ვაჭრობა ანტვერპენში, ნიუ-იორკსა და თელ-ავივში. ექსპერტების მტკიცებით, ძვირფასი ქვების 10%-ს წარმოების ადგილზე იპარავენ. ლეგალიზაციის ერთ-ერთი მარტივი სქემაა წარმოების დროს მოპარული აღმასების შექენა დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ფულით. დამნაშავეები იძენენ აღმასის პარტიას, რომელშიც დიდი ნაწილი მოპარულია. შემდეგ ეს პარტია მთლიანად ფასდება და იყიდება მკვეთრად დიდ ფასად. ანტვერპენის უმსხვილეს აღმასის ბაზარზე ყოველწლიურად დაახლოებით 70 მილიარდი აშშ დოლარი ხვდება. ამ ბაზრის ტრადიციანა გარიგების დადებისას სრული ანონიმურობის დაცვა, რაც იდეალურ გარემოს ქმნის ფულის გასათეთრებლად. FATF-მა გამოავლინა შემთხვევა, როდესაც ადამიანმა შეიძინა 2.4 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საიუვილერიო ნაკეთობები,

რისთვისაც გადაიხადა ნაღდი ფული. როგორც შემდეგ გაირკვა, მას არ ჰქონდა არც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და არც სამსახური, ხოლო თანხა მიღებული იყო ნარკოტიკებით ვაჭრობიდან.

კორუმპირებული პირების როლი ფულის გათეთრების სქემებში. კორუფცია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით მომსახურების არა მხოლოდ მსხვილი „მომხმარებელი,” არამედ ასევე უმთავრესი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს ფულის გათეთრებას. სხვადასხვა კორუმპირებული პირების მონაწილეობისა და მხარდაჭერის გარეშე ფულის გათეთრების ოპერაციები წარმატებით იშვიათად ტარდება. ხშირია დამნაშავეების მიერ მსხვილი კომპანიების მენეჯერების მოსყიდვისა და მათ უკანონო საქმიანობაში ჩართვის ფაქტები. ბუნებრივია, ასევე ხშირია „ჩინოვნიკების” მოსყიდვის შემთხვევებიც.

FATF განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გავლენიანი პოლიტიკოსების როლს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესში. გავლენიანი პოლიტიკური პირები - ეს ტერმინი გამოიყენება იმ პიროვნებებთან მიმართებით, რომელთაც ეკისრებათ, ან წარსულში ეკისრებოდათ კონკრეტულ ქვეყანაში მნიშვნელოვანი სახელმწიფო ფუნქცია. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები, მინისტრები, გავლენიანი პოლიტიკური ან სახელისუფლებო პირები და სხვ. ფინანსური ორგანიზაციები ხშირად ანიჭებენ ასეთ პირებს, ასევე მესამე პირებს მათი სახელით ოპერაციის წარმოებისას მოქმედების გარკვეულ თავისუფლებას (განსაკუთრებული სტატუსის გამო). თუ გავლენიანი პოლიტიკური პირი დაკავშირებულია რაიმე სახის დანაშაულებრივ საქმიანობასთან, მის მიერ ოპერაციების წარმოებისას მოქმედების თავისუფლება ნაწილობრივ ხელს უწყობს კიდევ იმ კანონდარღვევის აღმოჩენასა და გამოძიებას, რომელშიც შეიძლება იყოს გარეული.

იმ ფულადი სახსრების წყარო, რომელიც გავლენიან პოლიტიკურ პირს სურს გაათეთროს, შეიძლება იყოს ქრთამი, ასევე კორუფციასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლები (მითვისებული სახელმწიფო სახსრები, პოლიტიკური პარტიების სახსრები და ა.შ.). ბუნებრივია, რიგ შემთხვევაში გავლენიანი პოლიტიკური პირი შეიძლება ჩართული იყოს ისეთ უკანონო საქმიანობაში, როგორცაა ორგანიზებული დანაშაულობა, ნარკოტიკებით ვაჭრობა. აშკარაა, რომ გავლენიანი პოლიტიკური პირები ისეთი ქვეყნებიდან თუ ტერიტორიებიდან, სადაც კორუფციის მაღალი დონე აღინიშნება, პოტენციური რისკის ყველაზე

მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ კორუმპირებული გავლენიანი პოლიტიკური პირები პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში არიან. გავლენიანი პოლიტიკური პირები ხშირად იყენებენ აგენტებს ან სხვა შუამავლებს თავიანთი ქსელით ფინანსური ოპერაციების განსახორციელებლად. ამ გზით პოლიტიკურად გავლენიანი პირი თავს არიდებს მაკონტროლებელი ორგანოების არასასურველ ყურადღებას.

PEP-ები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან დანაშაულებრივი შემოსავლების დაფარვასთან, ძირითადად ფულს იმ ფიქტიურ კომპანიებსა და ოფშორულ ბანკებში გადატანით ათეთრებენ, რომლებიც მათი საცხოვრებელი ქვეყნების ფარგლებს გარეთ მდებარეობს და სადაც არ ხმაურდება განხორციელებული ოპერაციების დეტალები.

ოფშორული იურისდიქციები ფულის გათეთრების სქემებში. ოფშორული იურისდიქციები და ოფშორული ბანკები ფულის გათეთრების თითქმის ყველა სქემაში გამოიყენება. ოფშორი ეწოდება (Offshore ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „საზღვრებს გარეთ“) ტერიტორიას, სადაც უცხოელი პირების კუთვნილი კომპანიები სარგებლობენ განსაკუთრებულად შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით. მაგალითად, თუ პანამის კომპანიის მფლობელები უცხოელი პირები არიან და ეს კომპანია არ საქმიანობს პანამაში, მაშინ მას მიენიჭება სტატუსი „ოფშორული“ და ოფიციალურად გათავისუფლდება ყველა სახის გადასახადისაგან.

ოფშორები საშუალებას აძლევენ ტრანსნაციონალურ კაპიტალს, განერიდოს საგადასახადო დაბეგვრას, როგორც ამ სახსრის ბაზრის, ასევე მიმდებ სახელმწიფოში. ექსპერტების შეფასების მიხედვით, მსოფლიო ფულადი ბრუნვის ერთი მესამედი დაკავშირებულია სწორედ ოფშორულ ბიზნესთან.

ოფშორები შეიძლება ორ ჯგუფად გავეყოთ: ქვეყნები, რომლებიც ოფშორულ კომპანიებს მინიმალური გადასახადით ბეგრავენ; ქვეყნები, რომლებიც ოფშორულ კომპანიებს სრულიად ათავისუფლებენ ყოველგვარი საგადასახადო დაბეგვრისგან (ამ შემთხვევაში კომპანია ქვეყნის ხელისუფლებას საქმიანობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების ფიქსირებულ გადასახადს უხდის, რომელიც, როგორც წესი, არ აღემატება 300-400 აშშ დოლარს წელიწადში). პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ევროპული ქვეყნები - ლიხტენშტეინი, მალტა, კვიპროსი და ა.შ. მეორე ჯგუფში შედის ცენტრალური ამერიკის ოფშორული ტერიტორიები:

პანამა, ბაჰამის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, ბელიზი, კაიმანის კუნძულები და სხვ. პირველი ჯგუფის ქვეყნებში კომპანიების რეგისტრაცია და მომსახურება უფრო ძვირია, ვიდრე მეორე ჯგუფის ქვეყნებში.

ოფშორული კომპანიები ხშირად გამოიყენება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სქემებში. არაერთი ოფშორული იურისდიქცია იძლევა „წარმოდგენზე აქციების“ გამოყენების საშუალებას. ამასთან, ფირმებს შეუძლიათ, არ წარადგინონ მაკონტროლებელ ორგანოებში ბუღალტრული ანგარიშები. ასეთი სახით ფულის გასათეთრებლად ფაქტობრივად იდეალური გარემო იქმნება. ამასთან, ოფშორული კომპანიის დაფუძნება და შემდგომ „შენახვა,“ როგორც წესი, არ არის ძვირი, იმ დიდ უპირატესობასთან შედარებით, რაც მას ახასიათებს. აქვე გვინდა განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ სატრასტო მექანიზმებზე, რომლის გამოყენებაც ფულის გამთეთრებელს აძლევს დამატებით შესაძლებლობებს.

ისტორიულად სატრასტო მექანიზმი ნამდვილი მესაკუთრის ვინაობის დასაფარად გამოიყენებოდა. თანამედროვე მსოფლიოში იურისპრუდენციის სფეროში ინგლისელების ეს უდიდესი მიღწევა შესაბამისად შეფასდა დანაშაულებრივი სამყაროს მიერ. ტრასტი - ეს არის სამართალურიერთობა, რომელიც წარმოიშობა მარწმუნებლის (მიმნდობის - settlor, trustor) მიერ განსაზღვრული ქონების რწმუნებულისათვის (trustee) საკუთრებაში გადაცემისას, რათა რწმუნებული ფლობდეს და მართავდეს ქონებას ბენეფიციარი მარწმუნებლის (beneficiary) სასარგებლოდ. რწმუნებული ფლობს ქონებას არა საკუთარი მოგების მიღების მიზნით, არამედ მხოლოდ ბენეფიციარის ინტერესებისათვის. კლასიკური ტრასტი აერთიანებს საკუთრებას ორი მიმართულებით: იურიდიულს (მისი მატარებელია რწმუნებული, ვინაიდან ქონებას ის განკარგავს) და ბენეფიციარულს (მის მატარებელ ტრასტის ბენეფიციარს არ აქვს ქონებაზე არანაირი უფლება, თუმცა რწმუნებული (ტრასტის მმართველი) ბენეფიციარის წინაშე ვალდებულია, მართოს ქონება გარკვეული სახით).

ტრასტების ინსტიტუტი განსხვავებულია საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. ტრასტი საერთო სამართლის ქვეყნებში შეიძლება მოქმედებდეს იურიდიული პირის სახით. ტრასტს აქვს მესაკუთრის უფლება სამართავ ქონებასთან მიმართებით, თუმცა ის ამ უფლებას ტრასტის გამცემის

(მარწმუნებლის) სასარგებლოდ იყენებს, ისევე, როგორც, მაგალითად, მენეჯერი მოქმედებს ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე.

ტრასტი ძირითადად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც აუცილებელია ქონების იზოლირება მისი მფლობელის პოტენციური პრობლემებისაგან, თანაც ისე, რომ მფლობელს დარჩეს გარკვეული კონტროლის, ან შემოსავლის მიღების უფლება. მაგალითად: პირი, რომელსაც ემუქრება სასამართლო ან გამოძიება, გადასცემს თავის ლიკვიდურ აქტივებს ტრასტის მმართველს და ავალებს ამ აქტივების თავისი ოჯახის წევრების სასარგებლოდ მართვას. თუ ქონება გადაეცემათ ახლობლებს, ის შეიძლება ჩამორთმეულ იქნას მათ წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, მაშინ როდესაც ქონება, რომელიც შედის ტრასტში არ ეკუთვნის მის ბენეფიციარებს. ამ ქონების კონფისკაცია საკრედიტო დაგალიანების სანაცვლოდ დასაშვებია უშუალოდ ტრასტისგან. ზოგჯერ საჭირო ხდება შეიქმნას აქტივების კონტროლის ლეგალური სქემა მათთვის, ვისაც არანაირი გარემოების არსებობის შემთხვევაში არ სურს, ირიცხებოდეს მის მფლობელად ან ბენეფიციარად. ამ ამოცანის გადასაჭრელად ფუნქცია „მიზნობრივი ტრასტი“ (non-charitable purpose trust), რომელიც არ არის ბენეფიციარი, ხოლო ქონების მართვა უნდა მოხდეს სატრასტო დოკუმენტებში გაწერილი მიზნის ინტერესების გათვალისწინებით.[4, გვ.60-66]

სავსებით აშკარაა, რომ ასეთი მოხერხებული იურიდიული კონსტრუქცია არ შეიძლებოდა, არ ყოფილიყო გამოყენებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის. ტრასტები ანონიმურობის დაცვის საუკეთესო საშუალებაა მათთვის, ვისაც ვინაობის დაფარვა სურს. მაგალითად, კუკის კუნძულებზე, ნიუესა და ნევისში კანონმდებელი ტრასტების შესახებ არ ითხოვს, რომ მინდობილი საკუთრების დამფუძნებლისა და ბენეფიციარების ვინაობა აისახოს ტრასტის გარიგებაში. ასევე, არსებობს განსაზღვრული დროის განმავლობაში „გამოთხოვებადი“ ტრასტი. ტრასტის გარიგებაში შეიძლება მხარეებმა გაითვალისწინონ „გადამრჩენი“ დებულება, რომელიც მოქმედებს გარკვეული გარემოებების დადგომისას და გულისხმობს ტრასტის აქტივების სხვა იურისდიქციაში გადატანას და სხვა მინდობილი მესაკუთრეების დანიშნავს.

მართალია, ეს მექანიზმები მუშავდებოდა ლეგალური მიზნების მისაღწევად, მაგრამ დღესდღეობით ისინი შეიძლება მეტად ეფექტურად იქნეს გამოყენებული დამნაშავეების მიერ ფულის გასათეთრებლად.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი სქემები საქართველოში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სქემების ტიპების დადგენისას ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინება არ ხდება. გარიგებების უმეტესობა ტრანსნაციონალური ხასიათისაა, თუმცა, ჩვენ განვიხილავთ ფულის გათეთრების იმ ცალკეულ მეთოდებს, რომლებიც სავარაუდოდ ყველაზე ხშირად გამოიყენება საქართველოში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სტატისტიკური მონაცემები, სისხლის სამართლის საქმეები, რაც შესაძლებელია ტიპოლოგიური ხერხების კვლევას დაედოს საფუძვლად, ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მწირია. საგულისხმოა, რომ ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის მიერ შემუშავებულ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საქართველოს 2010 წლის შეფასებაში ხაზგასმულია სწორედ სტატისტიკური მონაცემების სიმწირე და ასევე, საგამოძიებო მოქმედებების სრულყოფისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ფულის გათეთრების ტიპოლოგიური ხერხების გამოვლენის აუცილებლობა.

საქართველოში ფულის გათეთრების გარკვეულ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის 2010 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, პროკურატურაში ძიების პროცესში მყოფი 16 საქმიდან, რომლებიც აღძრულია სსკ 194-ე მუხლით, თექვსმეტივე შემთხვევაში პრედიკატული დანაშაული ჩადენილია საქართველოს ფარგლებს გარეთ.[69] აღნიშნული ფაქტი გარკვეულწილად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების კანონიერების დადგენას.

საქართველოში ფულადი სახსრების ბრუნვა ძირითადად ნაღდი ფორმით ხდება, რაც არსებითად ავიწროებს ფინანსური და სხვა სახის დაწესებულებების მიერ ეფექტური ანგარიშგების წარმოების შესაძლებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე მარტივ მეთოდად შესაძლებელია მივიჩნიოთ უძრავი ქონების ყიდვა/გაყიდვა. ვინაიდან სავალდებულო არ არის ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული თანხის გადაცემა/მიღების ფაქტის დადასტურება (საბანკო ანგარიშის

გამოყენებით, ნოტარიუსის თანდასწრებით თანხის გადაცემით და ა.შ.), შესაბამისად, პირს, უბრალოდ, ახლობელზე ბინის გადაფორმების საფუძველზე შეუძლია განაცხადოს, რომ ფული, რომელიც სინამდვილეში არალეგალურია, უძრავი ქონების გაყიდვით აქვს მიღებული სავსებით ლეგალურად.

ფულის გათეთრების ერთ-ერთი მოქნილი მექანიზმი როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში ლომბარდები და ვალუტის გადამცვლელი პუნქტებია. მართალია, ისინი უკვე საკანონმდებლო რეგულირების სფეროში არიან მოქცეულნი, მაგრამ ხშირ შემთხვევებში არ ხდება კლიენტების იდენტიფიცირება, სახსრების წარმომავლობის კანონიერების დადგენა, რაც, თავისთავად, კარგ შესაძლებლობას ქმნის ფულის გასათეთრებლად.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნებისათვის მეტად ხელსაყრელ ეკონომიკურ საქმიანობად შეიძლება განვიხილოთ სამშენებლო ბიზნესი, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური იყო 2008 წლის აგვისტოს ომამდე (რესპოდენტთა ნაწილმაც ბიზნესის სწორედ ეს სახეობა დააფიქსირა ანკეტაში). ბატონ გოჩა მამულაშვილის აზრით, შავი ფული იდებოდა ბინების მშენებლობაში, შემდეგ ეს ბინები იყიდებოდა და ამ სქემით ჭუჭყიანი ფული თეთრდებოდა.[3, გვ.784]

სამართლიან ეჭვს იწვევს ექსპერტებში სასტუმრო ბიზნესი. 2004 წელს ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული საკითხი და დაიდო დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სასტუმროების რეალური შემოსავალი არ შეიძლება იყოს იმდენი, რაც მათ აქვთ დაფიქსირებული.[3, გვ.784]

საბანკო სექტორში ფულის გასათეთრებლად მეტად აქტიურად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- სახსრების დანაწევრების ტექნოლოგია - როგორც ერთი პირის მიერ დროის ხანგრძლივ მონაკვეთში, ასევე ურთიერთდაკავშირებულ პირთა მიერ განხორციელებული;
- კვალის არევის მეთოდი - ოპერაციათა კომპლექსი, რომელთა განხორციელების შედეგადაც პრაქტიკულად შეუძლებელია მათი წარმოშობის ჭეშმარიტი გარემოებების დადგენა;
- ფიქტიური გარიგებების დადება. მართალია, სავალუტო გადარიცხვების წარმოებისთვის აუცილებელია გადარიცხვის კანონიერების

დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა (30000 ლარის ექვივალენტზე მეტი ოდენობის თანხის გადარიცხვის შემთხვევაში), მაგრამ ინვოისებისა და კონტრაქტების რეალურობის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია (ხშირია შემთხვევა, როდესაც კლიენტს ადგილზევე აქვს კონტრაგენტი ორგანიზაციის ბეჭედი);

- ფიქტიური პირების გამოყენება ტრანსაქციების განსახორციელებლად (აღნიშნულ გარემოებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ კლიენტი არის უმუშევარი, ანგარიშზე პრაქტიკულად არ აქვს ბრუნვები და მოულოდნელად იწყება ისეთი ოპერაციების ინიცირება, რაც აშკარად აღემატება მის რეალურ შესაძლებლობებს);
- ცალკეული საკანონმდებლო გამონაკლისით ეფექტურად სარგებლობა, მაგალითად, საბანკო ანგარიშზე ნაღდი ფორმით დეპოზიტის განთავსება, თანხის ოდენობის მიუხედავად, არ განეკუთვნება სავალდებულო რეჟიმში გადასაცემ ოპერაციათა კატეგორიას სავარაუდოდ იმ მიზეზით, რომ აღნიშნულმა ზომამ არ გამოიწვიოს საბანკო სისტემაში ნაღდი ფულადი რესურსის შედინების შემცირება. თუ მაგალითად ფიზიკური პირი სადეპოზიტო ანგარიშზე ნაღდი ფორმით განათავსებს 500 000 აშშ დოლარს და შემდეგ გამოიყენებს სახსრების დანაწევრების ტექნოლოგიას დროის შედარებით ხანგრძლივ მონაკვეთზე, სრულიად თავისუფლად შეძლებს ის ამ ხერხით სახსრების ლეგალიზებას;
- ახალი საბანკო ტექნოლოგიები. ახალ საბანკო ტექნოლოგიებზე, რომელიც შეძლება მეტად ეფექტურად გამოიყენებოდეს ფულის გამთეთრებლის მიერ, შეიძლება მივიჩნიოთ ინტერნეტით, მობილურით, სწრაფი გადახდის აპარატებით ანგარიშების წარმოების შესაძლებლობა. ამ სისტემებით ანონიმურობის დაცვა მარტივია. ამასთან, ნოვატორულობისა და მუდმივი დახვეწის პირობებში ყოფნის გამო ამ სერვისების საკანონმდებლო რეგულირება საკმაოდ ზედაპირულია;
- ოფშორული სქემები. საბანკო სექტორში ოფშორული კომპანიები ხშირად გვხვდება როგორც კლიენტების, ასევე კონტრაგენტების სახით. როგორც აღნიშნეთ ეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ეფექტური მეთოდია საგადასახადო დაგეგმვისათვის. აღნიშნულის საფუძველია სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც

არარეზიდენტი კომპანიები ნაწილობრივ ან მთლიანად თავისუფლდებიან გადასახადებისგან. საგადასახადო შედავათები, ბიზნესის ანონიმურობის დაცვა, სავალუტო კონტროლის არარსებობა, ოპერაციების ნებისმიერი ვალუტით წარმოების შესაძლებლობა მეტად მიმზიდველი ფაქტორებია კომპანიის ოფშორში დასარეგისტრირებლად. როგორც კლიენტების, ასევე კონტრაგენტების სახით, ქართულ საბანკო სექტორში ყველაზე ხშირად გვხვდება კვიპროსზე, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, გიბრალტარსა და სეიშელის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიები. კომპანიის რეგისტრაციის თანხა დაახლოებით მსგავსია – 2800 აშშ დოლარი კვიპროსზე, 2350 აშშ დოლარი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, 2150 აშშ დოლარი გიბრალტარზე, 2150 აშშ დოლარი სეიშელის კუნძულებზე. მართალია ბანკში ანგარიშის გახსნისას ამ კომპანიებს, ისევე როგორც რეზიდენტებს, მოეთხოვებათ კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა, თუმცა ბენეფიციარი მესაკუთრის, ანუ ბიზნესის რეალური მფლობელის იდენტიფიცირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ფულის გათეთრების სქემების ტიპოლოგიური კვლევა გვაძლევს შესაძლებლობას, დავადგინოთ ის ზოგადი წესები, რომლითაც ხელმძღვანელობენ დამნაშავეები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ოპერაციების დაგეგმვისას:

- რაც უფრო ზუსტადაა იმიტირებული ფულის გათეთრების მექანიზმით კანონიერი გარიგება, მით უფრო ნაკლებია მისი გამოვლენის რისკი;
- რაც უფრო ნაკლებია უკანონო სახსრების ხვედრითი წილი ლეგალურ ფინანსურ ნაკადში, მით უფრო რთულია მისი აღმოჩენა;
- რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკაში მომსახურების სფეროს ხვედრითი წილი, მით უფრო მარტივია ამ სახელმწიფოში ფულის გათეთრება;
- რაც უფრო მაღალია გარიგებების საკანონმდებლო და ფინანსური თვითრეგულირების დონე, მით უფრო რთულია არალეგალური ფინანსური ნაკადის გამოაშკარავება;
- უკანონო ფინანსური ოპერაციების განსახორციელებლად რაც უფრო ნაკლებია საკრედიტო ბარათებისა და უნაღდო ანგარიშსწორების

ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა, მით უფრო რთულია ფულის გათეთრების შემთხვევების გამოვლენა;

- რაც უფრო მეტი წინააღმდეგობაა ფინანსური ბაზრების გლობალურ ხასიათსა და მათ სახელმწიფო რეგულირებას შორის, მით უფრო რთულია ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენა;
- უკანონო საქმიანობა რაც უფრო ღრმად აღწევს ლეგალურ ეკონომიკაში, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობაა მისი ინსტიტუციური და ფუნქციური დაყოფისათვის.

თავი III უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაცია

§1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაციის ზოგადი დახასიათება

ისევე როგორც ნებისმიერი სახის დანაშაულობასთან ბრძოლის ქმედითი ხელშეწყობის, ფულის გათეთრების ეფექტური აღკვეთისთვისაც აუცილებელია, ნათლად გაგაანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მასზე.[5,გვ.3] მოცემულ კვლევაში ძირითად ფაქტორებში იგულისხმება ის საზოგადოდ მნიშვნელოვანი მოვლენები და პროცესები, სინამდვილის ფაქტები, რომლებიც ხელშემწყობი მიზეზები და პირობებია ფულის გათეთრების პროცესისათვის.

კრიმინოლოგიაში, სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით, ასეთი ფაქტორების არაერთი კლასიფიკაცია არსებობს. ყველა ძირითადი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, შეიძლება 2 ჯგუფად გავყოთ: 1) ზოგადი ხასიათის ფაქტორები, რომლებიც ფულის გათეთრების სფეროზე ახდენენ ირიბ ზემოქმედებას; 2) კონკრეტული ხასიათის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ უშუალოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სფეროში. ამასთან, გამომწვევი მიზეზები და პირობები შეგვიძლია დავაჯგუფოთ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით – საერთო სოციალური, ეკონომიკური, სახელმწიფო-პოლიტიკური, სამართლებრივი, ტექნოლოგიური და სხვ.

შემოთავაზებული კლასიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა, კოპლექსურად იქნას ნაჩვენები ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს შესასწავლ სფეროში და, ამასთან, მათი ანალიზის საფუძველზე, განისაზღვროს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე ზემოქმედების ზოგადსოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომები (დონისძიებები).

საერთო სოციალურ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება გავაერთიანოთ შემდეგი მოვლენები:

- მოსახლეობის ფენების მკვეთრი პოლარიზაცია. როგორც ცნობილია, კრიმინალურ სიტუაციაზე ძლიერ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს შემოსავლების მიხედვით ქვეყნის მოსახლეობის ფენების მკვეთრი პოლარიზაცია. ბუნებრივია, მოსახლეობის ღარიბი ფენა ცდილობს

დაკარგულის ანაზღაურებას, მათ შორის სხვადასხვა სახის ეკონომიკური დანაშაულობის ჩადენით. ხშირ შემთხვევაში, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, სწორედ ასეთი პირები გამოიყენებიან ფულის გათეთრების ოპერაციების განსახორციელებლად (მაგალითად მათი საიდენტიფიკაციო მონაცემებით, საბანკო ანგარიშებით სარგებლობა და ა.შ.);

- სამართლებრივი ნიჰილიზმი და მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება. მნიშვნელოვან სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ფართოდ გავრცელებული სამართლებრივი ნიჰილიზმი და მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე რეაგირებისას. სამართლებრივი ნიჰილიზმი არსებითად ზღუდავს ფულის გათეთრების აღკვეთის რეალურ შესაძლებლობებს, ვინაიდან შესამაბისი ინსტიტუტების (მაგ. ბანკის) თანამშრომლები, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ფულად სახსრებთან თუ სხვა სახის ქონებასთან დაკავშირებული გარიგებები, რიგითი მოქალაქეები არიან სამართლებრივი აზროვნების დაბალი დონით (ხშირად თავად ბანკის თანამშრომელი უწევს კონსულტაციას კლიენტს, თუ როგორ განახორციელოს ტრანსაქციები, ისე, რომ არ დაექვემდებაროს სავალდებულო ანგარიშგებასა და მონიტორინგს). თუ ეს ფსიქოლოგია არ შეიცვლება, მოსახლეობა სამართალდამცავ სტრუქტურებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საქმეში დახმარებას ვერ გაუწევს, რაც მნიშვნელოვნად დააქვეითებს მათ ეფექტურობას ამ სფეროში;
- სამართლებრივი განათლების დონე. აუცილებელია ხაზი გავესვათ მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლების მნიშვნელობას ფულის გათეთრების საკითხებში. თუ მოსახლეობას არ ექნება გააზრებული ის საფრთხეები, როელსაც დანაშაულის ეს სახეობა იწვევს, ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობისას არ ეცოდინება ამ სფეროში არსებული წესების დაუცველობის იურიდიულ შედეგები, სავსებით შესაძლებელია, მარტივად მოხდეს მათი ჩართვა შემოსავლების ლეგალიზებასთან დაკავშირებულ უკანონო საქმიანობაში (ფიქტიური პირების სახით, ასევე მათ სახელზე უძრავი ქონების გაფორმება და სხვ.).

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე არსებით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური ხასიათის ფაქტორები. ამ ჯგუფის ფაქტორებს შორის შეიძლება მოვიზროთ:

- ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა, რომელიც უკანონო შემოსავლების უმსხვილესი მწარმოებელი და, ამავდროულად, მომხმარებელიცაა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომელიც მოიცავს ასევე უკანონო, ფარულსა და კორუფციულ ეკონომიკას, მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 25%-ს შეადგენს, რაც დაახლოებით 9 ტრილიონი აშშ დოლარია. ამ თანხიდან დაახლოებით 6,0-6,5 ტრილიონ დოლარად არის შეფასებული ფარული ეკონომიკა. ყველაზე რთული უკანონო ეკონომიკის შეფასებაა. გაეროსა და მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ნარკობიზნესის წლიური ბრუნვა 500 მილიარდ დოლარს აღწევს. ნარკობიზნესი უკანონო ეკონომიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ექსპერტთა შეფასებით, შემოსავლები ნარკობიზნესიდან დანაშაულებრივი დაჯგუფებების მთლიან შემოსავალს 50%-ით აჭარბებს. მეორე ადგილზე კონტრაბანდაა, რაც უკანონო ბრუნვის 8%-ია (დაახლოებით 80 მილიარდი აშშ დოლარი). 60 მილიარდ დოლარადაა (6%) შეფასებული პროსტიტუცია. უკანონო აზარტულ თამაშებს დამნაშავეებისათვის დაახლოებით 50 მილიარდი, ხოლო იარაღით უკანონო ვაჭრობას – 40 მილიარდი აშშ დოლარი მოაქვს. მთლიანობაში უკანონო ეკონომიკის წლიური ბრუნვა დაახლოებით 1 ტრილიონი დოლარია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით 1 ტრილიონ დოლარად არის შეფასებული ასევე კორუფციული ეკონომიკა. ჩრდილოვანი ეკონომიკის სამივე სექტორი ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას. FATF-ის მონაცემებით ლეგალიზაციის საერთო თანხა აჭარბებს 3 ტრილიონ აშშ დოლარს წელიწადში.[39,გვ.92] ამდენად, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას აქცევს დანაშაულებრივი ორგანიზაციებისა და კრიმინალური ინდუსტრიის ფუნქციონირების ჩვეულებრივ საშუალებად;
- ეკონომიკური ხასიათის შემდეგ ფაქტორად მიიჩნევა დანაშაულებრივი სამყაროს მიერ უზარმაზარი მოგების მიღების შესაძლებლობა. გაეროსა და მსოფლიო ბანკის მონაცემებით ნარკობიზნესს დანაშაულებრივი სამყაროსათვის წელიწადში 200 მილიარდი დოლარი მოგება მოაქვს. ნარკოტიკების ბრუნვის დაახლოებით 65% ნაღდი ფულის ბრუნვაზე მოდის, ამიტომ ნარკოსაქმოსნები ცდილობენ, ასეთი დიდი რაოდენობის ნაღდი ფული როგორმე მოაქციონ უნაღდო ბრუნვაში, რისთვისაც, ბუნებრივია, ფულის გათეთრების სხვადასხვა ხერხებსა და მეთოდებს

მიმართავენ. ამდენად, როგორც აღვნიშნეთ კრიმინალური ინდუსტრიის სფეროს გაფართოება ზრდის „მოთხოვნას“ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს დამნაშავეთა სამყაროს მიერ სტაბილური მოგების მიღების შესაძლებლობას (რაც პრაქტიკულად დანაშაულის ჩადენის მოტივიცაა);

- ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაცია და წამყვანი სახელმწიფოების განვითარების პოსტინდუსტრიულ ტიპზე გადასვლა. პოსტინდუსტრიული ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მომსახურების სფეროს მაღალი ხვედრითი წილი (დაახლოებით 60%-ზე მეტი). მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში მომსახურების სფეროს ხვედრითი წილი 66,5%, წარმოების – 29,4%, ხოლო სოფლის მეურნეობის – 4,1%-ია მსოფლიო [39, გვ.93] ჩრდილოვანი ბიზნესისათვის გაცილებით მარტივია შეაღწიოს მომსახურების სფეროში, ვიდრე რეალურ წარმოებაში. შესაბამისად ამ სფეროს ზრდა ქმნის პირობებს უკანონო ოპერაციების შესანიღბად;
- „საინვესტიციო შიმშილი.“ ცალკეული სახელმწიფოები არალეგალური კაპიტალის მიზიდვის პირობების შექმნით ცდილობენ, ეკონომიკური განვითარების დაფინანსების კანონიერი წყაროების არარსებობის გარკვეული კომპენსირება მოახდინონ (როგორც წესი, განვითარებადი ქვეყნები დიღემის წინაშე არიან – დაუშვან არალეგალური კაპიტალის შემოდინება, თუ შეეგუონ ფულადი ნაკადის საერთოდ არარსებობას [59, გვ.38]). ცალკეულ ეკონომისტთა მოსაზრებით, საბაზრო ეკონომიკისთვის არ აქვს მნიშვნელობა ეკონომიკურ ბრუნვაში ლეგალური კაპიტალი ერთვება თუ - არალეგალური. ასეთ შეხედულებას, ბუნებრივია, ვერ დავეთანხმებით. ერთი შეხედვით, ლეგალურ ბრუნვაში კრიმინალური კაპიტალის გამოყენებას კანონიერი მეწარმეობის განვითარების საქმეში საზოგადოებისთვის მოაქვს აშკარა სარგებლობა - მუშაობს საწარმოები, საქმდება მოსახლეობა, მზადდება პროდუქცია, ბიუჯეტში ირიცხება გადასახადები. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლეგალურ ბრუნვაში ჩართული და „სახეცვლილი“ ფული არც თუ იშვიათად რეინვესტირდება ისევ კრიმინალურ საქმიანობაში, სამეწარმო სფეროში ამკვიდრებს დანაშაულებრივი სამყაროს წეს-ჩვეულებებს, ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს გზას უხსნის დიდი პოლიტიკისკენ. ეს ყველაფერი იწვევს საზოგადოების დაძაბვას, სუფთა ბიზნესის წარმოების

მომხიბვლელობის დაქვეითებას, ბაზრის კანონმორჩილი სუბიექტების ინვესტიციების გადინებას და, როგორც წესი, შედეგად ღრმავდება ეკონომიკური კრიზისი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვინდა მოვიშველიოთ FATF-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ე. იანგის მოსაზრებები, რომლებიც მან 1994 წელს სტრასბურგის კონფერენციაზე გამოთქვა ფულის გათეთრების სოციალურ შედეგებსა და მის კანონიერ ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბებთან დაკავშირებით. კერძოდ, ფულის გათეთრების გავრცელების ძირითად საშიშროებებად მის მიერ დასახელდა:

„პირველი – ფულის გათეთრების აღკვეთის წარუმატებელი ცდები ქმნის დასუფხვლობის ატმოსფეროს დამნაშავეთა სამყაროში. ეს გარემოება კი დანაშაულს უფრო მიმზიდველ საქმიანობად აქცევს, ხოლო დანაშაულობის მაღალი დონე (განსაკუთრებით, ორგანიზებული დანაშაულის) ასუსტებს საზოგადოების საფუძვლებს და ემუქრება მის სამართლებრივ ნორმებს;

მეორე – ფულის გათეთრების აღკვეთის წარუმატებელი ცდები დამნაშავე ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს დაუბრკოლებლად დააფინანსონ თავისი შემდგომი საქმიანობა;

მესამე – დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ ცალკეული ფინანსური დაწესებულებების ყოველგვარი კონტროლის გარეშე გამოყენება საბოლოო ჯამში სახელმწიფოში ზიანს აყენებს მთელ ფინანსურ სისტემას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში (თუ გამოყენებული ფულის წყარო თავისი შინაარსით დანაშაულებრივია, მაშინ იგი საშიშროებას უქმნის მთელი ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობას);

მეოთხე – დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ ფინანსური და ეკონომიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება საბოლოო ჯამში შეიძლება მოშალოს ამ ქვეყნების ეროვნული ეკონომიკა და მისი დემოკრატიული ინსტიტუტები.

ე. იანგის მოხსენებაში გაანალიზებულია კონტრარგუმენტებიც, კერძოდ:

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ბევრი პოლიტიკოსი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ფულს სუნი არ ახდის, რომ ფული ფულია, მიუხედავად იმისა კანონიერი თუ დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული;

ოპონენტები თვლიან, რომ დანაშაულებრივი გზით სხვა ქვეყნებში მოპოვებული ფული სახელმწიფოს არავითარ ზიანს არ აყენებს, რადგან ფინანსურ დაწესებულებაში გაივლის, როგორც სხვა ნებისმიერი ფული. ამ არგუმენტის მომხრენი ამბობენ, რომ ქვეყანას ეკონომიკური განვითარებისათვის ესაჭიროება ფული, ხოლო ჭუჭყიან ფულთან ბრძოლა დააბრკოლებს ინვესტიციების განხორციელებას და ხელს შეუშლის თანამედროვე ფინანსური სისტემის განვითარებას;

ოპონენტები ასევე ამტკიცებენ, რომ ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული კანონები და დებულებები არ შეესაბამება ეკონომიკისა და კერძოდ, ფინანსური სექტორის ლიბერალიზაციის პრინციპებს. მათი აზრით, ფულის გათეთრებასთან ბრძოლა ფინანსური ცენტრების მხოლოდ ხრიკი ან ტაქტიკური სვლაა, რომლებიც ცდილობენ თავისი პოტენციური მეტოქეები არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენონ.

ე. იანგი აღნიშნავს, რომ თითოეული ეს კონტრარგუმენტი დამაჯერებლად გვეჩვენება, მაგრამ თუ ღრმად ჩაუფიქრდებით, ყველა მცდარია და არა უბრალოდ მცდარი, არამედ ძალიან საშიში, მით უმეტეს გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნების ეკონომიკისათვის. „ფულს აქვს სუნი“- თვლის ე. იანგი. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული არა ეკონომიკის განვითარებას ან სხვა ფინანსური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არამედ ახალი დანაშაულის ჩადენას ხმარდება, რაც ეკონომიკის მოშლას უწყობს ხელს. დებულება იმის შესახებ, თითქოს ფულის გათეთრებასთან ბრძოლა ხელს უშლიდეს საერთაშორისო თანამშრომლობის ეკონომიკურ განვითარებას, FATF-ის ხელმძღვანელობის აზრით, განსაკუთრებით მავნეა. ასე რომ, „საინვესტიციო შიმშილის“ პირობებში არალეგალური ინვესტიციების მოზიდვამ ქვეყნის ეკონომიკას შესაძლებელია მხოლოდ დროებით დადებითი შედეგები მოუტანოს. ბუნებრივია, ეკონომიკა ლიბერალიზებული უნდა იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს კონტროლის მოდუნებას დამნაშავეების ქმედებათა მიმართ.”[10, გვ.229-231]

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის პროცესზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ხასიათის ფაქტორები. დანაშაულობის, მათ შორის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელია, რომ ქვეყნის პოლიტიკური სისტემა და დანაშაულობაზე კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიები სრულყოფილად

და მკაფიოდ იქნას ჩამოყალიბებული. ფულის გათეთრების მასტიმულირებელ სახელმწიფო-პოლიტიკურ მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება მოვიაზროთ:

- სახელმწიფო ნების არარსებობა ებრძოლოს ამ მოვლენას. ფულის გათეთრება დანაშულის ის კატეგორიაა, რომლის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელია მკაფიოდ ფორმულირებული სახელმწიფო ნების არსებობა და მისი რეალიზება როგორც კანონმდებლობაში, ასევე ადმინისტრაციულ მექანიზმებში. სწორედ ქვეყნის ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მკაცრად გაკონტროლდეს ქვეყანაში შემოდინებული ინვესტიციების წარმომავლობის კანონიერება, საფინანსო სისტემაზე კონტროლის დამყარება ვერ შეძლონ დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა და სხვ.
- მთავრობის უსუსურობა. ხელისუფლების უსუსურობად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, მაკონტროლებელი ორგანოები, მაგრამ არ არის საკმარისი მატერიალური, ფინანსური თუ ტექნიკური რესურსები დანაშაულის აღსაკვეთად. ფულის გათეთრების აღმკვეთი სისტემის ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს თავად მოვლენის მასშტაბებს. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სისტემისათვის ასევე უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფა - მრავალფუნქციურ და მრავალდარგობრივ მონაცემთა ბანკის სახით. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საკმაოდ სოლიდურ სახსრებთანაა დაკავშირებული.
- საკანონმდებლო ხარვეზები – ფულის გათეთრების აღკვეთის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ნორმატიული ბაზა პასუხობდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მოთხოვნებს, მაქსიმალურად ასახავდეს ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს და არ ითვალისწინებდეს ისეთ საკანონმდებლო გამონაკლისებს, რომლებითაც შესაძლოა ისარგებლონ დამნაშავეებმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ოპერაციების განხორციელებისას.[27, გვ.88]
- კორუფცია. არ შეიძლება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრობლემის გადაჭრა კორუფციისგან იზოლირებულად. როგორც აღვნიშნეთ, კორუმპირებული ჩინოვნიკები, ერთის მხრივ, წარმოადგენენ

ფულის გათეთრების „მომსახურების“ ყველაზე აქტიურ მომხმარებლებს, ხოლო მეორეს მხრივ - პრაქტიკულად ლეგალიზაციის ყველა მექანიზმში გამოიყენება კორუფციული კავშირები. შესაბამისად, ქვეყანაში, სადაც კორუფციის მაჩვენებლები მაღალია, მაღალია უკანონო სახსრების ლეგალიზების მაჩვენებლებიც.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხელშემწყობ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში განხორციელებული ტექნოლოგიური პროგრესი - ბანკთაშორისი საკომუნიკაციო ქსელის შექმნა საერთაშორისო ანგარიშსწორების საწარმოებლად, ინტერნეტ ტექნოლოგიები, მობილური სატელეფონო კავშირი, პლასტიკური ბარათები და სხვ. ყოველივე ამან ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია, სახსრების მსოფლიოს ერთი წერტილიდან მეორეში წამიერი გადატანის შესაძლებლობა შექმნა და თავისთავად განაპირობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მასშტაბების ზრდა. ფულის გათეთრება ტრანსნაციონალური დანაშაულია და, ბუნებრივია, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალება მეტად მოქნილად გამოიყენება დამნაშავეების მიერ სახსრების ლეგალიზებისას. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე ტექნოლოგიებმა ახალი სტიმული შექმნა, როგორც კანონიერი სამეწარმეო, ასევე კრიმინალური საქმიანობისთვის. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებმა გააიოლა კონტაქტის დამყარება საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, თანამედროვე საბანკო საქმიანობამ კი დააჩქარა და გააადვილა საერთაშორისო გარიგებების განხორციელების პროცედურა.

კონკრეტული ხასიათის დეტერმინანტებს შორის, რომლებიც ეხება უშუალოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სფეროს, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ფულის გათეთრების პროცესის „ზარდი პროფესიონალიზაცია.“ ლაპარაკია ფულის გათეთრების სფეროში, ფაქტობრივად სპეციალისტთა გარკვეული სახის გილდიის შექმნაზე, რომელშიც შედიან ბანკირები, იურისტები, ბუღალტრები.[7,გვ.219] ისინი არანაირად არ არიან დაკავშირებულნი კრიმინალურ სამყაროსთან, გარდა იმისა, რომ გეგმავენ და უზრუნველყოფენ უკანონო შემოსავლების წყაროს დაფარვასა და სხვა ოპერაციებს, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ ამ შემოსავლებს კანონიერი სახე მიეცეს და შემდგომში ლეგალურ ბიზნესში ჩაიდოს. სანაცვლოდ კი იღებენ საკმაოდ სოლიდურ საკომისიოს (სტანდარტული ჰონორარი გასათეთრებელი

თანხის 6-8%-ს შეადგენს).[8,გვ.325] აღნიშნული ფაქტორის არსებობა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მოითხოვს ადეკვატური ზომების გატარებას, რითაც ისინი შეძლებენ წინ აღუდგნენ ზემოაღნიშნული სახეობის სპეციალისტების „პროფესიონალიზმს.“[14,გვ.33]

მნიშვნელოვანი კონკრეტული ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, არის ასევე შესასწავლი პროცესის სულ უფრო და უფრო მზარდი „ინტერნაციონალიზაცია,“ რაც გამოწვეულია საფინანსო ბაზრის ინტეგრაციით, უკანონო შემოსავლების მიმღები პირების მიერ მასშტაბური ბაზრების დაპყრობის ამბიციითა და მცდელობით, თავი აარიდონ თავიანთი საქმიანობის გამოვლენას შავი ფულის კონცენტრაციის ხარჯზე იმ ქვეყნებში, რომლებშიც არ ხორციელდება ფინანსური კონტროლი ან აქვს არსებითი ნაკლოვანებები (მაგალითად, რიგ ქვეყნებში მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ბანკები ვალდებული არიან, საექვო გარიგებებზე აცნობონ სამართალდამცავ ორგანოებს, არ ეხება ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს, ან სამართალდამცავ ორგანოებს ამ კუთხით აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები). ამ თვალსაზრისით, ფულის გათეთრების ერთ-ერთ უმთავრეს და მიმზიდველ საშუალებად ისევ რჩება ოფშორული ფირმები, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას, განხორციელდეს ფინანსური ოპერაციები საიდუმლო გარემოში და, ამასთან, შემოსავლები თავისუფალი იყოს საგადასახადო დაბეგვრისაგან.

იმ ძირითადი ფაქტორების შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე, განაპირობებს მის არსებობასა და განვითარებას, გვაძლევს შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას:

1) მოვლენები და პროცესები, რომლებიც განმაპირობებელი ფაქტორების სახით გავლენას ახდენენ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ხასიათისაა. მათი სისტემა მუდმივ შესწავლას საჭიროებს, ვინაიდან, ეკონომიკური ურთიერთობის სწრაფი ცვლილებების გამო, ეს ფაქტორებიც სწრაფად იცვლება.

2) ზოგადსოციალური დონისძიებების ადეკვატური სისტემის შემუშავების თვალსაზრისით, საჭიროა განხილული ზოგადი ხასიათის ფაქტორების ერთობლიობის ანალიზი, რაც მიმართული იქნება ფულის გათეთრების პროცესზე მათი გავლენის მინიმიზაციისკენ.

3) განსაკუთრებით დეტალურ ანალიზს მოითხოვს კონკრეტული ხასიათის ფაქტორები, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სფეროში შექმნილ სიტუაციაზე რეაგირების მოსახდენად სპეციალურ-კრიმინოლოგიური ღონისძიებების (ზომების) შემუშავება.[45]

ბოლოს, შესაჯამებლად ჩამოვთვლით იმ ფაქტორებს, რომლებიც ფულის გათეთრების შესახებ სხვადასხვა სახელმძღვანელოსა და კვლევაშია დასახელებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხელშემწყობ მიზეზებად და პირობებად:

1. მოსახლეობისა და ბიზნესის არაოფიციალური შემოსავლების დიდი ხვედრითი წილი, პარალელური ეკონომიკის ან „შავი ბაზრის“ არსებობა;
2. ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაზე კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმების არასრულყოფილება; სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ფინანსური საქმიანობის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების შეუსრულებლობა;
3. საფინანსო და არასაფინანსო ინსტიტუტების დაარსების არაადეკვატური პროცედურა (მაგალითად, შესაძლებლობა ზედმეტი სირთულეების გარეშე შეიძინო ბანკი ან დააარსო არცთუ დიდი ოდენობის საწესდებო კაპიტალით);[33,გვ.28]
4. გამჭვირვალობის არასაკმარისი მოთხოვნები ფინანსურ ოპერაციებსა და აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებით;
5. ანონიმური ანგარიშებისა და ფინანსური ინსტრუმენტების, მათ შორის, აქციებისა და ობლიგაციების არსებობა, რომლებითაც შესაძლებელია „წარმომდგენზე“ სახსრების განადგობა.
6. ფულადი სახსრების მოძრაობაზე კონტროლის მექანიზმების არარსებობა;
7. ორგანიზაციებისა და ბანკების მიერ ოპერაციების წარმოებისას ოფშორული კომპანიების ფართო გამოყენება;
8. ქვეყნის შიგნით „თავისუფალი სავაჭრო ზონის არსებობა,“ რაც შესაბამის ინსტიტუტებზე კონტროლისა და ოპერაციების წარმოების რეგულირების შედავათიან წესებს ითვალისწინებს;

9. ფულის გათეთრების აღმკვეთი ადმინისტრაციული მექანიზმის არაეფექტურობა (სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთთანამშრომლობისა და ერთობლივი მოქმედებების არაეფექტურობა როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და სახელმწიფოთა შორის დონეებზე; ოპერატიული და საგამოძიებო ორგანოების სუსტი პოტენციური ფინანსური დანაშაულობების წინააღმდეგ საბრძოლველად);
10. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი სუსტი იურიდიული ბაზა (სისხლის სამართლის ნორმების არასრულყოფილება, განსახილველ სფეროში სამართლის ნორმების განსხვავებული განმარტებები);
11. დანაშაულის მაღალი ლატენცია;
12. მოცემულ საქმეებზე არასაკმარისი სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკა;
13. სახელმწიფო, სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებში, ასევე საფინანსო სექტორში კორუფციის არსებობა.[28, გვ.71-73]

§2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაცია საქართველოში

წინა პარაგრაფში ჩვენ ვისაუბრეთ იმ ძირითად მიზეზებსა და პირობებზე, რომლებიც ხელს უწყობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ზემოთგანხილულ ფაქტორთა უმეტესობა სხვადასხვა მოცულობითაა წარმოდგენილი.

აუცილებელია ყურადღება დაეთმოს სოციალურ-ზნეობრივი და ფსიქოლოგიური ხასიათის ფაქტორებს, ვინაიდან ადამიანისთვის დამახასიათებელია ჯერ შესაძლებელი ქმედებების იდეოლოგიის სახით საკუთარი პოზიციის ფორმირება და შემდგომ მოქმედება, რომლითაც უკვე ქმნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა შედეგებს. ქართულ სინამდვილეში ამ ტიპის ფაქტორებს შორის შეიძლება გავიხილოთ საკმაოდ გავრცელებული სამართლებრივი ნიჰილიზმი. მართლია საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კანონმორჩილია, მაგრამ ამ კუთხით ის მაინც არ განეკუთვნება ისეთი ქვეყნების რიგს, როგორც

მაგალითად გერმანიაა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოქალაქეების ძირითად ნაწილს ზოგადი წარმოდგენა აქვს ფულის გათეთრებაზე, თუმცა, უმეტესობას მიაჩნია, რომ სამოქალაქო სექტორს ამ დანაშაულის აღკვეთის საქმეში მხოლოდ უმნიშვნელო როლის შესრულება შეუძლია. თუ ეს ფსიქოლოგია არ შეიცვლება, მოსახლეობა ვერ გაუწევს დახმარებას სამართალდამცავ სტრუქტურებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საქმეში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრიმინალურ სიტუაციაზე ძლიერ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს შემოსავლების მიხედვით ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მკვეთრი პოლარიზაცია. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ საკმაოდ მძიმეა, რაც ზრდის რისკს, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ მოხდეს რიგითი მოქალაქეების ჩართვა ფულის გათეთრების სქეებში.

მოსახლეობის სამართლებრივი განათლების დონის განსაზღვრის მიზნით შეგვიძლია მოვიშველიოთ წინა თავში განხილული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესპოდენტებს ძირითადად სწორი წარმოდგენა აქვთ ლეგალიზაციის არსზე, მის მაპროვოცირებელ ფაქტორებსა და თანმდევ შედეგებზე, თუმცა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მიმართულებით ცნობიერების დონის ამაღლება. ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობისას რიგითი მოქალაქეები უნდა ფლობდნენ და ითვისებდნენ ამ სფეროში არსებული წესების დაუცველობის იურიდიულ შედეგებს, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს შემოსავლების ლეგალიზებასთან დაკავშირებულ უკანონო საქმიანობაში მათი ჩართვა.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მაპროვოცირებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ჩრდილოვანი ეკონომიკაა. მსოფლიო ბანკის 2002 წლის მონაცემებით მშპ-თან მიმართებით ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი საქართველოში 70%-ს შეადგენდა, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკაში მას დომინირებული მდგომარეობა ეკავა.[6,გვ.52] დღეისათვის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩრდილოვანი ეკონომიკის „აღრიცხვა“ არ ხდება (რაც მის არარსებობას არ ნიშნავს). დაანგარიშებულია მხოლოდ ე.წ. დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი, რომელიც ბოლო წლებში დაახლოებით 20%-ს შეადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით კონკრეტული

დასკვნები გავაკეთოთ, თუმცა ერთი რამ ფაქტია, საბანკო სისტემაში კრედიტების გაცემისას დღემდე ნორმად მიიჩნევა ე.წ. „შავი ბუღალტერიის“ მონაცემების გათვალისწინება, რაც, ბუნებრივია, მიუღებელია.

ორგანიზაციებისა და ბანკების მიერ ოპერაციების წარმოებისას მეტად გავრცელებულია ოფშორული კომპანიების გამოყენება. არსებობს ფაქტორთა კომპლექსი, რომელიც საქართველოში ოფშორული ბიზნესის განვითარების სტიმულირებას ახდენს. მათგან ძირითადს შეიძლება მივაკუთვნოთ მაღალი გადასახადები და ნაკლებეფექტური ფისკალური პოლიტიკა, საინვესტიციო რისკები და ოფშორული სქემების გამოყენება საქართველოში საინვესტიციო ობიექტების ფლობის ფაქტის დასაფარავად.

ჩვენს ქვეყანაში ნაღდი ფულის ბრუნვა ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილია ფულის გათეთრების პრევენციის თვალსაზრისით. ნაღდი ფული აქტიურად გამოიყენება არა მხოლოდ მოქალაქეების, არამედ სამეწარმეო სუბიექტების მიერაც. იღება გარიგებები და შესაბამის იურიდიულ დოკუმენტაციაში ფიქსირდება მხოლოდ თანხის ნაწილი, რეალური თანხის გადახდა კი ხდება ნაღდი ფორმით და ძირითადად უცხოური ვალუტით. აღნიშნული გარემოება არსებითად აქვეითებს სახელმწიფოს შესაძლებლობას, გააკონტროლოს ფულის ბრუნვა და, შესაბამისად, ზრდის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის რისკს.

უნდა აღინიშნოს, რომ 90-იანი წლების საქართველოში არ არსებობდა არც პოლიტიკური ნება და არც შესაბამისი რესურსები ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად. დროისა და სიტუაციის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის ფორმირება ქვეყანაში მიმდინარე ურთიერთობების განვითარების ტემპს აშკარად ჩამორჩებოდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებამ აქტიური ბრძოლა გააჩაღა კანონიერი ქურდების, ორგანიზებული დანაშაულობის და კორუფციის წინააღმდეგ, რაც ავტომატურად აისახება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის მასშტაბების მაჩვენებლებზეც. სახელმწიფოს შესაბამისი ნების არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფულის გათეთრების ეფექტური აღკვეთისათვის. ფულის გათეთრებას „თეთრსაყელიანთა“ დანაშაულს უწოდებენ. მას ძირითადად ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები სჩადიან, ამიტომაც აუცილებელია ხელისუფლების მკაფიოდ გამოხატული ნება, რომ მთავრობის ზედა ეშელონებში გამოირიცხოს ამ დანაშაულის გავრცელება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელია შესაბამისი

მატერიალური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების არსებობა და ამ მიმართულებით სათანადო ღონისძიებები კვლავ გასატარებელია.

ქართული კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამება უკანონო შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა არსებობს ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც დამნაშავეების მიერ პოტენციურად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ფულის გათეთრების ოპერაციების დაგეგმვისას. მაგალითად - მონიტორინგის განმახორციელებელ პირთა კატეგორიას არ განეკუთვნებიან საგადასახადო კონსულტანტები და იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელი პირები, ამდენად დამნაშავეებისათვის პრობლემას არ წარმოადგენს ფულის გათეთრების ოპერაციების დაგეგმვისას გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ მათი კონსულტაციით სარგებლობა; კანონმდებლობაში მკაფიოდ არ არის ფორმულირებული ბენეფიციარების, სახსრების წარმომავლობის დადგენის სპეციალური ზომები და სხვ.

ფულის გათეთრების საქმეების ეფექტური გამოძიებისათვის სამართალდამცავ სტრუქტურებში აუცილებელია სპეციალური ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე თანამშრომლების არსებობა. როგორც აღვნიშნეთ, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მომზადების დონე არ შეესაბამება აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მოთხოვნებს. სტატისტიკაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოპერატიულ და საგამოძიებო ორგანოებს სუსტი პოტენციალი აქვთ, ზოგადად, ფინანსური დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოცემულ საქმეებზე არასაკმარისია ასევე სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკა, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელია ლეგალიზაციის სქემების ტიპოლოგიის დადგენა და ამ გზით პრევენციული ზომების ქართულ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

რაც შეეხება თანამედროვე ტექნოლოგიებს, ბუნებრივია, მათი განვითარება ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც აადვილებს ფულის გათეთრების ოპერაციების განხორციელებას. საბანკო სისტემაში მუდმივად ინერგება ახალი პროდუქტები, დაფუძნებული ინტერნეტ თუ მობილურ ტექნოლოგიებზე, აქტიურად გამოიყენება პლასტიკური ბარათები, სწრაფი გადახდის აპარატები, კლიენტების დისტანციური მომსახურება ამ საშუალებებით.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველო, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ერთ-ერთ „მიმზიდველ“ ადგილად შეიძლება იქცეს ფულის „გამთეთრებლებისთვის.“ ჩვენი ქვეყანა ევროპისა და აზიის გადაკვეთაზე მდებარეობს და სწორედ ამ მიმართულებით მოძრაობს ნარკოტიკების ნაკადი, ამასთან, საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება და, სავარაუდოდ, კონტრაბანდის, ნარკობიზნესისა და სხვადასხვა სახის ორგანიზებული დანაშაულობის კერას წარმოადგენს.

დასასრულს, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ე. შვეარდნაძის მმართველობის პერიოდისაგან განსხვავებით, დღესდღეობით საქართველოში აღმოფხვრილი ან მინიმალიზებულია ფულის გათეთრების გამომწვევი უმეტესი ფაქტორების მოქმედება, შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობა, ზედამხედველი ორგანოების მწყობრი სისტემა, შემცირებულია კორუფციის მაჩვენებლები. ამასთან, არსებობს ცალკეული ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრისათვის საჭიროა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება.

თავი IV უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა

§1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემა. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკაში განხორციელებულ ეკონომიკურ ცვლილებებს, სათანადო ყურადღება არ მიაქციეს წამყვანი სახელმწიფოების მთავრობებმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა. მსოფლიო გახდა გლობალური. კოლოსალური ფინანსური ნაკადები თავისუფლად და წამიერად გადაიტანება ელექტრონული ქსელის მეშვეობით და თავსდება ოფშორებში. ტრანსნაციონალური ორგანიზაციების სიძლიერემ ნაციონალური მთავრობების ნაღდ რესურსებსაც კი გადააჭარბა. სწორედ ამ ნიადაგზე განვითარდა საერთაშორისო დანაშაულობა, რომელმაც იმ პერიოდისათვის თავისი სიძლიერის პიკს მიაღწია. მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს აღმოაჩინეს წამყვანი სახელმწიფოების მთავრობებმა, რომ რეალური ძალაუფლება ხელიდან ეცლებოდათ. ამავე პერიოდში მოულოდნელად, მარტივად და სწრაფად დაინგრა სოციალისტური სისტემა, რამაც ეკონომიკური ქაოსი გამოიწვია ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებში.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში გადამჭრელი ზომები იქნა მიღებული საერთაშორისო დანაშაულობის აღკვეთისა და მისი დაფინანსების წყაროების ბლოკირებისთვის. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საფუძვლები ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მწყობრივი სისტემა უმოკლეს დროში შეიქმნა.

ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულობისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში წამყვან როლს ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო). მის სტრუქტურაში შედის ცალკეული დანაყოფები და დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან. ცენტრალური ადგილი უჭირავს ნარკოტიკებზე კონტროლისა და დანაშაულის პრევენციის სამმართველოს. გაეროს გენერალური ასამბლეის მე-20 სესიის გადაწყვეტილების

შესაბამისად, 1999 წელს ზემოაღნიშნულმა სამმართველომ შეიმუშავა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გაეროს გლობალური პროგრამა. ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემების შესწავლაში დიდი წვლილი შეაქვს ასევე დანაშაულობის და მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებულ გაეროს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

ფულის გათეთრების, მასთან დაკავშირებული ტერორიზმის დაფინანსებისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნები გაცხადებულია გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტში - ათასწლეულის დეკლარაციაში, რომელიც დამტკიცებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 08.09.2000 წლის 55/2 რეზოლუციით. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ გაეროს წევრი ქვეყნები გამოთქვამენ მზაობას:

- განახორციელონ ურთიერთშეთანხმებული ქმედებები საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და რაც შეიძლება მაღე შეუერთდნენ ყველა შესაბამის საერთაშორისო კონვენციას;
- გააორმაგონ ძალისხმევა, რათა უზრუნველყონ ნაკისრი ვალდებულება ნარკოტიკების მსოფლიო პრობლემის აღმოსაფხვრელად;
- გაააქტიურონ ბრძოლა ტრანსნაციონალური დანაშაულობის წინააღმდეგ ყველა ასპექტში, მათ შორის ადამიანებით ვაჭრობისა და ფულის გათეთრების კუთხით.

1989 წლის ივლისში, პარიზში „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების მეთაურების შეხვედრაზე შეიქმნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (Financial Action Task Force on Money Laundering - FATF), რომელიც მალევე იქცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ მებრძოლ ყველაზე ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციად. FATF-ის მიზანია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ღონისძიებების განვითარება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ამ მიმართულებით ერთიანი პოლიტიკის წარმართვა, საბანკო სისტემისა და ფინანსური ინსტიტუტების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით გამოყენების აღსაკვეთად ოპერატიული ღონისძიებების ყოველმხრივი შეფასება; საკანონმდებლო აქტების, პროექტების (ეტალონის, ნიმუშების) შემუშავება, ასევე მონაწილე ქვეყნების კოორდინაციის დონის გაზრდა.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალურ ჯგუფს არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული წესდება. მისი მისია ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ექვემდებარება გადასინჯვას. ჯგუფში გაწევრიანებული სახელმწიფოს წარმომადგენელი მინისტრები 2004 წელს შეთანხმდნენ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის მანდატის გაგრძელებაზე 2012 წლამდე. ფინანსურ ქმედებათა სპეციალურ ჯგუფში ამჟამად 34 წევრია: 32 სახელმწიფო და ორი საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია – ევროკომისია და სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო (Gulf Cooperation Council).[70] FATF-ის ოფისი განთავსებულია OECD-ს (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის) შენობაში პარიზში.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი თავისი საქმიანობის კოორდინირებას ახდენს გაეროსთან, ევროსაბჭოსთან, მსოფლიო ბანკთან, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, ინტერპოლთან, საერთაშორისო თანამშრომლობის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. FATF-ის სტრუქტურაში შედის სამი სამუშაო ჯგუფი, რომლებიც დაკავებულნი არიან:

- სტატისტიკისა და დამნაშავეების მიერ გამოყენებული სქემების შესწავლით;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხებით;
- რეკომენდაციების, კონკრეტული წინადადებებისა და ადმინისტრაციულ-ფინანსური ზომების შემუშავებით.[24, გვ.11-12]

FATF-ის საქმიანობაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

1) რეკომენდაციების შემუშავება ფულის გათეთრების აღსაკვეთად. 1990 წლის თებერვალში FATF-მა შეიმუშავა 40 სპეციალური რეკომენდაცია, რომელიც კომპლექსური სამართლებრივი და ფინანსური ღონისძიებების გატარების გზით მიზნად ისახავს ეროვნულ დონეზე ფულის გათეთრების პროცესის აღკვეთის ხელშეწყობას. აღნიშნული რეკომენდაციები საერთაშორისო სტანდარტად იქცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

1996 წლის ივნისში ეს რეკომენდაციები გადაიხედა იმ მიზნით, რომ მომხდარიყო მათი ადაპტაცია ფულის გათეთრების სფეროში მიმდინარე მსოფლიო

ტენდენციებთან, კერძოდ, ლეგალიზაციის ახალ ტექნოლოგიებთან (როგორც არის ფინანსური მომსახურების სფეროში ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების გამოყენება).

2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ FATF-მა ვაშინგტონში 2001 წლის 29-30 ოქტომბერს, მორიგ პლენარულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კუთხით საქმიანობის გაფართოებასა და ამ მიმართულებით მსოფლიო მასშტაბით მონიტორინგის ჩატარებაზე. დადებითად შეფასდა ახალი საერთაშორისო სტანდარტები – 9 სპეციალური რეკომენდაცია ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საბრძოლველად და შედგენილ იქნა ამ რეკომენდაციების განხორციელების სამოქმედო გეგმა. 2003 წლის ივნისში, განზოგადებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა 40 რეკომენდაცია ახალი რედაქციით.

2) FATF იკვლევს და ახდენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ძირითადი სქემების კლასიფიცირებას. ეს შედეგები ეხმარება შესაბამის ნაციონალურ ორგანოებს უფრო ეფექტურად ებრძოლონ ფულის გათეთრებას.

3) FATF-ის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობებისა და მოქმედი პრაქტიკის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის FATF-ის 40 რეკომენდაციასთან შესაბამისობის შეფასება.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომისია ყურადღებით აკვირდება, სრულდება თუ არა და რამდენად ეფექტურად მისი რეკომენდაციები. შედგენილი მოხსენებები ეგზავნებათ მონაწილე ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებს. 2000 წლის ივნისში FATF-მა პირველად გამოაქვეყნა იმ ქვეყნების „შავი სია“ (NCCT list), რომლებიც არ თანამშრომლობდნენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. ამ სიაში მოხვდნენ რუსეთის ფედერაცია, ბაჰამის, კაიმანის, კუბას კუნძულები, დომინიკა, ისრაელი, ლიბანი, ლიხტენშტეინი, მარშლის კუნძულები, ნაურუ, ნიუე, ფილიპინები, წმინდა კიტსი და ნევისი და სხვ.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის შეფასება FATF-ის სპეციალური მეთოდის მიხედვით ხდება. იმ შემთხვევაში, თუ შიდაეროვნულ კანონმდებლობაში FATF-ის მოთხოვნების ასახვის

თვალსაზრისით არ შეიმჩნევა პროგრესი და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ქვეყნის პოლიტიკა დამაიმედებელ სურათს არ იძლევა, FATF სვამს საკითხს ასეთი ქვეყნის მიმართ ეკონომიკური სანქციების გამოყენების თაობაზე. ასეთი სანქციები იქნა გამოყენებული 2001 წელს ნაურუს, ხოლო 2002 წელს უკრაინასთან მიმართებით.

4) FATF-ის საქმიანობის კიდევ ერთ მიმართულება იმ ქვეყნების მდგომარეობის მონიტორინგია, რომლებიც განსაკუთრებით ინტენსიურად გამოიყენება საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულობის მიერ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისთვის.

5) ფინანსურ, იურიდიულ და საკანონმდებლო პრობლემებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების მოწეობა.

6) FATF-ის საქმიანობის შემდეგი მიმართულება მონათესავე რეგიონული ორგანიზაციების ფორმირებაა. სწორედ FATF-ის ინიციატივით შეიქმნა ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL), კარიბის ზღვის ქვეყნების ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფი, აზიისა და წყნარი ოკეანის ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფი, ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი აფრიკული ჯგუფი, ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი ევრაზიის ჯგუფი. ეს ჯგუფები უკვე აერთიანებს 100-ზე მეტ ქვეყანას.

7) მონაწილეობის მიღება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფინანსური დაზვერვის ქვედანაყოფის (ფინანსური მონიტორინგის სამსახურის) შექმნაში, რომლის ძირითადი საქმიანობაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენა და ფინანსური სამართალდარღვევების აღმკვეთი კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფაა.

8) ახალი წევრების მოზიდვა. FATF-ის პროგრამულ დოკუმენტებში დასახული მიზნების განსახორციელებლად FATF ფართოვდება. ამისათვის ის იერთებს იმ სტრატეგიულ ქვეყნებს, რომლებსაც შეუძლიათ კონკრეტულ რეგიონში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. FATF ახალი წევრების არჩევისას ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

8.1) პრეტენდენტი ქვეყნები სავალდებულოა იცავდნენ FATF-ის რეკომენდაციებს; ასევე სავალდებულოა ყოველწლიური თვითშემოწმებისა და წევრი-სახელმწიფოების მიერ ერთმანეთთან მიმართებით შემოწმების 2 „რაუნდის“ გავლა; თუ არსებობს FATF-ის შესაბამისი რეგიონული ორგანო, მისი სრულუფლებიანი წევრობა; FATF–თან თანამშრომლობისათვის მზაობა და საჭიროების შემთხვევაში FATF-ის შესაბამისი რეგიონული ორგანოს შექმნის ხელმძღვანელობა;

8.2) ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობა;

8.3) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული ქმედებების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასახვა;

8.4) შესაბამისი კანონმდებლობით კლიენტების იდენტიფიცირებისა და საექვო და უზვეულო გარიგებების შესახებ ანგარიშგების წარმოების ვალდებულების დაწესება ფინანსური დაწესებულებებისათვის.[26, გვ.18-24]

კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია - ინტერპოლი.
ინტერპოლი საერთაშორისო ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაულობის აღკვეთისა და სხვადასხვა ქვეყნის კრიმინალური პოლიციის ფართო ურთიერთთანამშრომლობის მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა. ინტერპოლი წევრების მხრივ (გაეროს შემდეგ) მეორე უმსხვილესი ორგანიზაციაა და თავის რიგებში დაახლოებით 180 ქვეყანას აერთიანებს. ეს მოწმობს მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევას, გააძლიეროს ბრძოლა ტრანსნაციონალური დანაშაულობის წინააღმდეგ.

2003 წელს ესპანეთში ინტერპოლის გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე საქმიანობის ამოცანად და მიზნად დასახელდა: საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულობის ჩახშობა გამოძიების საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე კოორდინაციის გზით; თანამშრომლობის ხარისხისა და სიხშირის დონის გაზრდა, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის გაცვლის მასშტაბების გაფართოება; იმ მეთოდების კოორდინირება, რომლებიც გამოიყენება სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ მტკიცებულებების შეგროვების, ანალიზის, შენახვისა და გამოყენების დროს.

ინტერპოლი აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკური დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1997 წელს ნიუ-დელში გამართულ ინტერპოლის გენერალური ასამბლეის 66-ე სესიაზე დღის წესრიგის ძირითად საკითხად პირველად დაისვა ფულის გათეთრების პრობლემა. 2001 წელს გენერალურ სამდივნოში შეიქმნა სპეციალური ქვედანაყოფი - ფინანსური და მაღალტექნოლოგიური დანაშაულების განყოფილება (Financial and High Tech Crime Sub-directorate). ამ განყოფილების დაკვირვების ობიექტი ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულებია, რომლებიც პლასტიკური ბარათების და სხვა ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება. გენერალური სამდივნოს ეს ქვედანაყოფი აქტიურად თანამშრომლობს ფულის გათეთრების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, FATF-თან, „ეგმონტის“ ჯგუფთან (Egmond Group). ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად და გაეროს ინიციატივის ფარგლებში შეიქმნა მონაცემთა ბაზა AMLID (Anti Money Laundering International Database - მონაცემთა საერთაშორისო ბაზა ფულის გათეთრების აღსაკვეთად). ეს ბაზა შეიცავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კუთხით მსოფლიოში დაფიქსირებული დანაშაულების შესახებ მონაცემებს, ინფორმაციას პირების, ბანკების, კომერციული სტრუქტურების შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ ფინანსურ მაქინაციებში, ასევე სხვადასხვა ქვეყნის სპეცდანიყოფების აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის გამოცდილების ანალიტიკურ მიმოხილვას.

AMLID-მა შეავსო ინტერპოლის საინფორმაციო ბანკი. მონაცემთა ერთიანობა და გამოძიების წარმართვის მაღალტექნოლოგიური მეთოდები საშუალებას აძლევს ინტერპოლს, სხვა დანაშაულებთან ერთად, ეფექტურად ებრძოლოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სფეროში მოქმედ იმ დამნაშავეებს, რომლებიც უახლეს საინფორმაციო და ფინანსურ ტექნოლოგიებს ფლობენ.

„ეგმონტის“ ჯგუფი 1995 წელს შეიქმნა. მისი სახელწოდება ბრიუსელში ეგმონტის ჯგუფის პირველი შეკრების ადგილის – ეგმონტ-არენბერგის (Egmont-Arenberg) სასახლის სახელწოდებიდან მომდინარეობს. ეგმონტის ჯგუფის მიზანია სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური დაზვერვის (ფინანსური მონიტორინგის) უწყებებს შორის თანამშრომლობის კოორდინაციისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა. ეგმონტის ჯგუფის სტრუქტურა მოიცავს: უმაღლეს მმართველ ორგანოს მასში გაწევრიანებული სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური მონიტორინგის უწყებების უფროსების გენერალური ასამბლეის სახით, რომელიც სულ მცირე წელიწადში ერთხელ იკრიბება

პლენარულ სხდომაზე; ეგმონტის ჯგუფის კომიტეტს, რომელიც გენერალური ასამბლეისა და სამუშაო ჯგუფების საკონსულტაციო-საკოორდინაციო ორგანოა და სამუშაო ჯგუფებს. ეგმონტის ჯგუფის საქმიანობას საფუძვლად უდევს ქარტია. მისი ბიუჯეტის ფორმირება ხდება წევრი სახელმწიფოების ფინანსური მონიტორინგის უწყებების ყოველწლიური შენატანებითა და სხვადასხვა ნებაყოფლობითი შემოწირულობებით. ეგმონტის ჯგუფში ამჟამად დაახლოებით 126 ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის უწყებაა გაერთიანებული (მათ შორის საქართველო 2004 წლიდან), ამასთან, მას აქვს თავისი წარმომადგენლობა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. ჯგუფის წევრობა მხარეებს აძლევს საშუალებას აქტიურად აწარმოონ ინფორმაციის გაცვლა, დადონ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ, გააერთიანონ ძალისხმევა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.[75]

1996 წელს რომში, „ეგმონტის“ ჯგუფის მეოთხე სხდომაზე შემუშავდა ფინანსური დაზვერვის ქვედანაყოფის განმარტება. ამ განმარტების მიხედვით, ფინანსური დაზვერვის ქვედანაყოფი არის „ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია მიიღოს, გააანალიზოს და გადასცეს კომპეტენტურ ორგანოებს ფინანსური ინფორმაცია, რომელიც შეეხება კრიმინალურ წარმომავლობაში ეჭვმიტანილ შემოსავლებს.“ ამ განმარტების შემუშავების მიზანი იყო ის, რომ გარკვეულწილად შემოსაზღვრულიყო, გამოყოფოდა ეს ქვედანაყოფები ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის სხვა კომპონენტებს.

1997 წლის ივნისში მადრიდში ჩამოყალიბდა საერთაშორისო და ეროვნული ძალისხმევის ჩარჩოებში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარე ამოცანები. „ეგმონტის“ ჯგუფის ძირითადი ამოცანაა წევრებს შორის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მეთოდებისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული გაცვლის ორგანიზება, ფინანსური ინფორმაციის ანალიზი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ფინანსური დაზვერვის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. ინფორმაციის გაცვლისათვის შეიქმნა და ფუნქციონირებს საინფორმაციო ცენტრი „უსაფრთხო cemb ეგმონტი“, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური მზვერავების უსაფრთხო ურთიერთკავშირს უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციები. FATF-ის ანალოგიურ რეგიონულ ორგანიზაციებად შეიძლება დავასახელოთ აზიისა და წყნარი ოკეანის ჯგუფი, კარიბის ზღვის ქვეყნების ჯგუფი, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნების ჯგუფი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი ევრაზიის ჯგუფი, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ბოლო ორი ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობაშიც მონაწილეობს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (საქართველო არის MONEYVAL-ის წევრი და ასევე შედის EAG-ის იურისდიქციაში).

FATF-ის ტიპის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი ევრაზიის ჯგუფი (EAG) დამფუძნებელთა კონფერენციის გადაწყვეტილებით 2004 წელს შეიქმნა. EAG-ის შემადგენლობაში შევიდნენ ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ჩინეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და თურქმენეთი. EAG-ის ძირითადი ამოცანებია: ტერორიზმის დაფინანსებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების გავრცელება რეგიონის თავისებურების გათვალისწინებით; ფინანსური დაზვერვის ქვედანაყოფის კომპეტენციის ფარგლებში ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება და გატარება; უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის შეფასება; ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობის პროგრამის კოორდინაცია.

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL) მოქმედებს ევროპის საბჭოს მანდატით და, ამასთან, FATF-ის ტიპის რეგიონული ორგანიზაციაა. კომიტეტი 1997 წელს ევროპის საბჭოს წევრი 27 სახელმწიფოს ინიციატივით შეიქმნა და მისი საქმიანობის მიზნად განისაზღვრა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმებთან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული სისტემების შესაბამისობის შეფასება. საშემფასებლო საქმიანობაში MONEYVAL-კომიტეტი FATF-ის რეკომენდაციებსა

და პრაქტიკას ეყრდნობა. MONEYVAL სამუშაოს შედეგების მიხედვით ანგარიშს აბარებს ასევე FATF-ს. მის შემადგენლობაში შედიან ევროპის საბჭოს ქვეყნები, რომლებიც არ არიან FATF-ის წევრები. მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა მოწინავე ქვეყნების ურთიერთშეფასება. ამჟამად რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი 28 მუდმივ წევრს აერთიანებს.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შემდეგი ორგანიზაციები: ანგარიშსწორების საერთაშორისო ბანკი, რომელიც წარმოადგენს საბაზრო თვალსაზრისით 55 ყველაზე განვითარებული სახელმწიფოს ცენტრალური ბანკების ასოციაციას; ბანკთაშორის საკომუნიკაციო-კომპიუტერული სისტემა SWIFT, რომელიც აერთიანებს დაახლოებით 5 000 ბანკს და საერთაშორისო ანგარიშსწორების დიდ ნაწილს ახორციელებს. SWIFT-ის სისტემა „პატიოსნად“ თანამშრომლობს მსოფლიოს უმსხვილეს ბანკებთან და წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, ასევე სხვადასხვა ტექნოლოგიური საკითხების შემუშავებელ ჯგუფებთან, რომელთა საქმიანობაც ასევე მიმართულია უკანონო გზით ნაშონი კაპიტალის ლეგალიზაციის პრევენციისკენ. SWIFT-ის ერთ-ერთი ტექნოლოგიური პარტნიორია კომპანია S.I.D.E - სპეციალიზებული ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამების შემუშავებაზე. კერძოდ, ეს კომპანია ინტელექტუალური სისტემის მეშვეობით, FATF-ის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, ახდენს გადარიცხვების შემოწმებას. ფასიანი ქაღალდების კომისიის საერთაშორისო ორგანიზაცია (The International Organisation of Securities Commissions-IOSCO) აერთიანებს 70-ზე მეტი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც კონტროლს უწევენ ფასიანი ქაღალდების ბრუნვას. საბანკო ზედამხედველობის სფეროში ოფშორული ქვეყნების წარმომადგენელთა ჯგუფი (OGBS) ახორციელებს ოფშორულ ქვეყნებში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას. ბერნის კლუბი აერთიანებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებს. ფინანსური სტაბილიზაციის ფორუმი, რომელიც შეიქმნა 1999 წელს, აერთიანებს ფინანსთა სამინისტროების, ცენტრალური ბანკების და „დიდი შვიდეულის“ მარეგულირებელ ორგანოებს, მათ შორის მსოფლიო ბანკის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წარმომადგენლებს. ფორუმი შეიმუშავებს ზომებს, რათა მსოფლიოში დაცული

იქნას ფინანსური სტაბილურობა. მისი ამოცანაა ასევე სისტემურ რისკებთან და ფულის გათეთრებასთან ბრძოლა, ფინანსური ოპერაციების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლების ზედამხედველობა და ფინანსური დაწესებულებების მიერ მაკონტროლებელი ორგანიზაციებისადმი ანგარიშგების მიწოდების ვალდებულებების უზრუნველყოფა.

ფუძემდებლური შეთანხმებები (კონვენციები, რეკომენდაციები) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) აღკვეთის სფეროში. 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც მსოფლიო თანამეგობრობამ და წამყვანი ქვეყნების მთავრობებმა მთელი მოცულობით გააცნობიერეს ის გლობალური საშიშროებები, რომლებსაც ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაულობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია იწვევს, მაქსიმალურად მოკლე დროში შეიქმნა და ჩამოყალიბდა ამ მიმართულებით საერთაშორისო სამართლის საკმაოდ სრულყოფილი და მწყობრი სისტემა.

სამართლებრივი ბაზა შედგება იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო შეთანხმებების, რეკომენდაციების, დეკლარაციებისა და საყოველთაოდ მიღებული პრინციპებისაგან.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში ფუძემდებლური დოკუმენტია 1988 წლის 20 დეკემბრის „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაეროს ვენის კონვენცია. ვენის კონვენციაში პირველად დაისვა საკითხი ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მისი დაფინანსების წყაროების ბლოკირების გზით. კონვენციამ საერთაშორისო დონეზე აღიარა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც დანაშაული. უშუალოდ ტერმინი „გათეთრება“ მისი თარგმნის სირთულის გამო არ იყო გამოყენებული, თუმცა გაგება, ასე ვთქვათ, ამ „მოვლენის,” როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ დეტალურად იქნა ფორმულირებული.

ვენის კონვენციის მეორე უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს, მონაწილე სახელმწიფოებისათვის, ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო ბრუნვის სფეროში სამართალდარღვევის შედეგად მიღებული ქონებრივი ფასეულობების ლეგალიზაციის ეროვნული კანონმდებლობით კრიმინალიზაციის ვალდებულების

დაწესება. კონვენცია მოითხოვს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ შემდეგ ქმედებებზე: - ნარკოტიკების ბრუნვის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან დაფინანსება; კონვერსია ან გადაცემა-გადატანა საკუთრებისა, თუ ცნობილია, რომ ასეთი საკუთრება მოპოვებულია სამართალდარღვევის შედეგად; დაფარვა ან შენიღბვა ქონების ნამდვილი წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის საშუალების, გადაადგილების, საკუთრებასთან დაკავშირებული ჭეშმარიტი უფლებების ან მისი კუთვნილების, თუ ცნობილია, რომ ასეთი საკუთრება მიღებულია სამართალდარღვევის შედეგად. აღსანიშნავია, რომ მოცემული ფორმულირება ძირითადად იმ პერიოდში მოქმედი აშშ-ს კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავდა.

კონვენციაში დიდი ყურადღება ეთმობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზების საკითხებს. იმ მიზნით, რომ შეიქმნას ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სისტემა, კონვენცია ითვალისწინებს მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებას, მიიღონ ზომები, რომლის საფუძველზეც მათ კომპეტენტურ ორგანოებს ექნებათ საშუალება გამოავლინონ/დააყადაღონ (შემდეგ მათი კონფისკაციის მიზნით) ის შემოსავლები, რომლებიც მიღებულია ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვიდან. დეტალურადაა გაწერილი სამართალდამცავი ორგანოების საერთაშორისო თანამშრომლობის პროცედურები და საპროცესო საკითხები.

იმის გათვალისწინებით, რომ ფულის გათეთრების მიზნით სხვადასხვა სახის ოპერაციების განხორციელებისას ძირითადად საბანკო სისტემა გამოიყენება, კონვენციის მონაწილეებს ეკისრებათ ვალდებულება, მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო ზომები, რომლის თანახმადაც კომპეტენტურ ორგანოებს უფლება ექნებათ გასცენ განკარგულება საბანკო, საფინანსო ან სხვა კომერციული დოკუმენტების წარდგენის ან დაყადაღების შესახებ. სახელმწიფოს არ აქვს უფლება, თავი აარიდოს ამ მოთხოვნას საბანკო საიდუმლოების პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე მითითებით.

ეს დებულება, რომელიც ზღუდავს საბანკო საიდუმლოების პრინციპს, მეტად მნიშვნელოვანია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი სისტემის განვითარების მთელი შემდგომი პროცესისათვის. მართალია, ვენის კონვენციის გამოყენების სფერო ეხება ნარკოტიკების ბრუნვას, მაგრამ მისი მრავალი დებულება იქცა ფუძემდებლურ ბაზად ფულის

გათეთრების აღმკვეთი მთელი რიგი სამართლებრივი აქტების შექმნისა და განვითარებისათვის.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია „დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების გამოვლენის, ამოღების და კონფისკაციის შესახებ” ევროპის საბჭოს კონვენცია (სტრასბურგის კონვენცია), რომელიც მიღებულ იქნა 1990 წლის 8 ნოემბერს სტრასბურგში. ამ დოკუმენტით, ფაქტობრივად გაფართოვდა ვენის კონვენციის ძირითადი დებულებების მოქმედება ყველა დანაშაულზე, რომელიც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან.

სტრასბურგის კონვენცია არეგულირებს საკითხებს სამი ძირითადი მიმართულებით:

- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამართლებრივი შეფასების დაახლოება მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობებში;
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ზომებისა და ღონისძიებების ჰარმონიზაცია;
- საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმები და პროცედურები.

სტრასბურგის კონვენცია ეყრდნობა ვენის კონვენციის განმარტებას. იგი კიდევ უფრო აფართოებს ფულის გათეთრების ცნებას. კონვენცია აწესებს მხარეთა თანამშრომლობის ვალდებულებას რაც შეიძლება ფართო მასშტაბებით, რათა ეფექტურად განხორციელდეს იარაღის, შემოსავლებისა და სხვა ქონების კონფისკაციისკენ მიმართული გამოძიება და სამართალწარმოება. დოკუმენტმა დაარეგულირა რამდენიმე მნიშვნელოვანი საპროცესო საკითხი. მე-6 მუხლის თანახმად, კონვენციის მიზნებისათვის „არ აქვს მნიშვნელობა ექვემდებარება თუ არა ძირითადი სამართალდარღვევა იმ სახელმწიფოს სისხლის სამართლებრივ იურისდიქციას, რომელშიც მოხდა შემოსავლის ლეგალიზაცია.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფულის გათეთრება ითვლება დანაშაულად იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც ის განხორციელდა, იმის მიუხედავად, თუ სად იყო ჩადენილი ძირითადი სამართალდარღვევა.[91, გვ.326]

2000 წელს პალერმოში, გაეროს სამიტზე, რომელიც მიეძღვნა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის აღკვეთის პრობლემებს (მონაწილეობა მიიღო 140-ზე მეტი ქვეყნის მთავრობამ), მიღებულ იქნა გაეროს

კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. კონვენციის ერთ-ერთი პუნქტით გათვალისწინებულია საკუთრების კონფისკაცია, როდესაც ქონება (საკუთრება) მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით, აგრეთვე საბანკო საიდუმლოების უგულებელყოფის აუცილებლობა თუ თანხები ან ფინანსური ოპერაცია დაკავშირებულია არალეგალური კაპიტალის ლეგალიზებასთან. კონვენციამ კიდევ უფრო გააფართოვა უკანონო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების ან სხვა ქონების კრიმინალიზაციის ვალდებულება, კერძოდ, კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, „ყველა მონაწილე სახელმწიფო თავისი შიდა კანონმდებლობის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისად, იღებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებებს, როგორც საჭიროა საიმედოდ სისხლის სამართლებრივად დასჯადი გახდეს განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებები:

ა) კონვერსია ან გადატანა ქონებისა, თუ ცნობილია, რომ ეს ქონება მოპოვებულია უკანონო გზით, იმ მიზნით, რომ მოხდეს დანაშაულებრივი წყაროს დაფარვა ან შენიღბვა, ან იმ მიზნით, რომ დახმარება აღმოეჩინოს ნებისმიერ პირს - მონაწილეს ძირითად დანაშაულში, იმისთვის, რომ მან თავი აარიდოს განხორციელებული ქმედების გამო პასუხისმგებლობას;

ბ) დაფარვა ან დამალვა ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის საშუალების, გადაადგილების, ქონებაზე უფლებების ან მისი კუთვნილების, თუ ცნობილია, რომ ეს ქონება უკანონო დანაშაულის შედეგადაა მიღებული;

გ) სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების დაცვის პირობით;

დ) შექმნა, ფლობა ან გამოყენება ქონებისა, თუ მისი მიღების მომენტში ცნობილია, რომ ეს ქონება წარმოადგენს დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალს;

ე) მონაწილეობა, თანამონაწილეობა და შეთქმულებაში მონაწილეობა იმ მიზნით, რომ ჩადენილ იქნას ზემოთ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებიდან რომელიმე, ან ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა, ასევე ხელის შეწყობა, წაქეზება, თანამონაწილეობა ან რჩევის მიცემა მისი ჩადენის დროს.” [88, გვ.10-11]

პალერმოს კონვენცია აწესებს ვალდებულებას, ძირითადი სამართალდარღვევების რიცხვს მიემატოს ყველა „მნიშვნელოვანი (სერიოზული)”

დანაშაული, რომელთა ჩადენისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ 4 წლის ვადით, ასევე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნა და მასში მონაწილეობა, კორუფცია და სამართლის აღსრულებისათვის ხელის შეშლა. პალერმოს კონვენციაში განხილულია ასევე ძირითადი დანაშაულის ჩადენის ადგილის საკითხი, კერძოდ, მითითებულია, რომ ძირითადი დანაშაულები ქმედების ჩადენის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში და ასევე მის ფარგლებს გარეთ მხოლოდ იმ პირობით წარმოადგენენ ძირითად დანაშაულს, თუ შესაბამისი ქმედება სისხლის სამართლებრივად დასჯადია იმ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომელშიც იგი ჩადენილია და, თუ იქნება სისხლის სამართლებრივად დასჯადი იმ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც გამოიყენება მუხლი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის კრიმინალიზაციის შესახებ.[88, გვ.11]

გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ, რომელიც მიღებულ იქნა 2003 წელს, ასე ვთქვათ, ასრულებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი სამართლებრივი ბაზის მშენებლობას. ის ამყარებს მეტად მჭიდრო სამართლებრივ კავშირს კორუფციასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას შორის. კონვენციაში არის რამდენიმე იმ პერიოდისთვის მართლაც რევოლუციური დებულება, რომელთა ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმის კარდინალურად შეცვლის შესაძლებლობას იძლეოდა.

1. კორუფციის კრიმინალიზაციის ზომები. „მონაწილე ქვეყნები საკუთარი კონსტიტუციისა და სამართლებრივი სისტემის ფუძემდებლური პრინციპების დაცვის პირობით, ვალდებული არიან, მიიღონ ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომ სისხლის სამართლებრივად დასჯადად ჩაითვალოს წინასწარი განზრახვით ჩადენილი შემდეგი ქმედება - უკანონო გამდიდრება, ანუ საჯარო მოხელის აქტივების მნიშვნელოვანი ზრდა, როცა ის აჭარბებს მის კანონიერ შემოსავლებს და ვერ ხდება მისი დასაბუთება.“ ამ დებულებით საჯარო მოხელეს ფაქტობრივად ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს საკუთარ ოფიციალურ შემოსავლებთან მისი და მისი ოჯახის წევრთა ქონების შესაბამისობა.

2. კერძო სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. „ყველა მონაწილე სახელმწიფო განიხილავს შესაძლებლობას მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და

სხვა ზომები, რომ სისხლის სამართლებრივად დასჯადად ჩაითვალოს განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედება - ეკონომიკური, ფინანსური, კომერციული საქმიანობისას დატაცება იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს კერძო სექტორის ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ან მუშაობს ასეთ ორგანიზაციაში სხვა პოზიციაზე.“

3. კორუფციული ქმედების შედეგად მოპოვებული ქონების კონფისკაცია. „ყველა მონაწილე სახელმწიფო დებულობს ზომებს საიმისოდ, რომ შესაძლებელი იყოს კორუფციული ქმედებების შედეგად მოპოვებული ქონების გამოვლენა, თვალთვალი, „გაყინვა“ ან დაყადაღება, მისი შემდგომი კონფისკაციის მიზნით. მონაწილე სახელმწიფო ვადადებულია მიიღოს ისეთი ზომები, რომ სასამართლოს და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს, კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს ჰქონდეთ შესაძლებლობა, სცნონ სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოთხოვნა, როგორც ქონების კანონიერი მფლობელისა, თუ ქონება მოპოვებულია ამ კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულით.“ კონვენცია ითხოვს სახელმწიფოს მხრიდან კონფისკაციის ზომების არსებითად გაძლიერებას. კონფისკაცია ვრცელდება ყველა მონაწილე სახელმწიფოზე, ანუ რომელიმე ქვეყანაში კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს სხვა მონაწილე სახელმწიფოების მიერაც.

4. კორუმპირებული პირების გადაცემა. იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად აღიკვეთოს დამნაშვის მიერ სხვა ქვეყნისთვის თავის შეფარების ფაქტები, კონვენციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კორუმპირებული პირების ექსტრადიციის საკითხს.

5. მაღალი თანამდებობის პირების საბანკო ანგარიშებზე კონტროლის დაწესება. „მონაწილე სახელმწიფო ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში დებულობს ისეთ ზომებს, რომ მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ფინანსურ ინსტიტუტებს მოსთხოვოს კლიენტის პიროვნების იდენტიფიცირება, დიდი ოდენობით თანხების ანგარიშზე დეპონირებისას გონივრული ზომების მიღება ბენეფიციარი მესაკუთრე პირების დასადგენად და განსაკუთრებით მკაცრი კონტროლის განხორციელება იმ ანგარიშებზე, რომლებსაც ხსნიან ან უკვე აწარმოებენ მნიშვნელოვანი საჯარო უფლებების მქონე პირები, მათი ოჯახის წევრები, ან მათთან მჭიდრო საქმიან კავშირში მყოფი პირები.“ აღნიშნული დებულება არანაკლებ მნიშვნელოვანი პრევენციული ხასიათისაა, ვინაიდან, როგორც წესი, თანამდებობის პირები ხშირად იყენებენ თავიანთი ოჯახის

წევრებისა თუ საქმიანი პარტნიორების ანგარიშებს კორუფციული გარიგებებისა და შემოსავლების დასაფარად სხვადასხვა ქვეყანაში.[89, გვ.47-89]

6. კონვენციაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

ფულის გათეთრების აღმკვეთი რეკომენდაციული ხასიათის საერთაშორისო დოკუმენტები. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის თვალსაზრისით განსაკუთრებულ როლს თამაშობს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სხვადასხვა პრინციპები და რეკომენდაციები. რეკომენდაციული ხასიათის დოკუმენტების ცალკეული დებულებები გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო შეთანხმებებში და მიიღო სავალდებულო ძალა.

1988 წლის დეკემბერში „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელობამ (ბაზელის კომიტეტმა) ბაზელში მიიღო დეკლარაცია (ბაზელის დეკლარაცია). სწორედ ბაზელის დეკლარაციაში აისახა პირველად ის ფუძემდებლური პრინციპები, რომლებით ხელმძღვანელობაც აუცილებელია საბანკო სისტემის მეშვეობით ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად, კერძოდ ეს პრინციპებია:

- ბანკთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების მსურველი პირის იდენტიფიცირება (Know Your Customer „იცნობდე შენს კლიენტს“ პრინციპი);
- ფინანსური გარიგებების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების დაცვის სავალდებულობა და უარი ისეთი გარიგების განხორციელებაზე, რომელიც იწვევს ეჭვს (ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით);
- სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის პრინციპი.[86,გვ.613-614]

ვინაიდან ბაზელის დეკლარაცია არ არის სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტი, სხვადასხვა ბანკებმა დადეს ოფიციალური შეთანხმება, რომლის თანახმადაც მათ აიღეს ვალდებულება, დაიცვან მისი მოთხოვნები. ზოგიერთი სახელმწიფოს ბანკებზე ზედამხედველმა ორგანოებმა განაცხადეს, რომ ბაზელის დეკლარაციის მუხლების დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ სანქციებს (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი), სხვა სახელმწიფოების მიერ ამ დეკლარაციით გათვალისწინებული პრინციპების საფუძველზე მიღებულ იქნა შესაბამისი საკანონმდებლო აქტები (ლუქსემბურგი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1997 წელს შემუშავდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გაეროს გლობალური პროგრამა (Global Program Against Money Laundering). ამ პროგრამას მხარი დაუჭირეს „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა თათბირზე, რომელიც გაიმართა 1998 წელს ბირმინგემში (დიდი ბრიტანეთი). შეხვედრის დასკვნით კომუნიკეში ნათქვამია: „ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ მომენტისათვის ძირითადი ამოცანაა ფულის გათეთრების აღსაკვეთად ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც მოიცავს ყველა კლიენტს და რეგიონს მსოფლიო მასშტაბით.“[90,გვ.295]

ზემოაღნიშნული პროგრამის რამდენიმე ძირითადი დებულებაა:

1. საერთაშორისო თანამშრომლობა. ამ მიმართულებაში შედის: ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუტების შექმნა; ბიზნესისა და ფინანსური სამართლის საკითხებში სამართალდამცავი ორგანოების კადრების მომზადება; სამართლებრივი სისტემების სრულყოფა, კონკრეტული ქვეყნისათვის უნიფიცირებული და ადაპტირებული რეკომენდაციების შემუშავება, ასევე სპეციალური ფინანსური დაზვერვის ქვედანაყოფის შექმნაში დახმარების გაწევა; მოსახლეობის სამართლებრივ ინფორმირებასა და მომზადებაში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების განვითარებასა და დანერგვაში ხელშეწყობა.
2. ფულის გათეთრების პრობლემების შესწავლა. ეს მიმართულება მოიცავს ისეთი ფაქტორების კვლევას, როგორცაა საბანკო საიდუმლოება, ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო სისტემების კლიენტების ანონიმურობა, ოფშორული იურისდიქციები, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიაზე საზოგადოების აზრის გავლენა, ეროვნული სპეციალიზებული სამსახურების ინფორმაციული უზრუნველყოფა და სხვ.
3. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის სრულყოფა. ამ სფეროში გაეროს გლობალური პროგრამა ითვალისწინებს ფინანსური გამოძიების ორგანოებისა და სამსახურების შექმნის ხელშეწყობას, ასევე ეროვნული სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინირებას (პროგრამა გამოდის საერთაშორისო სტრუქტურებს შორის უფლებამოსილი შუამავლის როლში, ამასთან, თავისი კომპეტენციის ფარგლებში იძლევა ტექნიკური ექსპერტიზის, კონსულტაციის გაწევისა და დახმარების აღმოჩენის საშუალებას).

4. ოფშორული მიმართულება. სპეციალური პროგრამების შემუშავება, რომლებიც ადაპტირებულია ოფშორული იურისდიქციის კონკრეტულ პირობებზე.

გაეროს გლობალური პროგრამა თანამშრომლობს FATF-თან, ევროპის საბჭოს სამდივნოსთან, ევროკავშირის სხვა სტრუქტურებთან, ინტერპოლთან, ევროპოლთან, ფინანსურ სფეროში ჩადენილ დანაშაულთა საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრთან (ქსელთან - ImoLIN).

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა არა მხოლოდ სახელმწიფოთაშორის და შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე, არამედ კომერციული ორგანიზაციების მიერაც მიმდინარეობს. 2000 წლის 30 ოქტომბერს მსოფლიოს 11-მა წამყვანმა ბანკმა - Societe Generale, Deutsche Bank AG, ABN, AMRO Bank N.V., Banco Santander Central Hispano S.A., Credit Suisse Group, UBS AG, HSBC, Barclays Bank ხელი მოაწერა საბანკო სექტორში ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ საყოველთაო დირექტივებს (Wolfsberg Anti-Money Laundering Principles - ვოლფსბერგის პრინციპები).

ვოლფსბერგის პრინციპების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო OECD-იმ და Transparency International-მა, რომელიც დაკავებულია კორუფციის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის საკითხებით. სამუშაოს ძირითადი მიზანი იყო ბანკების მხრიდან შენატანების მიღების გამკაცრება, რათა სისტემაში არ მოხვედეს კორუმპირებული თანამდებობის პირებისა და ორგანიზებული დანაშაულობის მიერ მოპოვებული უკანონო სახსრები. ვოლფსბერგის პრინციპებით განსაზღვრულია ბანკების პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები და საბანკო სისტემის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით გამოყენების აღკვეთის მექანიზმის ძირითადი ელემენტები. ვოლფსბერგის პრინციპების თანახმად, ნებისმიერი ბანკის პოლიტიკის საფუძველი უნდა იყოს ის, რომ საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს მხოლოდ იმ კლიენტთან, რომლის დაფინანსებისა და შემოსავლების წყაროს კანონიერების დადასტურებაცაა შესაძლებელი.

ვოლფსბერგის პრინციპებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა „უჩვეულო ან საეჭვო საქმიანობის“ გაგება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: „სახსრების მოძრაობა ანგარიშზე, კლიენტის ურთიერთშეუსაბამო საქმიანობები, ხშირი გადმორიცხვები, სატრანზიტო ანგარიშის გამოყენება (ან ანგარიშის, როგორც ტრანზიტულის გამოყენება), ტრანსაქციების განხორციელება, რომელთაც არა

აქვთ დანიშნულება.“ ბანკის თანამშრომლები, ბანკის ხელმძღვანელობა და/ან კონკრეტული სამსახური უნდა ახდენდეს ნებისმიერი საექსპო ან უჩვეულო გარიგების ანალიზს. თუ ვერ ხერხდება რაციონალური ახსნის მოძებნა, შეიძლება მიღებულ იქნას შემდეგი გადაწყვეტილება: გაგრძელდეს კლიენტთან საქმიანი ურთიერთობა მხოლოდ გაძლიერებული კონტროლის პირობებში; გაწყდეს კლიენტთან საქმიანი ურთიერთობა; მოხდეს ხელისუფლების ინფორმირება აღნიშნულის შესახებ. ხელისუფლების ინფორმირება უნდა განხორციელდეს შესაბამისი კონტროლის სამსახურის მიერ. ეროვნული კანონმდებლობისა და ნორმატიული დოკუმენტების დებულებების შესაბამისად, სახსრები შეიძლება დაიბლოკოს და ასეთ შემთხვევაში ანგარიშზე ოპერაციები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ კონტროლის სამსახურის თანხმობით.

ფულის გათეთრების ეფექტური აღკვეთის ღონისძიებების გატარების მიზნით, ასევე, ბანკების მიერ განხორციელებული სამუშაოების გათვალისწინებით, 2002 წლის მაისში ვოლფსბერგის პრინციპები დამუშავდა შემდეგი მიმართულებით:

- დაემატა პრინციპები, რომელთა მიხედვითაც რეკომენდებულია ბენეფიციარების იდენტიფიცირება;
- განვრცობილია რეკომენდაციები როგორც ერთჯერადი, ასევე იმ კლიენტების იდენტიფიკაციის საკითხებზე, რომლებიც იყენებენ ელექტრონულ საბანკო მომსახურებას;
- შეტანილია ცვლილებები როგორც დანომრილი, ასევე კოდირებული ანგარიშების გახსნის წესში;
- განსაზღვრულია პირების კატეგორია, რომლებთან დაკავშირებითაც საკრედიტო ორგანიზაციამ უნდა მიიღოს დეტალური შემოწმების განსაკუთრებული ზომები და ასევე შეათანხმოს საკრედიტო ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების საკითხი;
- დაზუსტებულია კლიენტის შესახებ ინფორმაციის განახლების წესი, ასევე ოპერაციის მონიტორინგის განხორციელების ფორმა;
- რეკომენდებულია შიდა კონტროლის პროგრამის დამოუკიდებელი ექსპერტული შეფასების ჩატარება.[93,გვ.608-611]

FATF-ის 40 რეკომენდაცია. FATF-ის 40 რეკომენდაცია, ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით ლეგალიზაციის აღმკვეთი ინიციატივის სახით, პირველად 1990 წელს შემუშავდა. 1996 წელს რეკომენდაციები გადაიხედა, რათა ასახულიყო ფულის გათეთრების ახალი ტენდენციები. იმავე წელს ეს რეკომენდაციები მოწონებულ იქნა 130-ზე მეტი სახელმწიფოს მიერ. 2001 წლის ოქტომბერში FATF-მა განავრცო თავისი მანდატი, კერძოდ, რეკომენდაციებში ჩართო ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები 9 სპეციალური რეკომენდაციის სახით. ეს რეკომენდაციები შეიცავს ღონისძიებათა რიგს, რომლებიც მიმართულია ტერორისტული აქტებისა და ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების აღკვეთისკენ.

მსოფლიოს სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ FATF-ის 40 და 9 სპეციალური რეკომენდაცია აღიარებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სფეროში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტად. 2003 წელს ფულის გათეთრების ახალი ტენდენციების გათვალისწინებით რეკომენდაციებს კიდევ ერთხელ გადახედეს. დღესდღეობით, FATF-ის რეკომენდაციების ზოგიერთი დებულება თითქოს ტრივიალურია. თუმცა 1990 წელს, გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ ათწლეულის მანძილზე საბანკო საიდუმლოება მაქსიმალურად იყო დაცული და მსოფლიო საბანკო სისტემაში ანონიმური კაპიტალდაბანდებები ხორციელდებოდა, FATF-ის რეკომენდაციები არა მხოლოდ რევოლუციურად, არამედ გამანადგურებლადაც კი აღიქმებოდა.

რეკომენდაციების პირველი ნაწილი (რეკომენდაცია 1-3) ეძღვნება ფულის გათეთრების კრიმინალიზაციას. ამ განყოფილებაში, სამი ძირითადი დებულება შეიძლება გამოვყოთ:

1. ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს ვენის კონვენციისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ პალერმოს კონვენციის საფუძველზე, მხარეებმა ფულის გათეთრება უნდა განიხილონ როგორც დანაშაული;
2. იურიდიული პირების მიმართ გამოყენებული უნდა იქნას სისხლის სამართლებრივი, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია - სამოქალაქო ან

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. იქვე აღნიშნულია, რომ ასეთი ზომების გატარებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ფიზიკური პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას;

3. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ისეთი საკანონმდებლო ზომები, რომ კომპეტენტურ ორგანოებს ჰქონდეთ გასათეთრებელი საკუთრებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების კონფისკაციის შესაძლებლობა.

ზემოთ განხილული პირველი განყოფილების მნიშვნელობა მეტად დიდია. ის რადიკალურად ცვლის მსოფლიო თანამეგობრობის დამოკიდებულებას ფულის გათეთრებისადმი, ვინაიდან მას იხილავს როგორც დანაშაულს, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ყველა ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობაში.

მეორე განყოფილებაში (რეკომენდაციები 4-20) ასახულია ნორმები, რომლებიც ეხება ფინანსური ორგანიზაციების მეშვეობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთას:

1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ფინანსური ინსტიტუტების საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობა ხელს არ უშლიდეს FATF-ის რეკომენდაციების რეალიზებას;

2. კლიენტთან საქმიანი ურთიერთობისას მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი ზომები: ა) კლიენტის იდენტიფიკაცია და მისი პიროვნების შემოწმება საიმედო დოკუმენტების, დამოუკიდებელი წყაროს მონაცემების ან ინფორმაციის გამოყენებით; ბ) კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე პირების დადგენა;

3. ფინანსურმა ინსტიტუტებმა პოლიტიკურად აქტიურ პირებთან დაკავშირებით კლიენტთან ურთიერთობის სტანდარტულ ზომებთან ერთად უნდა მიიღონ გონივრული ზომები, რათა დაადგინონ ასეთ პირთა კეთილდღეობისა და ფულადი სახსრების წარმომავლობის წყარო;

4. ფინანსურმა დაწესებულებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ფულის გათეთრების ნებისმიერ საფრთხეს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან და მიიღონ ზომები, რათა აღიკვეთოს ამ ტექნოლოგიების გამოყენება ფულის გათეთრების სქემებში;

5. ფინანსური დაწესებულება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შუამავალი (მაგალითად კორესპონდენტი ბანკი) ექვემდებარება რეგულირებასა და ზედამხედველობას და ასევე აქვს მექანიზმი, რომელიც შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს;
6. ფინანსურმა დაწესებულებებმა სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში უნდა შეინახონ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერი;
7. ფინანსურმა დაწესებულებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა რთულ, უჩვეულოდ დიდ ოპერაციას, ასევე უჩვეულო სქემის ოპერაციებს, რომელთაც არა აქვთ აშკარა ეკონომიკური შინაარსი ან კანონიერი მიზანი;
8. თუ ფინანსური დაწესებულება ეჭვობს, რომ სახსრები დანაშაულებრივი ქმედების შედეგად არის მოპოვებული, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ფინანსური დაზვერვის ქვედანაყოფს;
9. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღსაკვეთად ფინანსურმა დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ სპეციალური პროგრამა;
10. რეკომენდაციები უნდა იქნას გამოყენებული ყველა იმ პროფესიის პირის მიმართ, რომლებიც პოტენციურად შეიძლება მონაწილეობდნენ ფულის გათეთრებაში.

მეორე განყოფილების დებულებებში უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საბანკო საიდუმლოების თითქოსდა „ხელშეუხებელი“ პრინციპის შეზღუდვა არის. მსოფლიო თანამეგობრობამ პირველად, აშკარა ფორმით აღიარა ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის პრიორიტეტულობა საბანკო საიდუმლოებასა და სხვა ლიბერალურ ღირებულებებთან შედარებით.

მესამე განყოფილებაში (რეკომენდაციები 21-22) განხილულია ცალკეული ზომების მიღების საკითხი იმ ქვეყნებთან მიმართებით, რომელთა საკანონმდებლო და სხვა მექანიზმები არ შეესაბამება FATF-ის რეკომენდაციებს. ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პრინციპები, რომლებიც ასევე გამოყენებული უნდა იქნას საზღვარგარეთ განთავსებული მათი შვილობილი კომპანიების მიერ, განსაკუთრებით იქნას დაცული იმ ქვეყნებში, რომლებიც ან არ, ან არასრულყოფილად იყენებენ FATF-ის რეკომენდაციებს. იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტები

კრძალავს ამ რეკომენდაციების რეალიზებას, ფინანსურმა დაწესებულებებმა უნდა აცნობონ ამის შესახებ სათავო დაწესებულების ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებს.

მეოთხე ნაწილი (რეკომენდაციები 23-25) ეხება რეგულირებისა და ზედამხედველობის საკითხებს. აქ შეიძლება გამოვყოთ შემდეგი დებულებები:

1. ყველა ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა გაიაროს ლიცენზირების ან რეგისტრაციის პროცედურა; ამ სექტორში ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების რისკის გათვალისწინებით, მათ საქმიანობაზე უნდა განხორციელდეს კონტროლი;
2. ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა სახის ბიზნესსა და პროფესიაზე ვრცელდებოდეს მონიტორინგის ეფექტური სისტემა;
3. კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ უკუკავშირი, რომელიც გააიოლებს საფინანსო და სხვა შესაბამისი დაწესებულებების მიერ საეჭვო გარიგების გამოვლენას.

ამ დებულებებში გატარებულია ფინანსური კონტროლის გაფართოების იდეა, რომელმაც თავისი ეფექტურობა უკვე დაადასტურა საბანკო სფეროში და უნდა გავრცელდეს იმ სფეროშიც, რომელიც პოტენციურად დაკავშირებული შეიძლება იყოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან.

მეხუთე განყოფილებაში (რეკომენდაციები 26-32) ლაპარაკია კომპეტენტური ორგანოების რესურსებსა და უფლებამოსილებაზე, კერძოდ:

1. ქვეყნებმა უნდა შექმნან საფინანსო სფეროში ფართო უფლებამოსილების მქონე ფინანსური დაზვერვის (ფინანსური მონიტორინგის) ქვედანაყოფი;
2. ფულის გათეთრების შემთხვევის გამოძიების წარმოებისას კომპეტენტურ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ დოკუმენტები და ინფორმაცია, მოიძიონ პიროვნება, ამოიღონ და მიიღონ მტკიცებულებები;
3. ქვეყნებმა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი კომპეტენტური ორგანოები უნდა აღჭურვონ ადეკვატური ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსებით.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე შექმნილი ფინანსური დაზვერვის სამსახურები ფულის გათეთრების აღკვეთის კუთხით მართლაც ეფექტურ ინსტიტუტებად იქცნენ.

მეექვსე ნაწილში (რეკომენდაციები 33-34) მითითებულია იურიდიული პირების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მისაღები ზომები:

1. ქვეყნებმა, სადაც არიან იურიდიული პირები, რომელთაც შეუძლიათ წარმომდგენზე აქციების გამოშვება, უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რომ ზემოთ აღნიშნული გარემოება არ იქნეს გამოყენებული ფულის გასათეთრებლად;
2. ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ საკმარისი, ზუსტი და დროული ინფორმაციის არსებობა ტრასტებზე, მათ შორის მიმდობ მესაკუთრებსა და ბენეფიციარებზე, ასევე, ამ ინფორმაციის კომპეტენტური ორგანოების მიერ მოპოვების შესაძლებლობა.

ამ განყოფილებაში აქცენტებია გაკეთებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მოუხელთებელ ინსტრუმენტებზე (ტრასტები და აქციები წარმომდგენზე) და მათი ფულის გათეთრების მიზნით გამოყენების აღმკვეთ ზომებზე.

დასკვნით, მეშვიდე განყოფილებაში (რეკომენდაციები 35-40) აღწერილია საერთაშორისო თანამშრომლობის წესები:

1. ქვეყნებმა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეებზე საგამოძიებო, სასამართლო და თანხმდებ პროცედურებთან დაკავშირებით, ერთმანეთს უნდა აღმოუჩინონ მაქსიმალურად სწრაფი, კონსტრუქციული და ეფექტური სამართლებრივი დახმარება;
2. ლეგალიზებული შემოსავლის გამოვლენის, დაყადაღების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ სხვა სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში უნდა არსებობდეს შესაბამისი ოპერატიული ქმედების განხორციელების უფლებამოსილება;
3. ქვეყნებმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია უნდა აღიარონ დანაშაულად, რომელიც შეიძლება იყოს ექსტრადიციის საფუძველი;

4. ფინანსური დაწესებულებების მიერ კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ კანონი ქვეყნებმა არ უნდა გამოიყენონ დახმარებაზე უარის თქმის საფუძველად.[94, გვ.478-510]

ტერორიზმის დაფინანსების შესახებ 9 სპეციალური რეკომენდაცია არსებითად აფართოებს FATF-ის რეკომენდაციების მოქმედების სფეროს. ამ სპეციალური რეკომენდაციების შესაბამისად, ყველა ქვეყანამ მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა მიიღოს ზომები ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციის სრული მოცულობით დასანერგად. ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ ტერორისტების, ტერორიზმისა და ტერორისტული ორგანიზაციების დამფინანსებელი პირების კუთვნილი სახსრებისა და სხვა აქტივების სწრაფი გაყინვის (დაყადაღების) მექანიზმის შემუშავება. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ინსტიტუტები, სხვა დაწესებულებები ან იურიდიული პირები, რომლებიც ვალდებული არიან აღკვეთონ ფულის გათეთრება, ეჭვობენ, რომ სახსრები დაკავშირებულია ტერორიზმთან, მათგან აუცილებელია მოთხოვნილ იქნას აღნიშნულის შესახებ კომპეტენტური ორგანოების ოპერატიულად ინფორმირება.

ქვეყნებს უნდა შეეძლოთ, დაასაბუთონ, რომ ისინი არ წარმოადგენენ ტერორიზმის, ტერორისტული აქტებისა და ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებაში ბრალდებულ პირთათვის თავშესაფარს და მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი პროცედურები ასეთ პირთა ექსტრადიციისათვის.

ყველა ქვეყანამ უნდა მიიღოს ზომები, რომ ფულადი ან სხვა ფასეულობის გზავნილების (მათ შორის არაფორმალური სისტემით ან ქსელით) განმახორციელებელი ფიზიკური/იურიდიული პირები იყვნენ ლიცენზირებულნი ან რეგისტრირებულნი და ასრულებდნენ FATF-ის ყველა რეკომენდაციას, რომელიც ეხება საბანკო და არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებს.

ყველა სახელმწიფომ უნდა მოითხოვოს ფინანსური დაწესებულებებისაგან ზუსტი და სწორი ინფორმაციის მიწოდება გადარიცხვის განმახორციელებელ პირებზე (დასახელება, მისამართი, ანგარიშის ნომერი), ამასთან, ეს ინფორმაცია გადარიცხვის ყველა ეტაპზე უნდა იყოს შენახული (მიეწოდოს შუამავალ და მიმღებ ბანკს).

ქვეყნებმა უნდა გააანალიზონ იმ დაწესებულებების შესახებ კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების ადეკვატურობა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ტერორიზმის დაფინანსებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არაკომერციულ ორგანიზაციებს - აუცილებელია ღონისძიებების გატარება, რომ გამოირიცხოს მათი დანაშაულებრივი მიზნებისთვის გამოყენება.[94, გვ.511-524]

ბოლო წლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაფიქსირდა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ არაკომერციული ორგანიზაციების გამოყენების არაერთი შემთხვევა. ხშირად ასეთი ორგანიზაციები აგროვებენ სახსრებს კანონიერი საქმიანობისთვის და შემდგომ მიმართავენ მათ ტერორისტული ორგანიზაციების დასაფინანსებლად. ეს სპეციალური რეკომენდაციები ყურადღების ფოკუსირებას ახდენენ ტერორიზმის დაფინანსების სწორედ ამ ახალ მექანიზმებზე (აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრობლემა საერთო ჭრილში განიხილება, ვინაიდან ორივე დანაშაულის ჩასაღწეად მსგავსი მეთოდები გამოიყენება, თუმცა ტერორიზმის დასაფინანსებელი სახსრების წარმომავლობა შეიძლება კანონიერიც იყოს განსხვავებით გასათეთრებელი შემოსავლებისაგან).

FATF-ის რეკომენდაციების გავლენა და მნიშვნელობა უზარმაზარია. მათ აჩვენებს, რომ საერთაშორისო საზოგადოებას აქვს თვითორგანიზების საკმარისად მძლავრი მექანიზმები, რათა აღკვეთოს ისეთი საშიში მოვლენები, როგორც არის ტერორიზმი, ფულის გათეთრება და საერთაშორისო დანაშაულობა.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა; ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები სხვადასხვა ქვეყნებში. არაერთი თანამედროვე სამართლებრივი ინსტიტუტისაგან განსხვავებით, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეფექტურად და დამოუკიდებლად ვითარდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუტები, მსოფლიო თანამეგობრობის მიერ გაცნობიერებული კონკრეტული საშიშროებების საპასუხოდ არც თუ დიდი ხნის წინ შეიქმნა. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო საფუძვლები უმეტეს ქვეყნებში საერთაშორისო

ორგანიზაციების მიერ შემუშავებული და საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული, საკმაოდ მკაფიოდ ფორმულირებული მოთხოვნების, რეკომენდაციებისა და სტანდარტების გავლენით ჩამოყალიბდა.

გენეზისის ეს სპეციფიკა განაპირობებს ამ სფეროში სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივი ინსტიტუტების სტრუქტურულ მსგავსებას. ამასთან, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებსა და ხერხებს გარკვეული სპეციფიკაც ახასიათებთ ქვეყნების მიხედვით.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი საერთაშორისო სისტემის შექმნის ინიციატორები იყვნენ განვითარებული ქვეყნები, რომელთაც ამ სფეროში უკვე ჰქონდათ გარკვეული გამოცდილება. სწორედ მათი ძალისხმევით დაფუძნდა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა მიერაც შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტები, ამ სტანდარტების დაცვა კი რეკომენდებული იყო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ნაციონალური სისტემების ფორმირებისას.

FATF და განვითარებული ქვეყნების ინიციატივით შექმნილი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ყურადღებით აკვირდებოდნენ შემუშავებული სტანდარტების დაცვის პროცესს და იყენებდნენ როგორც საერთაშორისო შეთანხმებების ავტორიტეტს, ასევე განვითარებული სახელმწიფოების ძლიერ მხარდაჭერას ზეწოლის მოსახდენად იმ ქვეყნებზე, რომლებიც არ იცავდნენ კონვენციებსა თუ რეკომენდაციებს. აღნიშნულმა, ქვეყნების უმრავლესობას უბიძგა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ნაციონალური სისტემების შექმნისას მიედოთ და გაეთვალისწინებინათ რეკომენდებული საერთაშორისო სტანდარტები. ძირითადად სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა, რომ ბოლო ათწლეულში სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სისტემებს აგების მსგავსი პრინციპი და სტრუქტურა აქვთ. ამ სისტემებსა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს შორის სხვაობა კი, პირველ რიგში განპირობებულია ქვეყნების ეკონომიკასა და მასში „ჩრდილოვანი შემადგენლობის“ განსხვავებული მდგომარეობით. ამ განხრით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ჯგუფები: განვითარებული ქვეყნები ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებითად მცირე შეფარდებითი წონით. ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ აშშ, სკანდინავიის ქვეყნები და სხვ.; განვითარებული ქვეყნები ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი შეფარდებითი წონით, მაგალითად

იტალია; განვითარებადი ქვეყნები კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დაბალი დონით; განვითარებადი ქვეყნები კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონით (აღემატება 25-30%); გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ წინა ჯგუფს, მაგრამ აქვთ მნიშვნელოვანი სპეციფიკა, რაც დაკავშირებულია პრივატიზაციის პერიოდის დანაშაულებთან; ოფშორული იურისდიქციები, რომელთათვისაც „საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმიზაციის“ საექვო ოპერაციები საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის ორგანიზებაზე არსებით გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ეკონომიკის მასშტაბები (მაგალითად, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის უკრაინული სისტემა არსებითად განსხვავდება ისეთი პატარა ქვეყნების ანალოგიური სისტემებისაგან, როგორცაა ესტონეთი ან სლოვენია) და ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარება (მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა განვითარებული ფინანსური ინფრასტრუქტურის პირობებში სინგაპურსა და ფილიპინებზე).

აშკარაა, რომ განვითარებული ქვეყნები ჩრდილოვანი ეკონომიკის მცირე მასშტაბით, მაქსიმალურად იყვნენ დაინტერესებულნი სხვა ქვეყნების მიერ რეკომენდებული სტანდარტების მიღებითა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით. ბუნებრივია, ყველა ქვეყანას ჰქონდა არამხოლოდ სამართალთან, არამედ საქმიანი ბრუნვის ნაციონალურ, ზოგჯერ საუკუნოვან ტრადიციებთან დაკავშირებული საკუთარი ინსტიტუციური საფუძველი. რიგ შემთხვევაში ეს ტრადიციები ეწინააღმდეგებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნებს, ამიტომ თანდათან ხდებოდა მათი უგულებელყოფა. ეს მტკივნეული პროცესი იყო. მაგალითად შვეიცარიის, ავსტრიისა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყნისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა საბანკო საიდუმლოების პრინციპის ზოგიერთ ასპექტზე უარის თქმა, ვინაიდან ამ ქვეყნებისათვის ეს საუკუნეების მანძილზე დანერგილი ტრადიცია გახლდათ.

ბუნებრივია, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა განსხვავებულად ვითარდებოდა ანგლო-ამერიკული (დიდი ბრიტანეთი, აშშ და სხვა) და რომაულ-გერმანული სამართლის (იტალია, საფრანგეთი და

ა.შ.) ქვეყნებში. თუმცა, ვინაიდან ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სისტემების შექმნისას ყველა ქვეყანა ითვალისწინებდა ნაშრომში განხილულ FATF-ის რეკომენდაციებს, ამ რეკომენდაციების სტრუქტურა შეიძლება გამოვიყენოთ ნაციონალური სისტემების საერთო ნიშნებისა და თავისებურებების ანალიზისათვის.

1. რეკომენდაციების პირველ განყოფილებაში ლაპარაკია ნაციონალურ კანონმდებლობაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინალიზაციაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში დაწესდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფულის გათეთრებისათვის.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც ამ დანაშაულის ჩადენისათვის დაწესებული სასჯელის სიმძიმით, ასევე დანაშაულის შემადგენლობით. სასჯელის სიმკაცრით ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს აშშ. ფულის გათეთრებისთვის გათვალისწინებულია 25 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 500 ათას აშშ დოლარამდე ან იმ ოდენობით, რომ ორჯერ აღემატებოდეს იმ გარიგების თანხის თვითღირებულებას, რომელთან დაკავშირებითაც წარდგენილია ბრალი (იმის მიხედვით, თუ რომელი თანხა უფრო მეტია). გათვალისწინებულია ასევე ქონების სავალდებულო კონფისკაცია.

დიდ ბრიტანეთში ფულის გათეთრებისათვის დაწესებულია 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა; ინფორმაციის მიწოდება დანაშაულის ან მესამე პირისათვის ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ვადით; დანაშაულად ითვლება ფიზიკური პირის უმოქმედობაც თუ მან იცის ან ეჭვობს, რომ ფულადი სახსრები წარმოადგენენ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებულ შემოსავალს, რისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით. ამას გარდა, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება ფინანსური დაწესებულებების უმოქმედობა, რამაც შესაძლებელი გახადა უკანონო გზით ნაშოვნის სახსრების ლეგალიზება.

იტალიაში ფულის გათეთრებისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 7-დან 12 წლამდე ვადით. სასჯელი შეიძლება გაიზარდოს, თუ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. საბერძნეთში გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5-დან 10 წლამდე ვადით.

საუდის არაბეთის კანონმდებლობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა 15 წლამდე ვადით და ასევე ფულადი ჯარიმა 7 მილიონი რიალის ოდენობით (დაახლოებით 1.86 მილიონი აშშ დოლარი). ისრაელში კაპიტალის გათეთრება ასევე სისხლის სამართლის დანაშაულია და გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 10 წლამდე ვადით, ან ჯარიმა, რომელიც შეადგენს დაახლოებით 3 მილიონ შეკველს.

უკრაინაში აღნიშნული დანაშაულისთვის დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა 3-დან 6 წლამდე ვადით, 2 წლამდე გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა და იმ სახსრებისა და ქონების კონფისკაცია, რომელიც მოპოვებულია უკანონო გზით. ხოლო იმავე დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 7-დან 12 წლამდე და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

მოყვანილი მაგალითები მიუთითებს, რომ უმეტეს ქვეყნებში ფულის გათეთრებისთვის პასუხისმგებლობის საკმაოდ მკაცრი ზომებია გათვალისწინებული. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის პასუხისმგებლობა რიგ შემთხვევაში შეიძლება დამოკიდებული იყოს ამ შემოსავლების წყაროზე. საქმიანობის სახეობის არჩევა, რომელიც შემოსავლების ლეგალიზაციის თვალსაზრისით მეტ რისკს შეიცავს, დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებასა და შესაძლებლობებზე, გააკონტროლოს ასეთი შემოსავლები, ასევე „უკანონო“ და „დანაშაულებრივი საქმიანობის“ დეფინიციებს შორის სხვაობაზე. არაერთი ქვეყნის კანონი (აშშ, საბერძნეთი, კვიპროსი) შეიცავს იმ კრიმინალური საქმიანობების (პრედიკატული სამართალდარღვევის) სპეციალურ სიას, რომელიც ფულის გათეთრების საფუძველია. სიებში ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულები დასახელებულია პირდაპირ ან/და არის მითითება სხვა კანონების შესაბამის მუხლებზე და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონვენციებზე.

EC-ის უმეტესი ქვეყნები ისეთი დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავლების ლეგალიზებას ებრძვიან, როგორც არის იარაღით, ნარკოტიკებით, ადამიანებით, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, ტერორიზმი, პროსტიტუცია, თაღლითობა, ადამიანების გატაცება, შანტაჟი. ავსტრიისა და ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსებით დანაშაულად ითვლება ყველა იმ

აქტივის გათეთრება, რომელიც მიღებულია დანაშაულის ჩადენის შედეგად და გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით. ბელგიის სისხლის სამართლის კოდექსი ფულის გათეთრების საფუძველად ითვალისწინებს ყველა დანაშაულს.[54, გვ.251-253]

პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში ჩამოთვლილია ლეგალიზაციის მეთოდები: მიღება, გაცემა ან ქონების საზღვრის გარეთ გატანა; დახმარება საგადახდო საშუალებების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა სავალუტო ფასეულობების საკუთრებაში ან მფლობელობაში გადასაცემად, ასევე უძრავი თუ სხვა მოძრავი ქონების ქონებრივი უფლებების გადაცემაში დახმარების აღმოჩენა. პოლონეთის სსკ-ში ჩამოთვლილია დანაშაულის ის სახეობები, რომელთა ჩადენის შედეგადაც ხდება უკანონო შემოსავლების მიღება (ფსიქოტროპული საშუალებების წარმოება ან ბრუნვა, კონტრაბანდა, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება, ყაჩაღობა ან სხვა დანაშაული, მიმართული მაღალი ღირებულების ქონების წინააღმდეგ, იარაღით, ასევე ფეთქებადი ნივთიერებებით ვაჭრობა). აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის კანონში ზემოთ აღნიშნულის საპირისპიროდ ჩამოთვლილია დანაშაულის ის სახეობები, რომელთა ჩადენაც არ წარმოშობს უკანონო გზით მიღებულ შემოსავლებს.

პრედიკატული ქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც ფულის გათეთრების საფუძველია, არ არის საბოლოო. ეს სია ივსება ქვეყნების მიერ საჭიროების შესაბამისად ან მათი მზაობის შემთხვევაში, ჩაატარონ გამოძიება ფულის გათეთრების სხვა საფუძველებზე.

ბევრ ქვეყანაში ფულის გათეთრების აღკვეთა ისტორიულად ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო და მხოლოდ მოგვიანებით გავრცელდა სხვა, პირველ რიგში, მძიმე დანაშაულებზე. მაგალითად, აშშ-ს სია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში 14-დან 164 პუნქტამდე გაიზარდა, ამასთან, დღესდღეობით ის მოიცავს არა მხოლოდ მძიმე დანაშაულებს, არამედ ისეთებსაც, რომლებიც ნაკლებად საშიშია საზოგადოებისა თუ ცალკეული ინდივიდებისათვის.[63, გვ.424-425]

სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად წყდება საკითხი იმის შესახებ, ჩართულ უნდა იქნეს თუ არა ამ სიაში ისეთი დანაშაულობები, როგორცაა გადასახადებისათვის თავის არიდება, კომერციული საიდუმლოების დარღვევა და

სსკ. როგორც აღნიშნეთ, საერთაშორისო კონვენციებით მონაწილე სახელმწიფოებს ეძლევათ რეკომენდაცია სისხლის სამართლის ეროვნულ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ იურიდიული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც. მართლაც, მთელ რიგ ქვეყნებში (აშშ, კანადა, საფრანგეთი, ინგლისი, ჰოლანდია, ასევე საქართველო) დაწესებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

2. FATF-ის რეკომენდაციების მეორე განყოფილება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ზომებს, კერძოდ, კლიენტების იდენტიფიკაციის ფუძემდებლურ პრინციპს ეხება. დღეისთვის FATF-ის მონაწილე თითქმის ყველა ქვეყანაში აკრძალულია ანონიმური ანგარიშების გამოყენება. შვეიცარიამაც კი, რომლის აყვავების საფუძველს ანონიმური საბანკო შენატანები წარმოადგენდა, საერთაშორისო ნარკობიზნესის განვითარების გამო, უარი თქვა ასეთ პრაქტიკაზე. ამჟამად, შვეიცარიის კანონმდებლობა ითვალისწინებს საბანკო საიდუმლოების მიუხედავად, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მონაცემების სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიწოდების შესაძლებლობას.

ავსტრიაში ანონიმური ანგარიშები დაყადაღებულია 1993 წლის მდგომარეობით, ახლის გახსნა კი აკრძალული. დანომრილი (კოდირებული) ანგარიშები აკრძალულია გერმანიაში. არცთუ დიდი ხნის წინ ანონიმური ანგარიშები აიკრძალა ლიხტენშტეინშიც. ტრასტ-აგენტები და ადვოკატები, რომლებიც ხსნიან და მართავენ ანგარიშებს, ვალდებული არიან, გასცენ ინფორმაცია მათი კლიენტების ვინაობის შესახებ. არგენტინის ცენტრალური ბანკი საკრედიტო ორგანიზაციებისგან ითხოვს კლიენტების იდენტიფიკაციას და ფიქტიურ სახელზე გახსნილი ანგარიშების დახურვას, კრძალავს წარმომდგენზე მსხვილი ჩეკების განადგობას.

ყველაფერი ეს მიუთითებს ქვეყნების მონდომებაზე, რეალურად განხორციელდეს „ცნობილი შენს კლიენტს“ (KYC) პრინციპი. ცალკეულ შემთხვევებში კანონმდებლობა სპეციალურად მიუთითებს, როდის არ არის საჭირო იდენტიფიკაციის პროცედურის ჩატარება, კერძოდ, საბერძნეთში გათვალისწინებულია ამის შესაძლებლობა მცირე მოცულობის სადაზღვევო ოპერაციების, ასევე საპენსიო დაზღვევის ოპერაციების დროს.

უმეტესი განვითარებული ქვეყნების ფულის გათეთრების აღმკვეთი კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ პირის აუცილებელ იდენტიფიკაციას, რომელიც კლიენტის უკან დგას და რეალურად რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება ესა თუ ის ქმედება. ამისათვის, როგორც წესი, საჭიროა ინფორმაციის წარდგენა ბენეფიციარ მესაკუთრეებზე. ფინანსურ ინსტიტუტსა თუ სხვა ორგანიზაციას, რომელიც კანონმდებლობით ვალდებულია ფულის გათეთრების ჭრილში შეაგროვოს და მიაწოდოს ინფორმაცია კომპეტენტურ ორგანოს, ევალება, მიიღოს ყველა ზომა, რათა დაადგინოს რეალური ბენეფიციარის ვინაობა.

სხვადასხვა ქვეყნის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობა ათავისუფლებს პროფესიული საიდუმლოების დაცვის მოთხოვნის ვალდებულებისაგან ორგანიზაციებს, რომლებიც ახდენენ კომპეტენტური ორგანოებისათვის საექვო გარიგებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეჭვი არ გამართლდა.

როგორც წესი, იდენტიფიკაციის მოთხოვნები ვრცელდება არა მხოლოდ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც ახორციელებენ მსხვილ ან საექვო ოპერაციებს, არამედ ასევე ოპერაციების განსაზღვრულ სახეობებზეც. მაგალითად: საბერძნეთის კანონი ითხოვს, რომ იდენტიფიკაცია განხორციელდეს ხელშეკრულების დადების, ნებისმიერი სახის სადეპოზიტო ანგარიშის გახსნის, სეიფის არენდისა თუ კრედიტის აღების დროს.

ასეთი სახით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის კლიენტის იდენტიფიკაციაზე დაფუძნებული მიმართულება საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს.

3. საკითხთა შემდეგი ჯგუფი, რომელიც დასმულია FATF-ის რეკომენდაციებში და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, დაკავშირებულია კომპეტენტური ორგანოების სისტემატურ ინფორმირებასთან.

ბოლო წლებში ბევრ ქვეყანაში ჩამოყალიბდა გარიგებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და მიწოდების მექანიზმები. ანუ შეიქმნა უკუკავშირის ეფექტური სისტემები ფინანსური ბაზრის მონაწილეებსა და მათ მარეგულირებელ ორგანოებს შორის. ექსპერტთა აზრით, ინფორმირების სისტემა არის ძირითადი ელემენტი არა მხოლოდ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის,

არამედ ასევე ჩრდილოვანი ეკონომიკისა და მისი შემადგენელი კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად.[48, გვ.72]

დღესდღეისობით ასეთი სისტემების შექმნა სავალდებულოა ფინანსური ინსტიტუტების და ასევე სხვა სახის ორგანიზაციებისთვისაც. აშშ-ში ამ სისტემამ მიიღო სავალდებულო ანგარიშგების სისტემის სახელწოდება. თუმცა, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ტერმინი „ინფორმირების სისტემა“ უფრო ადეკვატურია.[17,გვ.48] EC-ის დირექტივა მონაწილე სახელმწიფოების საკრედიტო და ფინანსურ ინსტიტუტებს ავალდებულებს შეაგროვონ და გადასცენ ინფორმაცია კომპეტენტურ ორგანოებს. EC-ის არაერთმა ქვეყანამ ეს მოთხოვნა განავრცო არასაფინანსო ორგანიზაციებსა და კერძო მეწარმეებზეც, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებიან: ნოტარიუსები, ბუღალტრები, აუდიტორები, უძრავი ქონების აგენტები და კომპანიები, კაზინოები და ფულის გადამზიდავი ფირმები, იუველირები, მონეტებით, მარკებით ან ანტიკვარიატით მოვაჭრეები, პროფესიონალი კონსულტანტები – პირები, რომლებიც ასორციელებენ ან აკონტროლებენ კაპიტალის მოძრაობას.

უმეტეს ქვეყნებში კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ოპერაციების მინიმალური თანხობრივი ზღვარი, რომელიც სავალდებულო წესით ექვემდებარება კომპეტენტური ორგანოების ინფორმირებას. აშშ-ში ეს ზღვარი თავდაპირველად 10 ათასი აშშ დოლარი იყო, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მიერ განხორციელებულ ტრანსაქციებზე (1995 წლიდან 5 ათასი აშშ დოლარი). არგენტინაში ცენტრალური ბანკი საკრედიტო ორგანიზაციებისაგან ითხოვს ინფორმაციის მიწოდებას იმ ანგარიშებზე, რომლებზეც ყოველთვიურად ხვდება 50 ათას პესოზე მეტი ან 200 ათასი პესო წლის განმავლობაში.

EC დირექტივა ითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისაგან კლიენტების იდენტიფიკაციას, თუ გარიგების თანხა აღემატება 15 ათას ევროს. ხოლო, თუ შესაბამის დაწესებულებას გარიგება ეჩვენება საეჭვოდ, იდენტიფიცირება აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, თუ თანხა მითითებულ ზღვარზე ნაკლებია. უნდა აღინიშნოს, რომ EC-ის ბევრი ქვეყნის კანონმდებლობაში კონტროლირებადი თანხის ოდენობასთან დაკავშირებით უფრო მკაცრი მოთხოვნებია. გერმანიაში მოქმედებს ფულის გათეთრების შესახებ კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 1993 წლის 25 ოქტომბერს. კანონში მითითებულია, რომ

საექვო გარიგებების არსებობისას, უმნიშვნელო ოდენობის თანხის შემთხვევაშიც კი, ბანკები ვალდებული არიან დაადგინონ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები და დაუყოვნებლივ მიაწოდონ შესაბამის ორგანოებს ინფორმაცია. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ასეთი მინიმალური თანხა არის დაახლოებით 10 ათასი აშშ დოლარის ეროვნული ექვივალენტი, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში „ზღვრული“ თანხა არსებითად განსხვავებულია.

4. FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად ფინანსური დაზვერვის (ფინანსური მონიტორინგის) ორგანოების შექმნა და მათთვის გარკვეული უფლებამოსილების მინიჭება ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. ბოლო წლების განმავლობაში 70-ზე მეტ ქვეყანაში შეიქმნა საფინანსო დაზვერვის სამსახურები სხვადასხვა სახელწოდებითა და უფლებამოსილებებით.

საფინანსო დაზვერვის ორგანიზებისა და ფუნქციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და ბანკების მიმართ ნდობის ხარისხის მიხედვით, საზღვარგარეთის ქვეყნების ფინანსური მონიტორინგის სამსახურები შეიძლება გაფოთ ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ისინი, რომლებიც შექმნილია ეკონომიკური და ფინანსური სახელმწიფო ორგანოების სისტემასთან კავშირში. მათ ფუნქციებში დომინირებს საინფორმაციო ხასიათის საქმიანობა: საექვო გარიგებებზე ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება. მეორე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ფინანსური მონიტორინგის სამსახურები, რომლებიც შექმნილია შინაგან საქმეთა თუ სხვა სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში. ამ შემთხვევაში ძირითადი ყურადღება ეთმობა საგამოძიებო მოქმედებებს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ფინანსური მონიტორინგის სამსახურების ფართო სპექტრია წარმოდგენილი. აშშ-ში ფინანსური დაზვერვის ფუნქციას ასრულებს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ფინანსური დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო (Financial Crimes Network - FinCEN), საფრანგეთში - უკანონო ფინანსური ოპერაციების საგამოძიებო ჯგუფი (Traitement du renseignement et action contre les circuits financiers clandestins - TRACfin), კანადაში - ფინანსური ოპერაციებისა და ანგარიშების ანალიზის ცენტრი (Financial Transaction and Report Analysis Center - FTRAC), საბერძნეთში

ანალოგიური ფუნქციები აქვს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალურ კომიტეტს, ხოლო არგენტინაში იუსტიციისა და ადამიანთა უფლებების სამინისტროსთან არსებულ ფინანსური ინფორმაციის კომიტეტს (Financial Information Unit - UIF), ბრაზილიაში - ფინანსური საქმიანობის კონტროლის საბჭოს (Council for Financial Activities Control - COAF), იაპონიაში - იაპონური ფინანსურ დაზვერვას (Japanese Financial Intelligence Office - JAFIO), გერმანიაში - ფინანსურ ოპერაციებზე ზედამხედველობის უწყებას (Bundesanstalt für Finanzdienstleistungsaufsicht – BaFin), დიდ ბრიტანეთში - კრიმინალური გამოძიების ნაციონალურ სამსახურს (National Criminal Intelligence Service – NCIS), იტალიაში - იტალიის ბანკთან არსებულ სპეციალურ ორგანიზაციას (Ufficio Italiano Dei Cambi - U.I.C.).

ზოგიერთ ქვეყანაში ერთმანეთის პარალელურად არსებობს რამდენიმე ორგანიზაცია ფინანსური მონიტორინგის განსხვავებული ფუნქციით. მაგალითად, შვეიცარიაში ფინანსური დაზვერვის ფუნქციებს ერთდროულად სამი ქვედანაყოფი ასრულებს: ფინანსთა სამინისტროს სპეციალური განყოფილება, ფინანსური პოლიცია და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური. მექსიკაში ორი სპეციალური ორგანიზაცია არის: გენერალური პროკურორის ოფისთან არსებული ტრანსაქციების გამოძიების გენერალური დირექტორატი (Attached General Directorate for Transaction Investigation - DGAIO) და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტო.

ფინანსური დაზვერვის ორგანიზაციების ძირითადი ფუნქციებია: შემოსული ინფორმაციის ანალიზი და საექვო ოპერაციების გამოვლენა; მონაცემთა ბაზის წარმოება; სამართალდამცავ ორგანოებთან კავშირი, საექვო ოპერაციების შესახებ მათი ინფორმირება; ფინანსური ინსტიტუტების მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შიდა პროგრამების (პროცედურების) დაცვასა და საექვო ოპერაციების გამოვლენაზე კონტროლი; ფინანსური ორგანიზაციების უსაფრხობის უზრუნველყოფა, რათა არ მოხდეს დანაშაულებრივი დაჯგუფებების მიერ მათ კაპიტალში მნიშვნელოვანი წილის შესყიდვა.

ფინანსური დაზვერვის სამსახურებს კავშირი აქვთ სამართალდამცავ, სასამართლო და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ კავშირების სწორ კოორდინაციაზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სისტემის ეფექტურობა. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ფინანსური ორგანიზაციებისაგან ფინანსური დაზვერვისათვის ინფორმაციის გადაცემის მექანიზმები. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ყველაზე ეფექტურია ტრანსაქციების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივი გადაცემა.

სხვადასხვა ქვეყანაში გამოყენებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხერხებისა და მეთოდების მოკლე მიმოხილვიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. ფულის გათეთრების აღკვეთის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში, მთლიანობაში შეესაბამება FATF-ისა და საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნებს, ამიტომ პრაქტიკულად ერთმანეთის იდენტურია;

2. ფულის გათეთრების აღკვეთის ნაციონალურ სისტემებს, საერთო აგების პრინციპებისა და სტრუქტურის მიუხედავად, ცალკეული განსხვავებები ახასიათებთ ფინანსური დაზვერვის მოწყობის მეთოდებში, მათ კავშირში სხვა მაკონტროლებელ და სამართალდამცავ ორგანოებთან, სტრუქტურებს შორის უფლებამოსილების განაწილებაში, ინფორმაციის გადაცემის მექანიზმში, საკანონმდებლო-ნორმატიულ ბაზაში (ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობის ზომებს შორის).

3. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა მიმართულებით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული. ფაქტობრივად, ეს არის მსოფლიო პრაქტიკაში უნიკალური მაგალითი, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, განსხვავებული ინსტიტუციური საფუძვლებისა და ეკონომიკური განვითარების ქვეყნების მიერ, ერთიანი გეგმისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რთული და საკმაოდ ეფექტური სისტემების პარალელურად შექმნის.

როგორც მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, ფულის გათეთრების აღკვეთის სისტემის ეფექტურობა განისაზღვრება, პირველ რიგში, ბრძოლის მიღებული ხერხებისა და მეთოდების შესაბამისობით ნაციონალურ ფორმალურ და არაფორმალურ (საქმიანი ტრადიციები და ა.შ.) ინსტიტუტებთან, ასევე ინფორმაციის გაცვლისა და მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთკავშირის ადმინისტრაციული მექანიზმებით, ამიტომ

უკანონო შემოსავლიც ლეგალიზაციის აღკვეთის ნაციონალური სისტემის ანალიზისას სწორედ ამ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.[43, გვ.154]

ამერიკის შეერთებული შტატები - ლიდერი ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში. აშშ პირველი შეეჯახა ფულის გათეთრების მასშტაბებს. ისევე, როგორც სხვა განვითარებულ ქვეყნებში, აშშ-შიც ფასობდა საბანკო საიდუმლოების პრინციპი, რომელიც მრავალი ამერიკელის ცნობიერებაში მნიშვნელოვან ლიბერალურ ღირებულებებს წარმოადგენდა, თუმცა, ამერიკის მთავრობამ განჭვრიტა გლობალური საშიშროება და პირველმა მიიღო გადამჭრელი ზომები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციისთვის.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აშშ-ში მიღებული კანონები იქცა პირველ ნაბიჯად იმ საფრთხის აღსაკვეთად, რომელიც მთელი მოცულობით აღიმართა კაცობრიობის წინაშე 21-ე საუკუნის დასაწყისში. იმისათვის, რომ მიეღო სწრაფი და რადიკალური გადაწყვეტილებები საკანონმდებლო ბაზის არსებითად შესაცვლელად, აშშ-ს დაეხმარა საერთო სამართლის სისტემაზე დაფუძნებული მოხერხებული ინსტიტუციური ბაზა. საერთო სამართლის სისტემის ძირითადი მახასიათებელი მობილურობაა. მასში ჩადებულია მუდმივი სრულყოფის მექანიზმი. ის იდეალურია დინამიკური საბაზრო ეკონომიკისათვის, რომელსაც მუდმივად სჭირდება თამაშის წესების კორექტირება. ნებისმიერ მომენტში, შესაძლებელია სამართლებრივი სისტემის ცვლილება. ახალი ამოცანები, რომლებსაც სვამს ეკონომიკური განვითარება და ბაზარი, იქვე შეიძლება გადაიჭრას სასამართლოს მიერ და ეს სასამართლო გადაწყვეტილება მაშინვე შევა სამართლებრივ სისტემაში, შეცვლის და გაამდიდრებს მას.

ჯერ კიდევ 1970 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო 3 კანონი, რომლებიც პირდაპირ იყო ფულის გათეთრების პრობლემასთან დაკავშირებული: კანონი საბანკო საიდუმლოების შესახებ (**Bank Secrecy Act - BSA**), კანონი ორგანიზებული დანაშაულობის კონტროლის შესახებ, კანონი ნარკოტიკების გავრცელების საყოველთაო კონტროლის შესახებ. ეს ქონების კონფისკაციის მექანიზმის ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად ამოქმედების პირველი მცდელობა იყო.

კანონი საბანკო საიდუმლოების შესახებ (რომელსაც შეიძლება საბაკო საიდუმლოების წინააღმდეგ მიმართული კანონიც ვუწოდოთ), პირველ რიგში

მიმართული იყო სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული საბანკო საიდუმლოების დამცველი კანონებით გამოწვეული პრობლემების დაძლევისაკენ. BSA უზრუნველყოფს ფულისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების წყაროს, მოცულობის, მოძრაობის დადგენას ქვეყნის შიგნით (ასევე მათი გატანის ან შემოტანისას). ეს კანონი ასევე არეგულირებს ფინანსური ორგანიზაციებისგან ინფორმაციის მიღების წესსა და ამ ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობას სისხლის სამართლებრივი, საგადასახადო და სხვა სამართალდარღვევის გამოსაძიებლად.[52, გვ.160-162]

კანონი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ითხოვს, რომ ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები ინახავდნენ განსაზღვრულ დოკუმენტაციას 5 წლის განმავლობაში. ამ დოკუმენტებს მიეკუთვნება საკრედიტო ხელშეკრულებები და 10 ათას აშშ დოლარზე მეტი ოდენობის საგადახდო დავალებები ხელმოწერის ნიმუშითა და გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრით. მეორე ნაწილი ავალდებულებს კერძო პირებს, ბანკებსა და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებს გარკვეულ საერთაშორისო და შიდა ოპერაციებზე წარადგინონ ანგარიშგება კომპეტენტურ ორგანოში. თანხის გადატანა საზღვარზე, თუ ექვივალენტი აღემატება 10 ათას აშშ დოლარს უნდა იქნეს დეკლარირებული საბაჟოზე სპეციალური ფორმით „A Report of international Transportation of Currency or Monetary Instrument - CMIR“ (ანგარიშგება ვალუტის ან სხვა ფულადი ინსტრუმენტის საერთაშორისო გადაადგილებაზე). სავალუტო ოპერაციები დეკლარირდება სპეციალურ ფორმაში „A Currency Transaction Report“ - CTR (ანგარიშგება სავალუტო ოპერაციების შესახებ). ქვეყნის შიგნით ბანკებსა და სხვა ფინანსურ დაწესებულებებში თანხის (თუ ის აღემატება 10 ათას აშშ დოლარს) გაცვლა, გატანა, შეტანა ან გადატანა, უნდა იყოს დეკლარირებული International Revenue Service-ში (IRL - საგადასახადო სამმართველო ან შიდა შემოსავლების სამსახური) CTR - ფორმით.

კანონი საბანკო საიდუმლოების შესახებ არაერთხელ შეიცვალა. 1990 წლიდან საფინანსო დაწესებულებების თანამშრომლები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან მიაწოდონ ინფორმაცია შესაბამის უწყებას საეჭვო გარიგებების შესახებ. პირები, რომლებიც კანონის ამ მოთხოვნას დაარღვევენ, მიცემულნი იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

1986 წელს მიღებულ იქნა კანონი საერთაშორისო ოპერაციებზე საბანკო ჩანაწერებისა და ანგარიშგებების შესახებ (The Bank Records and Foreign Transaction Reporting Act). კანონი, 10 ათას აშშ დოლარზე მეტი ოდენობის ნაღდი ფულის მიღებისას (1995 წლიდან ზღვრული თანხა დაწეულ იქნა 5 ათას აშშ დოლარამდე) ითხოვს სპეციალური ანგარიშგების შევსებას („Reports of Cash Payment over \$10000 Received in a Trade or Business“ - IRS, Form 8300). ბანკისა და მისი საზღვარგარეთული ფილიალების ხელმძღვანელობამ უნდა წარადგინონ ანგარიშგება „A Report of Foreign Bank and Financial Account“ - FBAR (ანგარიშგება საზღვარგარეთის ბანკებში ანგარიშების შესახებ) ხაზინაში ყოველი წლის 30 ივლისამდე.

„ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ აშშ-ს კანონი (Money Laundering Control Act - 1986 წელი - ცვლილებებით 1992, 1994, 1995, 1996 წ.წ.) მსოფლიო პრაქტიკაში პირველი საკანონმდებლო აქტია, რომლის მიზანსაც ცალსახად ფულის გათეთრების პრევენცია წარმოადგენდა. კანონმა ნაციონალურ კანონმდებლობაში პირველად მოახდინა ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია. ამ კანონის მიხედვით, ფინანსური ოპერაცია განიხილება როგორც ფულის გათეთრება, თუ მისმა ჩამდენმა პირმა იცის, რომ ეს ოპერაცია ხორციელდება იმისათვის, რომ მოხდეს მისი ნამდვილი ბუნების, შემოსავლის წყაროს, საკუთრების ადგილმდებარეობის, შემოსავლების განკარგვის დაფარვა ან შენიღბვა.

1988 წელს მიღებულ იქნა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე ბრალდების გაძლიერების შესახებ კანონი („The Money Laundering Prosecution Improvement Act“ - MLPIA), რომელმაც გააფართოვა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის მოქმედება საგადახდო დოკუმენტების გადაზიდვა, გადატანა, გაგზავნაზე. ამ კანონის მიხედვით, ბანკები ვალდებული არიან, ინფორმაცია მიაწოდონ სამართალდამცავ ორგანოებს ყველა საექვო ოპერაციაზე, რომლის თანხაც 5 ათას აშშ დოლარს აღემატება (ხოლო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე 3 ათას აშშ დოლარს ზევით). აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ ინსტრუქციაში დეტალურადაა აღწერილი „საექვო“ გარიგებების ნიშნები და ასეთი შემთხვევის გამოვლენისას ბანკის თანამშრომლის ვალდებულებები. ამ წესების დარღვევისთვის გათვალისწინებულია დიდი ოდენობით ჯარიმები, სამსახურიდან გათავისუფლება, ხოლო განზრახი

ქმედებისას - სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ფულის გათეთრებაში თანამონაწილეობისათვის. სავალდებულო მოთხოვნაა ყველა საბანკო დაწესებულებაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი სპეციალური პროგრამის არსებობა.

1992 წლის კანონმა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (Annunzio - Wylie Money Laundering Suppression Act) კიდევ უფრო გააფართოვა BSA-ში მოცემული „ფინანსური საქმიანი ოპერაციების“ განსაზღვრება და აკრძალა უკანონო დაწესებულებების მიერ ფულადი გადარიცხვების განხორციელება. ეს კანონი ყველაზე უფრო მეტად ცნობილია დებულებით, რომელმაც პირობითი სახელი „სასიკვდილო განაჩენი“ შეიძინა. ამ დებულების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის ბანკი დამნაშავე იქნება ფულის გათეთრებაში, საბანკო საქმიანობაზე ფედერალური კონტროლის ორგანო იწყებს პროცედურას, რომლის შედეგადაც ბანკი წყვეტს საქმიანობას ან ახდენს მისი აქტივების დაზღვევის ანუღირებას.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ უმოკლეს ვადაში იქნა მიღებული ანტიტერორისტული საკანონმდებლო აქტი, ცოტა არ იყოს, უცნაური სახელწოდებით - „ამერიკის გაერთიანება და გაძლიერება იმ შესაბამისი სახსრების მიწოდებით, რომლებიც აუცილებელია ტერორიზმის აღსაკვეთად“ (Uniting and Strengthening America by Providing Appropriate Tools Required to Intercept and Obstruct Terrorism - USA PATRIOT Act). ეს კანონი, რომელიც „პატრიოტულ აქტად“ იწოდება, სპეცსამსახურებს ანიჭებს უპრეცედენტო უფლებამოსილებებს, მათ შორის სატელეფონო საუბრების მოსმენის და ელექტრონული ფოსტის კონტროლის შესაძლებლობას. „პატრიოტული აქტის“ შემადგენელი ნაწილია კანონი ფულის საერთაშორისო გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ. ის შეიცავს შემდეგ უმნიშვნელოვანეს დებულებებს:

1. ფინანსთა მინისტრს ენიჭება უფლებამოსილება, განსაზღვროს, რომელ საზღვარგარეთულ იურისდიქციებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან წარმოებული ოპერაციები არის საეჭვო. შესაძლებელია ასევე საეჭვოდ გამოცხადდეს ტრანსაქციების ცალკეული კლასი (სახეობა). ასეთი ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში ამერიკულ ბანკებს განსაკუთრებული სიმკაცრით მოეთხოვებათ აწარმოონ ჩანაწერები, ანგარიშგებები და დაადგინონ

ბენეფიციარები. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკული ბანკი საკორესპონდენტო ანგარიშს უხსნის საექვო ბანკს ან ფინანსურ ინსტიტუტს, ამ უკანასკნელისაგან შეიძლება მოთხოვნილ იქნას აწარმოოს ყველა კლიენტის იდენტიფიცირება და ინფორმაციის მიწოდება, იმგვარად, თითქოს ამ კლიენტებს ამერიკულ ბანკში ჰქონდეთ ანგარიში გახსნილი. განსაკუთრებით საექვო იურისდიქციის ბანკებისათვის საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა ამერიკულ ბანკებში აკრძალულია.

2. კანონით გათვალისწინებულია კლიენტების შემოწმების განსაკუთრებული ზომები საკორესპონდენტო და კერძო საინვესტიციო ანგარიშების გახსნისას (**Private Banking Accounts**). საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნისას (არსებობისას) ოფშორული ლიცენზიის (ლიცენზია მუშაობის უფლებით არარეგისტრაციის ქვეყანაში) მქონე ან „საექვო“ იურისდიქციის ბანკებისათვის, აუცილებელია მათი მფლობელების იდენტიფიკაცია, ამ ბანკის მიერ განხორციელებული ოპერაციების განსაკუთრებული კონტროლი, ასევე, სრული ინფორმაციის მიღება მისი კორესპონდენტი ბანკების შესახებ. კერძო საინვესტიციო ანგარიშების გახსნისას (ანგარიში 1 მლნ. აშშ დოლარის ზემოთ) სავალდებულოა ბენეფიციარის და სახსრების წყაროს იდენტიფიცირება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უცხოელი პოლიტიკოსების ანგარიშებს.[20, გვ.41-42]

3. აკრძალულია საკორესპონდენტო ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთულ ფიქტიურ ბანკებთან (**shell banks**). ეს არის ბანკი, რომელიც რეალურად (ფიზიკურად) არ არის წარმოდგენილი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში. შელ-ბანკი განსხვავდება გარკვეულწილად ოფშორული ბანკისგან, თუმცა ხშირად სწორედ ოფშორული კერძო ბანკი ახორციელებს საქმიანობას რეალური ოფისისა და თანამშრომლების გარეშე, საბანკო ლიცენზიისა და საკორესპონდენტო ანგარიშების დაგროვების გზით, რომლებიც მარტივად იმართება ბანკის მფლობელის კომპიუტერიდან. ამერიკული ბანკები ვალდებული არიან გააკონტროლონ, რომ მათ კორესპონდენტ საზღვარგარეთულ ბანკებს არ ჰქონდეთ საკორესპონდენტო ურთიერთობა ფიქტიურ ბანკებთან.

4. კანონი ითვალისწინებს აშშ-ში საკორესპონდენტო ანგარიშებზე სახსრების დაყადაღების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ოფშორული

იურისდიქციის გამოყენების საშიშროება საკმაოდ ადრე შეამჩნიეს. ჯერ კიდევ 1962 წელს კანონმდებლობაში შეტანილ იქნა პირველი დებულებები, რომლებიც ოფშორებთან ოპერაციებს ზღუდავდა. ამჟამად მოქმედებს ნორმების მთელი კომპლექსი, რომელიც ცნობილია, როგორც კონტროლირებადი საზღვარგარეთული კორპორაციების შესახებ წესი (Controlled Foreign Corporations - CFC). ამ წესების იდეა ისაა, რომ კორპორაცია ითვლებოდა კონტროლირებადად, თუ მასში ამერიკელი აქციონერები ფლობენ ამ კორპორაციის აქციების ან კაპიტლის 50%-ზე მეტს. ასეთ შემთხვევაში ყოველი ამერიკელი აქციონერი, რომელიც ფლობს ამ კორპორაციის აქციების 10%-ზე მეტს, ვალდებულია, გაითვალისწინოს თავის დასაბეგრ შემოსავლებში კომპანიის შემოსავლის წილი, რომელიც შეესაბამება მის წილს კომპანიის კაპიტალში. ამასთან, ის ვალდებულია, მოიქცეს ზემოაღნიშნული სახით იმ შემთხვევაშიც, თუ ამ შემოსავლის რეალური განაწილება აქციონერებს შორის არ ყოფილა.[19, გვ.32-33]

დღევანდელი მდგომარეობით, არაერთი შეთანხმებიდან ორმაგი დაბეგვრის შესახებ, რომელიც აქვს აშშ-ს, მხოლოდ ორი არის გაფორმებული ოფშორულ ზონებთან - ბარბადოსთან და კვიპროსთან. სხვა შეთანხმებები, რომლებიც დადებული იყო „საგადასახადო თავშესაფრებთან,“ მათ შორის ბრიტანეთის ვირჯინიისა და ნიდერლანდის ანტილიის კუნძულებთან, დაირღვა სწორედ იმ მიზნით, რომ მომხდარიყო ოფშორული კომპანიებისათვის საგადასახადო შედაგათების ლიკვიდაცია.[29, გვ.103-104]

„პატრიოტული აქტის“ მოქმედებაში მოყვანის შედეგად, ფაქტობრივად წერტილი დაესვა ფიქტიური ბანკების გამოყენებას, რომელთა მომსახურებითაც სარგებლობდნენ არა მხოლოდ დამნაშავეები და ტერორისტები, არამედ ფინანსისტები და ბანკირებიც. ასეთ ბანკებს, ფაქტობრივად, არ აქვთ შესაძლებლობა, გახსნან საკორესპონდენტო ანგარიშები არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ აშშ-ს კორესპონდენტ ბანკებშიც, ანუ თითქმის არსად. ხოლო ბანკი საკორესპონდენტო ანგარიშების გარეშე, ბუნებრივია, ვერ განახორციელებს საქმიანობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „პატრიოტულმა აქტმა“ დარტყმა მიაყენა ბიზნესს, თუმცა ეს დანაშაულობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მიზნებით იყო განპირობებული.[18,გვ.50]

საერთო ჯამში, მკაცრი, მაგრამ თანამედროვე საფრთხეების ადეკვატური ამერიკული კანონმდებლობა მეტად ეფექტურად გამოიყენება ფულის გათეთრების აღკვეთის საკმაოდ მწყობრი ადმინისტრაციული სისტემის მიერ. ცენტრალურ ადგილს ამ სისტემაში აშშ-ს ფინანსთა სამინისტრო იკავებს. მის სტრუქტურულ შემადგენლობაში შედის: შიდა შემოსავლების სამსახური (International Revenue Service - IRS) ანუ ფედერალური საგადასახადო სამსახური; აშშ-ს საბაჟო სამსახური (U.S. Customs Service - USCS); ფულადი მიმოქცევის კონტროლის სამმართველო (Office of Controller of the Currency - OCC), რომლის ფუნქციაა საბანკო საქმიანობის რეგულირება; საზღვარგარეთული აქტივების კონტროლის სამმართველო (Office of Foreign Assets Control - OFAC), რომელიც დაკავებულია საზღვარგარეთის ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიმართ ეკონომიკური სანქციების დაწესებით; ფინანსური დანაშაულობის აღკვეთის სამმართველო (Financial Crimes Enforcement Network - FinCEN), რომელიც ახორციელებს ფულის გათეთრების აღკვეთის სამუშაოების კოორდინაციას და ანალიტიკურ საქმიანობას; სხვა ორგანიზაციები (უწყებები).[15, გვ.60]

FinCEN ფულის გათეთრებაში ჩართულობის თვალსაზრისით „საექვო“ ქვეყნების შავ სიას აწარმოებს. ამერიკული ბანკები ხელმძღვანელობდნენ FinCEN-ის სიით ისევე, როგორც FATF-ის სიით. აშშ-ს ფინანსური დაზვერვის - FinCEN-ის მოწოდების და მის მიერ განხორციელებული ფულის გათეთრების აღკვეთის ღონისძიებების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს ის ძირითადი პრინციპები, რაც მის საფუძველში დევს:

1. იმ მოვლენის (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის) სირთულე, რომლის აღკვეთაც უნდა მოხდეს, განსაზღვრავს თავად მის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის სირთულეს. ვინაიდან ფულის გათეთრება - მეტად რთული, მრავალასპექტიანი პრობლემაა, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის სხვადასხვა დარგში დამნაშავეების კოორდინირებულ საქმიანობასთან, მის წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად აუცილებელია შეიქმნას კიდევ უფრო რთული, მრავალდარგოვანი, მაგრამ მართვის თვალსაზრისით ერთიანი სისტემა;
2. ფულის გათეთრების აღმკვეთი სისტემის ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს თავად მოვლენის მასშტაბებს. ბუნებრივია, რომ ათეულობით მილიარდი დოლარის ლეგალიზაციას, აღკვეთის იაფფასიანი სისტემა ეფექტურ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს;

3. არ შეიძლება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრობლემის გადაჭრა კორუფციისგან იზოლირებულად. კორუმპირებული თანამდებობის პირები ერთი მხრივ, წარმოადგენენ ფულის გათეთრების „მომსახურების“ ყველაზე უფრო აქტიურ მომხმარებლებს, ხოლო მეორე მხრივ - პრაქტიკულად ლეგალიზაციის ყველა მექანიზმში გამოიყენება კორუფციული კავშირები. აშშ-ს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის მნიშვნელოვან თავისებურებას სწორედ კორუფციის, როგორც ფულის გათეთრების პრევენციის ცენტრალური ელემენტის, წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს;

4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სისტემის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი უნდა იყოს მრავალფუნქციური და მრავალდარგობრივი მონაცემთა ბანკი.

FinCEN ძირითადად საინფორმაციო ანალიტიკურ ცენტრია. თუმცა ფინანსური დანაშაულობის აღკვეთის სამმართველო მჭიდროდ თანამშრომლობს ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს, გამოძიების ფედერალურ ბიუროსა (FBI) და თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოსთან იმ ფინანსური დანაშაულების გამოძიებისას, რომლებიც აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისათვის საფრთხეს წარმოადგენენ (ბოლო დროს ასეთი სახის დანაშაულთა წრე მეტად გაფართოვდა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **FinCEN**-ს აქვს წვდომა ზემოთჩამოთვლილი უწყებების და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს (რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაჭერას ელექტრონულ (მათ შორის დახურულ) საზებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ) საინფორმაციო მასივებზე. ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად **FinCEN**-ის ძირითადი იარაღი არის მონაცემთა ბანკი, რომელშიც შედის:

- ფინანსური ინფორმაციის მონაცემთა ბაზა (**Financial Data Base - FDB**);
- კომერციულ მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას კორპორაციებისა და ფიზიკური პირების შესახებ. მისი წყაროა კომერციული ანალიტიკური ცენტრების, სპეციალიზებული სამსახურების მონაცემთა ბაზები და ასევე საბაჟო და აშშ-ს შიდა შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია;
- სამართალდამცავი ორგანოების სასამართლო საქმეებისა და აშშ-ს ფედერალური დაზვერვის სამსახურებიდან შემოსული ინფორმაციის კარტოთეკა, რომელშიც ასევე ჩართულია მონაცემთა ბაზა: ა) უკანონო შემოსავლების

წყაროს მიხედვით (Source Data Base); ბ) ფულის გათეთრებაზე გამოძიების შემთხვევების მიხედვით (Undercover Money Laundering Investigation Data Base); გ) სასამართლოში გადაცემული სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით (Criminal Referral Data Base).

Financial Data Base-ში გროვდება კოლოსალური მოცულობის ანგარიშგებები აშშ-ს ყველა ბანკიდან და ფინანსური დაწესებულებიდან, კერძოდ: დეკლარაციები 5 ათას აშშ დოლარს ზევით ნაღდი ფულით განხორციელებულ ოპერაციებზე (Currency Transaction Report - CTR), რომლებიც მიეკუთვნება ბანკების ან სხვა ფინანსური დაწესებულებების მიერ განხორციელებულ ფულადი გადარიცხვების გარკვეულ კატეგორიას; დეკლარაციები კაზინოში ფინანსური გარიგების შესახებ (Currency Transaction Report by Casinos - CTRC), რომლებიც მიეკუთვნება სავალუტო ოპერაციების გარკვეულ სახეს, ხოლო თანხის ოდენობა აღემატება 3 ათას აშშ დოლარს; დეკლარაციები საზღვარგარეთ არსებული საბანკო და სხვა ფინანსური ანგარიშების შესახებ (Reports of Foreign Bank and Financial Accounts); დეკლარაციები ნაღდი ფულის (როგორც კომერციული ან პროფესიული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის) შემოდინებაზე, თუ თანხა აღემატება 5 ათას აშშ დოლარს. Financial Data Base-ში არის ასევე ცნობები ყველა საექვო ოპერაციასა და საერთაშორისო გადარიცხვაზე.

1991 წლიდან FinCEN-ში მოქმედებს საექვო ანგარიშების მონაცემთა კომპიუტერული ბაზა (Suspect Account Records - SAR/FinCEN), რომელიც შემუშავებულია ნარკოტიკების უკანონო გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოსთან (DEA) ერთად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ Financial Data Base შეიცავს მონაცემებს ამერიკული ფინანსური ორგანიზაციების, ფიზიკური პირების და საზღვარგარეთული ბანკების ყველა მსხვილი ოპერაციის შესახებ, რომლებიც განხორციელდა ბოლო 30 წლის განმავლობაში. ეს კი იძლევა შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას „ღრმა სტატისტიკის“ პროგრამები დანაშაულებრივი და საექვო კავშირების გამოსავლენად.

დღესდღეობით FinCEN ინფორმაციის მოცულობითა და ბაზის მართვის ყველაზე სრულყოფილი სისტემის მეშვეობით მთელ მსოფლიოში ყველაზე მსხვილ მონაცემთა ბანკს ფლობს. AIMPPCMPP-Massive Parallel Processing ტექნოლოგია შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს მთელი ამერიკული ელექტრონული

საბანკო პროცესის მონიტორინგი დროის რეალურ რეჟიმში. ეს სისტემა ავტომატურად ამოწმებს 70-ზე მეტ ამერიკულ მონაცემთა ბაზას. მას შეუძლია აღმოაჩინოს არალოგიკური ფინანსური ოპერაციები სპეციალისტების მიერ მათი შემდგომი შესწავლის მიზნით, რაც საბოლოო ჯამში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და, ზოგადად, ორგანიზებული დანაშაულობის აღკვეთის რეალურ შესაძლებლობას ქმნის.[68]

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება ევროპულ ქვეყნებში.
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ევროპის ქვეყნებმა მაგალითი აწარმოეს აიღეს. თუმცა ფულის გათეთრების პრევენციის ევროპული მექანიზმები მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა ევროკავშირში. EC-ის მასშტაბით ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ 1991 წლის დირექტივა ფინანსური სისტემის ფულის გათეთრების მიზნით გამოყენების აღკვეთის შესახებ. დირექტივა ითხოვდა EC-ის სახელმწიფოებისგან სისხლის სამართლებრივად დასჯად ქმედებად ელიარებინათ ნარკოტიკების თუ სხვა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია, მოეხდინათ კლიენტების იდენტიფიკაცია, ეწარმოებინათ მსხვილი სავალუტო გარიგებების აღრიცხვა და ხელისუფლებისთვის ეცნობებინათ საეჭვო გარიგებების განხორციელების შემთხვევები. ფინანსური სისტემის გამჭვირვალობისასთან დაკავშირებული მოთხოვნები შესაძლებელი იყო ნაციონალურ კანონმდებლობაში გავრცელებულიყო ბიზნესის იმ სახეობებსა და პროფესიებს, რომლებიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თვალსაზრისით შეიცავდნენ რისკს.[92, გვ.363-364]

2001 წლია 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ევროპის პარლამენტმა იმავე წლის ნოემბერში კიდევ უფრო განავრცო დირექტივები. მათ დაემატა ორი მნიშვნელოვანი პუნქტი: პირველი, ეს იყო დებულება ტერორიზმის დაფინანსების შესახებ და მეორე - სამართალდარღვევების შესახებ შეტყობინების ვალდებულება გავრცელდა ისეთ პროფესიებსა და საქმიანობაზე, რომლებიც არ იყო დაკავშირებული საფინანსო სექტორთან, კერძოდ, ადვოკატებზე, საგადასახადო საკითხების კონსულტანტებსა და აუდიტებზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს EC-ის გამოცდილება საგადასახადო რეგულირების კუთხით, რომლის მიზანიც, კაპიტალის გადინების შეზღუდვა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სტიმულირების რისკის შემცირებაა. 2000 წელს EC-მა მიიღო დირექტივა საგადასახადო დაბეგვრის დაგროვების შესახებ. დირექტივის მიხედვით EC-ის ქვეყნებს შორის არარეზიდენტების შემოსავლებზე საბანკო ინფორმაციის ავტომატური გაცვლა ხდება. ინფორმაცია იგზავნება არარეზიდენტის რეგისტრაციის (მუდმივი საცხოვრებლის) ქვეყანაში, სადაც უკვე მის შემოსავალს ამ ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო ტარიფების შესაბამისად ერიცხება გადასახადები. მაგალითად, საფრანგეთის მოქალაქე (სადაც შემოსავალი უფრო მაღალი პროცენტით იბეგრება), თავის ფულად სახსრებს ანთავსებს ავსტრიის (სადაც გადასახადი ნაკლებია) ერთ-ერთ ბანკში. დირექტივის თანახმად, ბანკი ვალდებულია, შეატყობინოს საფრანგეთის შესაბამის უწყებებს შემოსავლის ოდენობა. ამ ინფორმაციის საფუძველზე საფრანგეთის მოქალაქეს მშობლიურ ქვეყანაში შემოსავალზე გადასახადი ერიცხება მთელი მოცულობით.[13, გვ.48]

საბანკო ინფორმაციის გაცვლა 2005 წლის 1 იანვარს დაიწყო, ხოლო 1 ივლისიდან არარეზიდენტების პროცენტულ მოგებაზე დაწესდა 15%-იანი საშემოსავლო გადასახადი. ამასთან, საშემოსავლო გადასახადის 75% არარეზიდენტის სამშობლოში ირიცხება. რაც შეეხება EC-ის სამ ქვეყანას - ავსტრიას, ბელგიასა და ლუქსემბურგს, ისინი თავისუფლდებიან ინფორმაციის გაცვლისგან, თუმცა არარეზიდენტის პროცენტულ შემოსავალზე უნდა აწარმოონ ზრდადი საშემოსავლო გადასახადი. EC-ის დირექტივის თანახმად, 2008 წელს EC-ის ქვეყნებში საბანკო შენატანებზე გადასახადი 20%-მდე გაიზარდა, ხოლო 2011 წლის შემდეგ 35%-მდე. ეს დირექტივა ავტომატურად ვრცელდება EC-თან ასოცირებულ ქვეყნებზე, ასევე 10 დამოუკიდებელ ტერიტორიაზე (კუნძული მენი, ნორმანდიის კუნძულები და ა.შ.) და უცხოელ მოქალაქეებზე, რომლებიც თავიანთ დანაზოგს ევროპულ ქვეყნებში ინახავენ.

ამ საკითხში EC-ის პოლიტიკა წინააღმდეგობაში მოვიდა აშშ-ს პოზიციასთან. აშშ-ში მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც არარეზიდენტების საბანკო შენატანებზე დარიცხული პროცენტები თავისუფლდება ამერიკული გადასახადებისგან, რაც, ბუნებრივია, ქვეყანაში მნიშვნელოვანი საზღვარგარეთული კაპიტალის შედინებას განაპირობებს (დაახლოებით 1,1 ტრილიონ აშშ დოლარი). უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის

სფეროში ეს ერთ-ერთი საკითხია, რომელთან დაკავშირებითაც EC-სა და აშშ-ს განსხვავებული პოზიცია აქვთ.[11, გვ.122-123]

გაერთიანებული სამეფო (დიდი ბრიტანეთი). გლობალური ფინანსური ბაზრითა და ოფშორული ზონებით დიდი ბრიტანეთი განსაკუთრებულ ინტერესსა და ყურადღებას იქცევს. ეს ზონები, ტრადიციულად, მეტად მიმზიდველი იყო მთელი მსოფლიოდან დანაშაულებრივი წარმოშობის კაპიტალის ექსპორტისათვის. თუმცა, დიდი ბრიტანეთი პირველი ევროპული სახელმწიფო იყო, რომელმაც 1990 წელს დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების, გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება მოახდინა.[58,გვ.110]

1993 წელს დიდ ბრიტანეთში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდა ნებისმიერი სახის დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, ხოლო 1994 წელს პარლამენტმა ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ სპეციალური დებულება მიიღო. ამ დოკუმენტის მიხედვით, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ ფულის გათეთრების პრევენციული სისტემის დანერგვა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენის საქმეში კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების საინფორმაციო მხარდაჭერა. დოკუმენტში გაწერილია შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც მოიცავს კლიენტების იდენტიფიკაციას, საექვო ოპერაციების აღრიცხვას, დაწესებულების უფლებამოსილი თანამშრომლების შიდა ინფორმირებას, ასევე ფულის გათეთრების ფაქტების აღკვეთის მიზნით ინფორმაციის გაცვლას. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაცია შეიცავს ფულის გათეთრების ნიშნებს ან თუ ტრანსაქციის თანხა აღემატება დადგენილ ზღვარს, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების თანამშრომელი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ აცნობოს კომპეტენტურ ორგანოებს. საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების ეს სააღრიცხვო-საკონტროლო ღონისძიებები სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოებისთვის საინფორმაციო ბაზის შექმნას ემსახურება.

უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ინფორმირების ვალდებულება ფულის გათეთრების აღკვეთის ინსპექტორებს (Money laundering reporting officer) ეკისრებათ. თავდაპირველად, გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმაცია დიდი ბრიტანეთის საფინანსო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთიან

მარეგულირებელთან - ფინანსური მომსახურების სამმართველოში (FINANCIAL SERVICES AUTHORITY – FSA) ხვდება. ეს არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებს ბრიტანული საფინანსო სექტორის მარეგულირებელი კანონის “Financial Service and Markets Act 2000” ძალაში შესვლის მომენტიდან (2001 წლიდან). FSA გადამუშავებულ ინფორმაციას აწვდის ფინანსური გამოძიების ქვედანაყოფს (Financial Intelligence), რომელიც კრიმინალური დაზვერვის ნაციონალური სამსახურის შემადგენლობაში (National Criminal Intelligence Service-NCIS) შედის. აქედან უკვე შემოსული ცნობების ხასიათისა და უწყებრივი ქვემდებარეობის გათვალისწინებით ინფორმაცია პოლიციის ფინანსური გამოძიების სამმართველოს ან საბაჟო-სააქციო სამსახურს მიეწოდება. ზემოაღნიშნული ორგანოები უკანონო გზით ნაშოვნ შემოსავლების ფლობასა ან განკარგვაში ეჭვმიტანილ პირთა ოპერატიულ შემოწმებას უზრუნველყოფენ.

იტალია. იტალიის გამოცდილება საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ქვეყანაში მძლავრი დანაშაულებრივი დაჯგუფებები მოქმედებდნენ და, ამასთან, ძალიან მაღალი იყო კორუფციის დონე. შესაბამისად, გადამჭრელი და მიზანმიმართული ბრძოლა საფინანსო სფეროში დანაშაულობის აღსაკვეთად უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყნებში.

ჯერ კიდევ „მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1982 წლის კანონი საშუალებას იძლეოდა მომხდარიყო დანაშაულებრივ დაჯგუფებებში მონაწილე ეჭვმიტანილ პირთა საბანკო ანგარიშების შემოწმება და მათ მიერ უძრავი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების გამოძიება. მას შემდეგ დანაშაულობასა და კორუფციასთან ბრძოლაში ეჭვმიტანილის კეთილდღეობის კანონიერების შემოწმება და მისი შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობის განსაზღვრა იკავებს ცენტრალურ ადგილს. სამართალდამცავი ორგანოები ალტურვილნი არიან უფლებით, აწარმოონ სავარაუდო დანაშაულებრივ სინდიკატებს მიკუთვნებული პირების, მათი ოჯახის წევრების, ასევე იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მატერიალური მდგომარეობის, შემოსავლების წყაროს, ცხოვრების შესწავლა, რომელთა ქონების ან სახსრების პირდაპირ ან ირიბად გამოყენებაც შეუძლიათ ეჭვმიტანილებს.

იტალიაში 1990 წელს მიიღეს „ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ“ კანონი, რომელიც ფულის გათეთრების პრევენციის

მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებისა და შეთანხმებების მიერ რეკომენდებულ ღონისძიებათა კომპლექსს შეიცავდა. კერძოდ, გათვალისწინებული იყო ყველა იმ ოპერაციის რეგისტრაცია, რომლის თანხაც აღემატებოდა 20 მილიონ ლირას. ამასთან, აიკრძალა წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდების ბრუნვა და დაწესდა მსხვილი ოპერაციების ბენეფიციარების დადგენის ვალდებულება.

ფინანსური ინსტიტუტები ყველა საეჭვო ოპერაციის შესახებ ინფორმაციას აწვდიან Ufficio Italiano dei Cambi(UIC). ეს არის იტალიის ეროვნული ბანკის ორგანო, რომელიც ფინანსური დაზვერვის ფუნქციას ასრულებს. UIC-ს ფუნქციებში კონკრეტულად შედის: სტატისტიკური აღრიცხვა და ქვეყნის საგადასახადო ბალანსის ოპერაციული ანალიზი; სავალუტო რეზერვების მართვა; ფინანსური ანალიზისა და ფინანსური დაზვერვის საშუალებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების აღკვეთა.

UIC ფინანსური გამოძიებისათვის იყენებს ქონებრივ დეკლარაციებს, დამატებითი ღირებულების გადასახადის მონაცემებს. კეთილდღეობის მკვეთრი ზრდის მიზეზების შესწავლა შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ხარჯების შემოსავლების ლეგალურ წყაროსთან, ასევე უძრავ ქონებასა თუ ფასიან ქაღალდებში დაბანდებასთან შეუსაბამობა. ფულადი გადარიცხვები, რომლებიც აღემატება დადგენილ ზღვარს, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით უფლებამოსილი იმ ინსტიტუტების მეშვეობით, რომლებიც ვალდებული არიან, უზრუნველყონ გადამხდელის იდენტიფიცირება და მისი პირადი მონაცემების რეგისტრაცია.

UIC მჭიდროდ თანამშრომლობს ფინანსური გვარდიის ქვედანაყოფებთან, რომლებიც სპეციალურ გამოძიებას აწარმოებენ. გამოძიების მიზანია შემოსავლების წყაროს გამოვლენა და ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა ქონების შემადგენლობის დადგენა. კანონის დარღვევის ფაქტების გამოვლენის შემთხვევა ეცნობება მთავარ პროკურორს, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების თაობაზე. ფინანსური გვარდია უნიკალური ორგანიზაციაა. ადმინისტრაციული განხრით ის ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს, ოპერატიულ საქმიანობაში - იტალიის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს, ხოლო რიგ შემთხვევაში ანგარიშვალდებულია პირადად პრემიერ-მინისტრის წინაშე.

ფინანსური გვარდიის ძირითადი ამოცანებია: ფინანსური და საგადასახადო დარღვევების გამოსაველენად გამოძიების წარმოება; ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა; პოლიტიკური და საომარი კონფლიქტების დროს საომარ მოქმედებებში მონაწილეობა; საზოგადოებრივი უსაფრთხოების წესის დაცვა და სხვ. ფინანსური გვარდია ფულის გათეთრების სფეროში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას ახორციელებს მაშინ, როცა UIC-ის ფუნქციები ამავე სფეროში საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობით შემოიფარგლება. ფინანსურ გვარდიას 65 ათასი თანამშრომელი ჰყავს, მათ შორის 12 ათასი - საგადასახადო პოლიციის.

შევიცარია. ევროპული ქვეყნებიდან, რომლებიც EC-ს შემადგენლობაში არ შედიან, განსაკუთრებულ ინტერესს შევიცარია იწვევს. ამ ქვეყნის კეთილდღეობა ძირითადად, სწორედ ფინანსური სისტემების საუკუნოვან სტაბილურობას და შევიცარიის ბანკების საერთაშორისო ავტორიტეტს ეფუძნება. შევიცარიაში სახელმწიფოებრივ და საბანკო დონეებზე ფულის გათეთრების პრევენციული სისტემის მოწყობა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. სახელმწიფო ორგანოები დიდ ძალისხმევას იხევენ ამ სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების დასაცავად, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში მათ არ აქვთ საკმარისი უფლებამოსილება ეფექტური მუშაობისათვის. როგორც ზოგიერთი ევროპელი ექსპერტი ამტკიცებს, „შევიცარული იუსტიცია ბანკის ზღურბლზე ჩერდება.“[62,გვ.49]

შევიცარული ბანკები ეჭვსგარეშეა, სრულ ინფორმაციას ფლობენ, თუმცა ამჯობინებენ, არ გასცენ ეს ინფორმაცია განსაკუთრებული აუცილებლობის გარდა.

შევიცარული საბანკო საზოგადოება ერთ-ერთი უმსხვილესია მთელ მსოფლიოში. საბანკო ოპერაციების საიდუმლოებაზე მითითებით მას ხშირად უკანონო ფულის დაფარვაში ადანაშაულებენ, თუმცა, შევიცარული „ჩინოვნიკები“ და ბანკირები ირწმუნებიან, რომ საბანკო საიდუმლოება არ წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი გზით ნაშოვნო სახსრების დაცვის მექანიზმს. შესაბამისი მტკიცებულებების არსებობისას მოსამართლეს შეუძლია გასცეს ბრძანება, რათა წარედგინოს სრული ინფორმაცია ანგარიშების მდგომარეობის შესახებ ან ყადაღა დაადოს უკანონო სახსრებს.

შვეიცარიაში ერთდროულად სამი სტრუქტურა ახორციელებს დაზვერვას - ფინანსთა სამინისტროს სპეციალური განყოფილება, შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი ფინანსური პოლიცია და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, რომელიც ფედერალური პოლიციის ავტონომიური ქვედანაყოფია. თუმცა, საბანკო საიდუმლოება მაინც დაცულია და ამ მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნები არ სრულდება. შვეიცარიაში სისხლის სამართლის დანაშაულად არ ითვლება არარეზიდენტების მიერ გადასახადებისათვის სამშობლოში თავის არიდება, რაც, ბუნებრივია, დიდ ზარალს აყენებს EC-ს (კაპიტალი EC-დან შვეიცარიაში მიედინება). აღნიშნული სახელმწიფო გეოგრაფიულად დასავლეთ ევროპის ცენტრია. მისთვის იდეალური ვარიანტი იქნებოდა შეენახა ტრადიციული ინსტიტუტები და, ამასთან, ევროკავშირის წევრობის უპირატესობები გამოეყენებინა, კერძოდ, შესულიყო შენგენის ზონაში ტურისტების რაოდენობისა და კაპიტალის გადაადგილების თავისუფლების კიდევ უფრო გასაზრდელად.[16,გვ.72]

2004-2005 წლებში EC-სა და შვეიცარიას შორის მოლაპარაკებების სერია გაიმართა. ამ მოლაპარაკებების შედეგად შვეიცარიამ შეინარჩუნა საბანკო საიდუმლოების უფლება (რა თქმა უნდა, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში), რის სანაცვლოდ ვალდებულია აიღოს, 56 წლის განმავლობაში გადაურიცხოს მილიარდი შვეიცარული ფრანკი (811 მილიონი დოლარი) ბრიუსელს EC-ის ახალი წევრების დასახმარებლად და, ამავდროულად, გახსნას მათთვის თავისი სამუშაო ბაზარი. ამასთან, EC-ის ქვეყნების რეზიდენტებიდან (არაევროპელებს ეს არ ეხებათ), რომელთაც თანხები განთავსებული აქვთ შვეიცარიის ბანკებში, ამოღებულ იქნა ე.წ. „დაკავებული გადასახადი.“ 5 წლის განმავლობაში ეს გადასახადი გაიზარდა 15 დან 30%-მდე. შეგროვებული თანხიდან 75% კი გადაირიცხა ევროკავშირის კონკრეტულ ანგარიშებზე.

შვეიცარიამ თანხმობა განაცხადა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დახმარებაზე ისეთი დანაშაულების გამოძიებისას, როგორცაა კონტრაბანდა და გადასახადებისათვის თავის არიდებასთან დაკავშირებული სხვა უკანონო ქმედებები (საბაჟო მოსაკრებელი, აქციზი ალკოჰოლსა და თამბაქოზე), ასევე ფულის გათეთრება. ამასთან, შვეიცარიამ შეინარჩუნა ფიზიკური და იურიდიული პირების პირდაპირი დაბეგვრის საქმეებზე ინფორმაციის გაცვლის სფეროში თავისუფლება. EC-ის ნებისმიერი სამართლებრივი სიახლე ამ სფეროში მხოლოდ

იმ შემთხვევაში გავრცელდება შვეიცარიაზე, თუ დაიდება ცალკე შეთანხმება. როგორც ჩანს, საბანკო საიდუმლოების პრინციპი გაცილებით მეტად ფასობს შვეიცარიის ბანკების კლიენტებისათვის, ვიდრე დეპოზიტზე დარიცხული პროცენტები.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა აზიის ქვეყნებში. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აზიის ქვეყნებზე. შორეული აზიის ქვეყნები, იაპონიისა და ჩინეთის მეთაურობით, მსოფლიო ეკონომიკის ყველაზე დინამიურად განვითარებადი მსხვილი სეგმენტია.

იაპონია. იაპონური დოქტრინის ცენტრალური დებულების თანახმად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენცია ასეთი შემოსავლების მიღების აღკვეთას უნდა ეფუძნებოდეს და დანაშაულობასთან ერთიანი ბრძოლის განუყოფელ ნაწილად განიხილებოდეს. დანაშაულობასთან ბრძოლის იაპონური მოდელი უნიკალურია. პრიორიტეტად აღიარებულია აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები, რამაც იაპონიას ხარისხობრივად სხვა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გადასვლის საშუალება მისცა. იაპონელებმა შეძლეს სირბილე მაღალეფექტურობასთან შეეთავსებინათ. ამ მოდელის წარმატებას არაფორმალური ინსტიტუტების მოხერხებულად გამოყენება განაპირობებს, რითაც სახელმწიფო დანაშაულობისა და უკანონო შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის ფუქციების გარკვეულ ნაწილს საზოგადოებას გადასცეს. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც იაპონიაში მეტად გავრცელებულია, დანაშაულის პოტენციურ ადგილებს იცავენ. სწორედ ამ მიზნით ახდენენ ისინი პოლიციის შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას. ამასთან, ქვეყანაში არსებობს სამართალდამცავ ორგანოებზე კონტროლის განმახორციელებელი კომისიები. დანაშაულობაზე ზემოქმედების თავისებური რგოლია საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტები. ქვეყნის დემოკრატიული კურსის შესანარჩუნებლად მათი ამოცანა პოლიციის საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებაა.

იაპონიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სახსრების კონფისკაციას და „ექვივალენტური ღირებულების შეგროვებას“ (ჯარიმას), რომელიც თითქმის ყველა სახის დანაშაულზე ეფექტურად გამოიყენება. ფინანსთა სამინისტრო და სხვა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები აკონტროლებენ საფინანსო დაწესებულებებს და ახორციელებენ მათ

საქმიანობაზე ზედამხედველობას. საფინანსო დაწესებულებებს ევალებათ უზრუნველყონ კლიენტების დეტალურად იდენტიფიცირება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კონკრეტულ გარიგებებს და აწარმოონ შესაბამისი მონაცემების დოსიე. იაპონიაში არ არის კანონი საბანკო ოპერაციების საიდუმლოების შესახებ და ფინანსური დაწესებულებები თანამშრომლობენ საგამოძიებო ორგანოებთან, რომლებსაც სასამართლოს მიერ გაცემული სანქციის საფუძველზე შეუძლიათ ჩაატარონ ჩხრეკა და გარიგების დამადასტურებელი დოკუმენტების ამოღება. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციის მიზნით იაპონია აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო თანამშრომლობაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ჩინეთს იაპონიისგან პრინციპულად განსხვავებული მოდელი აქვს ყველა იმ დანაშაულებრივი საქმიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლის შედეგადაც უკანონო შემოსავლები მიიღება. ჩინური მოდელი ნებისმიერი სახის ეკონომიკურ დანაშაულთან მიმართებით მკაცრ, რეპრესიულ ღონისძიებებს ეფუძნება. ჩინელი ექსპერტების შეფასებით, ქვეყანაში ყოველწლიურად დაახლოებით 24,7 მილიარდი დოლარის ეროვნული ვალუტა თეთრდება. მნიშვნელოვანი თანხები ლეგალიზდება არალიცენზირებულ გადამცველ პუნქტებში. ფულის გათეთრების მეორე მნიშვნელოვანი არხი ცოტა ხნის წინ კონტრაბანდა იყო. „ჩინოვნიკური“ ლეგალიზაციის კლასიკური მეთოდია ქრთამიდან მიღებული სახსრებით კომპანიის აქციების შეძენა. ცნობილია ასევე, რომ სპეციალურად ფულის გასათეთრებლად იქმნება ფირმები, რომლებშიც ქრთამის მიმცემები რიცხავენ უზარმაზარ თანხებს. ხშირია ასევე, არალეგალური ფულის პირდაპირ საზღვარგარეთ გადატანა. ამ შემთხვევაში ჰონკონგში ფუძნდება ფირმა, თანხა ირიცხება მის ანგარიშზე, ხოლო შემდეგ მესამე ქვეყანაში.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი ჩინური კანონმდებლობის ჩამოყალიბება ფაქტიურად არ ჩამორჩებოდა საერთაშორისო სტანდარტების განვითარებას. დღესდღეობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სფეროში თანამშრომლობაზე ჩინეთის მიერ ხელმოწერილია 70-ზე მეტი შეთანხმება 40-ზე მეტ სახელმწიფოსთან.

1997 წელს ჩინეთის სსკ-ით პასუხისმგებლობა დაწესდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის. შესაბამისი მუხლი ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ქმედებების ხუთ სახეობას (დანაშაულის ობიექტურ მხარეს)

აკონკრეტებს: 1) სახსრების განთავსება ანგარიშზე; 2) ფინანსური აქტივების სახეცვლილება (გადატანა) ნაღდ ფულში ან საბანკო ვექსილებში; 3) სხვა ანგარიშზე გადარიცხვა ან ანგარიშსწორების ისეთი საშუალებების გამოყენება, რომელიც სახსრების გადაადგილებას უწყობს ხელს; 4) შემოსავლების საზღვარგარეთ გადატანა; 5) უკანონო შემოსავლებისა და მათი წარმოშობის წყაროს შენიღბვის სხვა მეთოდების გამოყენება.

ფულის გათეთრებისათვის კონფისკაციასთან ერთად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით ან ჯარიმა - გასათეთრებელი ფულადი სახსრების 5-დან 20%-მდე ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ლეგალიზებულია დიდი ოდენობით თანხები, დანაშაული ჩადენილია არაერთგზის, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ, ან ორგანიზებულ საერთაშორისო ფულის გათეთრებაში მონაწილეობა, ფულადი სახსრების კონფისკაციასთან ერთად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5-დან 10 წლამდე ვადით, ასევე ჯარიმა გასათეთრებელი შემოსავლების 5-დან 20%-მდე ოდენობით.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი ნორმატიული ბაზა ჩინეთის სახალხო (ეროვნული) ბანკის მიერ შემუშავებული სამი დოკუმენტისაგან შედგება: საკრედიტო ინსტიტუტების მიერ ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ დებულება; ეროვნულ ვალუტაში მნიშვნელოვანი თანხებისა და საექვო გარიგებების შესახებ ანგარიშგებების რეგულირების მეთოდები; უცხოურ ვალუტაში მნიშვნელოვანი თანხებისა და საექვო გარიგებების შესახებ ანგარიშგებების რეგულირების მეთოდები. ეს დოკუმენტები 2003 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში. ამ თარიღიდან ჩინეთის ყველა ბანკი, სატრასტო-საინვესტიციო კომპანია, საფოსტო შემნახველი საღარო, ფინანსური კომპანია, საკრედიტო კოოპერატივი, სალიზინგო კომპანია და საზღვარგარეთული საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია, არანაკლებ 5 წლის ვადით შეინახოს ინფორმაცია ყველა საექვო გარიგებაზე, ასევე იმ გარიგებებზე, რომელთა თანხაც 200 ათასს იუანს აღემატება. კომერციულ ბანკებში მოქმედებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შიდა კონტროლის სისტემა, სავალდებულო კლიენტების იდენტიფიკაცია. 2004 წელს შეიქმნა სპეციალიზებული კომპიუტერული ქსელი, რომელიც საშუალებას იძლევა, 24 საათის განმავლობაში გააკონტროლდეს ფულადი სახსრების ნაკადი. ფულად ოპერაციებთან დაკავშირებით ტარდება რისკის სისტემური მონიტორინგი, რაც

ანგარიშისწორების გამჭვირვალობასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენას უზრუნველყოფს.

ჩინეთის საკანონმდებლო ორგანომ 2006 წელს მიიღო ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი, რომელმაც დაასრულა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის მშენებლობა. კანონის მიზანია, ასევე, ისეთ დანაშაულებთან ბრძოლის გამკაცრება, როგორც არის კონტრაბანდა, კორუფცია, მექრთამეობა და სხვ.

ფულის გათეთრების აღკვეთის კოორდინირებას სახელმწიფო საბჭო უზრუნველყოფს. 2003 წლამდე ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა, ძირითადად, ძალოვანი სტრუქტურების კომპეტენციაში შედიოდა, თუმცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან, როგორც წმინდა კრიმინალურ მოვლენასთან, დამოკიდებულება თანდათან შეიცვალა. მთავრობამ გაითვალისწინა, რომ საბაზრო ურთიერთობის განვითარება ფულის გათეთრების მასშტაბების ზრდასა და მისი ჩადენის მექანიზმების გართულებას განაპირობებდა, ამიტომ 2003 წლიდან ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის წარმართვა ჩინეთის სახალხო (ეროვნული) ბანკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იქცა. ფინანსური დაზვერვის ფუნქციას ბანკის სტრუქტურული ერთეული - ფულის გათეთრების აღკვეთის მონიტორინგისა და გამოძიების ჩინეთის ცენტრი ასრულებს. ცენტრი იღებს და აანალიზებს კომერციული ბანკებიდან შემოსულ ინფორმაციას, თანამშრომლობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროსთან, უზრუნველყოფს ამ პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლას.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულობის გამოძიების ბიურო სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფების საქმიანობის დაგეგმვასა და კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებაზეა პასუხისმგებელი. სავალუტო კონტროლის სახელმწიფო სამმართველო საეჭვო სავალუტო გარიგებების გამოძიების მართვასა და კონტროლს უზრუნველყოფს.

ზემოაღნიშნული სახით შემუშავებულია ფულის გათეთრების აღკვეთის ერთიანი სამუშაო მექანიზმი - ეროვნული ბანკის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს ბიუროსა და სავალუტო კონტროლის სახელმწიფო სამმართველოს მონაწილეობით.

2004 წელს ჩინეთში გაიხსნა ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული 50 საქმე (საერთო თანხით 570 მლნ იუანი, დაახლოებით 68,87 მილიონი აშშ დოლარი). ჩინეთის ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2004 წლის აპრილიდან დეკემბრამდე ჩინეთში აღიკვეთა 155 არალეგალური სავალუტო პუნქტისა და საბანკო კანტორის საქმიანობა. უკანონო გარიგებებში 12.5 მილიარდი იუანი (დაახლოებით 1.51 მილიარდი აშშ დოლარი) ფიგურირებდა. დააკავეს 274 ადამიანი.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის იაპონური და ჩინური მოდელების შედარება გვიჩვენებს, რომ წარმატებული შეიძლება იყოს სრულიად სხვადასხვაგვარი მიდგომა, თუ ის შეესაბამება ეროვნულ არაფორმალურ ინსტიტუტებს და ეფუძნება სახელმწიფო სტრატეგიის მკაფიოდ ფორმულირებულ და თანმიმდევრულად გატარებულ პოლიტიკას.

სინგაპური. 1995 წელს სინგაპურში 2500 ეკონომიკური დანაშაული დარეგისტრირდა, რომელთაგან 50 საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ჩადენილ განსაკუთრებით მსხვილ საერთაშორისო დანაშაულად დაკვალიფიცირდა. მწყობრი და ეფექტური სამართალდამცავი სისტემის მიუხედავად, 90-იან წლებში საერთაშორისო დანაშაულებრივი სინდიკატები სულ უფრო ეფექტურად იყენებდნენ სინგაპურის შესაძლებლობებს კრიმინალური სავალუტო-საფინანსო და კომერციული ოპერაციების განსახორციელებლად, რომელთა საბოლოო მიზანიც ფულის გათეთრება იყო (აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სინგაპური აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში წამყვანი ფინანსური ცენტრია).

სინგაპურის საკანონმდებლო ბაზის საფუძველი ინგლისური სამართლის სისტემაა, რომლის სრულყოფა და დივერსიფიცირება ადგილობრივი გარემო პირობების შესაბამისად ხდება. სინგაპური 1992 წლიდან FATF-ის წევრია. FATF-ის შეფასებით, დღევანდელი მდგომარეობით სინგაპურის ფულის გათეთრების აღმკვეთი კანონმდებლობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. გლობალური მასშტაბით, მნიშვნელოვან რეგიონს, რომელიც, ტერორიზმის დაფინანსების მსხვილ წყაროდ გვევლინება, ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნები წარმოადგენენ. ნავთობზე ფასების მკვეთრმა აწევამ მათ მოუტანა კოლოსალური ფინანსური რესურსები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება გამოყვებულ იქნას ტერორიზმის

დაფინანსებისათვის. ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული პირველი კანონები არაბულ ქვეყნებში მიღებულ იქნა მე-20 საუკუნის ბოლოს: 1999 წელს - კატარში, 2000 წელს - ლიბანში, 2001 წელს - ბაჰრეინში.

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა არაბეთის ქვეყნები აიძულა აქტიური ზომები გაეტარებინათ თავიანთ ტერიტორიებზე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის აღსაკვეთად, თუმცა ამ რეგიონის ქვეყნების უმეტესობის ანტიტერორისტულ პოლიტიკას თანმიმდევრულს ვერ ვუწოდებთ. 2001 წლის დეკემბერში არაბთა გაერთიანებული საამიროების ფედერალურმა ეროვნულმა საბჭომ მიიღო ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ კანონი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭომ კანონიერად ცნო ფულადი გადარიცხვების სისტემა „ხავალა,” მიუხედავად იმისა, რომ ის სცდება ფართოდ ცნობილი და გავრცელებული საბანკო და საფინანსო სისტემების ჩარჩოებს (როგორც ნაშრომში უკვე აღვნიშნეთ, ფულისა და საქონლის გადატანის ეს სისტემა აღმოსავლეთში გავრცელებულია ძველი დროიდან მოყოლებული. ამ სისტემით არ ხდება მხოლოდ ფულის გადატანა. ფული და საქონელი, რომელიც გადაეცემა „ხავალას” ოპერატორს ერთ ქვეყანაში, შეიძლება მიღებული იქნეს სხვა ქვეყანაში „ხავალას” წარმომადგენელთან).

2003 წელს იემენის პარლამენტმა ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ კანონი მიიღო. იემენი არაბული ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველია, სადაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების აღსაკვეთად მკაცრი ზომები გატარდა. კერძოდ, იემენის ცენტრალური ბანკის მიერ გამოიცა სპეციალური ცირკულარი ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში გასავრცელებლად. იგი შეიცავდა იმ პირთა სიას, რომელთა აქტივებიც უნდა დაყადაღებულიყო.[75]

აშშ-ს უპრეცედენტოდ დიდი ზეწოლის შედეგად 2003 წელს საუდის არაბეთმა მიიღო ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონი, რომელიც პასუხისმგებლობის სახით 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთასა და ორ მილიონ დოლარამდე საჯარიმო სანქციას ითვალისწინებდა. კანონი ფინანსურ ორგანიზაციებს ავალდებულებს არანაკლებ 10 წლით შეინახონ ფინანსური ოპერაციების წარმოების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი და ჩანაწერი. ეს ამ სახის პირველი კანონია საუდის არაბეთის ისტორიაში.

არაბული ქვეყნები 2004 წლის თებერვლიდან „ამოიღეს“ საერთაშორისო სავალუტო ფონდის „არამოთანამშრომლე ქვეყნებისა და ტერიტორიების“ სიიდან. 2004 წლის ბოლოს, 14 არაბული ქვეყნის მონაწილეობით შეიქმნა რეგიონული ორგანიზაცია „მენაფატი,” რომლის ამოცანა დანაშაულებრივი კაპიტალის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაა. ცალკეული დონისძიებების გატარების შემდეგ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კმაყოფილნი არიან მიღწეული შედეგებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში ექსპერტთა აზრი განსხვავებულია - არაბული ქვეყნები დღემდე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღმკვეთი გლობალური სისტემის სუსტ წერტილად განიხილება.

ოფშორული იურისდიქციები. ოფშორული ზონა თავისუფალი ეკონომიკური ზონის ნაირსახეობაა და მისთვის დამახასიათებელია მეწარმე სუბიექტებისათვის ხელსაყრელი სავალუტო-საფინანსო, ფისკალური რეჟიმის შექმნა, საბანკო და კომერციული საიდუმლოების მაღალი დონისა და სახელმწიფო რეგულირების ღირსეურობის უზრუნველყოფა. თანამედროვე ლიტერატურასა და საქმიან წრეებში ოფშორული იურისდიქციის სინონიმად ასევე გამოიყენება ტერმინები „საგადასახადო თავშესაფარი,” „საგადასახადო სამოთხე.” ჩვენი აზრით, მოცემული ტერმინები სხვადასხვა ობიექტებს ეხება და საჭიროა უფრო კონკრეტულად განისაზღვროს მათი არსი. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა შეიძლება განვიხილოთ როგორც საგადასახადო თავშესაფარი, გამომდინარე იმ გარემოებიდან, თუ რა ტიპის საგადასახადო შეღავათს (სტიმულს) სთავაზობს ის არარეზიდენტ კომპანიებს (მათ მიერ კაპიტალის ინვესტირების შემთხვევაში). ოფშორული იურისდიქციის განსაკუთრებულობა მხოლოდ და რიგ შემთხვევებში არა იმდენად საგადასახადო დაბეგვრის შეღავათიანი სისტემაა, არამედ ფინანსური საიდუმლოების ეფექტური რეჟიმის უზრუნველყოფა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცალკეული სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული ტერმინის „ფინანსური საიდუმლოების იურისდიქციის” დამკვიდრება, ვინაიდან ეს უკანასკნელი მეტად შესატყვისია კორპორაციული და საბანკო საიდუმლოების საგადასახადო შეღავათებთან შერწყმის აღსაწერად.[31, გვ.24]

გარდა საგადასახადო შეღავათებისა და ფინანსური საიდუმლოების დაცვისა, ოფშორულ იურისდიქციების მიმზიდველობას (როგორც კანონიერი, ასევე დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად) განაპირობებს ასევე ის, რომ

არარეზიდენტებზე არ ვრცელდება სავალუტო კონტროლი, მათ უმეტესობას აქვს განვითარებული კომუნიკაციის საშუალებები (მაგალითად: კაიშანის კუნძულებს აქვს პირდაპირი სატელეფონო კავშირი აშშ-სა და კანადასთან, ასევე პირდაპირი ავიარეისები. ინგლისური ენის, როგორც ძირითადი სასაუბრო ენის გამოყენება და ტერიტორიული სიახლოვე განაპირობებს იმას, რომ კარიბის აუზის ასეთი სახის იურისდიქციები მეტად მიმზიდველია აშშ-სა და კანადისათვის), მოქმედებს ოფშორული კომპანიის რეგისტრაციის გამარტივებული წესი და უზრუნველყოფილია საზღვარგარეთული პირველი კლასის ბანკების ხელმისაწვდომობა.

ოფშორული სქემების გამოყენება არ არის თანამედროვე მოვლენა. როდესაც ძველმა ათენელებმა 2%-იანი საიმპორტო და საექსპორტო გადასახადი შემოიღეს, მეზობელი კუნძულები თანდათან დაუბეგრავი ვაჭრობისათვის თავშესაფრად იქცა. მსგავსი სქემები არსებობდა მე-15 საუკუნის ინგლისსა და მე-18 საუკუნის აშშ-ში. თანამედროვე ეკონომიკაში ოფშორული იურისდიქციების შექმნის უმთავრესი მიზანი ფინანსური სახსრების მოზიდვაა. შევიცარია ფინანსური საიდუმლოების იურისდიქციის პირველი თანამედროვე მოდელია, რომელიც საზღვარგარეთული კაპიტალისთვის თავშესაფრად და ფულის გაცვლის ცენტრად იქცა. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ჟენევის საქალაქო საბჭომ მიიღო კანონი, რომელიც ბანკირებისგან კლიენტების ანგარიშების აღრიცხვას ითხოვდა, თუმცა ამ ინფორმაციის განდობა საქალაქო საბჭოს თანხმობის გარეშე აკრძალული იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპული სიმდიდრე უსაფრთხოდ ინახებოდა შევიცარიის ბანკებში. დღეისათვის არაერთი ქვეყნისათვის ეკონომიკის განსავითარებლად რესურსების მიზიდვის ერთადერთი ხელმისაწვდომი საშუალება საქმიანობის სწორედ ეს სახეობაა. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

პანამა. 90-იან წლებში პანამა ფულის გათეთრების მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ცენტრად იქცა. მართალია, ჯერ კიდევ 1986 წლიდან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სისხლის სამართლებრივად დასჯად ქმედებად დაკვალიფიცირდა, მაგრამ 1986-დან 1997 წლამდე ამ ბრალდებით მხოლოდ ერთი მსხვილი პროცესი ჩატარდა და, ამასთან, პირველადი ინფორმაცია და მტკიცებულებები პანამის სამართალდამცავ ორგანოებს ამერიკულმა სპეცსამსახურებმა წარუდგინეს.[52, გვ.139]

1995 წელს აშშ-სა და FATF-ის ზეწოლის შედეგად პანამაში შეიქმნა ნარკოტიკებით ვაჭრობის სფეროში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის უმაღლესი საპრეზიდენტო კომისია და ფინანსური ანალიზის სამმართველო. მითითებული პირველი სახელმწიფო სტრუქტურის სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ მისი საქმიანობის სფერო შემოიფარგლებოდა მხოლოდ „ნარკოდოლარებით,” ხოლო სხვა საეჭვო ფინანსური ოპერაციები კომპეტენციის ფარგლებს მიღმა რჩებოდა. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ FATF-ის მიერ შეთავაზებული კანონპროექტი საეჭვო ფინანსური ოპერაციების იდენტიფიცირების შესახებ პანამის კანონმდებლების მიერ საწყის ეტაპზევე დაიბლოკა.

კაიმანის კუნძულები. სტატისტიკა მოწმობს, რომ ცხოვრების დონე კაიმანის კუნძულებზე ტოლს არ უდებს შვეიცარიისას, მაშინ, როცა გეოგრაფიულად კუნძულები ლათინურ ამერიკას მიეკუთვნება. კუნძულებზე ცხოვრობს დაახლოებით 37 000 ადამიანი, რომელთაგან 40% ორმაგი მოქალაქეობის მქონე უცხოელები არიან. ქვეყანას წლის განმავლობაში დაახლოებით 600 ათასი ტურისტი სტუმრობს. აქ მსოფლიოში თითქმის რეკორდული რაოდენობის ბანკია (ყოველ 55 მოსახლეზე 1 ბანკი მოდის). 90-იან წლებში ამ კუნძულებზე 500 მილიარდ დოლარზე მეტი ინახებოდა, ხოლო მათი წლიური ბრუნვა 5 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებდა. საიდუმლო მარტივია: ქვეყანაში არ არსებობდა არანაირი საბაჟო მოსაკრებელი, ხოლო გადასახადები სიმბოლური იყო. საბანკო ანგარიშების გახსნის შემდეგ უცხოელები და უცხოური კომპანიები (მათ შორის ყველაზე ცნობილებიც მსოფლიოში) ხშირად სწორედ აქ დებდნენ მსხვილ გარიგებებს, რომელთა სხვა ქვეყანაში განხორციელების შემთხვევაში ასტრონომიული ოდენობის გადასახადების გადახდა იქნებოდა საჭირო. თუმცა, ზემოთ აღნიშნული ფაქტების მიუხედავად, ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს, რომ კაიმანი შვეიცარიაზე არანაკლებ ცივილიზებული ფინანსური ცენტრია.[52, გვ.142-143]

დღეისათვის კაიმანის კუნძულები FATF-ის ტიპის რეგიონული ორგანიზაციის Caribbean Financial Action Taks Force (CFATF), ხოლო პანამა Financial Action Taks Force of South America Against Money Laundering (GAFISUD)-ის წევრია. ბოლო წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო რეფორმებმა მდგომარეობა შეცვალა და დაუფარავი ლეგალიზაციის განხორციელების გზები თანდათან შევიწროვდა. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ GAFISUD-ისა და CFATF-ის მოთხოვნები სრულად

დაცულია და ფულის გათეთრებას ბოლო მოედო, მაგრამ ფინანსური ოპერაციების ჩატარების დადგენილი წესების დაცვა უკვე აუცილებელია.[73]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სისტემების ეფექტურობის მოკლე შეფასება მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში. ცენტრალური და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმეტესობამ ნარკოტიკების შესახებ ვენის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა. ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციამ ფულის გათეთრების კონტროლისა და ნარკოტიკების შესახებ ვენის კონვენციის დასანერგად კანონების საკუთარი მოდელი შეიმუშავა, რომლითაც ფინანსური სისტემების გამჭვირვალობის გაზრდა და მსხვილი გარიგებების შესახებ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალიზებული სააგენტოს ინფომირების ვალდებულება გათვალისწინებული.

მექსიკა. 1995 წელს მექსიკაში სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმის შესახებ კანონი მიიღეს. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სისხლის სამართლებრივად დასჯად ქმედებად დაკვალიფიცირდა. შესაბამისი კორექტივები შეიტანეს საბანკო საქმიანობის, საფონდო ბირჟების ფუნქციონირებისა და ფინანსური ოპერაციების მარეგულირებელ აქტებში, ასევე საგადასახადო კანონმდებლობაში. მექსიკა არაერთ ქვეყანასთან თანამშრომლობს ეროვნული მონაცემთა ბაზის სრულყოფისა და ფულის გათეთრების აღკვეთის მოწინავე მეთოდების დანერგვის მიზნით. საინტერესოა, რომ მექსიკაში ქონების კონფისკაცია კონსტიტუციით არის აკრძალული. ამის მიუხედავად, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დანაშაულის შედეგად მოპოვებული შემოსავლების დაყადაღებას. ამასთან, სახელმწიფო ბრალდების ფედერალურ დეპარტამენტს ყადაღა შეუძლია დაადოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას ან შემოსავლებს, სასამართლო ორგანოების წინაშე ასეთი ქონების კონფისკაციაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ შემდგომი შუამდგომლობის მიზნით.[53, გვ.294]

ავსტრალია. ავსტრალიამ ფულის გათეთრების აღკვეთის ღონისძიებების ყოველსმომცველი პაკეტი შეიმუშავა. ამ სფეროში მოქმედი უმნიშვნელოვანესი აქტებია დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლისა და ფინანსურ გარიგებებზე ანგარიშგების წარმოების შესახებ კანონები. კანონში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ლეგალიზაციის ფაქტების აღკვეთაზე, არამედ „გასათეთრებელი“ დანაშაულებრივი შემოსავლების გამოვლენაზე.[73]

დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მოპოვებული შემოსავლების მოცულობის გათვალისწინებით მატერიალური სანქციის გამოყენების შესახებ. კანონი ითვალისწინებს ასევე აქტივების დაყადაღების შესაძლებლობას, მათი გახარჯვისა და გატანის აღკვეთის მიზნით. ეს კანონი სამართალდამცავ ორგანოებს უზრუნველყოფს ფულადი სახსრების მოძრაობაზე თვალთვალის ახალი საშუალებებით. ფინანსურ გარიგებებზე ანგარიშგებების შესახებ კანონის თანახმად, ზედამხედველ ორგანოს - ავსტრალიის ფინანსურ დაზვერვას სავალდებულო წესით მიეწოდება ინფორმაცია ნაღდი ფულით განხორციელებულ მსხვილ და საექვო ოპერაციებზე. ავსტრალიაში შექმნილია ჩამორთმეული (კონფისკაციას დაქვემდებარებული) აქტივების მიზნობრივი ფონდი, რომელიც გამოცალკევებულია ბიუჯეტიდან და გამოიყენება სამართალდამცვი ორგანოების ტექნოლოგიური გადაიარაღებისათვის.[55, გვ.45-47]

აფრიკის ქვეყნებს, არაბული ქვეყნებისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის (რომელიც FATF-ის წევრია) გამოკლებით, ჯერჯერობით არ მიუღიათ მნიშვნელოვანი ზომები ამ სფეროში. ამ ქვეყნების ძირითადი პრობლემა კორუფციაა, რომელიც არ იძლევა საშუალებას გატარდეს ეფექტური ღონისძიებები ფულის გათეთრებისა და ზოგადად დანაშაულობის აღსაკვეთად.

საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ბაზის შექმნა თურქეთთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით, ბევრად ადრე დაიწყო. სომხეთი საქართველოს მსგავსად არის როგორც MONEYVAL-ის წევრი, ასევე EAG-ის დამკვირვებელი იურისდიქცია (observer jurisdiction). სისხლის სამართლის კოდექსს ფულის გათეთრების შესახებ სპეციალური მუხლი 2004 წელს დაემატა (მუხლს აქვს შენიშვნა, რომლითაც დაკონკრეტებულია სსკ-ის რომელი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავალია უკანონო საკუთრება), ხოლო სპეციალური კანონი 2008 წლის 31 აგვისტოს შევიდა ძალაში. რაც შეეხება აზერბაიჯანს, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესახებ კანონი მხოლოდ 2009 წლის 18 თებერვალს იქნა მიღებული, რაც სხვა ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებთან ერთად დადებითად შეფასდა 2009 წლის 16-20 მარტს MONEYVAL-ის 29-ე პლენარულ შეხვედრაზე სტრასბურგში.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის კუთხით თურქეთის პოლიტიკა განსაკუთრებით საინტერესოა. გასული საუკუნის 90-იან წლების განმავლობაში მოწინავე ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოები კატეგორიულად გამორიცხავდნენ ფულის გათეთრების საკითხებზე ისეთ ქვეყნებთან თანამშრომლობას, რომლებიც აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გამო ნარკოტიკებით ვაჭრობის ცენტრებად ითვლებოდა. სწორედ ამ კატეგორიის სახელმწიფოდ მიიჩნეოდა თურქეთიც, რომელსაც ნატოსა და ასევე 1991 წლიდან FATF-ის წევრობის მიუხედავად (ის ასევე EAG-ის დამკვირვებელი იურისდიქცია და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა), არ ჰქონდა მიღებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ სპეციალური კანონი. FATF-ის გენერალური მდივნის პ. მულეტის (PATRIC MOULETTE) განცხადებით, თურქეთში „ყველაფრის ლეგალიზებაა კანონით შესაძლებელი.“ თუმცა ამის პარალელურად თურქეთის მთავრობის მიერ ხელმოწერილი იყო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც შეიცავდნენ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ინფორმაციის გაცვლის თაობაზე დებულებებს.[64, გვ.17]

მდგომარეობა თანდათან შეიცვალა - რატიფიცირებულ იქნა 1988 წლის კონვენცია, ვალუტის გაცვლის წესების მარეგულირებელ შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში, გაუქმდა დებულებები, რომელთა მიხედვითაც ქვეყანაში უცხოური ვალუტის შეტანა ყოველგვარი შეზღუდვისა და წყაროს მითითების გარეშე იყო შესაძლებელი. ბანკებსა და სპეციალურ ფინანსურ დაწესებულებებს დაეკისრათ კომპეტენტური ორგანოების ინფორმირების ვალდებულება საზღვარგარეთ 50000 აშშ დოლარზე (ან მის ექვივალენტზე) მეტი ოდენობის თანხის გადარიცხვის შემთხვევაში. საბოლოოდ, 2006 წლის 1 ივნისს თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მუხლი, რომლითაც დაწესდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. იმავე წლის 11 ოქტომბერს მიიღეს ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ სპეციალური კანონი.

რუსეთის ფედერაციაში ფულის გათეთრებას, როგორც მოვლენას, განვითარების იგივე საფუძვლები ჰქონდა, რაც პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა სახელმწიფოებში, თუმცა იმ სხვაობით, რომ ქვეყანა საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულობისა და საერთაშორისო ნარკობიზნესის მასობრივი ექსპანსიის

ობიექტად იქცა. შესაბამისად, უკანონო შემოსავლების ლეგალიზება აქ გაცილებით დიდი მასშტაბებით ხდებოდა.[49,გვ.33]

რუსეთში წლების მანძილზე არსებობდა ობიექტური ეკონომიკური პირობები დანაშაულებრივი კაპიტალის აქტიური ლეგალიზაციისთვის: ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, იარაღით და რადიოაქტიური ნივთიერებებით ვაჭრობა, პროსტიტუცია, არალეგალური სათამაშო ბიზნესი, ორგანიზებული დანაშაულობა, უკანონო ფინანსური და საბანკო საქმიანობა, სახელმწიფო სახსრების დატაცება, არალიცენზირებული ვიდეო ბიზნესი, საავტორო უფლებებისა და სასაქონლო ნიშნების არალეგალური გამოყენება, ალკოჰოლის იატაკქვეშა წარმოება. ყველაფერი ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მნიშვნელოვანი ოდენობის უკანონო კაპიტალის წარმოსაქმნელად. მეორე მხრივ, რუსეთი ასევე აქტიურად გამოიყენებოდა საზღვარგარეთული კრიმინალური კაპიტალის ინვესტირებისათვის.[25,გვ.73-75] ამ ყველაფრის გათვალისწინებით, FATF-ის 1999-2000 წლების ანგარიშში რუსეთი იმ 15 არაკოოპერირებად ქვეყანას შორის მოხვდა, რომელთაც არანაირი ზომები არ ჰქონდათ მიღებული ფულის გათეთრების აღსაკვეთად (ამ ჩამონათვალში ასევე იყო ბაჰამის, კაიმანის, კუეის კუნძულები, დომინიკის რესპუბლიკა, ლიბანი, მარშალის კუნძულები, ნაურუ, პანამა, ფილიპინები, წმინდა კიტსი და ნევისი, ვინსენტი, გრენადინი; საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებიდან ისრაელი და ლისტენშტეინი, ხოლო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან მხოლოდ რუსეთი). „არაკოოპერირებადი“ (არამოთანამშრომლედ) ქვეყნების ჩამონათვალის შედგენით, სხვა სახელმწიფოს საფინანსო ინსტიტუტებს რეკომენდაცია მიეცათ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოეჩინათ სიაში მოხვედრილ ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებს, საფინანსო ინსტიტუტებსა და მოქალაქეებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებისას. თუმცა, სამართლებრივი ბაზის საერთაშორისო ნორმატივებთან შესაბამისობაში მოყვანის და ცალკეული ღონისძიებების გატარების შემდეგ, უკვე 2003 წელს, რუსეთი FATF-ის სრულუფლებიანი წევრი გახდა და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯიც, ამ თვალსაზრისით, აშკარად გაუმჯობესდა. 2006 წლის მონაცემების თანახმად, 2005 წელს კაპიტალის შედინებამ რუსეთში 300 მილიონ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა განსხვავებით 1990-იანი წლებისაგან, როდესაც კაპიტალი მასიურად გაედინებოდა ქვეყნიდან. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი საკმაოდ დადებითად აფასებს ფულის გათეთრების აღკვეთის კუთხით რუსეთის

მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა ხაზგასმულია ნაკლოვანებებიც – ფინანსური სისტემის გაუმჭვირვალობა და კორუფცია.[47,გვ.184]

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსს უკანონო გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის შესახებ სპეციალური ნორმა 1997 წელს დაემატა. დღეისათვის რუსეთის სსკ ითვალისწინებს დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების ორ სპეციალურ შემადგენლობას, ესენია: „სხვა პირების მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულადი სახსრების ან სხვა ქონების ლეგალიზაცია“ (სსკ 174-ე მუხლი) და „პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების ან სხვა ქონების ლეგალიზაცია“ (სსკ 174¹ მუხლი). ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ სპეციალურ კანონში, რომელიც მიღებულ იქნა 2001 წლის 7 აგვისტოს და რუსული საკანონმდებლო ბაზისია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, ფაქტობრივად სრულად არის ასახული საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.[40, გვ.60-61]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში ნაშრომში განხილული საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა და შემუშავებული ინიციატივები მიუთითებს აუცილებლობაზე ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით შეიქმნას ეფექტური, მწყობრი, მაქსიმალურად უნიფიცირებული სისტემა ტრანსნაციონალური დანაშაულობისა და მისი ფინანსური საქმიანობის აღსაკვეთად. ფულის გათეთრების აღკვეთის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივებიც კი ვერ იქნება ქმედითი, თუ ერთი სახელმწიფო ან ტერიტორიაც კი შესთავაზებს პირობებს უსაფრთხო საქმიანობისათვის დანაშაულებრივ ჯგუფებს.

§2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურება საქართველოში

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სუბიექტების ორგანიზაციული ასპექტები საქართველოში. საქართველოს სახელმწიფო მართვის სტრუქტურაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები საკმაოდ კომპლექსურ ხასიათს ატარებს. სახელმწიფო

სპეციალიზებულ სტრუქტურას, რომელიც ახორციელებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილებას, გამოვლენასა და აღკვეთას, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების დადგენას, დაკავებას და მათ მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სისხლის სამართლებრივ დევნას, განეკუთვნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაწესებულება, კერძოდ, საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის დეპარტამენტი. დეპარტამენტში ორი სტრუქტურული ერთეული შედის – ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველო და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სამმართველო. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით დეპარტამენტის ამოცანაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და მასთან დაკავშირებული დანაშაულების – ქრთამის აღების, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების, მითვისებისა და გაფლანგვის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და გადამეტების, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის, კომერციული მოსყიდვის, გადასახადისათვის თავის არიდების ან სხვა ანგარებით დანაშაულთა ფაქტებზე სათანადო რეაგირება და საჭიროების შემთხვევაში გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება; უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და მასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სამმართველო ავლენს ფულის გათეთრების შესაძლო ფაქტებს მოქალაქეთა ზეპირი და წერილობითი საჩივრებისა და განცხადებების საფუძველზე, ასევე, განიხილავს ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ ფაქტებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნებულ მასალებს, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებიდან შემოსულ ინფორმაციას, საზოგადოების წარმომადგენელთა შუამდგომლობებს, ოპერატიული გზით მოპოვებულ ინფორმაციას და დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტების სისწორის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით იწეებს გამოძიებას და აწარმოებს სისხლის სამართლებრივ დევნას დანაშაულის ჩადენაში მხილებულ პირთა მიმართ.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სამმართველოს საქმიანობის ოპერატიულ უზრუნველყოფას ახორციელებენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ასევე სხვა დაწესებულებათა ის დანაყოფები, რომელთა კომპეტენციაშიც ფულის გათეთრების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა შედის. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სამმართველო ანალიზებს ქვეყანაში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მდგომარეობას, კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით შეიმუშავენ რეკომენდაციებსა და წინადადებებს.[67]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენის თვალსაზრისით, აღსანიშნავია ასევე საქართველოს მთავარი პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფის – ანტიკორუფციული დეპარტამენტის საქმიანობა. ანტიკორუფციული დეპარტამენტის ამოცანებია: პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების ჩატარება, საპროცესო ზედამხედველობის განხორციელება და სხვა უფლება-მოვალეობები.[84,მუხლი2] გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ კორუფციას არცთუ იშვიათად თან ახლავს ლეგალიზაციის ფაქტები, ხშირად სწორედ ამ სტრუქტურული დანაყოფის ქვემდებარეობაში შემავალი გამოძიების ფაქტები ავლენს უკანონო ქმედებებში ფულის გათეთრების ნიშნების არსებობას.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალიზებული რგოლია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელიც 2003 წლის 16 ივლისს შეიქმნა პრეზიდენტის №354 ბრძანებულების შესაბამისად. სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლებამოსილებები „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ 2003 წლის 6 ივნისის კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 26 ნოემბრის №859 ბრძანებულებით განისაზღვრა.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შეიმუშავენ და გამოსცემს შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესს. „უკანონო

შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, მონიტორინგს ექვემდებარება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით განხორციელებული გარკვეული კატეგორიის გარიგებები, თუ თანხა აღემატება 30 000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში) და ყველა საექვო გარიგება, მიუხედავად თანხის ოდენობისა.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტთან (MONEYVAL), ფინანსური ქმედების სპეციალურ ჯგუფთან (FATF), სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიურ სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური 2004 წლის 23 ივნისიდან გაწევრიანებულია ეგმონტის ჯგუფში, რომელიც მსოფლიოს 116 სახელმწიფოს ანალოგიურ სამსახურს აერთიანებს. აღნიშნული, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს საშუალებას აძლევს, ოპერატიულად გაცვალოს ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის სამსახურებთან.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, სხვა სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებთან დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები (შეთანხმებები), რომლებითაც რეგულირდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ინფორმაციის გაცვლა და სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა საკითხები. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს 2011 წლის 15 ივლისის მდგომარეობით ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები გაფორმებული აქვს უკრაინის, სერბეთის, ლიხტენშტეინის, ესტონეთის, ჩეხეთის, ისრაელის, სლოვენის, რუმინეთის, პანამის, ტაილანდის, ბელგიის, ბულგარეთის, ჩინეთის, ხორვატიის, მოლდოვას, ლიბანის, ინდონეზიის, სომხეთის, თურქეთის, შვედეთის, პოლონეთის, მაკედონიის, ლატვიის, კვიპროსის, არუბას, ინდოეთის, ბელორუსიისა და ფინეთის შესაბამის სამსახურებთან.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც, ეროვნული ბანკის საბჭოსთან შეთანხმებით, 4

წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. სამსახურის უფროსს ჰყავს ერთი მოადგილე. სამსახურის შემადგენლობაში შედის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: ანალიტიკური სამმართველო, ადმინისტრაციული სამმართველო, მეთოდოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და იურიდიული სამმართველო, ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სამმართველო, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველო.

სამსახური საქართველოს პრეზიდენტს წელიწადში ერთხელ, მომდევნო საანგარიშო წლის 1 მაისამდე, წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.[82]

სამსახურის დაფინანსებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მის ბიუჯეტს სამსახურის უფროსის წარდგინებით ყოველწლიურად ამტკიცებს ეროვნული ბანკის საბჭო. დებულების თანახმად, არ შეიძლება სამსახურის მიმდინარე ხარჯები წინა წელს დამტკიცებულ დაფინანსებაზე ნაკლები იყოს. ხარჯების შემცირება მხოლოდ სამსახურის უფროსის თანხმობითაა შესაძლებელი. ამასთან, თუ ეროვნული ბანკის საბჭო არ დაამტკიცებს სამსახურის ბიუჯეტს, სამსახურის დაფინანსება განხორციელდება წინა წელს დამტკიცებული დაფინანსების ოდენობით. დაფინანსების ასეთი სისტემა მიგვაჩნია სავსებით მიზანშეწონილად, ვინაიდან ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას ასე ვთქვათ, იაფფასიანი მექანიზმები წინ ნამდვილად ვერ წასწევს.

სამსახურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის შედეგად დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში, (რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით), დაუყოვნებლივ, ნებისმიერი ორგანოს ან პირის ნებართვის გარეშე, გადასცეს ინფორმაცია (მათ შორის კონფიდენციალურიც) და თავის ხელთ არსებული სათანადო მასალები საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს მონიტორინგის განმახორციელებელ პირებთან, აწვდის მათ შესაბამის მეთოდოლოგიურ და სარეკომენდაციო მასალებს, სათანადო ინსტრუქციებს. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს

სისტემატური ურთიერთობა აქვს საზედამხედველო ორგანოებთან – საქართველოს ეროვნულ ბანკთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, ასევე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრ ორგანიზაციასთან.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური მუდმივად აანალიზებს საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო რეკომენდაციების პრაქტიკული შესრულების მდგომარეობას. ქვეყანაში ფულის გათეთრების წინააღმდეგ გატარებულმა ზომებმა და ამ მიმართულებით საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საქმიანობამ, გარკვეულწილად, გაზარდა როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე უცხოელი პარტნიორების ნდობა საქართველოს საფინანსო სისტემის მიმართ და ხელი შეუწყო ქვეყანაში ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელი წინაპირობის შექმნას.

ეკონომიკურ ურთიერთობათა მონაწილე ინსტიტუტებზე – მონიტორინგის განმახორციელებელ პირებზე, რომლებიც შესაძლებელია, გამოყენებულ იქნან კანონდამრღვევთა მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნებისათვის, ზედამხედველობა ხორციელდება ცალკეული სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, კერძოდ, საზედამხედველო ორგანოები არიან:

- საქართველოს ეროვნული ბანკი – კომერციული ბანკების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის; ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისთვის; საბროკერო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისთვის; სადაზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლებისთვის.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მომწოდებელი პირებისთვის; ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის; საბაჟო ორგანოებისათვის; გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარების გამცემი პირებისათვის.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო – ნოტარიუსებისათვის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის.
- საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი ორგანიზაცია – იმ პირებისათვის, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას.[78, მუხლი 4]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საზედამხედველო ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემოწმებისათვის, განსაზღვრული წესითა და პროცედურით.

თუ საზედამხედველო ორგანომ აღმოაჩინა, რომ გარიგება ექვემდებარებოდა მონიტორინგს და ამის შესახებ ინფორმაცია არ იყო გაგზავნილი საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, ან დაირღვა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ეს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და დამრღვევ პირს დააკისროს შესაბამისი სანქცია.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, ანუ ეკონომიკური ურთიერთობების ის სუბიექტები, რომელთა მეშვეობით განხორციელებული ტრანსაქციები თუ გარიგებები შესაძლებელია, შეიცავდნენ რისკს ფულის გათეთრების კუთხით. სწორედ ეს სუბიექტები აწვდიან, კანონით დადგენილი წესით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს შესაბამის ანგარიშგების ფორმებს, რომლებშიც სრულად არის ასახული ინფორმაცია გარიგების შინაარსის, მხარეებისა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები არიან:

- კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები; ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირები;
- საბროკერო კომპანიები და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები;

- სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები;
- ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მომწოდებელი პირები;
- ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირები;
- საბაჟო ორგანოები;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური;
- გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარების გამცემი პირები;
- ნოტარიუსები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევა საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას;
- სალიზინგო კომპანიები.[78, მუხლი3]

დასასრულს გვინდა ორიოდ სიტყვით შევეხოთ ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) შეფასებებს, საქართველოში უკანონო შემოსავლის ღეგალიზაციის მდგომარეობასა და ამ კუთხით ზემოთ განხილული სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას. როგორც ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციების განხილვისას აღვნიშნეთ, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL) 1997 წელს ევროპის საბჭოს წევრი 27 სახელმწიფოს ინიციატივით შეიქმნა. კომიტეტის მიზნად განისაზღვრა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმებთან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული სისტემების შესაბამისობის შემოწმება. 1999 წლიდან საქართველო ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის წევრია. კომიტეტში საქართველოს წარმოადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს დელეგაციას.

2006 წლის 23-29 აპრილს ევროპის საბჭოს MONEYVAL-კომიტეტის მიერ განხორციელდა მესამე რაუნდის შემოწმება, რომელიც მიზნად ისახავდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოში არსებული ვითარების ადგილზე შესწავლასა და შეფასებას. 2006 წლის აპრილში კომიტეტი პირველად აფასებდა საქართველოს. შემოწმება ატარებდა კომპლექსურ ხასიათს და ეხებოდა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ეტაპსა და ასპექტს, მოიცავდა ამ პროცესში ჩართული ყველა სახელმწიფო უწყებისა და კერძო სტრუქტურის საქმიანობას. შემოწმების შედეგად MONEYVAL-კომიტეტის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის განხილვა შედგა 2007 წლის თებერვალში სტრასბურგში MONEYVAL-ისა და FATF-ის ერთობლივ სხდომაზე. სხდომაზე განხილული საქართველოს შეფასების ანგარიში შეიცავდა საკმაოდ დეტალურ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. ისინი ჩვენს ქვეყანას უნდა გაეთვალისწინებინა, რათა მომხდარიყო შესაბამისი ნორმატიული ბაზისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკული მექანიზმების ჰარმონიზაცია ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან.

2006 წელს განხორციელებული შეფასებიდან 2008 წლის მეორე ნახევრამდე პერიოდში საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული 40 რეკომენდაციის, ასევე 2006 წლის შეფასებისას გამოთქმული შენიშვნების იმპლემენტაციის მიმდინარეობის და საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით, გაწეული საქმიანობა აისახა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებულად 2008 წლის ზაფხულისთვის მომზადებულ პროგრესის ანგარიშში MONEYVAL-ის პლენარულ სხდომაზე წარსადგენად (PROGRESS REPORT 2008). ანგარიშის განხილვა გაიმართა 2008 წლის 7 ივლისს სტრასბურგში MONEYVAL-კომიტეტის პლენარულ სხდომაზე, სადაც ის მოწონებულ იქნა და წარმატებით დამტკიცდა. 2010 წლის გაზაფხულზე MONEYVAL-ს განსახილველად წარედგინა ქართული მხარის მიერ 2008 წლის მეორე ნახევრიდან 2010 წლამდე გაწეული საქმიანობის ამსახველი ანგარიში (PROGRESS REPORT 2010), რომელიც 2010 წლის 15-18 მარტს სტრასბურგში კომიტეტის 32-ე პლენარულ სხდომაზე ასევე წარმატებით დამტკიცდა. დოკუმენტში ასახულია საანგარიშო პერიოდში საქართველოს მიერ ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის FATF-ის რეკომენდაციების შესრულების

მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი სტატისტიკა.[67] ქართული მხარის მიერ მომზადებული ანგარიში კომიტეტის პლენარულ სხდომაზე დადებითად იქნა შეფასებული, რაც ბუნებრივია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების გააქტიურებაზე მიუთითებს.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები საქართველოში. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია სისხლის სამართლებრივი ღონისძიებების გარეშე. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი იძულებითი ზომაა და გამოიყენება საზოგადოების მიერ თავისი მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებით ამ ინტერესების დაცვა შეუძლებელია. პასუხისმგებლობის დაწესება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის ეს არის სისხლის სამართლის დაცვითი ამოცანის გამოვლინება, რომელიც მოწმობს, რომ ფულის გათეთრება სერიოზული საფრთხეა საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებისთვის.

ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია საქართველოში 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონით განხორციელდა და პასუხისმგებლობა დაწესდა არაკანონიერი გზით მოპოვებული ფულადი სახსრების ლეგალიზებისათვის (სსკ 165¹ მუხლი). 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში პასუხისმგებლობა ფულის გათეთრებისთვის 194-ე მუხლით განისაზღვრა. მუხლის რედაქტირება არაერთხელ მოხდა, ამასთან, 2008 წელს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა კიდევ ერთი – 149¹ მუხლი - „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა ან გასაღება.“

სისხლის სამართლის კოდექსში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მარეგულირებელი მუხლები მოცემულია შემდეგი სახით:

მუხლი 194. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) (25.07.2006N³⁵³⁰)

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესეიგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის

ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების უფლების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.

2. იგივე ქმედება:

- ა) ჩადენილი ჯგუფურად;
- ბ) ჩადენილი არაერთგზის;
- გ) რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

3. იგივე ქმედება:

- ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
- ბ) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- გ) რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.

შენიშვნა: (04.07.2007 №5196)

1. ამ მუხლის მიზნებისათვის უკანონო ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც/რომლებიც პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის დაუსაბუთებელ ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები პირს არ გააჩნია ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.
3. ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი ოცდაათი ათასი ლარიდან ორმოცდაათ ათას ლარამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – შემოსავალი ორმოცდაათი ათასი ლარის ზევით.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

მუხლი 194¹. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა ან გასაღება (29.10.2011. №5170)

1. წინასწარი შეცნობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა ან გასაღება,
-

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. (28.10.2011. №5170)

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) დიდი ოდენობით, -

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) განსაკუთრებით დიდი ოდენობით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

შენიშვნა:

1. ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი ოცდაათი ათასი ლარიდან ორმოცდაათ ათას ლარამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – შემოსავალი ორმოცდაათი ათასი ლარის ზევით.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით[78, 194, 194¹ მუხლები].

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ფულის გათეთრების ხელყოფის ობიექტთან მიმართებით. სსკ 194-ე მუხლი მოთავსებულია მე-8 კარში – ეკონომიკურ, კონკრეტულად კი სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს შორის. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია უდავოდ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ხდება. თუმცა მითითებული სფეროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების, როგორც ფულის გათეთრების ხელყოფის ძირითადი ობიექტის გამოყოფა, გარკვეულ ეჭვს სამართლიანად იწვევს. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სისხლის სამართლებრივი არსი არ შემოიფარგლება ეკონომიკური ურთიერთობების სფეროზე ზემოქმედებით. ეს დანაშაული ასევე ხელყოფს მართლმსაჯულების ინტერესებს, ხელს უწყობს დანაშაულებრივი საქმიანობის ფაქტების დაფარვას, ამას გარდა კონკრეტულ გარემოებაში საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ მორალს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. ბუნებრივია, უკანონო შემოსავლის ლეგალიზებით დამნაშავე თავს არიდებს პასუხისმგებლობას პრედიკატული ქმედებისათვის და აგრძელებს უკანონო გზით მიღებული ფასეულობის ფლობას. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არ არის მიღწეული მართლმსაჯულების მიზნები. თუკი კანონმდებლის მიერ ეკონომიკური ურთიერთობები მიიჩნევა ხელყოფის ობიექტად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დანაშაულის ჩადენის მოტივად ასევე მითითებულ იქნას ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა შემდგომი მოგების მიღების მიზნით (სხვა შემთხვევაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია დანაშაულის დაფარვის ერთ-ერთ ხერხად/საშუალებად გამოდის მხოლოდ, რაც ამ მოვლენის არსს სრულად არ ასახავს).[44,გვ.130] აქვე უნდა დავამატოთ, რომ გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით ფულის გათეთრება ტრანსნაციონალურ დანაშაულადაა განსაზღვრული. „მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შედეგები მხოლოდ ერთ სახელმწიფოში არ ვლინდება. ტრანსნაციონალური ხასიათის გათვალისწინებით ის პირდაპირ აზიანებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს. არსებობს მოსაზრება, რომ მისი უშუალო ობიექტია სოციალური ურთიერთობები, რომელიც ეფუძნება

საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობაში კრიმინალური ქცევების აკრძალვის პრინციპს; ლეგალიზაციის მხოლოდ შიდა ეკონომიკური დანაშაულისათვის მიუთვინება, რასაც ახლა აქვს ადგილი, სათანადოდ არ ასახავს ამ დანაშაულის სოციალურ საშიშროებას.”[3, გვ.759] ამდენად, მიმაჩნია, რომ ფულის გათეთრების ხელყოფის ობიექტი სერიოზულ გააზრებას და შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

1990 წლის სტრასბურგის კონვენციის მიხედვით, მხარეებმა უკანონო შემოსავლად უნდა აღიარონ სამართალდარღვევის შედეგად მიღებული ნებისმიერი ეკონომიკური სარგებელი (any economic advantage). ეს სარგებელი შეიძლება მოიცავდეს „ნებისმიერი სახის ნებისმიერ ქონებას, მატერიალურს და არამატერიალურს, მოძრავს ან უძრავს, ასევე იურიდიულ აქტებს ან დოკუმენტებს, რომლებიც იძლევა ქონებაზე უფლებას ან წილს ამ ქონებაში.” უნდა ითქვას, რომ სსკ 194-ე მუხლის შენიშვნაში მოცემული უკანონო/დაუსაბუთებელი ქონების (დანაშაულის საგნის) დეფინიციებში არ არის პირდაპირი მითითება ქონებრივ უფლებებზე, თუმცა ამ ხარვეზს ავსებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონი” სადაც განმარტებულია, რომ ქონებაში იგულისხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ქონება (რაც მოიცავს ქონებრივ უფლებებსაც).

კანონმდებლის პოზიცია ფულის გათეთრების საგანთან მიმართებით არაერთხელ შეიცვალა. სსკ 194 მუხლის წინა რედაქციებში საუბარი იყო არა უკანონო, არამედ დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციაზე. ამ მიმართულებით ცვლილების განხორციელება ორი გარემოებით იყო განპირობებული, პირველი - ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს პალერმოს კონვენციის მე-6 მუხლში მითითებულია: „ყველა მონაწილე-სახელმწიფო „მიისწრაფვის” ფულის გათეთრებისათვის პასუხისმგებლობა დააწესოს ძირითად (პრედიკატულ) სამართალდარღვევათა მაქსიმალურად ფართო წრისთვის.” მეორეც, ექსპერტთა აზრით, იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებლობა დაწესებული იქნება მხოლოდ დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციისთვის, – ასეთი ფორმულირების თანახმად, საჭირო იქნება იმ დანაშაულის ყველა ნიშნისა და გარემოებების ზუსტი დადგენა, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა დანაშაულებრივი შემოსავლები, ასევე შესაბამისი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობა, რაც ბუნებრივია, გაართულებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას.

აღსანიშნავია ასევე, რომ გამონაკლისის სახით მითითებული საგადასახადო სფეროში ჩადენილი დანაშაულები დღევანდელი რედაქციით უკვე განიხილება როგორც პრედიკატული სამართალდარღვევა. ამ საკითხთან დაკავშირებით მართალია არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო სფეროში ჩადენილი დანაშაულების შედეგად მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინალიზაცია, მეტად ეფექტური (და ცალკეულ შემთხვევებში ერთადერთი) მეთოდია ეკონომიკური დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამიტომ კანონმდებლის მიერ ამ მეთოდის გამოყენებაზე უარის თქმა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. საბოლოოდ, მუხლის ამჟამინდელი რედაქცია ითვალისწინებს, რომ დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სამოქალაქო სამართლებრივი დელიქტის შედეგად მიღებული შემოსავალიც, ანუ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის პასუხისმგებლობა დაწესებულია ნებისმიერი სამართალდარღვევის შედეგად მიღებული შემოსავლის გათეთრებისთვის.

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაროს კონვენცია მხარეებს ავალდებულებს პრედიკატულ ქმედებად განიხილონ ყველა „სერიოზული დანაშაული“ (დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და მეტი ვადით) ასევე, ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში მონაწილეობა, კორუფცია და მართლმსაჯულების აღსრულებისთვის ხელის შეშლა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ეროვნული კანონმდებლობის სპეციალური მუხლით განსაზღვრულია იმ ქმედებების კონკრეტული ჩამონათვალი, რომლებიც წარმოადგენენ პრედიკატს ფულის გათეთრებისთვის, ეს ჩამონათვალი მინიმუმ უნდა მოიცავდეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა დანაშაულს. ამდენად, მიმაჩნია, რომ უკანონობის ისეთი ფართო გაგება, როგორიც ჩვენი კანონმდებლობითაა გათვალისწინებული საჭიროებს გარკვეულ შემოსაზღვრას, ვინაიდან, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ შეესაბამება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს.

მოცემული დანაშაულის ამსრულებელთან მიმართებით ორი პოზიცია არსებობს. პირველის თანახმად, ამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მათ შორის ისიც, ვინც ძირითადი დანაშაული ჩაიდინა, მეორე მოსაზრების თანახმად, ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც არ ჩაუდენია პირველადი დანაშაული. 1990 წლის სტრასბურგის კონვენციის მე-6

მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულია მხარეთა უფლება (შესაძლებლობა) და არა ვალდებულება, ეროვნულ კანონმდებლობაში მიეთითოს, რომ პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის არ ვრცელდება ძირითადი სამართალდარღვევის (დანაშაულის) ჩამდენ პირზე, ანუ აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ნაციონალური კანონმდებლობის პრეროგატივაა. სსკ 194 მუხლში არ არის სპეციალური მითითება ამ საკითხზე, შესაბამისად ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი - როგორც ძირითადი სამართალდარღვევის ჩამდენი, ასევე ის პირი, რომელსაც პრედიკატული კანონდარღვევა არ ჩაუდენია.

დანაშაულის ობიექტური მხარე ორი ფორმით შეიძლება განხორციელდეს: პირველი - უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შექენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) და მეორე, ქონების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა.

სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტურ შემადგენლობასთან დაკავშირებით, კერძოდ, სადავოა საკითხი მხოლოდ პირდაპირ განზრახვასთან გვაქვს საქმე თუ დასაშვებია არაპირდაპირი განზრახვაც. საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით გათვალისწინებული კანონისმიერი შემადგენლობა მოითხოვს სპეციალური მიზნის არსებობას მოცემულ დანაშაულებრივ ქმედებაში. იმისათვის, რომ ამსრულებელს ან თანამონაწილეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ფულის გათვთრებისთვის ამა თუ იმ ქმედების განხორციელებისას, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ სპეციალური მიზანი. მიზნის ელემენტი ნათლად მიუთითებს, რომ აქ მხოლოდ პირდაპირი განზრახვაა შესაძლებელი. არაპირდაპირი განზრახვისათვის პასუხისმგებლობა უსამართლოდ გააფართოებდა რეპრესიის ფარგლებს და ეს არც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს შეესაბამება. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო კონვენციები უშვებენ არაპირდაპირი განზრახვით როგორც ამსრულებლობის, ისე თანამონაწილეობის შესაძლებლობას. მაგალითად, რომელიმე ფინანსური ინსტიტუტის თანამშრომელმა, ივარაუდა ამა თუ იმ ქმედების განხორციელებისას შემოსავლის კრიმინალური წარმომავლობა და შეგნებულად დაუშვა მისი ლეგალიზების შესაძლებლობა.[3, გვ.810-812]

აქვე გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს. ვენის, სტრასბურგის, პალერმოს კონვენციები ფულის გათეთრებად აფასებენ პრედიკატული დანაშაულის დაფარვაში დახმარებასაც და ფულის გათეთრებაში დახმარებასაც, კერძოდ, თუ ადამიანმა იცის შემოსავლის უკანონო წარმომავლობა, და მისი ქმედება – საკუთრების კონვერსია ან გადაცემა მიზნად ისახავს ძირითადი სამართალდარღვევის მონაწილისთვის დახმარებას, რათა მან თავი აარიდოს საკუთარი ქმედების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებლობას, გაცნობიერებული აქვს, რომ მისი ქმედება გამოიწვევს შემოსავლების ლეგალიზებას და სურს ეს შედეგი, ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის გარდაუვალობას ანდა შესაძლებლობას, მაშინ ეს შემოსავლის გათეთრებაში თანამონაწილეობაა. უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებით (28/10/2011) საერთაშორისო სტანდარტების სწორედ ეს დებულება აისახა სსკ 194-ე მუხლის რედაქციაში - „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში გაწევის მიზნით.“ გოჩა მამულაშვილი აღნიშნავს: „თუ დანაშაულებრივი გზით ნაშოფნი ქონების დაფარვა მიზნად ისახავს მისთვის კანონიერი სახის მიცემას, მაშინ ეს ფულის გათეთრებაა, ხოლო თუ დაფარვის მიზანი მხოლოდ დახმარებაა, რათა ძირითადი დანაშაულის ჩამდენმა თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, მაშინ ეს დანაშაულის დაფარვაა. ყველა კონვენციის ცალსახა მოთხოვნაა, საკუთრების გარდაქმნისა თუ გადაცემის დროს, პრედიკატული დანაშაულის ამსრულებლის დამხმარემ იცოდეს, რომ მისი ქმედება გამოიწვევს შემოსავლის ლეგალიზაციას და სურდეს ეს შედეგი ან ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის გარდაუვალობას ან ასეთი შედეგის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, თუ ეს წინასწარ შეცნობილი არ არის, ამგვარი დახმარება დანაშაულის დაფარვის ზოგად შემადგენლობას მოგვცემს.“[3, გვ.803–806] ვფიქრობთ, ბატონ გოჩას მოსაზრება მართებულია.

რაც შეეხება იურიდიული პირის პასუხისმგებლობას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, იგი ქართულ კანონმდებლობაში 2006 წელს განხორციელებული ცვლილებებით შევიდა. აღნიშნული დებულების კანონმდებლობაში ასახვა გათვალისწინებულია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მეათე მუხლით. მართალია, იურიდიული პირის ხელმძღვანელები ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან, რომლებმაც პასუხი უნდა

აგონ სამართალდარღვევისათვის, ამასთან, ახალი იურიდიული პირის რეგისტრაცია საქართველოში მარტივი პროცედურებითაა შესაძლებელი, მაგრამ ეს ზომა მაინც მნიშვნელოვანი პრევენციული ხასიათისაა, ვინაიდან, მაგალითად, თუ დამნაშავეს მფლობელობაში აქვს ბანკი, რომლის მეშვეობითაც ათეორებს ფულს, სავაჭრო ნიშნის ღირებულება ამ შემთხვევაში გარკვეულ ფასეულობას წარმოადგენს და მისმა დაკარგვამ მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს.[46, გვ.147]

194¹ მუხლი 2008 წლის 19 მარტის კანონით დაემატა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს. ამ მუხლით აღწერილი ქმედების კრიმინალიზაციით ხდება პრაქტიკულად იმავე ინტერესის დაცვა, რაც სსკ-ის 194-ე მუხლითაა გათვალისწინებული, კერძოდ, უკანონოდ ლეგალიზებული ქონების ეკონომიკურ ბრუნვაში ფაქტობრივი ჩაბმის დაუშვებლობის უზრუნველყოფა. 194-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური მხარე მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზებას, ხოლო 194¹ მუხლში საუბარია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონების შექენაზე, ფლობაზე, სარგებლობაზე ან გასაღებაზე, ანუ უკვე ლეგალიზებულ ქონებაზე. სსკ 194¹ მუხლით პასუხისმგებლობა ეკისრება პირს, რომელმაც იცის წინასწარ, ე.ი. განზრახ ყიდულობს ნაქურდალ, ნათადლითარ, თუ სხვა უკანონო ქმედების შედეგად მოპოვებულ და ლეგალიზებულ ქონებას[2,გვ.127], რაც ნიშნავს რომ ქმედების სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირი განზრახვაა. მოტივს კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ ენიჭება. დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. მართალია სსკ 194¹ მუხლი პროგრესულ და საჭირო პრევენციულ ინსტრუმენტად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ-ჯერობით საქართველოში არ მომხდარა ამ მუხლზე დაყრდნობით განაჩენის გამოტანა.

აქვე გვინდა შევეხოთ საკანონმდებლო ნოვაციას, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 124¹ მუხლი „საბანკო ანგარიშების მონიტორინგის” შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ეს მუხლი შემდეგი რედაქციითა წარმოდგენილი: „თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს საბანკო ანგარიშის/ანგარიშების გამოყენებით, ან/და ჩამორთმევისადმი დაქვემდებარებული ქონების მოძიების/იდენტიფიცირების მიზნით, პროკურორი უფლებამოსილია, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის

თანხმობით, გამოძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით საბანკო ანგარიშების მონიტორინგის შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე, რომლითაც ბანკი ვალდებულია ითანამშრომლოს გამოძიებასთან და მიაწოდოს მას მიმდინარე რეკვიზიტებში ინფორმაცია ერთ ან რამდენიმე საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ.” ამასთან, „ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის ან/და გადატანის შემთხვევაში, ინფორმაცია საქმის მწარმოებელი ორგანოს უნდა ეცნობოს ოპერაციის შესრულებამდე.”[80, 124¹ მუხლი]

ამ საკანონმდებლო სიახლის ინიციატორთა პოზიციის თანახმად, 124¹ მუხლით შემოდის ახალი რეგულაცია ფულის გათეთრების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც, რამდენიმე პირობა უნდა იყოს სახეზე: პირველი, დაწყებული უნდა იყოს გამოძიება ფულის გათეთრებაზე, გამოძიების პროცესში, თუკი კონკრეტული ეჭვი გაჩნდება, რომ რომელიმე საბანკო ანგარიშს ფულის გათეთრებისთვის იყენებენ, ამ შემთხვევაში, პროკურატურა მიმართავს სასამართლოს. სასამართლო შეაფასებს ფაქტებს და ამის შედეგად მიიღებს გადაწყვეტილებას საბანკო ანგარიშების მონიტორინგის განხორციელების ან განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. ეს არ არის პრევენციული ან ოპერატიული ღონისძიება, ეს არის საგამოძიებო მოქმედება და მისი გამოყენება მხოლოდ გამოძიების დაწყების შემდეგ შეიძლება.

აქვე გვინდა შევეხოთ ევროდირექტივის 91/308/ EEC მე-7 მუხლს, რომლის მიხედვითაც „მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს უნდა დაეკისროს ვალდებულება, თავი შეიკავონ გარიგების განხორციელებისგან, როდესაც მათთვის ცნობილია, რომ გარიგებას კავშირი აქვს ლეგალიზაციასთან ან არსებობს ამის ეჭვი, მანამ, სანამ ისინი შესაბამის ინფორმაციას არ მიაწვდიან ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უნდა მიენიჭოს უფლება, მითითება მისცეს მონიტორინგის განმახორციელებელ პირს არ განახორციელოს (შეაჩეროს) გარიგება. თუ გარიგების განხორციელებაზე, რომელიც ფულის გათეთრების ეჭვს იწვევს, უარის თქმა შეუძლებელია ან ამან შეიძლება ჩაშალოს გარიგების მონაწილეთა დაკავების ღონისძიება, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა მონიტორინგის სამსახურს უნდა შეატყობინონ დაუყოვნებლივ, გარიგების განხორციელების შემდგომ.” შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო სიახლე დირექტივაში მითითებულ უფლებამოსილებას პროკურატურას ანიჭებს. ერთის მხრივ

პროკურატურის ვარაუდი შესაძლო ლეგალიზაციის ფაქტის შესახებ უფრო დასაბუთებული იქნება, ვიდრე ბანკის ან ფინანსური მონიტორინგის პასუხისმგებელი თანამშრომლის, მეორეც, მეტად მნიშვნელოვანია ფულის გათეთრების მცდელობის გამოვლენა და მისი აღკვეთა ადრეულ ეტაპზე მანამ, სანამ გარიგება განხორციელდება, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნად გააადვილებს უკანონო შემოსავლის კონფისკაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს (რაც გარიგების განხორციელების შემდგომ შესაძლოა, შეუძლებელიც კი გახდეს). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ღირეპტივა იძლევა გარკვეულ გარანტიას, რათა ეკონომიკურ საქმიანობაში სამართალდამცავი ორგანოების ჩარევა მოხდეს მხოლოდ მაკონტროლებელი ორგანოების შეტყობინების საფუძველზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და ეს ბუნებრივიცაა. „საგამოძიებო მოქმედება ღიად ტარდება, მასში მონაწილე სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს გააჩნიათ უფლებები და მოვალეობები. საგამოძიებო მოქმედებას აქვს კანონით დადგენილი საპროცესო ფორმა და ფიქსაციის სავალდებულობა, რომელიც ასრულებს უმნიშვნელოვანესი გარანტის ფუნქციას, რათა არ დაირღვეს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. მუხლის შემოთავაზებულ რედაქციაში კი არ არის გათვალისწინებული მეორე მხარის უფლებები და თავისუფლებები, რადგან დაცვის მხარეს ამ მოქმედების შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდება” - აღნიშნავს გ. მეფარიშვილი.[66] კითხვებს ტოვებს ასევე მუხლის რედაქციაც: მითითებულია, რომ „საბანკო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის ან/და გატანის შემთხვევაში ინფორმაცია საქმის მწარმებელ ორგანოს უნდა ეცნობოს ოპერაციის შესრულებამდე.” თუმცა, გაურკვეველია ბანკი შეტყობინებას დროის რა მონაკვეთით, ან უნდა დაელოდოს თუ არა საერთოდ.

შეჯამების სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლის ეფექტური რეალიზაციის შემთხვევაშიც კი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი, ორგანიზაციული და სპეციალური ხასიათის ეფექტური და მუდმივად სრულყოფადი კომპლექსური ზომების გატარებით. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ამოცანაა საზოგადოების გაჯანსაღება და ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინსტრუმენტის კომპლექსური გამოყენება ნეგატიური მოვლენებისა და პროცესების აღკვეთის და ნეიტრალიზაციისთვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის

ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 2003 წელს და რომელიც არეგულირებს „საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამოვლენასთან და აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ამ კანონით გათვალისწინებულ საამისოდ უფლებამოსილ ორგანოებსა და შესაბამის პირებს შორის, აგრეთვე ურთიერთობებს, ერთი მხრივ, საქართველოს და, მეორე მხრივ, სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის.”[78, მუხლი1] კანონის მიზანია ფულის გათეთრების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

კანონში მოცემულია არაერთი დეფინიცია: საეჭვო და უჩვეულო გარიგებები, ფიქტიური ბანკი, ბენეფიციარი მესაკუთრე, პოლიტიკურად აქტიური პირი და სხვ. მთლიანობაში კანონში მოცემული დეფინიციები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

კანონით განსაზღვრულია მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები, მონიტორინგს დასაქვემდებარებელი გარიგებების კონკრეტული ჩამონათვალი, ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურები და ფულის გათეთრების პრევენციის თვალსაზრისით სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. როგორც აღვნიშნეთ, ზედამხედველი ორგანოები პერიოდულად ამოწმებენ მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს ამ კანონისა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ხოლო დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს ეკისრებათ საკმაოდ სოლიდური საჯარიმო სანქციები – მაგალითად, თუ ბანკის შესაბამის სტრუქტურას სავალდებულო წესით უნდა მიეწოდებინა კონკრეტული სახის ოპერაციაზე შევსებული ანგარიშგების ფორმა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის და ეს ინფორმაცია დადგენილ ვადებში არ იქნა მიწოდებული, ბანკს თითო ასეთი ოპერაციისთვის ეკისრება საჯარიმო სანქცია 5000 ლარის ოდენობით. საშუალო ზომის ბანკში დღეში დაახლოებით ოცი-ოცდახუთი ათასი ოპერაცია ხორციელდება, აქედან ასევე საშუალოდ 20 ოპერაცია ექვემდებარება მონიტორინგს. თუ ეს 20 ოპერაცია არ მიეწოდა ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, საჯარიმო სანქცია შეადგენს 100 000 ლარს მარტო ერთ დღეზე. ასეთი ოდენობის ფულადი (საჯარიმო) სანქცია

მნიშვნელოვან პრევენციულ ზომად უნდა გავიხილოთ, ვინაიდან იგი ნამდვილად ამცირებს ფინანსური ინსტიტუტების მიერ შესაძლო ლეგალიზაციის შემთხვევებში საკუთარ კლიენტებზე ხელის დაფარების რისკს.

მართალია მთლიანობაში „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს საკმაოდ მოქნილ ინსტრუმენტს ფულის გათეთრების აღსაკვეთად, მაგრამ მაინც არის ცალკეული ნაკლოვანებები, რაც პოტენციურად ფულის გათეთრებლების მიერ შეიძლება იქნას გამოყენებული, მაგალითად: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კანონში მითითებულია, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირების, მათ ოჯახის წევრების და მათთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების მიმართ სავალდებულოა ამოქმედებულ იქნას იდენტიფიკაციის გაძლიერებული მექანიზმები, ასევე სავალდებულოა ბანკების მიერ კლიენტების სახსრების წარმომავლობის და ბენეფიციარების დადგენა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან არ არის გაწერილი კონკრეტული ზომები და კანონმდებელი მხოლოდ ზოგადი მითითებით შემოიფარგლება, საბანკო სექტორის მიერ ამ დებულებების დაცვა ხდება მხოლოდ ფორმალურად. ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ სავალდებულო რეჟიმში გადასაცემ ოპერაციათა კატეგორიას არ განეკუთვნება დეპოზიტის განთავსება საბანკო დაწესებულებაში, მაშინ როცა დიდი ოდენობით ნაღდი ფულის ბანკში წარმოდგენა თავისთავად ეჭვს უნდა იწვევდეს მისი წარმომავლობის შესახებ და მიზანშეწონილია ინფორმაცია იგზავნებოდეს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებულია მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები, რომელთა საფუძველზეც რეგულირდება მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ ინფორმაციის მიღების, აღრიცხვის, დამუშავების, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესი და ფულის გათეთრების პრევენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სხვა სპეციალური ზომები.

აქვე გინდა ორიოდ სიტყვით შევეხოთ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც „ადგენს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის და კორუფციულ

სამართალდარღვევის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს, სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე არეგულირებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის სამართლებრივ პირობებსა და მექანიზმს”[81, მუხლი1] და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში 2011 წლის 28 დეკემბერს შესულ ცვლილებებს, რომლის თანახმადაც პარტიის ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა.”[77, მუხლი34] მართალია, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტისა და განხორციელებული ცვლილებების პირდაპირი მიზანი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის, თუმცა, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის, პარტიების საფინანსო დეკლარაციების შესწავლა და მათზე დაკვირვება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ფულის გათეთრების პრევენციის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ ზომად შეიძლება იქნას განხილული.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ფულის გათეთრების საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა მრავალი პროგრესული და აუცილებელი ცვლილება, ყველაფერი ეს კი მიუთითებს საქართველოს სახელმწიფოს მონდომებაზე, მოახდინოს ამ დანაშაულზე სათანადო რეაგირება.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) პრევენციის ძირითადი ფორმები და მეთოდები. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ძირითადი საშუალებები ითვალისწინებს საერთო-სოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიური, მათ შორის ზნეობრივ-აღმზრდელობითი, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების ერთობლიობას.[9, გვ.147]

ზნეობრივ-აღმზრდელობით და სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ზომების გატარება საჭიროა სამართლებრივი ნიჰილიზმის, დანაშაულობასთან მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულებისა და ამ კატეგორიის სხვა ისეთი ფაქტორების დასაძლევად, რომლებიც ძლიერ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის პროცესზე. საჭიროა შეიქმნას სპეციალური პროგრამა (პუბლიკაციების სერია) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რომელიც მიეძღვნება მოსახლეობის ფსიქოლოგიური

გულგრილობის ანალიზს სხვადასხვა საშიშ დანაშაულებთან, მათ შორის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან მიმართებით. ნაჩვენები უნდა იქნას ასეთი დამოკიდებულების შედეგები, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება ქვეყნის განვითარების ღონესა და მოსახლეობის სოციალურ-მატერიალურ მდგომარეობაზე. ამ პროგრამის რეალიზაცია საჭიროა იმისათვის, რომ მოსახლეობა ფსიქოლოგიურად გადავიდეს სახელმწიფოს მხარეზე და მზად იყოს თანამშრომლობისათვის მაკონტროლებელ და სამართალდამცავ ორგანოებთან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენის, გამოძიების, გახსნისა და აღკვეთის საქმეში. ასევე აუცილებელია, გატარდეს კომპლექსური ღონისძიებები მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისა და განათლების სისტემის შესაქმნელად. საზოგადოება უნდა აცნობიერებდეს, რომ კრიმინალური კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი ლეგალიზაციის შემდეგ მიემართება დანაშაულებრივი სამყაროს დამანგრეველი ქმედებების დაფინანსება-განვითარებისკენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირება იმ ნორმატიური ბაზის შესახებ, რომელიც მოქმედებს ეკონომიკის სფეროში, რათა იცნობდნენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკურ ბრუნვაში მონაწილეობის სამართლებრივ შესაძლებლობებს და აცნობიერებდნენ არსებული წესების დაუცველობის იურიდიულ შედეგებს.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალური ხასიათის ღონისძიებებს. ამ ღონისძიებებს შორის არსებითია ის ზომები, რომლებიც მიმართულია შემოსავლების მიხედვით მოსახლეობის ფენების მაღალი პოლარიზაციის დაძლევისკენ. ამ კუთხით სახელმწიფო მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კომპლექსური მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას მცირე ბიზნესის განვითარების, მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლების, დასაქმების და სხვა კუთხით. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ნაკლებად უზრუნველყოფილი, უმუშევარი, სტაბილური შემოსავლის არმქონე მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, რომლებიც, როგორც წესი, საშიშ დანაშაულთა „მსხვილ რეზერვს“ წარმოადგენენ. სოციალური ხასიათის კომპლექსური ღონისძიებები უნდა გატარდეს ასევე მოსახლეობის ნარკოტიკებზე დამოკიდებულების პრობლემის აღსაკვეთად, ვინაიდან ამ მოვლენის მასშტაბების ზრდა ორგანიზებული დანაშაულობის მიერ მსხვილი უკანონო შემოსავლების მიღების პირდაპირპროპორციულია.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს. ამ მიმართულებით არსებითი მნიშვნელობა აქვს ზომებს, რომელიც მიმართულია „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის მასშტაბების შემცირებისკენ. ამ კუთხით ერთ-ერთი ეკონომიკური გზა საფუძვლით ნათელია: სამეწარმეო საქმიანობაზე გადასახადების მკვეთრი შემცირება (ეს პოზიცია ასევე არაერთმა რესპოდენტმა დააფიქსირა, როგორც ფულის გათეთრების პრევენციის ერთ-ერთი საშუალება), თუმცა, ჩრდილოვანი ეკონომიკის ისეთი სახეობები, როგორცაა ალკოჰოლური პროდუქციისა და ნარკოტიკების წარმოება, მხოლოდ საგადასახადო დაბეგვრის შემცირების გამო, ბუნებრივია, არ გამოაშკარავდება. ამ შემთხვევაში აუცილებელია სამართლებრივი და ორგანიზაციული სახსრების გამოყენება.

ნაღდი ფულის ბრუნვა, როგორ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილია ფულის გათეთრების ეფექტური აღკვეთის თვალსაზრისით. დიდი ოდენობით ნაღდი ფული საქართველოში ნორმად აღიქმება, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს უკანონო წარმომავლობის ნიშანია. ნაღდი ფული ემსახურება ჩრდილოვან ეკონომიკას, ხოლო ამ უკანასკნელის ზრდა ნაღდი ფულის ბრუნვის სტიმულირებას ახდენს და, პირიქით. დიდი ოდენობით ფულის განაღდება აღკვეთის საფუძვლად შეიძლება იქცეს მისი ღირებულების გაზრდა. მაგალითად, განვითარებული ქვეყნების ბანკებში ანგარიშზე უნაღდო ფორმით ჩარიცხული თანხის გატანისათვის დაწესებულია საკომისიო 10%-ის ოდენობით (თუ თანხა ანგარიშზე გაჩერდა 1 თვეზე ნაკლები ვადით, ხოლო თანხის ოდენობა აღემატება გარკვეულ ზღვარს - დაახლოებით 150 000 აშშ დოლარს), ერთი თვის შემდეგ თანხის გატანის შემთხვევაში კი საკომისიოს ოდენობა მხოლოდ 1%-ია. შესაძლებელია ასევე მაღაზიაში გარკვეული ღირებულების პროდუქციის შეძენისას თანხის უნაღდო ანგარიშსწორების საშუალების (პლასტიკური ბარათის) მეშვეობით გადახდის ვალდებულების დაწესება, ასევე უძრავი ქონების შეძენისას ანგარიშსწორების საბანკო ანგარიშით განხორციელების აუცილებლობა. სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპოდენტების უმეტესობა მხარს უჭერს მოსახლეობის მასობრივ გადაყვანას უნაღდი ანგარიშსწორებაზე, რაც მიღებული პრაქტიკაა საბაზრო ეკონომიის მქონე მრავალ ქვეყანაში. შემოთავაზებული პრევენციული ღონისძიებების გატარებით შემცირდება ფულის გათეთრების მოთხოვნა - ეს „ბიზნესი“ გახდება ნაკლებად მომგებიანი და მეტად სარისკო.

იმისათვის, რომ ეკონომიკური ღონისძიებები მიზანმიმართული იყოს, ავტორის მიერ ანკეტირების მეთოდებით შეწავლილ იქნა საკითხი ეკონომიკური საქმიანობის თუ რომელ სფეროებში ხდება ყველაზე ხშირად უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია. გამოკითხვის მიხედვით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ძირითადად ხორციელდება საფინანსო-საკრედიტო სფეროში, საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და ფონდებში, სათამაშო ბიზნესში, საგზაო, ბინებისა და სხვა სახის მშენებლობებში, სასტუმრო ბიზნესში, საცალო და საბითუმო ვაჭრობაში. საქმიანობის სწორედ მითითებულ სფეროებზეა საჭირო აქცენტების გაკეთება ეკონომიკური და ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოების მიერ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას.

როგორც ნაშრომში არაერთხელ აღვნიშნეთ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მასტიმულირებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ფაქტორია ე.წ. „საინვესტიციო შიმშილი.“ როგორც წესი, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები ცდილობენ ინვესტიციების მიზიდვას მათი წარმომავლობის განურჩევლად. ბუნებრივია, ეკონომიკა ღიბერალიზებული უნდა იყოს, თუმცა ეს არ ნიშნავს დამნაშავეთა ქმედებების მიმართ ყურადღების მოდუნებას. ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირებისათვის უკანონო შემოსავლების მოზიდვა გამორიცხავს მსოფლიო ბანკის, მთელი რიგი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსურ მხარდაჭერას. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ აუცილებელია მაქსიმალური სიზუსტით გაანალიზდეს ის რისკები, რასაც უკანონო ფინანსური ნაკადის შემოდინება და, შესაბამისად, ფულის გათეთრების გავრცელება იწვევს. ამდენად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი ზომები უნდა იყოს მაქსიმალურად მკაცრი, ხოლო ინვესტიციების მოსაზიდად არსებობდეს შესაბამისი საგადასახადო შეღავათები და რაც მთავარია სამართლებრივი გარანტიები (სახელმწიფოს ე.წ. „ბიზნესში ჩარევის“ გამოსარიცხად).

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებებს. ფულის გათეთრების აღკვეთის საქმეში გადამწყვეტი სახელმწიფოს პოლიტიკური ნებაა, ვინაიდან ეს დანაშაულის ის სახეობაა, რომელსაც უმეტესად სწორედ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები სჩადიან. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ამ ქვეჯგუფიდან უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა

კანონდამრღვევთა ინტერესების პოლიტიკური ლობირების ნეიტრალიზაცია. ამ ფაქტორს წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოების აქტიურმა პოზიციამ აუცილებელი ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების გზით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხელისუფლების დამოკიდებულებისა და მყარი ნების სისტემური გაშუქებით.

როგორც თეორიის, ასევე პრაქტიკისთვის საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელმა სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა განახორციელონ სავალდებულო კონტროლი ოპერაციებზე, რომლებიც შეიცავენ ფულის გათეთრების ნიშნებს. ჩვენი შეხედულებით, საფინანსო-ეკონომიკური კონტროლი პირველ რიგში უნდა განახორციელონ მაკონტროლებელმა და მხოლოდ შემდეგ სამართალდამცავმა ორგანოებმა. ეს პოზიცია შეესაბამება ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო რეკომენდაციებს. სამართალდამცავი ორგანოები საქმეში, როგორც წესი, უნდა ჩაერთონ შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოების შეტყობინების შემდეგ. ეს მიდგომა იძლევა იმის გარანტიას, რომ ეკონომიკურ საქმიანობაში არ მოხდეს სამართალდამცავი ორგანოების ჩარევა.

ორგანიზაციული ხასიათის მნიშვნელოვან ზომად შეიძლება იქცეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საქმეში სახელმწიფო ორგანოების მაკოორდინებელი სპეციალური ჯგუფის შექმნა. ჩვენი აზრით, ასეთი ჯგუფი შეიძლება შეიქმნას მთავარ პროკურატურასთან. მის შემადგენლობაში მიზანშეწონილია პროკურატურის, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურების წარმომადგენლების (დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ საფინანსო-ეკონომიკურ კონტროლსა და სამართალდამცავ საქმიანობას ამ სფეროში) ჩართვა. ჯგუფის მიზანი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საკითხებისადმი ფართო, კომპლექსური მიდგომა უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით, საკოორდინაციო ჯგუფის მნიშვნელოვან ამოცანად უნდა იქცეს სახელმწიფო სტრუქტურების ძალისხმევის გაერთიანება, რათა მოხდეს კანონმდებლობის სხვადასხვა დარგისა და იურიდიული პასუხისმგებლობის სახეობების სრულად გამოყენება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის, გამოვლენის, გამოძიებისა და გახსნის სისტემური და ყოვლისმომცველი მიდგომის უზრუნველსაყოფად.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ისეთი სპეციალური ფაქტორის დაძლევისთვის, როგორც არის პროცესის „ინტერაციონალიზაცია,“ აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობის მაქსიმალური

გაფართოება საერთაშორისო დონეზე, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ფულის გათეთრების ოპერაციები ფართოდ არის გავრცელებული სივრცესა (80% ტრანსნაციონალური ხასიათისაა) და დროში. რაც შეეხება სხვადასხვა შესაბამის უწყებებს შორის ეროვნულ დონეზე თანამშრომლობას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მიზნით სხვადასხვა სტრუქტურების მონაცემების (მაგალითად საჯარო და სამოქალაქო რეესტრების, შემოსავლების სამსახურის, სასამართლო და სხვ.) საფუძველზე შეიქმნას ერთიანი ბაზა, რომელიც ინტელექტუალური კომპიუტერული საძიებო პროგრამების გამოყენებით შესაძლებელს გახდის გამოვლინდეს საეჭვო გარიგებები, ასევე კომპანიები, რომლებიც სავარაუდოდ ფულის გათეთრებით არიან დაკავებულნი. აშშ-სა და სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ უწყებათაშორის ინფორმაციის თანამედროვე დონეზე ორგანიზებული გაცვლა მკვეთრად ზრდის ფულის გათეთრების აღმკვეთი სამუშაოების ეფექტურობას.

ფულის გათეთრების პრევენციის მნიშვნელოვანი სამართლებრივი ზომაა ფულადი სახსრებით თუ სხვა ქონებით ოპერაციების წარმოების სამართლებრივი რეგულირების წესების მაქსიმალური უნიფიცირება. ამ სფეროში მოქმედი ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული უნდა იყოს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ისეთ სპეციალურ ფაქტორზე ზემოქმედების მიზნით, როგორცაა ფულის გათეთრების პროცესის „პროფესიონალიზაცია“, აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი ზომის მიღება. კერძოდ, ფინანსური მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ჩამონათვალს უნდა დაემატოს საგადასახადო კონსულტანტები და იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელი პირები, როდესაც ეს უკანასკნელნი კონსულტაციას გაუწევენ კლიენტებს უძრავი ქონების ან სამეწარმეო საზოგადოების ყიდვა-გაყიდვასთან, სხვადასხვა აქტივების მართვასთან დაკავშირებით (აუდიტორები და ბუღალტრები, ასევე სალიზინგო კომპანიები „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში მხოლოდ 2011 წლის 20 დეკემბერს შესული ცვლილების მიხედვით გახდნენ მონიტორინგის განმახორციელებელი პირები). ზემოაღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ სახის კონსულტანტები ფულის გათეთრების რთული სქემების აუცილებელი ელემენტები არიან.

ფულის გათეთრების ერთ-ერთ მასტიმულირებელი ფაქტორი, როგორც აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან განხორციელებული ტექნოლოგიური პროგრესია. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი კანონმდებლობა არ ჩამორჩეს ფინანსური ინსტიტუტების მიერ ბაზრისთვის ახალი პროდუქტების შეთავაზების ტემპს და ეს ახალი პროდუქტები არ იქნას გამოყენებული კრიმინალების მიერ დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ფულის გათეთრების ეფექტური აღკვეთისათვის აუცილებელია ბრძოლის ორგანიზებისადმი კომპლექსური მიდგომა, რაც მოიცავს ფინანსურ ოპერაციებსა და სხვადასხვა სახის ქონებით წარმოებულ გარიგებებზე საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ურთიერთდაკავშირებულ პროცედურებს, კომპეტენტური სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებას შესაძლო ლეგალიზაციის ფაქტებზე, ასევე სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენების მექანიზმს.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის წარმოდგენილი ზომები ჩვენს მიერ განიხილება მხოლოდ როგორც ძირითადი, ამასთან, ამ ზომების რეალიზაცია შესაძლებელს გახდის განხილულ სფეროში სიტუაცია არსებითად გაჯანსაღდეს.

დასკვნა-რეკომენდაციები

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესზე ზემოქმედების მიზნით ჩატარებული კრიმინოლოგიური კვლევა იძლევა თეორიული დასკვნებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობას:

1. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა არის უმნიშვნელოვანესი საშუალება ორგანიზებული დანაშაულობის ყველა სფეროში კონტროლის განსახორციელებლად. ფულის გათეთრების პრობლემის წარმოქმნა პირდაპირაა დაკავშირებული ორგანიზებული დანაშაულობის ფუნქციონირებასთან. ლეგალიზაციის მეშვეობით უკანონო სახსრებს რესპექტაბელური სახე ეძლევა, რათა შემდგომ ისინი ჩაიდოს ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ სრუქტურებში. სწორედ ამიტომ, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა თითქმის ყველა განვითარებული სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული დანაშაულობის აღკვეთის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად მიიჩნევა.
2. სამართალდამცავთათვის ფულის გათეთრება კრიმინალური ეკონომიკური ციკლის ყველაზე სუსტი წერტილია, თუმცა ფულის გათეთრების პროცესზე დაკვირვება შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს არალეგალური ოპერაციების მასშტაბები, სახესხვაობა და სხვა მახასიათებლები. ამგვარად, მოცემული საქმიანობა ეკონომიკურ დანაშაულთა ეფექტურ გამოძიებასთან ერთად, სამართალდამცავ ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ უკანონო სახრების კონფისკაცია, ეს რისკეფაქტორი კი შემაკავებელ გავლენას ახდენს ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობაზე.
3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესის სტრუქტურის განსაზღვრისას მიზანშეწონილია ეს პროცესი სამი ძირითადი სტადიის სახით წარმოვიდგინოთ: პირველი სტადია - უკანონოდ მიღებული შემოსავლის გადატანა ფიქტიური მფლობელის მფარველობაში იმ მიზნით, რომ დაიმალოს მათი უკანონო წარმომავლობა და დაცულ იქნეს რეალური ბენეფიციარის ანონიმურობა. მეორე სტადია - ფინანსური ოპერაციების რთული ჯაჭვის გზით უკანონო შემოსავლის მოწყვეტა წარმოშობის წყაროსგან, დანაწევრება და იმავე ფორმის სხვა აქტივთან შერწყმა. მესამე სტადია - უკანონო შემოსავლის ინტეგრირება ლეგალურ ეკონომიკაში.

4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესის სტრუქტურისა და შემადგენლობის შესწავლა მისი დეფინიციის განსაზღვრის საშუალებას იძლევა: „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) არის უკანონო გზით მიღებული (მოპოვებული/შექენილი) ქონების წარმოშობის (ნამდვილი) წყაროს შესახებ ცნობების განზრახ დამახინჯება, რომელიც ხორციელდება მათი კანონიერ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის (შეტანის) გზით, იმ მიზნით, რომ დაიფაროს მათი მართლსაწინააღმდეგო მიღების (მოპოვება/შექენის) ფაქტი და უზრუნველყოფილ იქნას ამ ქონების თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა.“
5. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ეფექტური აღკვეთისათვის აუცილებელია, ჩავწედეთ იმ ძირითადი ფაქტორების – ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების არსს, რომლებიც გავლენას ახდენს ამ პროცესზე. განსახილველ გარემოზე ზემოქმედების ხარისხით ეს ფაქტორები მიზანშეწონილია, გავყოთ ზოგად და კონკრეტული ხასიათის ფაქტორებად. ზოგადი ხასიათის ფაქტორებში აუცილებელია ყურადღება მიექცეს შემდეგ მოვლენებსა და პროცესებს: მოსახლეობის სამართლებრივი განათლების დონეს, „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის მასშტაბებს, დანაშაულებრივი ინდუსტრიის განვითარებას, პოლიტიკურ ნებას და სხვ. სპეციალურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფულის გათეთრების პროცესზე, შეიძლება მივაკუთვნოთ: უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის პროცესის „მზარდი პროფესიონალიზაცია“ და ინტერნაციონალიზაცია; სამართალდამცავი ორგანოების სუსტი პოტენციალი, წინ აღუდგნენ ეკონომიკურ დანაშაულებს; ნაღდი ფულის ბრუნვა; ფულადი სახსრებით თუ სხვა ქონებით ოპერაციების წარმოების სამართლებრივი რეგულირების წესების უზუსტობანი, ცალკეული საკანონმდებლო ხარვეზები და სხვ.
6. ფულის გათეთრების სქემების ტიპოლოგიური კვლევის შედეგად შესაძლებელია დავადგინოთ ის ზოგადი წესები, რომლითაც ხელმძღვანელობენ დამნაშავეები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ოპერაციების დაგეგმვისას:
- რაც უფრო ზუსტადაა იმიტირებული ფულის გათეთრების მექანიზმით კანონიერი გარიგება, მით უფრო ნაკლებია მისი გამოვლენის რისკი;
 - რაც უფრო ნაკლებია უკანონო სახსრების ხვედრითი წილი ლეგალურ ფინანსურ ნაკადში, მით უფრო რთულია მისი აღმოჩენა;

- რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკაში მომსახურების სფეროს ხვედრითი წილი, მით უფრო მარტივია ამ სახელმწიფოში ფულის გათეთრება;
- რაც უფრო მაღალია გარიგებების საკანონმდებლო და ფინანსური თვითრეგულირების დონე, მით უფრო რთულია არალეგალური ფინანსური ნაკადის გამოაშკარავება;
- უკანონო ფინანსური ოპერაციების განსახორციელებლად რაც უფრო ნაკლებია საკრედიტო ბარათებისა და უნაღლო ანგარიშსწორების ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა, მით უფრო რთულია ფულის გათეთრების შემთხვევების გამოვლენა;
- რაც უფრო მეტი წინააღმდეგობაა ფინანსური ბაზრების გლობალურ ხასიათსა და მათ სახელმწიფო რეგულირებას შორის, მით უფრო რთულია ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენა;
- უკანონო საქმიანობა რაც უფრო ღრმად აღწევს ლეგალურ ეკონომიკაში, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობაა მისი ინსტიტუციური და ფუნქციური დაყოფისათვის.

7. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებისადმი კომპლექსური მიდგომა მოიცავს ფინანსურ ოპერაციებსა და სხვადასხვა სახის ქონებით წარმოებულ გარიგებებზე საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ურთიერთდაკავშირებულ პროცედურებს, კომპეტენტური სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებას შესაძლო ლეგალიზაციის ფაქტებზე, ასევე სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენების მექანიზმს.

8. მოვლენის სირთულე, რომლის აღკვეთაც უნდა მოხდეს, განსაზღვრავს მის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის სირთულეს. ვინაიდან ფულის გათეთრება მეტად რთული, მრავალასპექტიანი პრობლემაა, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის სხვადასხვა დარგში დამნაშავეების კოორდინირებულ საქმიანობასთან, მის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელია, არსებობდეს კიდევ უფრო რთული, მრავალდარგოვანი, მაგრამ მართვის თვალსაზრისით ერთიანი ეფექტური სისტემა.

9. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი სისტემის ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს თავად მოვლენის მასშტაბებს. ბუნებრივია, ათეულობით მილიარდი დოლარის გათეთრების აღკვეთას იაფფასიანი სისტემა ვერ შეძლებს, ამდენად, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია უკანონო

შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურები უზრუნველყოფილ იქნან შესაბამისი ფინანსური სახსრებით.

10. მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სისტემის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი უნდა იყოს მრავალფუნქციური და მრავალდარგობრივი მონაცემთა ბანკი, რომელიც შესაძლებელს გახდის დანაშაულებრივი და საეჭვო კავშირების გამოვლენას „ღრმა სტატისტიკის“ პროგრამების მეშვეობით.
11. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრობლემის გადაჭრა კორუფციისაგან იზოლირებულად შეუძლებელია. კორუმპირებული ჩინოვნიკები, ერთი მხრივ, ფულის გათეთრების „მომსახურების“ ყველაზე აქტიური მომხმარებლები არიან, მეორე მხრივ, პრაქტიკულად ლეგალიზაციის ყველა მექანიზმში გამოიყენება კორუფციული კავშირები. ვფიქრობთ, მიზანშეწონილია საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება, რომელშიც კომპლექსურად იქნება განხილული კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალური საკითხები.
12. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი ფულის გათეთრების აღკვეთის საქმეში. ხელისუფლებამ უნდა განაგრძოს ლიბერალური ეკონომიკური კურსი, და, ამავედროულად, აუცილებელია გაძლიერდეს კონტროლის მექანიზმები სხვადასხვა სფეროში კანონმდებლობის დაცვაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფულის გათეთრების აღკვეთის საქმეში გადამწყვეტია სახელმწიფოს პოლიტიკური ნება. ფულის გათეთრება დანაშაულის ის სახეობაა, რომელსაც უმეტესად სწორედ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები სჩადიან, შესაბამისად, მხოლოდ მიზანმიმართული და მკაფიო სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით არის შესაძლებელი ამ დანაშაულის აღმოფხვრა სახელისუფლებო წრეებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნესსექტორისა და, ზოგადად, მოსახლეობის ნდობის ამაღლება ხელისუფლების მიმართ. ხშირად პირს, რომელსაც სავსებით კანონიერად აქვს სახსრები მოპოვებული, არ სურს, საბანკო ოპერაციებისა თუ სხვა სახის გარიგებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს სახელმწიფო სტრუქტურებს. ამ იდეოლოგიის შესაცვლელად აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება. საზოგადოებისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ფულის გათეთრების შესახებ კანონმდებლობის ერთადერთი მიზანი დანაშაულობის აღკვეთაა.

13. აუცილებელია სპეციალური პროგრამების შემუშავება და ჩვენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. პროგრამა მიმართული უნდა იყოს მოსახლეობისათვის იმ საკანონმდებლო ბაზის გაცნობისაკენ, რომელიც არეგულირებს ეკონომიკურ სფეროს და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საკითხებს. საზოგადოებამ კონკრეტულად უნდა იცოდეს, თუ რა საფრთხეს ქმნის ფულის გათეთრება და ერკვეოდეს ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობისას შესაბამისი წესების დაუცველობის იურიდიულ შედეგებში. აღნიშნული ზომის მიღება მიზანშეწონილია იმ თვალსაზრისითაც, რომ არ მოხდეს მოქალაქეთა გამოყენება ფიქტიურ პირთა სახით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ოპერაციების განხორციელებისას.
14. საქართველო აქტიურად გამოიყენება უცხოური კაპიტალის ინვესტირებისათვის. საჭიროა, სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ქვეყანაში განხორციელებული მსხვილი ინვესტიციების წარმომავლობის კანონიერების დადგენა. ამ შეხედულებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ ფულის გათეთრების საქმეებში ხშირ შემთხვევაში ძირითადი დანაშაული საზღვარგარეთ არის ჩადენილი.
15. „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის მასშტაბების შემცირების მიზნით, აუცილებელია სპეციალური პროგრამით ზემოქმედება იმ ფაქტორებზე, რომლებიც მისი არსებობის პროვოცირებას იწვევენ. საჭიროა მდგომარეობის ადეკვატური საგადასახადო კანონმდებლობის ამოქმედება, ეკონომიკურად დასაბუთებული და სამართლიანი მოსაკრებლების არსებობა, რაც შეამცირებს ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობას, ხოლო საწარმოების საქმიანობას გახდის გამჭვირვალეს. ასევე აუცილებელია, ზედამხედველობის გაძლიერება საბანკო სექტორზე, რათა აღიკვეთოს „შავი ბუღალტერიის“ გათვალისწინება კრედიტების გაცემისას. ეს კი დღემდე ნორმად მიიჩნევა.
16. ფულის გათეთრების აღკვეთის კუთხით, ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ სამეურნეო ბრუნვის უდიდესი ნაწილი საქართველოში ნაღდი ფულით ხორციელდება. შეიძლება ითქვას, რომ ფულის განადღება ლეგალიზაციის ერთგვარ ინსტრუმენტად მიიჩნევა. თუ განვითარებულ ქვეყნებში ფულის გათეთრების პროცესის დასასრული კარგი რეპუტაციის მქონე ბანკში ანგარიშის ქონაა, საქართველოში საკმარისია, უკანონოდ მიღებული სახსრები ნაღდ ფორმაში იქნას

გადატანილი. დასავლური ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში არ ხდება უძრავი ქონებისა თუ საწარმოს შეძენისას ფულის წარმოშობის შესახებ კითხვის დასმა. გარიგებები, ძირითადად, უცხოური ვალუტით ხორციელდება და, ფაქტობრივად, არავენ იცის თანხის რეალური ოდენობა. დოკუმენტურად ფორმდება მხოლოდ თანხის ნაწილი, ხოლო დანარჩენის გადახდა ნაღდი ფორმით ხდება. დიდი ოდენობით ნაღდი ფული საქართველოში ნორმად აღიქმება, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს უკანონო წარმომავლობის ნიშანია. ნაღდი ფული ემსახურება ჩრდილოვან ეკონომიკას, ხოლო ამ უკანასკნელის ზრდა ნაღდი ფულის ბრუნვის სტიმულირებას ახდენს და პირიქით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, ნაღდი ფულის მიმოქცევის სფეროს, როგორც ფინანსური კონტროლისაგან თავის არიდების ერთ-ერთი ფაქტორის შევიწროება (მაგალითად, უძრავი ქონების შეძენისას ანგარიშსწორების საბანკო ანგარიშით განხორციელების სავალდებულოობა, დიდი ოდენობით თანხის განაღდებისას მაღალი საკომისიოს დაწესება, გარკვეული ღირებულების გარიგების საგნის შეძენისას საფასურის უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდის მოთხოვნა და სხვ.). ასევე აუცილებელია, შემოსავლების დეკლარირების ვალდებულების არსებობა მსხვილი ქონებრივი კომპლექსის, უძრავი ქონების შეძენის ან პრივატიზაციისას.

17. იმისათვის, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ღონისძიებები ქმედითი იყოს, მნიშვნელოვანია, სწორად განისაზღვროს პირთა წრე, რომელზეც კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები გავრცელდება. თანამედროვე მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საფინანსო ინსტიტუტებს ფულის გათეთრების მიზნით გამოყენების დიდი რისკი ახასიათებთ. ამასთან, საფინანსო ინსტიტუტების ცნება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების ბროკერებისა ბევრად უფრო ფართოა და მრავალ ისეთ ინსტიტუტს მოიცავს, რომელიც კანონით გათვალისწინებული არ არის (მაგალითად, კოლექტიური საინვესტიციო დაწესებულებები და მრავალი სხვა ინსტიტუტი, რომლის საქმიანობის ძირითადი საგანი ფინანსური მომსახურებაა). კანონის ამგვარი ვაკუუმი გასაგებიცაა, საქართველოს ფინანსური ბაზრის განვითარების დონე არ შეესაბამება ევროპისას და კანონი, შესაბამისად, არ მოიცავს ბაზრის არარსებულ სუბიექტებს. თუმცა

ახლო მომავალში გამორიცხული არ არის ასეთი ახალი სუბიექტების გამოჩენა, ხოლო კანონში არსებულმა ვაკუუმმა ისინი შესაძლოა, ფულის გათეთრებლების „თავშესაფრად“ აქციოს. ამიტომაც აუცილებელია, კანონმდებლის უწყვეტი ყურადღება ბაზრის ახალ სუბიექტებზე.

18. ფულის გათეთრების უკვე ჩამოყალიბებული საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დამნაშავეები, ფინანსური კონსულტაციისთვის, თუ როგორ შენიღბონ უკანონო შემოსავლები – როგორც წესი, აუდიტორებს, დამოუკიდებელ ბუღალტრებს, საგადასახადო კონსულტანტებს და იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელი პირებს მიმართავენ. ამდენად, ამ სახის კონსულტანტები ფულის გათეთრების რთული სქემების აუცილებელი ელემენტები არიან. შესაძლოა, საქართველოში დღევანდელ ეტაპზე აღნიშნული პროფესიული საქმიანობა ფულის გათეთრების კუთხით მაღალი რისკის მატარებელი არ იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ბაზრის სწრაფ განვითარებას, ეს პრობლემა შესაძლოა, სულ მალე დადგეს დღის წესრიგში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ევროსაბჭოს მიერ მიღებული და ფულის გათეთრების აღკვეთის საერთაშორისო სტანდარტად მიჩნეული ევროდირექტივის (91/308/EEC) მოთხოვნათა შესაბამისად, ფინანსური მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ჩამონათვალს დაემატოს ასევე საგადასახადო კონსულტანტები და იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელი პირები, როდესაც ეს უკანასკნელნი კონსულტაციას გაუწევენ კლიენტებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- უძრავი ქონების ან სამეწარმეო საზოგადოების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით;
- კლიენტის ფულის, ფასიანი ქაღალდების ან სხვა აქტივების მართვასთან დაკავშირებით;
- საბანკო ანგარიშების გახსნასა და მართვასთან დაკავშირებით;
- კომპანიის დაფუძნებასთან, ასევე ფუნქციონირებისა და მართვისთვის აუცილებელი შენატანების ორგანიზებასთან დაკავშირებით;

პროფესიული ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე საგადასახადო კონსულტანტები, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელი პირები, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აუდიტორული და ბუღალტრული საქმიანობის

განმახორციელებელი პირები შეიძლება გათავისუფლდნენ ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის იმ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან, რომელიც მათ მიიღეს კლიენტისგან ან კლიენტის შესახებ მისი წარმომადგენლობის უფლების განხორციელებისას სასამართლო წარმოებაში ან წარმოებასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათთვის ცნობილია, რომ ეს მომსახურება ფულის გათეთრების მიზნებს ემსახურება.

19. საფინანსო სექტორის სწრაფი განვითარება, რასაც თან ერთვის მზარდი ტექნოლოგიური პროგრესი, საშუალებას აძლევს მათ, მომხმარებლებს გაუწიონ მომსახურება ფიზიკური დასწრების გარეშე. მაგალითად, ინტერნეტის, ბანკომატის, სატელეფონო საბანკო მომსახურების, სწრაფი გადახდის აპარატებისა და სხვა საშუალებით. აღნიშნული სახის სერვისების გამოყენება სულ უფრო და უფრო მასშტაბურ სახეს იძენს და, ვინაიდან ასეთ ოპერაციებს სისწრაფე, ნებისმიერი ადგილიდან ხელმისაწვდომობა და ნაკლები გამჭვირვალობა ახასიათებთ, ეს ფულის გათეთრების მეტად ხელსაყრელ საშუალებად შეიძლება იქცეს. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა არ ჩამორჩეს ფინანსური ინსტიტუტების მიერ ბაზრისთვის ახალი პროდუქტების შეთავაზების ტემპს. ასეთი ტიპის გარიგებებთან მიმართებით, აუცილებელია სპეციალური ადეკვატური ზომების მიღება მათთან დაკავშირებული ფულის გათეთრების მაღალი რისკის თავიდან ასაცილებლად.

20. FATF-ის რეკომენდაციების თანახმად, არარეზიდენტი „პოლიტიკური აქტიური პირების,” მათ ოჯახის წევრებისა და მათთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების მიმართ სავალდებულოა, ამოქმედდეს იდენტიფიკაციის გაძლიერებული მექანიზმები (სახსრების წარმომავლობის დადგენა, ანგარიშების მუდმივი მონიტორინგი), რაც დღეის მდგომარეობით ასახულია ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ კანონმდებლობაში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ სტანდარტის გავრცელება საქართველოს მოქალაქე პოლიტიკურად აქტიური პირების, მათი ოჯახის წევრებისა და მათთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების მიმართაც.

21. ფულის გათეთრების აღმკვეთი შესაბამისი ნორმატიული აქტებით სავალდებულოა ბანკების მიერ კლიენტების სახსრების წარმომავლობისა და ბენეფიციარების დადგენა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან

კანონმდებლობაში არ არის გაწერილი კონკრეტული ღონისძიებები და კანონმდებელი მხოლოდ ზოგადი მითითებით შემოიფარგლება, საბანკო სექტორის მიერ ამ დებულებების დაცვა მხოლოდ ფორმალურად ხდება. აღნიშნული განპირობებულია ბანკების მძაფრი კონკურენციით. ბუნებრივია, კლიენტი საქმიან ურთიერთობას ამყარებს იმ ბანკთან, რომელსაც ნაკლები მოთხოვნები აქვს ამ თვალსაზრისით. შესაბამისად, საკანონმდებლო დონეზე უნდა შემუშავდეს კონკრეტული ზომები, რათა ყველა საფინანსო დაწესებულებისათვის იყოს ერთიანი სტანდარტი, რომლის მეშვეობითაც რეალურად განხორციელდება პრინციპი - „იცნობდე შენს კლიენტს.“

22. ნაღდი ფულადი სახსრების კონტროლის მიზნით, მნიშვნელოვან საკანონმდებლო ზომად მიგვაჩნია 30 000 ლარს ზემოთ დეპოზიტის განთავსება მიეკუთვნოს ავტომატურ რეჟიმში გადასაცემ ოპერაციათა კატეგორიას. დღემდე ეს დებულება არ აისახა კანონში იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელია, ამ მიზეზით შემცირდეს საბანკო სისტემაში ნაღდი ფულადი რესურსის შედინება. თუმცა ვფიქრობთ, რომ, როდესაც კლიენტი წარადგენს დიდი ოდენობით ნაღდ ფულს, იმის გათვალისწინებით, რომ რეალურად არ ხდება სახსრების წარმომავლობის დადგენა, აუცილებელია ინფორმაცია მიეწოდოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.

23. ეროვნული ბანკის ნორმატივების მიხედვით, ასევე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღმკვეთი კანონმდებლობის შესაბამისად, დაუშვებელია სავალუტო გადარიცხვის განხორციელება გარიგების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტების (კონტრაქტები, ინვოისები) წარმოდგენის გარეშე (თუ თანხა აღემატება 30 000 ლარს), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტების რეალურობის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ხშირად კლიენტს თავად აქვს საზღვარგარეთელი ბიზნესპარტნიორის ბეჭედი და ინვოისის დამოწმებასაც თავადვე ახდეს, რაც, ბუნებრივია, იწვევს დასაბუთებულ ეჭვს, რომ კლიენტსაც და კონტრაგენტსაც ერთი ბენეფიციარი ჰყავთ და ეს გარიგებები მხოლოდ ფიქტიურია. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შემუშავდეს მექანიზმები ფიქტიური გარიგებების საფუძველზე ანგარიშსწორების წარმოების აღსაკვეთად.

24. როგორც პრაქტიკა მოწმობს, ფულის გათეთრების ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის თვალსაზრისით, ყველაზე ეფექტურია მონიტორინგის

განმახორციელებელი პირების მიერ ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივი მიწოდება ზედამხედველი ორგანოებისათვის. ჩვენი კანონმდებლობით, ბანკები ანგარიშგების ფორმებს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს აწვდიან ოპერაციის საექვოობის შემთხვევაში, საექვოობის დადგენის დღეს, ხოლო ზღვარს ზემოთ ოპერაციების განხორციელებისას - ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან 5 დღის ვადაში.[85,მუხლი12] მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ვადების მაქსიმალურად შემცირება როგორც ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენის, ასევე შესაბამისი უკანონო სახსრების კონფისკაციის მიზნით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამისთვის აუცილებელია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა ბანკებში.

25. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების აღკვეთის მიზნით, აუცილებელია ფინანსური და სამართალდამცავი ორგანოების კონტროლის გაძლიერება შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობებზე: ვაჭრობა (ისეთი პროდუქციით, რომლის ღირებულებასაც აქვს ცვლილების დიდი დიაპაზონი), მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, სამშენებლო ორგანიზაციები და სასტუმრო ბიზნესი.
26. შესაბამისი სტრუქტურების მიერ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტების აღკვეთის, გამოვლენისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას აუცილებელია ორიენტაცია იმ ძირითად ხერხებსა და საშუალებებზე, რომლებსაც იყენებენ დამნაშავეები: საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციაში ანგარიშზე ფულადი სახსრების განთავსება და შემდგომ ოპერაციების წარმოება; სახრების დანაწევრების ტექნოლოგია, კვალის არევის მეთოდი, ოფშორული პარტნიორების აქტიურად გამოყენება; ფიქტიური კონტრაქტების საფუძველზე უცხოურ ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების წარმოება და სხვ.
27. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოვლენის მიზნით, სამართალდამცავმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ: ფინანსურ ანგარიშგებებში აშკარა სხვაობის არსებობას ანალოგიური პროფილის სხვა ფირმების შესაბამისი დოკუმენტების მონაცემებთან; გადარიცხვების თანხების შეუსაბამობას კლიენტის საქმიანობის ხასიათთან, ან შეთავაზებული მომსახურების სახეობის

სპეციფიკასთან; ფულის პირველადი წყაროს დაფარვის მცდელობას რთული მრავალმხრივი ოპერაციების წარმოების გზით.

28. ევროდირექტივის შესაბამისად, კანონით უნდა დაწესდეს წევრი სახელმწიფოების ვალდებულება, უზრუნველყონ მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრაქტიკისა და საეჭვო გარიგებების გამოვლენის მექანიზმების შესახებ უახლესი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, აუცილებელია, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის სისტემატური სწავლება-სემინარების ორგანიზება, რათა ფლობდნენ სრულყოფილ ინფორმაციას ლეგალიზაციის ახალი ხერხებისა და მეთოდების შესახებ.
29. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამართალდამცავ და შესაბამის სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადებასა და გადამზადებას, ვინაიდან ფულის გათეთრების აღკვეთისათვის საჭიროა სპეციალისტები უმაღლესი კვალიფიკაციით.
30. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ფულის გათეთრების ტიპოლოგიური ხერხებისა და მეთოდების კვლევაზე. აღნიშნული შესაძლებელს გახდის ფულის გათეთრების, როგორც ახალი, ასევე უკვე ცნობილი მეთოდების გამოვლენას. ტიპოლოგიის განსაზღვრა უნდა მოხდეს ფინანსური გამოძიების, ასევე სისხლის სამართლის საქმეების მასალების ანალიზის შედეგად. შემუშავებული ტიპოლოგია დახმარებას გაუწევს სამართალდამცავ და ზედამხედველ ორგანოებს, საქართველოს ფინანსური მონიტორინგისა და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების პასუხისმგებელ თანამშრომლებს.
31. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სპეციალური ჯგუფის შექმნა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო ორგანოების ძალისხმევას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საქმეში. ჯგუფი შესაძლოა შეიქმნას მთავარ პროკურატურასთან და მასში უნდა შედიოდნენ იმ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც ახორციელებენ საფინანსო-ეკონომიკურ კონტროლსა და სამართალდამცავ საქმიანობას განხილულ სფეროში.
32. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფის მიზნით, აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება, გრძელვადიანი პოლიტიკის სახით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის კომპლექსური მიზნობრივი პროგრამის შემუშავება და

რეალიზება, ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების სახით საერთაშორისო ტერორიზმთან, კონტრაბანდასა და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულებთან ერთად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განხილვა.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

მონოგრაფიები და წიგნები:

1. ავტორთა კოლექტივი (სამეცნიერო რედაქტორი გ. ღლონტი). 2008. *კრიმინოლოგია*. თბილისი.
2. ავტორთა კოლექტივი (რედაქტორი გ. ღლონტი, სამეცნიერო ხელმძღვანელი ო. გამყრელიძე). 2011. *კორუფცია საქართველოში - კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი*. თბილისი.
3. ავტორთა კოლექტივი (რედაქტორი გ. ნაჭყებია). 2012. *ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში*. თბილისი.
4. ასანიძე ს. 2012. *უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია - ფულის გათეთრება*. თბილისი.
5. ბაძაღვა მ. 1998. *ჯგუფური დანაშაულობა*. თბილისი.
6. ოთინაშვილი რ. 2002. *ჩრდილოვანი ეკონომიკა*. თბილისი: სახ. უშიშროების აკადემიის გამომცემლობა.
7. ღლონტი გ., მოსულიშვილი მ., დაუთაშვილი პ. 2009. *კორუფცია*. თბილისი.
8. შელი ლ., ალასანია გ., ლორია ე., ლატა ა., კაკოიშვილი ი. 2006. *ტრანსნაციონალური დანაშაული და კორუფცია საქართველოში*. თბილისი.
9. წულაია ზ. 2003. *კრიმინოლოგია - ზოგადი ნაწილი*. თბილისი: ინტელექტი.
10. ჯანაშია ჯ. 2002. *XXI საუკუნის გამოწვევა*. თბილისი: ინტელექტი.
11. Anderson M. 2005. *Policing on the European Union*. Oxford.
12. Ackermann J.B. 2003. *Money laundering*. Zurich.
13. Bartlett B.L. 2004. *The Negative Effects of Money Laundering on Economic Development*. Manila.
14. Bennett T. 2007. *Money Laundering Compliance*.
15. Bagrosk M.P. 2009. *The Triple Border Area: A re-conceptualization of the problem and U.S. policy*. Georgetown University.
16. Bowes T. 2006. *Structural contradictions and lawmaking: Observations on organized crime and anti-money laundering legislation in Canada within the context of international protocols*. Saint Mary's University (Canada).

17. Clayton W. 2008. *Assessing the opinions of lawyers of Canadian money laundering legislation*. Ph.D. Northcentral University.
18. D'Souza J. 2009. *Measuring effectiveness in international financial crime prevention: Can we agree on a performance metric?* Ph.D. Florida International University.
19. Dolar B. 2007. *The anti-money laundering provisions of the USA Patriot Act: A heterogeneous firm model of the banking industry*. Ph.D. The University of Mississippi.
20. Gavin M. 2009. *The USA Patriot Act: An empirical assessment of the impact of Section 326 on access to banking amongst immigrants in the United States*.
21. Kochan N. 2011. *The Washing Machine: How Money Laundering and Terrorist Financing Soils Us*.
22. Mazur R. 2009. *The Infiltrator: My Secret Life Inside the Dirty Banks Behind Pablo Escobar's Medellín Cartel*.
23. Madinger J. 2011. *Money Laundering: A Guide for Criminal Investigators*. Third Edition
24. Robinson J. 2008. *The Laundrymen - Inside Money Laundering, The World's Third Largest Business*.
25. Solongo D. 2004. *Russian Capitalism and Money-Laundering*. New York.
26. Stessens G. 2008. *Money Laundering: A New International Law Enforcement Model (Cambridge Studies in International and Comparative Law)*.
27. Schwartz B.D. 2009. *Deficiencies in regulations for anti-money laundering in a cyberlaundering age including COMET: Central Online AML Merchant Enforcement Tool*. Iowa State University
28. Turnter J.E. 2011. *Money Laundering Prevention: Deterring, Detecting, and Resolving Financial Fraud*.
29. [Wouter H., Muller Christian H., Kalin John G.](#) 2007. *Anti-Money Laundering: International Law and Practice*.
30. Zander M. 2006. *Confiscation and Forfeiture Law: English and American Comparisons*. London.
31. Zhixiang M.Sc. 2009. *Offshore financial havens: Their role in international capital flows*. Singapore Management University. Singapore.
32. Алиев В. М. 2001. *Криминологическое и уголовно-правовое исследование легализации доходов добытых преступным путем*. Москва.
33. Булаев А. А. 2010. *Финансово-правовые аспекты противодействия легализации (отмыванию) доходов, полученных преступным путем и финансированию терроризма*. Дис. Кандидата юридических наук. Москва.
34. Киселев И. А. 2009. *Грязные деньги*. Москва: Юриспруденция.

35. Коротков И. В. 2004. *Уголовно-правовые и криминологические аспекты борьбы против легализации (отмывания) незаконных доходов*. Дис. Кандидат юридических наук. Москва
36. Кузнецов В. А. 2008. *Формирование эффективного механизма взаимодействия органов финансового надзора с кредитными организациями в сфере противодействия легализации доходов, полученных преступным путем*. Дис. кандидата экономических наук. Москва
37. Литовкин Ю. И. 2009. *Риски в сфере международных расчетов и методы их минимизации*. Дис. кандидата экономических наук. Москва.
38. Лопашенко Н. А. 1997. *Преступления в сфере экономической деятельности*. Дис. доктора юридических наук. Москва
39. Мельников В. Н., Мовсесян А. Г. 2007. *Противодействие легализации отмывания незаконных доходов*. Москва.
40. Смагина А. В. 2006. *Легализация преступных доходов: сравнительный анализ уголовного законодательства России и зарубежных стран*. Дис. канд. юрид. наук. Москва.
41. Третьяков В. И. 2009. *Организованная преступность и легализация криминальных доходов*. Дис. доктора юридических наук. Ростов-на-Дону.

პერიოდული გამოცემები:

42. ასანიძე ს. 2010. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ცალკეული საკითხები საერთაშორისო და შიდაეროვნულ დონეზე. *კრიმინოლოგი*. №1(5) გვ.47-50
43. ასანიძე ს. 2011. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა. *საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტი*. №2(40) გვ.153-154
44. ასანიძე ს. 2011. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები საქართველოში. *საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტი*. №3(41) გვ.129-131
45. ასანიძე ს. 2011. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) დეტერმინაციის ზოგიერთი საკითხი. *გრიგოლ რობაქიძის*

სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო კურნალი „აკადემიური მაცნე“
(მიღებულია გამოსაქვეყნებლად).

46. Асанидзе С.Р., Джафаров Н.К. 2008. Банковское правонарушение, как основание юридической ответственности. *Вестник Московского университета МВД России* №9 ст. 147-148
47. Булаев А.А. 2008. Организационная структура российской системы противодействия легализации преступных доходов и финансированию терроризма. *Закон*. № 10. С. 183-188
48. Булаев А.А. 2010. Место финансового мониторинга в системе финансового права. *Право и государство*. № 2 (62). С. 71-74
49. Журавлев М. П. 2007. Ответственность за легализацию (отмывание) преступных доходов: закон и судебная практика. *Журнал российского права*. №3. С. 33-34
50. Bauer P. 2006. Understanding the Wash Cycle. *Economic Perspectives*. Vol.6.#2. P.19-24
51. Bernasconi P. 1999. Good offices to bad Governance; towards international rules against the abuse of offshore companies. *Journal of money laundering control*. London. #2.Vol.2. p. 120-127
52. Blum J.A., Levi M., Naylor T., Williams P. 2004. Financial Havens, Bankins Secrecy and Money Laundering. *UNDCO Technical Series*. Issue #8. p. 137-168
53. Donnelly J. 2005. The United Nations and the Global Drug Control Regime. *Drug Policy in the Americas*. #4 p.280-298
54. Dine J. 2004. European Community Criminal Law. *Criminal Law Review*. #6. p.240-257
55. Freiberg A. 2006. Criminal Confiscation, Profit and Liberty. *Australian and New Zealand Journal Criminology*. #2. p.45-56
56. Gustitus L., Bean E., Roach R. 2007. Correspondent Banking: A Gateway for Money Laundering. *Economic Perspectives*. Vol.6. #2. p.26-30
57. Joseph L.M. 2008. Money Laundering Enforcement: Following the Money. *Economic Perspectives*. Vol.6.#2. p.11-15
58. Levi M. 1999. Regulating money laundering. The death of bank secrecy in the UK. *The British journal of criminology*. #2.Vol.31. p.109-125
59. Malkin L., Elizuv Y. 2008. The Dilemma of Dirty Money. *World Policy Journal*. #3 p.38-47
60. Masciandaro D. 2009. Money Laundering: the Economics of Regulation. *European Journal of Law and Economics*. #7. p.225-240
61. McDowell J., Novis G. 2006. The Consequences of Money Laundering and Financial Crime. *Economic Perspeqtives*. Vol.6. #2. p.6-9

62. Nadelmann E. 2006. Unlaundering Dirty Money Abroad: US Foreign Policy and Financial Secrecy Jurisdictions. *Inter-American Law Revue.* #7 p.33-54
63. Nilsson H. 1999. The Council of Europe Laundering Convention: A Recent Example of a Developing International Criminal Law. *Criminal Law Forum.* #13 p.423-432
64. Sherman T. Opening Session Speech at the Strasbourg Conference FATF September 1992 (typescript). p.17.

ინტერნეტი და სხვა წყაროები:

65. European Bank for Reconstruction and Development. 2008. EBRD Regional AML Training Seminar. Tbilisi, Georgia.
66. კვირის პალიტრის ვებ-გვერდი - <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/43475-amieridan-thqvens-sabanko-angarishebsac-merabishvili-gaakontrolebs.html> ინტერვიუ [კ.მეფარიშვილთან](#) (15.12.2011)
67. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი - <http://fms.gov.ge/?lang=geo&menu=24> (14.09.2011)
68. აშშ-ს ფინანსური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს Financial Crime Network (Fincen) ოფიციალური ვებ-გვერდი – http://www.fincen.gov/about_fincen/wwd/ (23.08.2011)
69. ფულის გათეთრების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შემფასებელი ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი – [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/moneyval/Evaluations/Progress%20reports%20y/MONEYVAL\(2010\)3_ProgrRep2GEO_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/moneyval/Evaluations/Progress%20reports%20y/MONEYVAL(2010)3_ProgrRep2GEO_en.pdf) (23.08.2011)
70. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.fatf-gafi.org/document/52/0,3746,en_32250379_32236869_34027188_1_1_1_1,00.html (17.09.2011)
71. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი ევრაზიის ჯგუფის ოფიციალური ვებ-გვერდი – http://eurasiangroup.org/ru/news/typ_1.pdf (15.09.2011)

72. რუსეთის ფედერაციის ფინანსური მონიტორინგის ფედერაციული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი – <http://www.fedsfm.ru/documents/typologies/> (11.11.2011)
73. კარიბის ზღვის ქვეყნების ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის ოფიციალური ვებ-გვერდი – http://www.cfatf-gafic.org/reports-a-documents/cat_view/22-english/23-annual-reports.html (01.02.2011)
74. აზიისა და წყნარი ოკეანის ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის ოფიციალური ვებ-გვერდი – <http://www.apgml.org/documents/docs/17/Australia%20ME2.pdf> (15.09.2011)
75. ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის ოფიციალური ვებ-გვერდი – http://www.menafatf.org/images/UploadFiles/MER_Republic_of_Yemen.pdf (16.09.2011)
76. ეგმონტის ჯგუფის ოფიციალური ვებ გვერდი – <http://www.egmontgroup.org/about/list-of-members> (07.04.2011)

ქართული ნორმატიული მასალა:

77. საქართველოს. პარლამენტი. ორგანული კანონი: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ. 1997 წლის 31 ოქტომბერი №1028 [კოდექსის პროგრამა]
78. საქართველო. პარლამენტი. კანონი: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ. 2003 წლის 6 ივნისი №2391 [კოდექსის პროგრამა]
79. საქართველო. პარლამენტი. კანონი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999 წლის 22 ივლისი №2287 [კოდექსის პროგრამა]
80. საქართველო. პარლამენტი. კანონი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2009 წლის 9 ოქტომბერი №1772 [კოდექსის პროგრამა]
81. საქართველო. პარლამენტი. კანონი: საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ. 1997 წლის 17 ოქტომბერი №982 [კოდექსის პროგრამა]
82. საქართველო. 26.11.2009. პრეზიდენტის ბრძანებულება: საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის

სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ. №859 [კოდექსის პროგრამა]

83. საქართველო. იუსტიციის სამინისტრო. 02.08.2011. მინისტრის ბრძანება: საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ. №103 [კოდექსის პროგრამა]
84. საქართველო. იუსტიციის სამინისტრო. 31.12.2010. მინისტრის ბრძანება: საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ. №241 [კოდექსის პროგრამა]
85. საქართველო. ფინანსური მონიტორინგის სამსახური. 18.01.2012. უფროსის ბრძანება: კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ. №4 [კოდექსის პროგრამა]

საერთაშორისო კონვენციები, შეთანხმებები და სხვა დოკუმენტები:

86. ბაზელის კომიტეტი. ბაზელის დეკლარაცია. 1988. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмыванием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
87. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (ვენის) კონვენცია. 1988. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмыванием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
88. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. კონვენცია ტრანსნაციონალური დანაშუღლობის წინააღმდეგ. 2000. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмыванием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
89. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ. 2003. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и

- отмыванием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
90. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური პროგრამა. 1997. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмыванием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
91. ევროპის საბჭო. ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ (სტრასბურგის) კონვენცია. 1990. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмыванием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
92. ევროპის საბჭო. №91/308/ЕЕС დირექტივა საფინანსო სისტემის ფულის გათეთრების მიზნით გამოყენების აღკვეთის შესახებ. 1991. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмыванием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
93. ვოლფსბერგის ჯგუფი. ვოლფსბერგის პრინციპები. 2000, 2002. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмыванием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.
94. ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ 40+9 რეკომენდაცია. 1990, 1996, 2003წწ. Международно-правовые основы борьбы с коррупцией и отмыванием преступных доходов, сборник документов, 2009 г. ИНФРА-М, Москва.

დანართები

დანართი 1 - საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში სსკ 194 მუხლით შემოსული და დამთავრებული სისხლის სამართლის საქმეების ამსახველი სტატისტიკა

წლები	შემოვიდა		დამთავრდა		მათ შორის							
					განაჩენის გამოტანით		მათ შორის შეეფარდა					
							თავისუფლების აღკვეთა		პირობითი მსჯავრი		ჯარიმა	
საქმე	პირი	საქმე	პირი	საქმე	პირი	პირი	%	პირი	%	პირი	%	
2010წ. 6 თვე	5	9	2	2	2	2	2	100				
2009	1	1	1	2	1	2	1	50	1	50		
2008	3	4	4	5	4	5	2	40	3	60		
2007	5	6	2	3	2	3	1	33.3	2	66.7		
2006	2	2	1	1	1	1				0.0	1	100
2005	4	4	4	4	4	4			1	25	3	75

დანართი 2 - საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში სსკ-194 მუხლით მსჯავრდებულებზე სასჯელის ღონისძიებების შეფარდების ამსახველი სტატისტიკა


წლები	მსჯავრდებულთა რაოდენობა	მათ შორის შეფარდება											
		თავისუფლების აღკვეთა ვადით						სულ თავისუფლების აღკვეთა		პირობით მსჯავრი		ჯარიმა	
		1 წლის ჩათვლით	1წ. ზევით 2წ. ჩათვლით	2წ. ზევით 3წ. ჩათვლით	3წ. ზევით 5წ. ჩათვლით	9წ. ლი	14წ. ლი	პირი	%	პირი	%	პირი	%
2010 წ. 6 თვე	2	1				1		2	100				
2009	2						1	1	50	1	50		
2008	5		2					2	40	3	60		
2007	3			1				1	33.3	2	66.7		
2006	1										0.0	1	100
2005	4									1	25	3	75

დანართი 3 – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს სტატისტიკური მონაცემები სსკ 194 მუხლით რეგისტრირებული საქმეების შესახებ

	რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა	გახსნილ დანაშაულთა რაოდენობა
2006	5	1
2007	13	1
2008	7	1
2009	5	0
2010	14	5


დანართი 4 – კრიმინოლოგიური კვლევის შედეგები

მიზნობრივი ჯგუფი	პიროვნება
საბანკო სექტორი	85
ბიზნეს სექტორი	40
უმუშევრები	40
საჯარო სამსახური	123
სტუდენტები	112




საჯარო სამსახური (123)

კითხვა	ა	ბ	გ	დ
1	93	20	10	0
2	5	6	97	15
3	41	30	37	15
4	73	32	18	0
5	31	40	11	41
6	32	23	68	0
7	31	55	4	33
8	52	28	33	10
9	49	57	2	15
10	25	46	11	41
11	41	15	39	28
12	23	4	65	31
13	88	7	28	0
14	47	27	49	0
15	41	31	10	41
16	88	35	0	0
17	86	37	0	0
18	56	17	50	0




სტუდენტები (112)

კითხვა	ა	ბ	გ	დ
1	95	13	4	0
2	32	8	66	6
3	41	25	36	10
4	77	26	9	0
5	30	29	26	27
6	39	42	32	0
7	8	67	13	24
8	49	25	32	6
9	40	64	1	7
10	40	36	15	24
11	56	19	21	17
12	12	3	91	6
13	84	6	22	0
14	54	13	45	0
15	56	25	6	25
16	84	28	0	0
17	88	24	0	0
18	56	14	42	0




უმუშევარი (40)

კითხვა	ა	ბ	გ	დ
1	32	5	3	0
2	4	1	29	6
3	14	12	6	8
4	27	8	5	0
5	14	9	1	16
6	12	6	22	0
7	10	20	0	10
8	16	5	14	5
9	13	23	0	4
10	6	20	1	13
11	15	7	6	12
12	4	1	20	15
13	26	4	10	0
14	8	24	8	0
15	17	9	5	9
16	21	19	0	0
17	28	12	0	0
18	22	6	12	0



ბიზნეს სექტორი (40)

კითხვა	ა	ბ	გ	დ
1	39	1	0	0
2	0	5	34	1
3	13	7	12	8
4	29	8	3	0
5	21	9	7	3
6	25	4	11	0
7	12	18	3	7
8	21	9	9	1
9	13	17	6	4
10	4	17	5	14
11	13	5	11	11
12	6	1	18	15
13	27	3	10	0
14	7	14	19	0
15	21	16	1	2
16	29	11	0	0
17	31	9	0	0
18	16	13	11	0



საბანკო სექტორი (85)

კითხვა	ა	ბ	გ	დ
1	82	0	3	0
2	6	20	59	0
3	15	45	20	5
4	48	35	2	0
5	39	23	11	12
6	32	22	31	0
7	28	48	9	0
8	40	17	26	2
9	25	58	2	0
10	7	30	5	43
11	30	6	27	22
12	5	7	52	21
13	69	3	13	0
14	25	20	40	0
15	30	42	8	5
16	63	22	0	0
17	60	25	0	0
18	61	14	10	0

